# კვირის პალიტრა

36 გვ

საჩუქარი ჩვენი „კვირის პალიტრა“ მკითხველისათვის

ყოველკვირეული გაზეთი

№ 18 (368) ◆ 6 – 12 მაისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!







### ლაზარე

ნუ გაიგლიჯე გული, მამულო,
ცოტა ხანს კიდევ გაძელ.
არ დაადუმო შენი „ლილე“ და
მოვალ, აგინთებ კანდელს...
თუ გინდა ვუთქვთ,
ოღონდ დამიხვდი.
არ დაიშრიტო თვალი,
ოღონდ მელოდე, ოღონდ მიწამე,
მოვალ იმედად ხვალის!..
შენი ცოტნე ვარ, შენი თამარი,
მოვალ დავითად, საბად...
დიდი ხანია რომ გენატრება,
მოვალ იმ პირველ კაცად...
შენი გუთნის და შენი აკვანის,
შენი ქართული ოდის,
შენი თბილისის მაღლა რომ იცის,
სწორედ ის ბიჭი მოდის!..

## ტრადიციად ქცეული სააღდგომო საჩუქარი

იქნება „კვირის პალიტრის“ დამატება ჟურნალ „გზაშიც“

---

**The Washington Post**

„ფურორი ვაშინგტონის თეატრალურ სამყაროში — მსგავსი „ჰამლეტი“ არსად დადგმულა“. ...თუ გინდათ ოფელიათი აღფრთოვანდეთ, უნდა ნახოთ ის ირინა ციქურიშვილის შესრულებით. ...შეუძლებელია პაატა ციქურიშვილზე მაღალი კლასის მსახიობის მოძებნა. ...უყურებ კავსაძის კლავდიუსს და გჯერა, რომ მას ნამდვილად შეეძლო ბოროტების ჩადენა.

გვ. 22

## ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“ მოუთმენლად ელის ვაშინგტონელი მაყურებელი

---

## რუსული კოვზი და კოდორული ნაცარი

### რა ხდება დღეს?

რეპორტაჟი კოდორის ხეობიდან



*საგანგებოდ გათხრილი სანგრებთან, ხილითა და ქვებით სავსე ტომრები, კონსერვის თუნუქის კოლოფები და ერთჯერადი კოვზები დატოვებიათ რუსებს, ალბათ ნიშნად იმისა, რომ კოვზი კოდორულ ნაცარში ჩაუვარდათ.*

ესაო, ისაო, ხვალ შეტევა იწყება, შტურმით აიღეს რაღაცო, რომ გაიძახიან, ამან ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა. თითოეული შვეულმფრენის გამოჩენაზე ქალი და ბავშვი დასამალად გარბის. სოხუმისა და გაგრის მოვლენების შემდეგ ალარავისი გვჯერა.

ამ ხეობაში ფეხის მოკიდება ვინმეს იოლი არ ეგონოს. მასმედიას კი ვურჩევთ, სამხედრო თემებზე მას შემდეგ ილაპარაკოს, სახელმწიფოებრივი საიდუმლოებების ჩვეულებრივი მოვლენისაგან განსხვავებას და მის შენახვას რომ ისწავლიან.

დესანტში ერთადერთი ოფიცერი არ იყო რუსი. სახეზე ეტყობოდა, რომ აფხაზი იყო. დავუძახეთ და გავაფრთხილეთ, თითი არ გაანძრიოთ, თორემ...

გვ. 6

---

## ახალი სკანდალი ქალაქძეების ირგვლივ

### — ახლო ნათესავი ქალაქძეებს ფულს სძალავდა?!



გვ. 12, 13

2000 დოლარი გამომართვეს. იცით, რა აფერისტები არიან?! ყველაფერი იციან მაგათ, ვის ჰყავს ჩემი შვილი წაყვანილი, სად არის. ჯერ კიდევ არ მინდა ყველაფრის ლაპარაკი და ბავშვს რომ გაათავისუფლებენ, მერე დაწვრილებით მოვყვები ყველაფერს. ისეთ რამეს მოისმენთ, თმა ყალყზე დაგიდგებათ.

კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მაგათ იციან სად არის ჩემი შვილი და როგორ არის. ჩავალპობ ციხეში ლორივით.

*კარლო კალაძე*

---

## ზოგიერთ ჩვენს თანამემამულესავით ამერიკაში არავინ „ჩაგვიშვია“

გვ. 12



გამგზავრებამდე წინასწარ გვქონდა განსაზღვრული, რომ შინაური პრობლემები, შინადაპირისპირება არ მიგვეტანა ამერიკელებამდე. არ გვითქვამს სხვებივით — ის ცუდი კაცია და უნდა მოვიცილოთ, ან კიდევ, ესა და ეს სტრუქტურა უვარგისიაო...

### როგორ აღიქვეს ამერიკაში თბილისში მომხდარი მიწისძვრა?

---

## „ქართული ბუგატი“ საერთაშორისო ავტოსალონს იპყრობს

### მის გამოშვებას „ფოლკსვაგენი“ მომავალი წლიდან გეგმავს



ჭკუაზე არ არიან — საგანგებოდ გაწვრთნილ სპეციალისტებს თეთრი ხელთათმანები აცვიათ და ბუნებრივი ბუმბულებით თავ-თავის კონცეფტ-მანქანებს აპრიალებენ. ამ დროს ჩხარუნით მოაქვთ „ციკოლიას დიზაინის“ დამტვრეულ-დაფხრეწილი მოდელი და „ლოტუსსა“ და „ლამბორგინს“ შორის დებენ...

„პატარა ქვეყნის“ კომპლექსი უნდა მოვიშოროთ და უფრო სალად, ღირსეულად შევაფასოთ ყველაფერი.

გვ. 11, 33

---

ვერსია გვ. 10

## სისხლით შეღებილი სააღდგომო კვერცხები, ანუ რატომ გააქრეს რაისტაგის მესამე მედროშე

იცი, მეც ქართველი ვარ, ქართველი, გესმის? — და ყელზე ჩამოეკიდა ვაჟკაცს. ეს არ იყო მხოლოდ შეყვარებულის ამბორი, — თავისიანის ნახვით გამოწვეული აღტყინების გამოხატვაც გახლდათ, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამძაფრებდა სიყვარულს...

ჰო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსებთან ერთად ეს ომი სხვა ხალხებმაც მოიგეს და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი ქართველია, — წყნარად ჩაილაპარაკა გენერალური შტაბის უფროსმა ანტონოვმა და თვალი თვალში გაუყარა ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალს ჟუკოვს.

---

# ფრთხილად! გაზეთში წმინდა სანთელია...

## ვიზიტი არ შედგა

პრეზიდენტმა შევარდნაძემ გააუქმა აშშ-ში დაგეგმილი ვიზიტი, რომელიც 7 მაისს უნდა შემდგარიყო. ამ გადაწყვეტილების ოფიციალურ მიზეზად გამოცხადდა მომხდარი მიწისძვრის შედეგები. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში თქვეს, ასეთ დროს ვიზიტისათვის საჭირო სოლიდურ თანხებს მთავრობა არ გაიღებს! პრეზიდენტ შევარდნაძეს ამერიკაში გაეროს საგანგებო სხდომაში უნდა მიეღო მონაწილეობა, რომელიც ბავშვთა დაცვის პრობლემებს ეხება და მოხსენებითაც უნდა გამოსულიყო. ახლა გაეროს ამ სხდომაზე დასასწრებად საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმეკაციანი დელეგაცია გაემგზავრება ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით.

შევარდნაძემ გადაწყვეტილება აშშ-ში ვიზიტის გაუქმების შესახებ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ხანგრძლივი სატელეფონო საუბრის შემდეგ მიიღო. მათი საუბარი, ძირითადად, თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგებს და საქართველოში ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა ჩამოსვლას შეეხო. ჯორჯ ბუშმა სთხოვა შევარდნაძეს მისი და ამერიკელი ხალხის სახელით სამძიმარი გადაეცა მიწისძვრის დროს დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებისათვის.

## ამერიკელების მისია საქართველოში

ქართული ეროვნული არმიის შექმნის მე-11 წლისთავზე, 2002 წლის 30 აპრილს საქართველოში ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა პირველი 20-კაციანი ჯგუფი ჩამოვიდა და ესოდენ ნანატრი კონტრტერორისტული ოპერაციისათვის რეალური მზადებაც დაიწყო. ჯერჯერობით, ოცი რეინჯერი ადგილობრივი ვითარებისა და პირობების შესწავლითაა დაკავებული, რათა უახლოეს ორ კვირაში რეინჯერთა უკვე 200-კაციანი რაზმის ჩამოსვლას აქ ყოფითი თუ სხვა სახის პრობლემები არ შეექმნას და პირდაპირ ჩაერთოს ქართული კონტრტერორისტული ბატალიონების მომზადების საქმეში. ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს მასმედიასთან დეტალების გახმაურება ბრძანებით აქვთ აკრძალული. თუმცა პირველი მინიშნებები უკვე გააკეთეს. მათი თქმით, 20-კაციანი ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანაა კრიზისების მართვის ცენტრის შექმნა, რომელიც საგანგებო სიტუაციებში სამეთაურო და ძალოვან უწყებებთან მაკოორდინებელ ფუნქციას შეასრულებს...

## შეფასდა „სრულიად არადამაკმაყოფილებლად“

ოთხშაბათ-ხუთშაბათს გამართულ მთავრობის სხდომებზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ მიწისძვრის შედეგების გამო ყველა უწყებას საგანგებო რეჟიმით მუშაობა მოსთხოვა, თუმცა პრეზიდენტის მორიგი მრისხანების მიზეზი აპრილის თვის ბიუჯეტის შეუსრულებლობა გახლდათ. აპრილის თვის ბიუჯეტი სულ ცოტა რვა მილიონი ლარით გაირღვა, ხოლო 2002 წლის პირველი ოთხი თვის საბიუჯეტო შემოსავლებს 40 მილიონი ლარი დააკლდა. სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა სულხან მოლაშვილი, რომელმაც კონტროლის პალატის მასალების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო 482 მილიონი დოლარის გრანტების არამიზნობრივ განკარგვაში დაადანაშაულა და განაცხადა, ფინანსთა სამინისტროს არ გააჩნია ამ 482 მილიონი დოლარის მიზნობრივი ხარჯვის შესახებ სათანადო ინფორმაცია, არადა პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იყო ქვეყანაში შემოსული გრანტების აღრიცხვასა და გამოყენებაზე კონტროლი დაეწესებინა! პრეზიდენტმა ფინანსთა სამინისტროს მუშაობა „სრულიად არადამაკმაყოფილებლად“ შეაფასა, რამაც საბოლოოდ დააკარგვინა მოთმინება ზურაბ ნოღაიდელს და განაცხადა, გრანტებზე კონტროლის დაწესება არადემოკრატიულია და თუ პრეზიდენტი მაინც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, მაშინ მე ამ ქვეყნის ფინანსთა მინისტრი არ ვიქნებიო.

## წმენდა გაგრძელდება

მთავარი მოვლენები კი მეორე დღეს განვითარდა. მოსალოდნელი საშიშროება რომ იგრძნო, შემოსავლების მინისტრმა ლევან ძნელაძემ აპრილის თვის ბიუჯეტის ჩავარდნის გამო თანამდებობიდან გადააყენა აქციზური მონიტორინგის ბიუროს ხელმძღვანელი ანდრო კოტეტიშვილი. შემდეგ კი ძნელაძემ მთელი თავისი ძალისხმევა ბანკებისაკენ მიმართა და შეეცადა კრედიტების მიღებას, მაგრამ ამაოდ. ბანკები შემოსავლების სამინისტროს წინადადებას არ დათანხმდნენ... ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ხელისუფლება ვერ შეასრულებდა მომავალ თვეებში სავალუტო ფონდის მოთხოვნას ბიუჯეტის შემოსავლების 25 მილიონი ლარით გაზრდის შესახებ (გაზრდა კი არა, ხელისუფლებაში უკვე შიშით ჩურჩულებენ მოსალოდნელი მორიგი სეკვესტრის გარდაუვალობაზე) და აქ უკვე პრეზიდენტმა მიმართა „გადამჭრელ“ ზომებს. ხუთშაბათს, ღამით, უშიშროების საბჭოს სხდომაზე შევარდნაძემ პოსტებიდან გადააყენა ლევან ძნელაძე და ზურაბ ნოღაიდელი. დღის წესრიგში დასვა შემოსავლებისა და ფინანსთა სამინისტროების სასწრაფოდ გაერთიანების საკითხი და ამ ახალი საფინანსო-ეკონომიკური უწყების მინისტრობის კანდიდატად დაასახელა ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი — მირიან გოგიაშვილი! ამ ამბების შემდეგ კულუარებში ინტენსიურად ალაპარაკდნენ იმის შესახებაც, რომ სახელმწიფო მინისტრს მთავრობაში თავისი ერთგული გუნდის მოყვანა სურს და წმენდა გაგრძელდება. მაგრამ თავად ავთო ჯორბენაძესაც მძიმე დღეების გადატანა მოუწევს პარლამენტში ორი კვირის შემდეგ. 20 მაისს იგი პარლამენტართა წინაშე 2002 წლის პირველი ოთხი თვის ბიუჯეტის გეგმის შესრულების ანგარიშით წარდგება და თუ გავიხსენებთ წლის დასაწყისში ბიუჯეტის დამტკიცებისას ჯორბენაძის მიერ პარლამენტის წინაშე დადებულ დაპირებას, რომ ოთხი თვის შემდეგ ბიუჯეტის შესრულებაზე მთავრობასთან ერთად თვითონაც აგებდა პასუხს, ნათელი გახდება, რომ ბიუჯეტის გარღვევის გამო მასაც სერიოზული პრობლემები შეიძლება შეუქმნან პარლამენტარებმა!

## არც მირცხულავაა კარგ დღეში

ხმაური ძლიერდება ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას ირგვლივაც. მიუხედავად მირცხულავას მიერ სავალუტო ფონდის მისიისთვის წარდგენილი ენერგოსისტემაში დაგროვილი ვალების გასტუმრების გეგმისა, რაც დევიდ ოუენმა დადებითად შეაფასა, ფონდის მემორანდუმში შავით თეთრზეა დაფიქსირებული, რომ ენერგეტიკის სექტორში კორუფციას აქვს ადგილი. სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ სხდომაზე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამის გამო კიდევ ერთხელ დაემუქრნენ ხელისუფლებას, რომ ენერგეტიკის სფეროში საქართველოს დახმარებას შეუწყვეტენ. სახელმწიფო მინისტრთან გამართულ ამ შეხვედრამდე დავით მირცხულავას მთელი ეპოპეა გადახდა თავს, რაც ენგურჰესზე მომხდარმა ხანძარმა გამოიწვია. პარასკევს, დილის რვის ნახევარზე, ენგურჰესზე მომხდარი ხანძრის გამო თითქმის მთელი საქართველო გამოირთო. ელექტროენერგიასთან ერთად მოსახლეობას წყლის მიწოდებაც შეუწყდა. მირცხულავამ რამდენიმე საათში მოახერხა ვითარების გამოსწორება და კანცელარიაში მივიდა, სადაც ასევე ცუდი ამბები დახვდა. საერთაშორისო დონორებმა განაცხადეს, რომ საქართველოს ენერგოსისტემისთვის დახმარება ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ნულს გაუტოლდეს. დონორები ენერგოპროექტების სასწრაფოდ რატიფიცირებას და გადასახადების ამოღებას ითხოვენ. მირცხულავაც აცხადებს, რომ ამიერიდან ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას შეუწყდება დენი, ვისაც კი დავალიანება აქვს. კულუარებში უკვე აღარ მალავენ, რომ ენერგეტიკის მინისტრიც მალე გაიზიარებს ზურაბ ნოღაიდელისა და ლევან ძნელაძის ხვედრს...

## ვინ სად გადაბარგდა...

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ „დიდი მოძრაობა“ დაიწყო პოლიტიკურ პარტიებში. საინტერესო ცნობა მოვიდა ბათუმიდან. ასლან აბაშიძის ვაჟი გიორგი აბაშიძე ბათუმის მერის თანამდებობიდან გადადგა, რათა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. თბილისში კი არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ გიორგი თარგამაძე და „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პარლამენტიდან დედაქალაქის საკრებულოში „გადაბარგებით“ გაცილებით მეტ სასარგებლო საქმეს გააკეთებენ! გიორგი თარგამაძე კი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტის დაკავებასაც გეგმავს! ამასთან, „აღორძინებამ“ გამოაქვეყნა იმ პირთა სია, რომლებიც თბილისის საკრებულოში მანდატების მოსაპოვებლად მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. ესენი არიან — გიორგი ტაბიძე, გია მურღულია და... ჯონდი ბაღათურია, რომელიც გახლეჩილი ედპ-დან „აღორძინებაში“ გადაბარგდა(!). პარლამენტიდან თბილისის საკრებულოში გადაბარგებას გეგმავს მიშა სააკაშვილიც! საინტერესოა, რომ ბაღათურიამ „აღორძინებაში“ მისვლამდე კონსულტაციები ლეიბორისტებსა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გამართა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე საიმედოდ მაინც „აღორძინება“ მიიჩნია და ამ პარტიის წევრიც გახდა!

## ახალი საინფორმაციო ცენტრი

ორშაბათიდან საქართველოში ამოქმედდება აშშ-ში არსებული საინფორმაციო ცენტრის „911“-ის მსგავსი სამსახური. საგზაო პოლიციის პრესსამსახურის ინიციატივით უფასო სატელეფონო ხაზი „8002“ იმოქმედებს, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი მძღოლი ან მოქალაქე ნებისმიერი სატელეფონო ქსელიდან ოპერატიულად დაუკავშირდება ამ სამსახურის საპატრულო მანქანებს და მიაწოდებს ინფორმაციას მომხდარი ავტოკატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და ინციდენტების შესახებ. ანონიმურობა დაცული იქნება!

## ვინ დადგება ლორთქიფანიძის დროშის ქვეშ?!

პარლამენტში საგრძნობლად გააქტიურდა დეპუტატი ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელიც ფრაქციას „ახალი აფხაზეთი, ქრისტიან-დემოკრატი“ ჩაუდგა სათავეში. მას ფრაქციის თავმჯდომარის პოსტი ანზორ წოწონავამ დაუთმო(!). ლორთქიფანიძემ ახალი მხარდამჭერები შემოიკრიბა ირგვლივ — კერძოდ, ადა მარშანია, გერმანე ფაცაცია, ლევან თედიაშვილი, ავთო ჩიტიშვილი. მათთან შეერთებაზე გადაწყვეტილებას მალე მიიღებს თამაზ ნადარეიშვილი. ლორთქიფანიძის დროშის ქვეშ ის ფრაქციებიც აპირებენ დადგომას, რომლებსაც სპიკერის არჩევნებისას მისი ამ პოსტზე გაყვანა სურდათ! ვაჟა ლორთქიფანიძე კი ირწმუნება, რომ ახალი უმრავლესობის შექმნა მისთვის თვითმიზანი არ არის, რომ ეს გადაწყვეტილება განპირობებულია აფხაზეთის პრობლემისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულებით და რომ იდეა ამ პოლიტიკური განაცხადისა არის აფხაზეთის დაბრუნება და ამ მიზნის ირგვლივ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება!

## ხატიძეს იმედი არ უნდა ჰქონდეს

როგორც ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობას“ განზრახული აქვს თანამდებობიდან გადამდგარი ბადრი ხატიძის პოლიტიკური განადგურება და მასთან დაპირისპირების აქტებს აგრძელებს. საგანგებო ბრიფინგზე კობა დავითაშვილმა და ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადეს, რომ ბადრი ხატიძე ქალაქ გორის მერობისთვის აპირებს ბრძოლას (გორი ხატიძის მშობლიური ქალაქია) და რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ დაუშვებს ხელისუფლებაში კორუმპირებულ ჩინოვნიკთა მოსვლას! „ნაციონალური მოძრაობა“ გორის მერის პოსტზე ხატიძესთან „დასაჭიდებლად“ მხარს უჭერს გორის საკრებულოს თავმჯდომარეს, ყოფილ მოჭიდავეს და ოლიმპიურ ჩემპიონს, ასევე გორელ შოთა ჩოჩიშვილს. ოქრუაშვილმა გააფრთხილა ხატიძე, გამარჯვების იმედი ნუ გექნება და იცოდე, რომ ეს არჩევნები შენი პოლიტიკური კარიერის დასასრული იქნებაო! ხატიძე, ჯერჯერობით, არ გამოხმაურებია ამ მუქარას...

## საქმეს საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობასა და მათ უცხოელ პარტნიორებს შორის დაწყებულმა დავამ ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომდე მიაღწია. უცხოელმა ინვესტორებმა 17 მილიონი დოლარის ვალის არსებობის დასამტკიცებლად, ქარხნისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს. ფეროს გენერალური დირექტორი ვალებს აღიარებს, მაგრამ აცხადებს, რომ თანხა გაცილებით ნაკლებია(!). ქარხნის ადმინისტრაციას კი მუშა-მოსამსახურეები ვალების შეგნებულად დაგროვებაში ადანაშაულებენ... ახლა სიტყვა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოზეა. თუ სასამართლომ დააკმაყოფილა ფეროს უცხოელ პარტნიორთა სარჩელი, ქართულ მხარეს დიდი ჯარიმის გადახდა დაეკისრება. რა პროცესებს მიეცემა ამის შედეგად გასაქანი, ალბათ დიდ მიხვედრას არ საჭიროებს!

## ეჭვმიტანილი დაკავებულია

დიდუბის ხიდთან მდებარე „იბერკომპანის“ ავტოგასამართ სადგურზე ახლახან მომხდარი საზარელი მკვლელობის ფაქტში ეჭვმიტანილი დააკავეს. ორი კვირის წინ ამ ავტოგასამართ სადგურს თავს დაესხნენ და მისი სამი თანამშრომელი ადგილზე დახვრიტეს, თანხა კი გაიტაცეს. პოლიციის თქმით, დაკავებულმა პაატა დოლაბერიძემ უკვე აღიარა დანაშაული. მას 20-ზე მეტი ყაჩაღობა აქვს ჩადენილი. დოლაბერიძე თვე-ნახევრის წინ გაიქცა საბადრაგო მანქანიდან, როცა კოლონიიდან სასამართლო პროცესზე მიჰყავდათ და ამ გაქცევისას ორი სამართალდამცველი მძიმედ დაჭრა!

## მძევლების ბედი უცნობია

გალის რაიონის სამი ქართველი მკვიდრი აფხაზმა ბოევიკებმა გაიტაცეს. აფხაზთა ათკაციანი ჯგუფი ღამით, სოფელ მეორე ოტობაიაში მცხოვრებ ძმებ კორკელიებს დაეცა და მძევლად აიყვანა. მოგვიანებით კი იმავე ჯგუფმა სოფელ სიდადან ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად მყოფი თაგილონელი ხურცილავა გაიტაცა.

ბანდიტებმა გატაცებულთა ოჯახის წევრებს თითო მძევალში გამოსასყიდის სახით 2000 დოლარი მოსთხოვეს. ქართველმა პარტიზანებმა აფხაზებს კატეგორიულად მოსთხოვეს მძევალთა უპირობო გათავისუფლება... გატაცებიდან ერთი დღის შემდეგ ხურცილავა გაათავისუფლეს, ძმები კორკელიების ბედი კი უცნობი რჩებოდა.

## ქართველი ძალოვნები უარყოფენ

გასულ კვირას პანკისის ხეობიდან ორი არაბის გაუჩინარება ჩეჩნებმა ქართველ სამართალდამცველებს დააბრალეს და სოფელ დუისთან არსებულ ქართულ საგუშაგოს შორი მანძილიდან ყუმბარმტყორცნი ესროლეს. საბედნიეროდ, ჭურვმა საგუშაგომდე ვერ მიაღწია. ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, როცა ავტომობილს, რომელსაც ქისტი ხანგოშვილი მართავდა და მასთან ერთად ორი არაბიც იმყოფებოდა, დუისის ხიდთან დაესხნენ თავს. მძიმედ დაჭრილ ხანგოშვილს ხელბორკილი დაადეს და იქვე დააგდეს (მოგვიანებით ხანგოშვილი, რომელიც აბსოლუტურად უდანაშაულოა, კახეთის პოლიციის თქმით, თბილისში გადმოიყვანეს საავადმყოფოში), არაბები კი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს... დუისის ხიდთან არაბების გატაცებისას დაჭრილი 19 წლის ხიზრი ხანგოშვილი გარდაიცვალა და იგი პარასკევს დაკრძალეს პანკისში. ქისტები იმუქრებიან, რომ თვითონ ჩაატარებენ გამოძიებას და მკვლელებს ქისტური ადათ-წესებით გაუსწორდებიან, ანუ სისხლს აიღებენ. ამასთან, კვლავ ბურუსითაა მოცული, თუ ვინ გაიტაცა არაბები და ვინ მოკლა ხანგოშვილი. ქართველი ძალოვნები კვლავ კატეგორიულად უარყოფენ მომხდართან რაიმე კავშირს!

## მიწისძვრის კვალდაკვალ

2002 წლის 25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, გერმანიის საელჩომ საქართველოს გეოფიზიკის ინსტიტუტს, მისივე თხოვნის საფუძველზე, თანამედროვე სეისმური დაკვირვებების ქსელების აღსაჭურვად გადასცა ორი სეისმური დანადგარი, რომელთა ღირებულება დაახლოებით 20.000 ლარს შეადგენს. ესენია ლენარტცის ციფრული სეისმოგრაფები და მასზე მიბმული მონაცემთა შეგროვების სისტემები.

ხელსაწყოები სრულყოფილად დააფიქსირებს მიწისძვრით აღძრულ დრეკად ტალღებს და განსაზღვრავს მათ პარამეტრებს. გარდა ამისა, ამ ჩანაწერების ანალიზი საფუძვლად უდევს ქვეყნის სეისმური საშიშროებისა და სეისმური რისკის შეფასებას და სწორი საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სეისმურად აქტიურ ალპურ ზონაში მდებარე საქართველოსთვის.

საგზაო პოლიციამ დედაქალაქის ზოგიერთი უბანი გადაკეტა და ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალა. საქმე ის არის, რომ მიწისძვრით დაზიანებული და დანგრევის პირზე მყოფი შენობები ავტომობილების მოძრაობის გამო გამოწვეულ ვიბრაციასაც ვეღარ უძლებენ და ნელნელა იშლებიან. მოსახლეობის კატეგორიული მოთხოვნით ბაქოს, ფიროსმანის, გოგოლის, ჩუბინაშვილის და ნინოშვილის ქუჩებზე მოძრაობა აიკრძალა და შესაბამისი საგზაო ნიშნებიც დაიდგა. დაწესდა საგზაო პოლიციელთა სადღეღამისო მორიგეობაც.

## ღვთისმშობლის ხატს მირონი სდის

ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ღვთისმშობლის ხატს მირონი სდის! მრევლმა და მღვდელმსახურებმა ეს სასწაული პირველად თბილისის მიწისძვრამდე შეამჩნიეს. ამჟამად ხატზე მირონის 12 ნაკვალევია. მირონის პირველი წვეთები მგალობელს დაღვენთია! ღვთისმშობლის ეს ხატი ქუთაისის პეტრე-პავლეს ტაძარში საბერძნეთიდან ჩამოასვენეს 2000 წელს! ასეთივე სასწაული მოხდა უშუალოდ აღდგომის წინა დღეებში გელათის ტაძარში, სადაც ასევე ღვთისმშობლის ხატზე შეამჩნიეს მირონის გადმოდინება!

## ბეთლემის ტაძარი გადარჩა



გასულ კვირას ბეთლემის შობის ტაძარი სასწაულით გადაურჩა განადგურებას. ტაძარში ჩაკეტილ პალესტინელებსა და ებრაელებს შორის მიმდინარე ბრძოლისას ტაძარს და მიმდებარე ტერიტორიას ხანძარი გაუჩნდა. საბედნიეროდ, ტაძარში ხანძარი ჩააქრეს... იმავე დღეს ებრაელებმა შინაპატიმრობიდან გაათავისუფლეს იასირ არაფატი, რომელმაც პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები ებრაელთა მხარდაჭერაში დაადანაშაულა, შემდეგ კი ლანძღვა-გინებით დატოვა დარბაზი!

ამასობაში კი კოლინ პაუელი გამოვიდა ინიციატივით, რათა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად გაიმართოს საერთაშორისო კონფერენცია, სადაც შეეცდებიან წერტილი დაუსვან ამ გაუთავებელ ხოცვა-ჟლეტას! საინტერესოა, რომ ისრაელისა და პალესტინის ლიდერები მიესალმნენ ამ წინადადებას! საერთაშორისო კონფერენციაში მათ გარდა მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ის, რუსეთის, გაეროსა და ევროკავშირის დელეგაციები!

## ტერორისტი გააუვნებელყვეს

4 მაისს სტამბულის ცენტრში მდებარე 5-ვარსკვლავიან სასტუმროში ავტომატის სროლით შევარდა უცნობი პირი და მძევლად აიყვანა ვესტიბიულში მყოფი უამრავი ხალხი. ტერორისტმა პოლიციას მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოსთხოვა. მისივე თქმით, ამ აქციის მიზანი იყო საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევა ჩეჩენი ერის გენოციდისადმი და რუსეთის აგრესიის ალკვეთა ჩეჩნეთში.

ტერორისტი აღმოჩნდა ჩერქეზი ეროვნების თურქეთის მოქალაქე, რომელიც რუსეთის მიერ ჩეჩნური კამპანიის დაწყების პირველივე დღეებიდანვე იბრძოდა ჩეჩნეთში. თურქეთის სამართალდამცველებმა მას განცხადების გაკეთების უფლება არ მისცეს, შტურმზე გადავიდნენ და შეიპყრეს. საბედნიეროდ, არც ერთი მძევალი არ დაშავებულა.

# ღვთივკურთხეული საქართველოს ღვთისმოყვარე შვილებს

ქრისტეს მიერ საყვარელნო ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო ღვთივდაცულნო შვილნო საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო.

**ქრისტე აღსდგა!**

ეს სიტყვები ჰიმნია უკვდავებისა, ჰიმნი ქრისტეს დიადი გამარჯვებისა, რომელიც ყველას საოცარი იმედითა და სიხარულით აღგვავსებს.

სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას სათავე იესო ქრისტეს ჯვარცმით დაედო. თუ გვსურს, ამ გამარჯვების თანაზიარნი გავხდეთ, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს უნდა ჩავწვდეთ და გავაცნობიეროთ, რომ აღდგომა ქრისტესი გულისხმობს თითოეული ჩვენგანის, ზოგადად ყველა იმ ადამიანის აღდგომასაც, ვინც იცავს უფლის მცნებებს და მისი მადლითაა აღვსილი, ანუ ვინც ცხოვრობს ქრისტეში.

აი, როგორ წერს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი მაცხოვრის მიერ მონიჭებული მარადიული სიცოცხლის შესახებ: „მის თანა ცხორება□ იყო და ცხორება□ იგი იყო ნათელ კაცთა“ (1, 4).

**ქრისტე აღსდგა!**

ეს საოცარი ზეიმი ემპირიული აზროვნებისათვის მიუწვდომელია, ამიტომაც იყო რომ, როცა აღმდგარი უფალი გამოეცხადა მარიამ მაგდალინელს, თავდაპირველად მანაც ვერ იცნო იგი (იო. 21, 4), ვერც ტიბერის ზღვასთან მდგარი იესო შეიცნეს მისმა მოწაფეებმა.

აღდგომის საიდუმლოს აღქმა მხოლოდ ეკლესიაში და ეკლესიის საშუალებით ხდება. კარგად ამბობს ერთ-ერთი ცნობილი სასულიერო პირი: „ეკლესია არის ჩვენი ზიარების საშუალება აღდგომილ ღმერთის ცხოვრებასთან“.

დიახ, მხოლოდ ეკლესიაში შეიძლება მოვიპოვოთ უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი მადლი სულისა წმიდისა; იგი მხოლოდ ეკლესიური მოღვაწეობით და ლოცვით მოგვეცემა, რადგან სულიერი ჭვრეტის უნარი სულიერი ცხოვრებით მიიღწევა და მაშინ აღსრულდება უფლის სიტყვები: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდეთ, და ჰპოვოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ“ (მათე7,7).

ხშირად ასეც ხდება, რომ ჩვენ ვთხოვთ ღმერთს სულიწმიდის მადლს, მაგრამ კარგად არც კი ვიცით, რას ნიშნავს ეს. მოციქული პავლე გალატელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: **„ხოლო ნაყოფი სულისა□ არს: „სიყუარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება** (გალ. 5, 22-23) და ამატებს: „თუ სულით ვცოცხლობთ, სულსავე უნდა მივსდევდეთ, ნუ ვიქნებით მედიდურნი, ერთმანეთის გამომწვევნი, ერთმანეთის მოშურნენი“ (5, 25, 26).

მოციქული პავლე ამ ცხრა სათნოების ჩამოთვლით წარმოაჩენს, თუ როგორი უნდა იყოს სულიწმიდის მადლით მოსილი მორწმუნის შინაგანი სამყარო, როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება ღვთისა და მოყვასისადმი. აი, ამ თვისებების მატარებელი პიროვნება არის ახალი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ქრისტეში და ქრისტეც მყოფობს მასში.

დღეს ჩვენი ხალხის რელიგიური გამოღვიძებისა და ეროვნული ღირებულებების აღორძინების საინტერესო და ამავე დროს მეტად რთული პროცესი მიმდინარეობს.

შეიძლება კი წარმოდგენა საქართველოსი და ქართველი ხალხისა ჩვენი სარწმუნოებისა და ჩვენი ურთიერთობების, ჩვენი ტრადიციებისა და ოჯახური ყოფის გარეშე?! როგორი იქნებოდა ჩვენი ქვეყანა, რომ არ ჰყოლოდა მას ისეთი თავდადებული, ერთგული და ძლიერი დამცველნი, როგორებიც იყვნენ: წმიდა მეფე მირიანი და ნანა დედოფალი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, არჩილ და ლუარსაბი, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან დედოფალი, და ათასობით და ათიათასობით სხვა მოწამე, რომელთაც თავი დადეს მამულისა და რწმენისათვის.

საუკუნეთა მანძილზე ქართველი დედა შვილს გმირად ზრდიდა, მამულისადმი თავდადების სულისკვეთებას უღვივებდა. სწორედ ქართველი ქალის დამსახურებაა, რომ ჩვენს წინაპრებს მტკიცე სარწმუნოება და თავგანწირული სიყვარული ჰქონდათ; ის ცხრა სათნოება, რომელთა შესახებაც ბრძანებს წმიდა მოციქული პავლე, იყო მთავარი ორიენტირი ჩვენი დიდებული წინაპრებისათვის.

ამიტომაც მინდა ამ საკითხზე განსაკუთრებულად შევჩერდე.

უპირველეს სათნოებად მოციქული **სიყვარულს** მიიჩნევს და კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში მას ასე ახასიათებს: „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს; სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს; არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს; ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს. სიყვარული არასდროს განქარდება (1. კორ. 13, 4-8).

სიყვარული გადამრჩენელია და მარადიული, ამასთან იგი სათავეა სიხარულისა, რომელიც ასე აკლია თანამედროვე კაცობრიობას.

**სიხარული** მეორე სიკეთეა სიყვარულის შემდეგ. სულიერი სიხარული არ შეიძლება იყოს ცოდვით სავსე ყოფის შედეგი, არამედ იგი ნაყოფია ღვთის სათნო, წმიდა ცხოვრებისა. მას ხელოვნურად, საკუთარი სურვილით ვერ გამოიწვევ. ეს ბუნებრივი მდგომარეობაა სულიწმიდით გაცისკროვნებული გულისა. ამიტომაც წერს წმიდა იოანე ოქროპირი: „არც ძალაუფლების სიდიადე, არც ფულის სიმრავლე, არც ძლიერება, არც ჯანმრთელობა, არც უხვი სუფრა, არც შესანიშნავი ჩაცმულობა და არც სხვა რამ ადამიანური უპირატესობანი გვანიჭებენ ნამდვილ სიხარულს; იგი შედეგია სულიერი კეთილშობილებისა და სუფთა სინდისისა“.

სულიერი კეთილშობილება და წმიდა სინდისი ანიჭებს პიროვნებას ერთ-ერთ ყველაზე დიდ ადამიანურ ღირსებას — უშურველობას და სხვისი სიხარულითა და ბედნიერებით გახარების უნარს.

სულიწმიდის მადლთა შორის მესამე ადგილი **მშვიდობას** უკავია.

მშვიდობა ყველასათვის სასურველია, მაგრამ მისი მიღწევა არ არის იოლი. ჩვენს გარშემოც და ჩვენს სულშიც მშვიდობა რომ სუფევდეს, მშვიდობისმოყვარე გული უნდა გვქონდეს, ეს კი წყალობაა ღვთისა და ამ მადლს მხოლოდ ის მოიპოვებს, ვინც ვნებებს სძლევს. მშვიდობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მშვიდობისმყოფელთ უფალი ძედ ღვთისად მოიხსენიებს.

მეოთხე ადგილზე მოციქული პავლე **მოთმინებას** აყენებს.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობას არათუ დიდი, არამედ მცირეოდენი მოთმინების უნარიც კი აღარ შესწევს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ყოფა სამოთხედ არასოდეს იქცევა, რადგან, როგორც წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს, „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“ (1 იო. 5, 19); ამ, ქვეყნად პრობლემები არ დაილევა, რადგან ბოროტება ებრძვის სიკეთეს და ამ ბრძოლის მთავარი ობიექტი არის ადამიანი. დედამიწაზე განსაცდელისა და ტკივილის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია; წარმოუდგენელია პიროვნება, რომელსაც არ მოუწევს დემონებისაგან წაქეზებული ავი და გაბოროტებული ადამიანების თავდასხმებთან შეჭიდება. აი, ამ დროს აუცილებელია, გამოიჩინოთ კეთილგონიერება და მოუხმოთ მოთმინებას, რომ არ მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ. სოლომონ ბრძენიც ასე გვარიგებს: „დამთმენი კაცი გონიერია, ის კი, ვინც ადვილად ღიზიანდება, სიბრიყვეს ავლენს“ (იგავნი 14, 29). მოთმინებასთან ერთად აუცილებელია, რომ ავისმოსურნე ან თქვენზე ავისმთქმელი ადამიანი კი არ გძულდეთ, არამედ გებრალებოდეთ, როგორც ეშმაკის ცდუნების მსხვერპლი და ილოცოთ მისთვის.

თუ გსურთ, გაიმარჯვოთ, — მოითმინეთ, რადგან ვინც დაითმენს, ნამდვილად დიდ წარმატებას ის მიაღწევს ბოლოს.

მოციქულ პავლესთან სრულყოფილების კიბის მეხუთე საფეხურზე სიკეთე დგას. სიკეთე სულიერი სიმდიდრის სათავიდან მომდინარეობს და კრძალულებით არის შემკული.

კეთილი ადამიანი მოწყალეა სხვათა მიმართ. იმერეთის ეპისკოპოსი წმიდა გაბრიელი (ქიქოძე) მთელი წლის განმავლობაში ყველას ასე ესალმებოდა: „ქრისტე აღსდგა“, რადგან ყოველი შეხვედრა პასექის სიხარულს ანიჭებდა. ასეთი განწყობა არ მოდის გონებიდან. იგი გულის თვისებაა.

**მოწყალება** არის სულიერი კიბის შემდგომი საფეხური. გულმოწყალება ცხონებისაკენ მიმავალი ყველაზე სწორი და უმოკლესი გზაა. იგი გულისხმობს თანალმობას, თანადგომას, სხვის დასახმარებლად საკუთარი თავის დაუზოგაობას, და საერთოდ, ცხოვრებას მოყვასისათვის. ამიტომაც ბრძანებს უფალი, რომ საშინელი სამსჯავროს დროს მოწყალენი იქნებიან შეწყალებულნი და დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს.

მოწყალების შემდეგ მოციქული პავლე საუბრობს რწმენაზე. რწმენა ღვთის არსებობის დაჯერებას კი არ ნიშნავს მხოლოდ, იგი უპირველესად გულისხმობს ცხოვრებას ღმერთში, სასოებას, იმედს მისი წყალობისას. „რწმენა, — წერს წმიდა იოანე ოქროპირი, — დედაა ყოველთა სიკეთეთა, იგია წამალი გადარჩენისა“. გადარჩენა და ცხონება ჭეშმარიტი სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია, რადგან ჭეშმარიტი სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია სულიწმიდის ნიჭთა მოხვეჭა.

**რწმენას** მოსდევს სიმშვიდე, თვინიერება. მშვიდთა შესახებ ამბობს მაცხოვარი: „მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. სიმშვიდე გულისხმობს თავმდაბლობას, რადგან სწორედ თავმდაბლობა გამორიცხავს ყოველგვარ გაღიზიანებას და მრისხანებას, ანუ მიზეზს შფოთისას. მოსე წინასწარმეტყველმა ღვთის უდიდესი მადლი იმიტომ მოიპოვა, რომ იგი იყო ყველაზე მშვიდი და თავმდაბალი დედამიწაზე მაშინ მცხოვრებ ადამიანთა შორის.

მეცხრე სათნოება არის **თავშეკავება**.

თავშეკავებულობა ახასიათებდა ყველა დიდ და ბრძენ ადამიანს. თავშეკავება — გონიერებაა, იგი გემოთმოყვარებაზე, ვნებებსა და სხვა ცოდვით მიდრეკილებებზე უარის თქმაა. იგია ბრძოლა საკუთარ თავთან.

დღეს ჩვენ განსაკუთრებით გვმართებს ამ უნარის გამომუშავებაზე ზრუნვა, რადგან მთელი მსოფლიო მოიცვა ზნეობრივმა დაცემამ და იგი, როგორც ჭაობი, ყველას თავის გახრწნილ წიაღში ითრევს.

XX საუკუნემ თავისი მატერიალურ-ტექნიკური მიღწევებით, მსოფლიო ომებით, ლოკალური კონფლიქტებით, ახალი გადანაწილების სურვილითა და სხვა პრობლემებით ადამიანებში პესიმიზმი და ხვალინდელი დღისადმი შიში დანერგა.

დრო იცვლება და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად, ამიტომ ეკლესიამ უნდა გაითვალისწინოს ის სულიერი და მატერიალური პრობლემები, რომელსაც ახალი ცხოვრება გვთავაზობს.

ტოტალიტარულ რეჟიმს შეჩვეული ხალხი, სამწუხაროდ, ადვილად ვერ უღებს ალღოს დროის მოთხოვნილებებს და დაბნეული სასოწარკვეთილებაში ვარდება.

აუცილებელია ანალიტიკური აზროვნება, ახალი იდეები, გონიერი, შორსმჭვრეტელი ადამიანები. სახელმწიფომ ნელ-ნელა უნდა დაიწყოს სახელმწიფო აპარატის როლისა და გავლენის შემცირება. ეკონომიკის 50% მაინც (განსაკუთრებით სტრატეგიულ ობიექტებს) სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს, ნახევარს კი საბაზრო ურთიერთობები. ამასთან, ყოვლადაუცილებელია წვრილი და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობა. ჩვენთან ბევრი რამ არასწორად კეთდება. დაჩქარებული ტემპები სერიოზული შეცდომების მიზეზი ხდება, რაც ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი საზოგადოების ყოფას კიდევ უფრო ამძიმებს.

იმის საშიშროებაც აშკარაა, რომ მთავარი ყურადღება მიპყრობილია ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური ეფექტების მიღწევაზე, ურთიერთობის ზნეობრივი მხარე კი სრულიად დავიწყებულა. უფრო მეტიც, ლამის იძულებით ხდება ზნეობრიობის გადაგვარება, ეს კი სულიერი და ფიზიკური განადგურების რეალურ საფრთხეს ქმნის. ღმერთი ნამდვილად არ გვაპატიებს თავაშვებული ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ეს ყველამ უნდა გაითავისოს.



სამწუხაროა, რომ ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანიც, ყოველგვარი მორიდების გარეშე აჩვევენ საზოგადოებას სულიერი დაცემის გამაოგნებელ სცენებს, ძალადობასა და ათასგვარ მკვლელობებს და ამით ანგრევენ ჩვენში ღვთის მიერ დადგენილ ზღუდეებს.

ზოგიერთები ამას უკომპლექსობის დამკვიდრებას უწოდებენ, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, უგუნურებაა. ასეთი სახით შემოთავაზებული ჭუჭყი ქვეცნობიერად ილექება ადამიანის, განსაკუთრებით მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქიკაში და შემდეგ თავის ცხოვრებაში, ვითარების შესაბამისად თავადაც იმეორებენ იმასვე. ჩვენ თვალწინ, ჩვენს მიერ ყალიბდება სულიერად დამახინჯებული ცხოვრებისა და აზროვნების წესი. პასუხისმგებლობას კი არავინა გრძნობს.

და თუ მაინც მხოლოდ ასეთი პროდუქციის მოხმარება გვსურს, იგი ხალხს ქრისტიანული ზნეობიდან გამომდინარე სულ სხვა კომენტარებითა და სხვა ფსიქოლოგიური კუთხით მაინც უნდა მივაწოდოთ. ამის გაკეთება კი ნამდვილად არ არის ძნელი.

ფაქტი ერთია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა „თავისუფლებას“, იმ აღვირახსნილი და მოურიდებელი ცხოვრების წესს, რომლის წინაშეც იგი ასე მოულოდნელად აღმოჩნდა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ბევრმა ვერ გაუძლოს ცდუნებას, დაემონოს ავხორც ვნებებს და ცხოველურ ინსტინქტებს.

ასეთნი შიშის, ჰალუცინაციების, სრული სულიერი გამოფიტვისა და მსხვრევისათვის არიან განწირულნი.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი, უპირველეს ყოვლისა, თავად ახალგაზრდებმა უნდა მოძებნონ და თვითონ უნდა მოინდომონ ჭეშმარიტების გზით სვლა.

დიდი სულიერი ბრძოლა აქვთ გადასატანი. ჩვენ დიდგორის ველი გველის. თითოეულმა ჩვენგანმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობამ, უნდა შეძლოს დავითობა. ოღონდ მათ თავდაპირველად უნდა სძლიონ ცოდვათა შორის უპირველესს, — ამპარტავნებას.

მართალია, თაობათა შორის წინააღმდეგობა ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება, მაგრამ იგი არ უნდა გადაიზარდოს უგულებელყოფასა და გაუცხოებაში. ახალგაზრდებს მეტი დაფიქრება და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მართებთ;

დიდი ჩინელი ფილოსოფოსის, კონფუცის მიერ შემოთავაზებული მაგალითი მინდა შეგახსენოთ: ერთხელ იგი თავის მოწაფეებთან ერთად სეირნობდა. მან შეამჩნია კაცი, რომელიც ჩიტებს იჭერდა; მიუახლოვდა მას და ჩიტებით სავსე მისი გალია დაათვალიერა. აღმოჩნდა, რომ იქ მხოლოდ პატარა ჩიტები იყვნენ. — დიდები სადღა არიან? — იკითხა კონფუციმ. კაცმა უპასუხა: „დიდები გონიერნი არიან და ფრთხილნი. ვიდრე დაგებულ მახეს მიუახლოვდებიან, გულდასმით შეისწავლიან გარშემო ყველაფერს და თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევენ, მაშინვე მიფრინავენ და ახალგაზრდა ჩიტებიც თან მიჰყავთ; კაკანათში მხოლოდ უფროსთაგან განცალკევებული პატარები ებმებიან.

გესმით, — უთხრა ფილოსოფოსმა მოწაფეებს, — ჩიტების დამჭერმა რა სიბრძნე გვითხრა!

ესაა ჭეშმარიტება, რომელიც ყველგან, ყოველთვის და ყველასათვის გასათვალისწინებელია. უფლის მეხუთე მცნებაც გვაფრთხილებს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“, რაც გულისხმობს არა მარტო მშობლების, არამედ — საერთოდ უფროსი თაობის პატივისცემას. ამ ტრადიციას ჩვენი ხალხი ყოველთვის იცავდა და იგი მომავალმა თაობამაც უნდა გააგრძელოს.

თავის მხრივ, მამებმაც მეტი ლმობიერება უნდა გამოიჩინონ შვილებისადმი, რადგან მათ ჩვენთან შედარებით კიდევ უფრო რთულ დროს მოუწიათ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა და გაცილებით მეტი პრობლემები და სიძნელეები აქვთ დასაძლევი.

თაობათა ერთობა და ერთსულოვნება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ჰყოფს და აპირისპირებს, ღმერთი კი აერთიანებს და არიგებს.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით კვლავ არ შევეხო ნარკომანიის პრობლემასაც. ისინი, რომლებიც ამ საწამლავს მიეჩვივნენ, ჩვენი ავადმყოფი შვილები არიან, რომელთაც უნდა დავეხმაროთ, რომ როგორმე თავი დააღწიონ ამ საშინელ სენს. ერთხელ კიდევ მივმართავ მათ მამა-შვილური სიყვარულით: პირველ რიგში თქვენ თვითონ უნდა გაგიჩნდეთ სურვილი გადარჩენისა. ამის გარეშე სხვათაგან რაიმე მცდელობას აზრი არა აქვს. იმისათვის კი, რომ ეს სურვილი იყოს მყარი და გაუძლოს ბოროტის მხრიდან მრავალ შემოტევას, ღვთის შეწეობა აუცილებელია, რაც მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით მიიღწევა. ლოცვის, აღსარებისა და წმიდა ზიარების გარეშე ზეაღმყვანებელ სულიერ კიბეზე სვლა შეუძლებელია.

ღმერთი იყოს შემწე და აღმადგინებელი ყოველი დაცემულისა.

და ბოლოს, თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ეკოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც. მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რამდენად მძიმეა ამ მხრივ შექმნილი სიტუაცია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ უკანასკნელი 70-80 წლის მანძილზე ჰაერის დაბინძურება 100000-ჯერ გაიზარდა, განადგურდა და კვლავაც ნადგურდება ათასობით ჰექტარი ტყის საფარი, იწამლება წყალი, გაუდაბურდა უზარმაზარი მიწის ფართობები. რამდენად შემაშფოთებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ დედამიწაზე უკვე ყოველ საათში ისპობა ცოცხალ არსებათა ორი სახეობა.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ არა გვაქვს უფლება პესიმისტური დასკვნები გამოვიტანოთ, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ხვალინდელ დღეზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი, რომელსაც შესწევს უნარი დააღწიოს თავი სიბნელის წყვდიადს და აღადგინოს განწყვეტილი კავშირი ღმერთთან. ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს არჩევანსა და სურვილზეა დამოკიდებული. რწმენა, გონიერება, სიყვარული და ნებისყოფა იყო და არის ადამიანის ერთადერთი მკურნალი და დამცველი.

„იყავით ბრძენნი, რომ იყოთ ღმერთთან და პასექის ზეიმის სიხარული არასოდეს დაგტოვებთ თქვენ“ — ბრძანებს თეოფანე დაყუდებული.

დღეს მსოფლიო არამიწიერ, უჩვეულო სიხარულს მოუცავს. იგი არ ექვემდებარება არც ანალიზს, არც რაიმე განსაზღვრებას. იგია მადლი, რომელიც უხვად იღვრება უფლის კალთიდან და აღავსებს ყოველი მართლმორწმუნის სულს. ამ სიხარულის გარეშე არ არსებობს ქრისტიანობა. იგი ეფინება ეკლესიის სრულ სისავსეს და მშვიდობითა და სიყვარულით აერთიანებს ყველას.

ისინი კი, ვინც ეკლესიის წიაღში არ იმყოფებიან, შორს არიან ჭეშმარიტი მშვიდობისა და სიყვარულის, უფლის მადლისა და სიხარულისაგან. მათთვის ჯოჯოხეთი უკვე ამ ქვეყნიდანვე იწყება. ამქვეყნიდანვე იწყება ღვთისსათნო ადამიანთა ზესვლა ცისკენ და ეს პროცესი მსგავსია ებრაელთა მოგზაურობისა ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ.

დედამიწა ცხოვრების აბობოქრებული ოკეანეა, ეკლესია — ნოეს კიდობანი. მის გარეშე გადარჩენა შეუძლებელია.

წმიდა ირინეოს ლიონელი წერს: ეკლესია ამქვეყნიური სამოთხეა. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები კი ამ სამოთხეში გაშენებული სხვადასხვა ხეხილი და ნერგი. მაშ, ვიხმიოთ ნაყოფი საუფლო ბაღისა.

ჩვენო საყვარელნო სულიერო შვილნო, თუ ხართ ღმერთთან, იქნებით ეკლესიაში, თუ ნამდვილად ხართ ეკლესიის წევრნი, იქნებით აღვსილნი რწმენით, სიყვარულით და იმედით და მწუხარება თქვენი, განსაცდელი და ტკივილი სიხარულით შეიცვლება. გაიხსენეთ მაცხოვრის სიტყვები: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელი“ (იო. 16, 33).

ქრისტეს აღდგომის მადლით, სიხარულითა და სიყვარულით შეერთდა დღეს ცა და დედამიწა და ჩვენც ანგელოზთა თანა ვუგალობთ უფალს: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა. ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა შინა!“.

ყველას გილოცავთ სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დიად ზეიმს და გახარებთ მარადიული სიხარულის მომანიჭებელ სიტყვებს:

**ქრისტე აღსდგა!**

უფალმა დალოცოს თითოეული თქვენგანი, დალოცოს ჩვენი ქვეყანა და ხალხი, ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. მოგვმადლოს ერთსულოვნება, მშვიდობა, სიბრძნე და კეთილდღეობა, მოგვანიჭოს ნიჭი სულისა წმიდისა, რათა ჩვენზეც აღსრულდეს წმიდა წერილის ეს სიტყვები: „ნეტარია და წმიდა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილს არა აქვს ხელმწიფება მათზე“ (გამოცხ. 20, 6). ამინ!

*თქვენთვის მლოცველი*
*ილია II*
*სრულიად საქართველოს*
*კათოლიკოს-პატრიარქი*
*აღდგომა ქრისტესი*
*თბილისი, 2002 წ.*


სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

ქრისტე აღსდგა!
ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

# მკითხველს აინტერესებს

**— რადგან აღდგომის მეორე დღე, 6 მაისი დაემთხვა გიორგობის დღესასწაულს, შეიძლება თუ არა საფლავზე გასვლა?**

— საეკლესიო კალენდარი ითვალისწინებს ხალხში მყარად გამჯდარ ტრადიციას და აღდგომის მეორე დღეს მიუთითებს საფლავების კურთხევას.

ამჯერად, რადგან ეს დღე დაემთხვა წმ. გიორგის ხსენების დღეს, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი გირჩევთ დაესწროთ სადღესასწაულო წირვას და შემდეგ სურვილისამებრ მიაშუროთ სასაფლაოს.

მიცვალებულთა მოხსენიების დღე კი აღინიშნება ბრწყინვალე შვიდეულის შემდგომი კვირის სამშაბათს.

**ივერიის ღვთისმშობლის ხატის ათონის მთასთან გამობრძანება**



**— რას უკავშირდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული?**

— ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული უკავშირდება წმინდა ხატის ათონის მთასთან გამობრძანებას. ეს, სწორედ აღდგომის მესამე დღეს აღსრულდა. ამდენად, ეს დღეც აღდგომასავით მოძრავია და აღინიშნება ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. წელს ეს დღე 7 მაისს დაემთხვა. სწორედ ამ დედახატის ასლის მფლობელი გახდით დღეს თქვენ.

**„... ალექსანდრე ბასილაია ესაა სახელი, რომელიც უფრო მეტი ღირს, ვიდრე ნებისმიერი წოდება... იგი იშვიათი ტალანტის მუსიკოსი, მელოდისტი და კეთილი ფილოსოფოსია, რაც, მიუხედავად მისი მამაკაცური სიტყვაძვირობისა, უდავოა! ყველას, ვინც მას იცნობს, გაუმართლა. გაუმართლა მუსიკას, გაუმართლა მის სამშობლოს — საქართველოს...“**

**მიხეილ ტანიჩი, პოეტი**

ალექსანდრე ბასილაია მართლაც უყვარს თბილისს, საქართველოს... გადაჭედილ დარბაზში ჩატარდა მისი საიუბილეო საღამო მოსკოვშიც. ეს ქართული კულტურის ჭეშმარიტი ზეიმი გახლდათ. რუსი კოლეგები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ, სიტყვებს ვერ პოულობდნენ მისალოცად. კონცერტს ესწრებოდნენ ნანი, ბუბა და რუსეთში მცხოვრები არაერთი ჩვენი თანამემამულე.



1, 2 და 3 მაისს კი ფილარმონიაში შეკრებილმა ქართულმა აუდიტორიამ მიაგო პატივი საყვარელ კომპოზიტორსა და მომღერალს, პიანისტსა და უბრალოდ, ერთ თბილისელ, ნათელ კაცს.

**ალექსანდრე ბასილაია:** — 11 მარტს 60 წლის გავხდი და იუბილეს იდეაც მაშინ დაიბადა. ასეთი რამეები არ მიყვარს, მაგრამ... დღევანდელ თაობას არ ახსოვს ჩვენი ძველი წარმატებები. ამათაც ხომ უნდა იცოდნენ, რა არის ჭეშმარიტად ფასეული, როგორი გემოვნება ჰქონდათ წინა საუკუნის 60-80-იან წლებში ადამიანებს. რატომ დადიოდა ჩვენს კონცერტებზე ამდენი ხალხი... ჩვენს რეკორდებს არ ვიცი, ვინ მოხსნის... სიმღერა, რომელიც დროს უძლებს, თავისთავად ფასეულია!..

საქართველოს სახალხო არტისტის ალექსანდრე ბასილაიას პოპულარობა განპირობებულია მისი შემოქმედების მრავალპლანიანობით: ესტრადა, ჯაზი, ფოლკლორი, რასაც ჰარმონიულად ერწყმის თვითგამოხატული ლირიზმი, არაჩვეულებრივი მელოდიურობა. 60 წლის ალექსანდრე ბასილაია უკვე 40 წელია სცენაზე დგას. ამ ხნის მანძილზე დაიწერა ხუთი ბრწყინვალე მიუზიკლი: „ჩხიკვთა ქორწილი“ (1980), „არგონავტები“ (1982), „თოვლის ბებოს ზღაპარი“ (1987), „შლაგერი, შლაგერი“ (1987, ობრაზცოვის სახელობის თოჯინების ცენტრალური თეატრისათვის), „ფიროსმანი“ (1996), ამასთანავე, მუსიკა 3 მხატვრული და 13 მულტიპლიკაციური ფილმისთვის, უამრავი ლირიკული სიმღერა, რომელთა გარეშე ქართული ესტრადა უბრალოდ წარმოუდგენელია. ეს სიმღერები აჟღერდა საიუბილეო კონცერტებზე პოპურის სახით ბესიკ კალანდაძის, მერაბ სეფაშვილის, თემურ წიკლაურის, მანანა თოდაძის, ნუგზარ კვაშალის, ანრი ბასილაიას, ქეთი წიკლაურის, ვახტანგ ტატიშვილისა და სხვათა შესრულებით. აღფრთოვანებული აპლოდისმენტები ხვდათ წილად ლელა წურწუმიასა და ზურა დოიჯაშვილის, დათო ხუჯაძისა და თიკა ჯამბურიას, ნატო მეტონიძისა და დათო გომართელის დუეტებს. რაღა თქმა უნდა, კვლავ განაცვიფრა დარბაზი ჯემალ და გია ბაღაშვილების ორი გიტარის არაჩვეულებრივმა დუეტმა და ვირტუოზმა გიტარისტმა თემურ ყვითელაშვილმა. უნიჭიერესმა ანსამბლმა „მხოლოდ შენ ერთს“ და მაინც...

კონცერტის კულმინაციად უნდა ჩაითვალოს ალექსანდრე ბასილაიას და სიმფონიური ორკესტრის მიერ აჟღერებული მელოდიები. საიუბილეო საღამოს განსაკუთრებული ხიბლი შემატა ბასილაია-კობალაძის უბერებელმა სცენურმა და ოჯახურმა დუეტმა.

**ალექსანდრე ბასილაია:** — მადლობელი ვარ ჩემი „ივერიელი“ მეგობრების, რომელთა გარეშე ალბათ არ გამომივიდოდა ის, რაც გავაკეთე მუსიკაში, და რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ ჩემი მსმენელის, რომლის უსაზღვრო სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობ და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ბედნიერება მომაკლდეს.

იუბილარები ხშირად ინტერვიუს მიცემას უარობენ, მაგრამ ალექსანდრე ბასილაიამ „კვირის პალიტრას“ სიამოვნებით მიანიჭა ექსკლუზივის უფლება:

**— ბუთხუზს რატომ გეძახიან?**

— რა ვიცი, აბა?! პუტკუნა და ბუთხუზა არასოდეს ვყოფილვარ. „ბუთხუზი“ ბავშვობაში შემარქვა ბებიამ და ... შემრჩა და შემრჩა...

**— ცოტა რამ თქვენ შესახებ.**

— მამაჩემი ფოთიდან იყო, ცოტ-ცოტას მღეროდა. სხვა მუსიკალური ტრადიცია არ გვქონია. თბილისში დავიბადე. დავამთავრე კონსერვატორია კონტრაბასის სპეციალობით. პიანისტობა თვითონ დავიწყე. სცენაზე 1962 წლიდან ვდგავარ. ამით ვარჩენდი ოჯახს. ვმუშაობდი არანჟირებაზეც. პირველი სიმღერა „ზღაპარი სიყვარულისა“ იყო, მას მოჰყვა „ცისარტყელები“, „მერე“, „გემი“, „ციდან“, „შენ დაგბრალდება“, „ვისაც რომ ძმად გავეფიცე“, „ნიღბები“...

ჩემი ვაჟი, ფაქტობრივად, სცენაზეა გაზრდილი. პროფესიით მსახიობი და მხატვარია, მაგრამ კონტრაბასზეც უკრავს (თავად მე, რაც დავამთავრე, ხელი აღარ მიხლია) და დიდი წარმატებითაც. წარმატება ხვდა მის გამოფენებს პარიზში, ბერლინში (ორჯერ).

**— თქვენი სიმღერების რემიქსებზე რა აზრის ხართ?**

— არის კარგი ვარიანტი, არის ძალიან ცუდიც.. დათო ხუჯაძეს და თიკა ჯამბურიას გაუმართლათ და ეს ჰიტი პოპულარული გახდა.

**— დიდი აურზაური მოჰყვა ე.წ. „ცოცხალი შესრულების“ პრობლემას... თქვენ რას იტყოდით ამის თაობაზე?**

— პლუსობანას თამაში და „თამაში“ საერთოდ უზნეობაა. ჯერ ერთი, მომღერალს „ფორმა“ ეკარგება, მეორეც — რისი მომღერალი ხარ, თუ არ ან ვერ მღერი! და კიდევ... თუ შესრულების მომენტს არ განიცდი, რა გინდა, საერთოდ სცენაზე?!

**— უცხოეთშიც არანაკლებ პოპულარულია „ივერია“. ენის ბარიერი არ გქონდათ?**

— ყველა ქვეყანაში თითო სიმღერას მათ ენაზე ვასრულებდით და ეს ურთიერთობის ბარიერს ხსნიდა.

**— მომავლისთვის რას გვეტყვით?**

— გაისად „ივერიის“ იუბილე გვექნება. გრძელდება მუსიკალურ პროექტთა ძიება როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში. მაქვს საკმაოდ საინტერესო შეკვეთებიც.

**— წარმატებას გისურვებთ, მაესტრო!**

— გმადლობთ.

***მანანა ბეგიაშვილი***



**თამუნა შალვაშვილი** 18 წლის არის. როცა ის უკრავს, ხალხი ტირის. როცა გელაპარაკება, ერთ წუთში გადატრიალებული სამყარო ერთ წუთშივე ლაგდება, რადგან თამუნას თვალები, რომლებიც დიდი ხანია ვერაფერს ხედავენ, არ ვიცი როგორ — სამყაროს მშვიდს ხდიან. მოვა დრო და მასზე მსოფლიო ილაპარაკებს.

* * *

— მე არ ვარ ისეთი, რომ ვიფიქრო რაღაც ცუდი მოხდა და ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. ყოველთვის ვფიქრობ, რომ რაც მოხდა, ყველაფერი გამოსწორდება, ამიტომ მხიარული ვარ. შეიძლება ცუდ ხასიათზეც ვიყო, მაგრამ ვერავინ შემამჩნევს, თუნდაც იმიტომ, რომ გვერდით მყოფ ადამიანებს ვუფრთხილდები. რა საჭიროა სხვებმა იცოდნენ მე რომ ვდარდობ? სხვათა შორის, დიდი სიხარულის გამოხატვაც არ შემიძლია. ამას საგანგებოდ კი არ ვაკეთებ, ასეთად ვარ დაბადებული...

**— თამუნა, სად მიაგენი იმ ხმოვანებას, რომლითაც ხალხი გააოგნე?**

— დედა ამბობს, რომ როცა ლაპარაკი არ ვიცოდი. მაშინაც ვმღეროდი... მერე დაკვრაც ვისწავლე... სულ ეს იყო. მიყვარს მუსიკა და ვუკრავ. ერთადერთი, რაც სხვანაირად მოხდა, ის იყო რომ მუსიკალური სკოლის 7 კლასი 4 წელიწადში დავამთავრე, მერე მე-3 მუსიკალურ სასწავლებელში გადავედი...

**— ვინ გატარებს?**

— დედა. ნოტებსაც დედა მიკითხავს. მერე ვმეცადინეობ.

**— დიდხანს?**

— დღეში 4-5 საათს.

**— ეს ბევრი არ არის?**

— არა. ნამდვილი პიანისტი 10-12 საათს მეცადინეობს, ზოგჯერ 22 საათსაც. მე სულ არ ვმეცადინეობ ბევრს. ხანდახან ისეც ვუკრავ. შეიძლება ცუდ ხასიათზე ვიყო, ან შეიძლება მიხაროდეს და დავუკრა... მაინც ისე გამოდის, რომ მთელი დღე ან ვუკრავ, ან ვმღერი, ან ვისმენ. მუსიკად აღვიქვამ ყველაფერს. შეიძლება სიტყვით რაღაც ვერ ვთქვა, მაგრამ როცა ვუკრავ, ყველაფერს ვამბობ.

**— სცენის გეშინია?**

— ბავშვობიდან სულ სცენაზე ვარ, მაგრამ გასვლის წინ მაინც მეშინია, ხელები მიკანკალებს და მიცივდება. კი არავინ შემჭამს, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს — ვაი, რომ შემეშალოს?!

**— სცენაზე ვის გაჰყავხარ?**

— ხან მასწავლებლებს, ხან მეგობრებს. არასოდეს არ ვარ მარტო.

**— არც სევდის დროს? ეს ხომ შენს ასაკში ყველას აქვს?**

— შეიძლება მეც მაქვს, მაგრამ იმდენად ვარ სხვა რამეზე გადართული, არ მცალია სევდისათვის.

**— არც შენი მეგობრების სევდისათვის?**

— მაგისთვის ვიცლი. რაღაცას როდესაც მიყვებიან, თან ვმეცადინეობ და თან ვუსმენ. სულ ვეუბნები ხოლმე, ილაპარაკეთ, მოგისმენთ-მეთქი. ისინი მელაპარაკებიან, მე თან ვუკრავ და თან ვუსმენ... ხანდახან ერთი-ორი წუთით ვჩერდები, რაღაცას შევეკითხები და ვაგრძელებ...

**— ერთხელაც არ მოგწყენია მუსიკა?**

— მე უღალატო ვარ. თუ ვინმე, ან რამე შევიყვარე, სულ მეყვარება და არ მომწყინდება.

**— შენზე ამბობენ, მსოფლიოს დაიპყრობსო, მოგწონს ეს პერსპექტივა?**

— აბა რა! ბავშვობაში ხომ ვუყურებდი ტელევიზორს — ვოცნებობდი პარიზზე. მოხდა ისე, პიანისტი გავხდი და ორჯერ დავუკარი პარიზში კონცერტებზე. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ძალიან მინდოდა დაბადების დღე იქ გადამეხადა. როცა ფული მექნება, ასეც მოვიქცევი.

**— იმ დაბადების დღისთვის ტანსაცმელს ვინ შეგირჩევს?**

— თვითონ. საერთოდაც თავად ვარჩევ ყველაფერს, დედას დავყვები. თუ სხვა ყიდულობს რაიმეს, ძალიან ხშირად ვიწუნებ, შეიძლება მივაგდო და არასოდეს ჩავიცვა. ხან უხერხულად ვგრძნობ თავს, ხან ფერი არ მომწონს... ძალიან მიყვარს შარვლები და პარფიუმერია. საფრანგეთში კარგი სუნამოები ვიყიდე...

**— ფერების ასეთი მძაფრი შეგრძნება გაქვს?**

— მაქვს. მეოთხე კლასამდე ვხედავდი... მერე და მერე კი ჩემს ტყუპისცალ ძმას დავყავდი სკოლაში.

**— ტყუპისცალი გყავს? წარმომიდგენია როგორ გეყვარება.**

— ძალიან მიყვარს, მაგრამ სულ ვერ ვარჩევ მეორე ძმისაგან. მხოლოდ ბავშვობაში, ის რომ ავად გახდებოდა, მეორე ან მესამე დღეს, მეც ავად ვხდებოდი.

**— ბევრი მეგობარი გყავს?**

— ძალიან, მაგრამ მგონი ჩვენ ცოტა გიჟები ვართ, ლექსებს ვკითხულობთ გაუჩერებლად. ჩვენს ასაკში ალბათ ამას აღარავინ აკეთებს.

**— ადამიანის გამოცნობა შეგიძლია?**

— როგორც კი დამელაპარაკება, მაშინვე ვხვდები, ვინ ვინ არის. ვინმე რომ არ მომეწონება, დროს ვუცდი, სულ ვფიქრობ, დრო რომ გავა, ეგებ გამოიცვალოს, იქნებ სხვანაირად დავინახო-მეთქი.

**— ბოლო დროს სად მიგიწვიეს?**

— გერმანიაში, მაგრამ მგონი ვერ წავალ...

**— რატომ, არ გაფინანსებენ? ნუ გეშინია, მოვა დრო და შენი სპონსორობით ავტორიტეტს აიმაღლებენ...**

— არ მეშინია. სამი წელიწადი პრეზიდენტის სტიპენდია მქონდა. თანაც, როგორც ყველას, მამიკო მაფინანსებს...

*მფარველი ანგელოზი იმასთან არის, ვინც მას ეძახის. თამუნას ნაცვლად ეს ანგელოზი ხედავს სამყაროს. იქ მათ გარდა ვერავინ მოხვდება, ვერც მე... ამიტომ, მის განსაკუთრებულობას ბევრ შტრიხს დავაკლებ. ვეცდები ეს დანაკლისი მისი პედაგოგის შეფასებით შევავსო.*

**ლალი ბურჯანაძე:** ვინც იცის, როგორ უნდა შეისწავლო მუსიკა, მიხვდება, თუ რატომ არის თამუნა განსაკუთრებული... მუსიკაში უთვალავი ნიუანსი უნდა დააფიქსირო. თამუნა ამას გონებით აკეთებს. ნოტებს დედა უკითხავს, თამუნა ტაქტობრივად სწავლობს — ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა ხელით. მერე ორივე ხელი ერთად მუშაობს. ეს ზეპირად ხდება — გონება იმახსოვრებს... ნამდვილი მუშაობა მერე იწყება: კეთდება ნაწარმოების შინაარსი, იხვეწება ყოველნაირი ნიუანსი, ბგერა, პედალი, ერთად მუშაობს ხელ-ფეხი. იმის შესწავლას, რასაც ჩვეულებრივ ერთი წელიწადი სჭირდება, ორ კვირაში აკეთებს...

როგორც წესი, წინასწარ არასოდეს ვასმენინებ ნაწარმოების ჩანაწერს. ამიტომ, მისი ხელწერა, მხოლოდ მისეულია, არც ერთი პიანისტისას არ ჰგავს. მას უფაქიზესი ბგერა და ინტუიცია აქვს და ყველაფერთან ერთად ბუნებამ გასაოცარი წკრიალა ხმით დაასაჩუქრა...

**მინაწერი:** შალვაშვილების ოჯახი თამუნას პარიზის გასტროლების დაფინანსებისა და დახმარებისათვის მოკრძალებულ მადლობას უხდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს. მე-3 სამუსიკო სასწავლებლის დირექტორს გურამ ბზვანელს, თამაზ გაიაშვილს, მერაბ ადეიშვილს და ავთო ჯორბენაძეს.

***ეთერ ერაძე***



იერუსალიმის პატრიარქი ირინეოს I სანთლების კურთხევის დროს

# ტრადიციად ქცეული სააღდგომო საჩუქარი

## იერუსალიმიდან — თბილისამდე

ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ყოველდღიურ პრობლემებზე გადაგებული ადამიანები მთავარს ვივიწყებთ — გრძნობას, რომელიც პირველ რიგში საკუთარი თავის რწმენას ნიშნავს. ასე ხდება ერთხელ, ორჯერ... შემდეგ კი ყველაფერი ჩვეულებაში გადადის და ვეღარც მის საჭიროებას ვხვდებით. ასე, თანდათან ვშორდებით უფალს — აქედან გამომდინარე საკუთარი თავის რწმენას და თავისუფლებას. იყო თავისუფალი — ნიშნავს იდგე უფლად, პატრონად საკუთარი თავისა, ანუ უფალს შენში გრძნობდე. მაგრამ ყველაზე რთული საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობაა, რადგან მას ვერსად დაემალები. ამიტომაც ყველაზე იოლი მის გარეშე ცხოვრება გახლავთ — ნებისმიერი ცოდვის ჭაობში ჩაეფლობი, რადგან შენი უპირველესი მსაჯული — საკუთარი თავი და მასში გამთლიანებული უფალი აღარსად იქნება. ღმერთს იმდენად უყვარდა საკუთარი ქმნილება, რომ რწმენის გარეშე დარჩენილი ადამიანები წარღვნისა და მოშთობისთვის ვეღარ გაიმეტა. თავად უჩვენა მაგალითი ამქვეყნიური ცხოვრებისა. ადამიანებს ადამიანად მოევლინა — ისეთად, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ. ვერ დაინახეს. ჯვარს აცვეს, როგორც ავაზაკი... მაგრამ სიკეთის მარცვალმა მაინც იხარა. გავიდა დრო და ადამიანებმა საკუთარ თავში გამეფებულ ამპარტავნებას სძლიეს, ჭეშმარიტ რწმენას ეზიარნენ და თავისუფალნი გახდნენ. უფლის წამების ადგილი — იერუსალიმი წმინდა ადგილად იქცა. აქ ბერმონაზვნები დასახლდნენ და მონასტრები გააშენეს. „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ გასულ ნომერში იერუსალიმის წმინდა მიწაზე არსებული ქართული მონასტრების შესახებ ვწერდით: „იერუსალიმის წმინდა მიწაზე მონასტრის აშენებას და იქ მოღვაწეობას ოდითგანვე უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თუკი ვინმეს სახელმწიფოებრიობაზე და კულტურაზე ჰქონდა პრეტენზია, აქ უნდა დაემტკიცებინა. ქართველები ამას სულ მცირე, 35 მონასტრით ახერხებდნენ და ტოლს არავის უდებდნენ“. ჩვენის მხრივ, იმას დავუმატებთ, რომ ერთ დროს ცხენზე ამხედრებული, გაშლილი დროშით შესვლის უფლება იერუსალიმში მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ, ხოლო იერუსალიმის პატრიარქი ჯვრის მონასტრის წინამძღვართან შეხვედრისას სკუფიას იხდიდა და თავს უხრიდა პატივისცემისა და მოწიწების ნიშნად. დღეს ქართული მონასტრები იავარქმნილია; საუკუნეების მანძილზე ნაფერები ფრესკები ჩამოხსნილი და გაყიდული; მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთი უმდიდრესი, ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკა სავალალო მდგომარეობაშია. პალესტინის მიწა ომის ქარცეცხლშია გახვეული, ბეთლემის ტაძარი საბრძოლო პოლიგონად ქცეულა... ადამიანები კვლავ ვივიწყებთ უფლის რწმენას და სამყაროს აპოკალიფსის აჩრდილი დასტრიალებს...



სტამბის პერსონალი გაზეთის თითოეულ ნომერში წმინდა სანთელს ალაგებს

ამ მძიმე დროში, საბედნიეროდ, მოვახერხეთ და — იერუსალიმის წმინდა მიწიდან სააღდგომოდ სანთლები კვლავ ჩამოვიტანეთ. იქნებ, ცოტაოდენი სითბო და მადლი ჩამოჰყვეს ჩვენს გულებამდე — მადლი, რომლის დაგროვებაშიც თავის დროზე უდიდესი წვლილი შეიტანეს ზეციურ სამყაროში დამკვიდრებულმა ქართველებმა. ალბათ, გარკვეული სიმბოლიკა იმაშიც ძევს, რომ სანთლები იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა აკურთხა — ადამიანმა, რომელიც ქართული კულტურისა და ისტორიის თაყვანისმცემელია და რომელსაც ამის გამო დიდი წინააღმდეგობები ხვდება (ალბათ, გახსოვთ იერუსალიმის საპატრიარქოს ეზოში ძველი ქართული წარწერის მონგრევის ისტორია, რომელიც სწორედ ჩვენს წასაკიდებლად ყოფილა მოწყობილი). მკითხველისთვის სააღდგომოდ იერუსალიმის წმინდა მიწიდან ჩამოტანილი სანთლების საჩუქრად გადაცემას (უკვე მესამედ) თამამად შეიძლება „კვირის პალიტრის“ ტრადიცია ვუწოდოთ... კარგ ტრადიციას კი, რაც მეტი მიმდევარი გამოუჩნდება უკეთესია, ამიტომ ზოგიერთი გამოცემისგან მიბაძვის მცდელობა ამ შემთხვევაში სასიამოვნოდ აღვიქვით. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თქვენთან მოღწევამდე სანთლებმა რა გზა გამოიარეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლომის წილი ამ საქმეში საქართველოს კონსულს ისრაელში, ბატონ **ლაშა ჟვანიას** მიუძღვის.

**ხაზზეა თელავივი...**

— სანთლები წმინდა გერასიმეს ლავრაში დაამზადეს, სადაც საერთოდ მზადდება წმინდა მიწის სანთლები. ეს ძალიან ცნობილი ლავრაა და საქართველოსთვის ნიშანდობლივი იმითაც არის, რომ მის მახლობლად წმინდა ნინოს მშობლები ეწეოდნენ ბერმონაზვნურ ცხოვრებას. გეოგრაფიულად, იგი ქალაქ რამალადან 40-45 კილომეტრზე, მდინარე იორდანეს ნაპირთან გაშლილ უდაბნოში მდებარეობს და ქალაქ იერიქონზეა მიბჯენილი. როდესაც წმ. იოსებმა უფლის მინიშნებით ცოლშვილი ყრმათა ხოცვას გაარიდა, ეგვიპტისკენ მიმავალმა წმინდა ოჯახმა სწორედ ამ ლავრაში გაათია ღამე...

**— იერიქონი საშიშ ზონას განეკუთვნება...**

— მართალს ბრძანებთ. ეს ქალაქი ყველაზე დიდხანს ჰქონდა ჩაკეტილი ისრაელის ჯარს. მის მიმდებარე ტერიტორიაზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. იერიქონში მიმოსვლა მხოლოდ იანვრის ბოლოდან დაუშვეს.

**— ასეთ ვითარებაში, სატვირთო მანქანით მოძრაობა არ გაგიჭირდათ? ჯარისკაცები ერთი შეხედვით ხომ ვერ მიხვდებოდნენ, ყუთებში რომ სანთლები იდო.**

— როგორ გითხრათ... არ გამიჭირდა. ალბათ იმიტომ, რომ შიშის გრძნობას სურვილი სჭარბობდა — კიდევ ერთხელ მიეღო ქართველობას სააღდგომოდ სანთლები იერუსალიმის წმინდა მიწიდან.

**— ალბათ, ექსცესებს ვერ ასცდებოდით...**

— იმის გამო, რომ წმინდა გერასიმეს მონასტერიც იმ ტერიტორიაზეა მოქცეული, რომელიც ბოლო დრომდე სახიფათო, დაკეტილ ზონად იყო გამოცხადებული, ამის გარკვეული რისკ-ფაქტორი არსებობდა. სავალი გზა ბევრგან ისრაელის არმიას ჰქონდა გადაკეტილი. რამდენიმე საათით დაგვაყოვნეს იმის გამო, რომ სატვირთო მანქანას არაბული ნომრები ჰქონდა და არაბი მართავდა. თუმცა, ჩემი დიპლომატიური იმუნიტეტის წყალობით, ყველგან უხიფათოდ „გამოვძვერით“ — ისრაელში უცხოელ სტუმრებს დიდად აფასებენ...

**— მაგრამ პრობლემები ამით არ დასრულებულა...**

— ადგილის, უფრო სწორად უადგილობის გამო, თვითმფრინავზე შეგვექმნა პრობლემები. მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო, ვინაიდან სანთლებს ხალხით გადაჭედილ თვითმფრინავში საკმაოდ დიდი ადგილი სჭირდებოდა. არადა შემდეგი რეისი თელავივიდან თბილისში მხოლოდ ერთი კვირის შემდგომ თუ განხორციელდებოდა, ამიტომ სათადარიგო მარშრუტსაც კი ვგეგმავდით — სტამბოლის გავლით. დროის გარდა, ეს მარშრუტი უფრო ძვირიც ჯდებოდა, მაგრამ „კვირის პალიტრა“ ამაზეც თანახმა იყო. თუმცა ალბათ უფლის ნებით და „აირზენას“ წარმომადგენელთა დიდი ძალისხმევით, შეიძლება ითქვას, უკანასკნელ წუთებში ეს პრობლემაც გადაიჭრა. იმ რეისით სულ გამზადებული 44-დან 31 ყუთის გამოგზავნა მოვახერხეთ. დანარჩენი კი მომდევნო ერთი კვირის შემდგომ რეისით წამოვა (ეს სანთლები უკვე ჟურნალ „გზის“ მკითხველებს მიუვათ).

**— გამოგზავნამდე სანთლები იერუსალიმის პატრიარქს უკურთხებია...**

— იერუსალიმის მართლმადიდებლური, ბერძნული ეკლესიის მსოფლიო მნიშვნელობა

> ამ მძიმე დროში, საბედნიეროდ, მოვახერხეთ და — იერუსალიმის წმინდა მიწიდან სააღდგომოდ სანთლები კვლავ ჩამოვიტანეთ. იქნებ, ცოტაოდენი სითბო და მადლი ჩამოჰყვეს ჩვენს გულებამდე — მადლი, რომლის დაგროვებაშიც თავის დროზე უდიდესი წვლილი შეიტანეს ზეციურ სამყაროში დამკვიდრებულმა ქართველებმა.

ყველას კარგად მოეხსენება. ირინეოს I ახალ არჩეული პატრიაქია. ჩვენთვის სასიამოვნო ფაქტი უნდა იყოს, რომ ის ძალიან კარგად იცნობს ქართულ კულტურას და კეთილგანწყობილია საქართველოსადმი, ახლო მეგობრობა აქვს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან. როგორც მითხრა, სააღდგომოდ მაცხოვრის საფლავიდან აღმოცენებულ წმინდა ცეცხლს წარმოგზავნის საქართველოში.

იერუსალიმიდან ჩამოტანილ სანთლებს ტრადიციულად, აღდგომას, მაცხოვრის საფლავზე შარშან აღმოცენებული წმინდა ცეცხლით მოვუწვით თავი...

ორიოდე სიტყვა წმინდა ცეცხლის შესახებ:

პირველად ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე მე-4 საუკუნეში შეინიშნა, როდესაც მაცხოვრის ტაძარი დასრულდა. საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში იწყო მირონმა დენა სვეტიცხოვლიდან და მაცხოვრის ჯვარიც მე-4 საუკუნეში იპოვეს — გოლგოთას ძირში, სადაც დღეს აღდგომის ტაძარია აშენებული. ამის შემდეგ ცეცხლი ყოველ აღდგომას, სასწაულებრივად აღმოცენდება ხოლმე მაცხოვრის საფლავიდან, რაც უფლისგან მის კურთხევას ნიშნავს. იერუსალიმში წესი არსებობს: სანამ მართლმადიდებელი პატრიარქი მაცხოვრის საფლავზე ჩამოვა ცეცხლის მისაღებად, ტაძარში შედიან ასირიელი ეპისკოპოსი, შემდეგ კოფტი და სომეხი პატრიარქები. ასირიელი მიდის კოფტთან, ორივე კი სომეხ პატრიარქთან. როდესაც მართლმადიდებელი პატრიარქი წმინდა ცეცხლით შემოდის, სამივე მიეახლება და თაყვანს სცემენ იმის ნიშნად, რომ ცეცხლი მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქისგან შეუძლიათ მიიღონ.

**— ისრაელში ოჯახთან ერთად ცხოვრობთ?**

— მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად. უმცროსი წლინახევრისაა, შუათანა — 6-ის, უფროსი კი — 7-ის.



ლაშა ჟვანია ნაბოლარასთან ერთად

**— დაძაბული სიტუაციის მიუხედავად?**

— აქაურ სიტუაციებს ყველაზე მტკივნეულად პატარა აღიქვამს. პრინციპში, თებერვალთან შედარებით, სიმშვიდეა — მაშინ ყოველდღიურად ტერაქტები ხდებოდა. თვითონ ისრაელის მოსახლეობა მძიმე ვითარებას დიდი პატრიოტიზმით უმკლავდება. მიუხედავად დიდი საშიშროებისა, ქუჩებში ხალხი მაინც ძველებურად მოძრაობს. თუ შემცირდა, უცხოელი ტურისტების ხარჯზე...

**— ქართულ მონასტრებს საბრძოლო მოქმედებები ხომ არ შეხებია?**

— საბედნიეროდ, არა. მაგრამ მაინც მინდა გულისტკივილით აღვნიშნო — ქართველებმა ამ უძვირფასესი მემკვიდრეობის მიმართ თუ უფრო მეტი ინიციატივა არ გამოვიჩინეთ, ყველაფერი უკვალოდ გაქრება. მონასტრული ცხოვრების აღორძინების მცდელობა გასულ წელს საქართველოს საპატრიარქოს ჰქონდა, იერუსალიმში უწმიდესის ლოცვა-კურთხევით ხუთი მონაზონიც ჩამოვიდა. მაგრამ უსახსრობის გამო, უკიდურესი გაჭირვების შემდეგ ერთ წელიწადში იძულებულნი გახდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ.

**— ბატონო ლაშა! მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსათვის და გაწეული დახმარებისათვის. გვინდა ვისურვოთ, უკეთესი დღეები გაგვთენებოდეს ქართველებს საერთოდ და იერუსალიმის წმინდა სანახებშიც...**

***დაჩი გრძელიშვილი***


გამოვიდა და იყიდება წიგნი




რომელიც პასუხს გაგცემთ თქვენთვის საინტერესო 1000 კითხვაზე

# რუსებს კოვზი კოდორულ ნაცარში ჩაუვარდათ



## რეპორტაჟი კოდორის ხეობიდან

ორი დღის წინ კოდორის ხეობაში გახლდით. მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა და გამეგო, რა ხდება ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში. მოსახლეობასთან შეხვედრამ და ხეობის შვეულმფრენითა და ავტომანქანით დათვალიერებამ დამარწმუნა, რომ მძიმედ ვართ დაავადებულნი. ეს სენი გვაიძულებს ჩვენში არსებული პრობლემების მიზეზები მუდმივად საზღვრის გარეთ ვეძიოთ და საკუთარ თვალში დირეგაჩრილნი აშკარა დაბრმავების საფრთხის წინაშე ვდგავართ. დღეს კოდორის ხეობის მთავარი და ერთადერთი დამცველი ძალა მესაზღვრეები და ადგილობრივი მოსახლეობაა. ორივე მათგანი უმძიმეს საყოფაცხოვრებო და ეკონომიკურ პირობებშია. უხეირო გზა, კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება, რომელიც საბჭოთა პერიოდში მაინც ახერხებდა დანიშნულების შესრულებას, დღეს სრულიად გაპარტახებულია, ასაშენებელია მესაზღვრეთა საცხოვრებელი ხის კოტეჯები, მაგრამ უფულობის გამო ყველა პრობლემის მოგვარება ყოვნდება. ისევ საკუთარი ძალებით ცდილობენ აქაურები საქმის კეთებას. „აჟარაში სულ მალე ახალი „ჰარისის“ ტიპის დახურული რადიოსადგურები დამონტაჟდება და ყველა სასაზღვრო საგუშაგოსთან და ცენტრთან დაკავშირებას შევძლებთ. მაგრამ გზა თუ არ გაკეთდა, არაფერი გამოვა. საკენისა და ჭუბერის უღელტეხილზე უნდა გავიდეს გზა, რომელიც ხეობას ცენტრთან ურთიერთობის საშუალებას მისცემს, ეს კი საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებს გააუმჯობესებს და ხალხიც უკან დაბრუნდება, თორემ ცარიელდება აქაურობა. თავის დროზე წესიერი გზა და კვალი რომ ყოფილიყო, 1993 წელს ჭუბერის უღელტეხილზე, იმდენი ხალხი არ ჩაიხოცებოდა“, — წუხან კოდორელები. ისინი იმედით უყურებენ ამერიკის მთავრობის დახმარებით გენწვისში მშენებარე აეროდრომს, გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთადერთ იმედს. ამერიკელებს ახლახან მცირე მოცულობის „ან-28“ ტიპის თვითმფრინავიც შეუძენიათ მესაზღვრეებისათვის საგანგებოდ ამ ხეობაში საფრენად.

კოდორში 200 წლის წინ დასახლებულან სვანები. ესეც ალბათ განგების ნება იყო, თორემ აქამდე ეს სტრატეგიული, საოცარი ჰავითა და ბუნებრივი სიმდიდრით განთქმული რეგიონი უცხოტომელების ხელში იქნებოდა. „კოდორიდან ბზიფის ხეობაში გადადიხართ და უკვე გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში ხართ, 25 კმ გვაშორებს სოხუმს. უძვირფასესი ტყის მასივები, წაბლი და ძელქვა იზიდავს რუსსაც და აფხაზსაც ამ ხეობაში, მაგრამ სანამ ჩვენ აქ ვართ, ფეხს ვერ შემოდგამს კოდორში მტერი, — მაიმედებენ ადგილობრივი მცხოვრებლები და დასძენენ, — მაგრამ ჩვენ რომ გავძლოთ, ხელისუფლებამაც უნდა შეგვიწყოს ხელი — უგზოობა, უექიმობა, უწამლობა გვაწუხებს, სულ მალე ამ ურთულესი მდგომარეობის გამო დემოგრაფიული საკითხი ძალიან მწვავედ დადგება. ასე თუ გაგრძელდა, 10 წელიწადში აქ აღარავინ დარჩება. ახალგაზრდას ცხოვრება ხომ უნდა. არა — პრესა, არა — რადიო. ტელევიზიის პირველი არხიც ახლახან ჩაგვირთეს. სატელიტური ტელეფონით დასარეკად 8 კმ უნდა გაიარო. გაგონილა ასე ცხოვრება?“ — სატკივრის თქმას არ აცლიდნენ კოდორის მცველი კაცი, ქალი თუ ბავშვი ერთმანეთს, ყველა მათგანი მებრძოლია ხეობაში, ამიტომაც საუბარი ერთბაშად რამდენიმე მათგანთან მიწევდა.

**— ამბობენ, ხეობის მკვიდრთ შიშის გრძნობა გაუქრათო.**

— რომ გვეშინოდეს, აქ რა გაგვაჩერებდა! ერთადერთი, რაც გვაშინებს, ქართული საინფორმაციო საშუალებებია. აქაურობაზე ისეთ რამეებს აქვეყნებენ, რაც არ ხდება და მხოლოდ გულს გვიხეთქავს. ესაო, ისაო, ხვალ შეტევა იწყება, შტურმით აიღეს რაღაცო, რომ გაიძახიან, ამან ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა. თითოეული შვეულმფრენის გამოჩენაზე ქალი და ბავშვი დასამალად გარბის. სოხუმისა და გაგრის მოვლენების შემდეგ აღარავისი გვჯერა. ათი წელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაზე მარჩიელობენ, ხან ვინ ჩამოვიდა აქ და ხან ვინ ხელისუფლებიდან. სასეირნოდ ჩამოსულებს ჰგავდნენ. ეგ კი არა, ის ვერ მოუხერხებიათ, რომ სოხუმის ჩაკეტილი გზის სანაცვლოდ, თბილისისკენ გაჭრან გზა. კავკასიონის ქედი გაიხვრიტა, გვირაბი გაკეთდა და რა გახდა აქეთ, ჭუბერზე გზის გაყვანა? გასაგებია, რომ ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული, მაგრამ თუ ამ ხეობის შენარჩუნება და სოხუმის დაბრუნება გვინდა, ამისათვის კიდეც უნდა ვიზრუნოთ, ყველა სტრუქტურისგან ყურადღება გვჭირდება, ცეცხლი რომ ეკიდება საქმეს და მაშინ გამოჩნდებიან ხოლმე ჟურნალისტებიც, ასე არ შეიძლება. თქვენი გაზეთიც ერთი თვის დაგვიანებით შეიძლება მოხვდეს ჩვენთან, ისიც მესაზღვრეების წყალობით. ის ერთი გაზეთი ყველა სოფელს მოივლის ხოლმე. ჩამოდით კოდორში, ეს თქვენი მიწაა. სხვას თუ არაფერს, იმედიან სიტყვას მაინც გვეტყვით, რომ მარტო არა ვართ. სიტუაციის გაუმჯობესება შეიძლება და ამას ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი.

**— უწამლოდ და უექიმოდ ავადმყოფს როგორ შველით, თუ ავადაც აღარ ხდებიან აქაურები?**

— ახლახან, კაცს კუჭი გაუსკდა. ბედად, გაეროსა და სამშვიდობო ძალების ხალხმა ავადმყოფი სასწრაფოდ გადაიყვანეს ზუგდიდში. აქ რომ ვართ და სიცოცხლეს სასწორზე ვდებთ, ექიმი მაინც არ უნდა გვყავდეს? ეგ კი არა და, ძალიან მორწმუნე ხალხი ცხოვრობს ხეობაში. ეკლესიები გვაქვს, მაგრამ მღვდელი არა გვყავს. ჯორბენაძემ, ჯანდაცვის მინისტრობის დროს მშვენიერი საავადმყოფო აგვიშენა, მაგრამ რად გინდა... სტომატოლოგიც კი არა გვყავს, კბილი რომ ამოგვიღოს.

**— ახალგაზრდები ხომ გყავთ გაშვებული სასწავლებლად. ისინი დაბრუნებას არ აპირებენ?**

— მაგათაც ხელის შეწყობა სჭირდებათ და დაბრუნდებიან. რეგიონი თუ ეკონომიკურად გაძლიერდება, აქედან წასვლაზე არავინ იფიქრებს. ახალგაზრდას გული რომ არ აუცრუვდეს, საქმე უნდა მისცენ. ჩვენ რაც შეგვიძლია, ვაკეთებთ, 24-საათიანი ელექტრომომარაგება გვაქვს, თანაც უფასოდ, თითოეულ სოფელს საკუთარი მცირე ჰესი აქვს.

**— თურმე ხეობიდან პროდუქტი ვერ გაგაქვთ გასაყიდად, ნაღდ ფულს როგორღა შოულობთ?**

— აქ ყველა მამაკაცი ან მესაზღვრეა, ან ადგილობრივი სამხედრო ფორმირების თანამშრომელი. აქედან იღებენ ხელფასს. ქალები სკოლაში მუშაობენ. თორემ ნამატი პროდუქტის შვეულმფრენით აქედან გატანა ისე ძვირი დაგვიჯდება, რომ მეორედ მის გაყიდვაზე არც კი ვიფიქრებთ.

> ევტეევია თუ ვიღაცა, აზრზე არ იყო, სად იმყოფებოდა და რა ხდებოდა, ისეთი მთვრალი იყო. შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, მაშინ ამოიყვანეს. ფხიზელი არც მანამდე გვინახავს და იმ დღესაც გაბრუებული დადიოდა. მგონი, არც კი ახსოვდა, როგორ გამოუშვა თავისი ხალხი ხეობაში.

**— როცა ხეობიდან თავდაცვის ჯარების გაყვანის საკითხი დადგა, თქვენ რა აზრზე იყავით?**

— აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად ასე სჯობსო, გვითხრეს და კიდევ ერთხელ დავიჯერეთ. თორემ ჯარების აქედან გაყვანამ ცხადია, ავნო საქმეს. როცა ჯარი აქ იდგა ხალხს ნაკლებად აღელვებდა საფრთხე. მაგრამ ახლა სიტუაცია თანდათან კონტროლირებადი ხდება. სასაზღვრო ჯარები ძლიერდება და ეს იმედს გვაძლევს, რომ მესაზღვრე მარტო საზღვარს კი არა, მოსახლეობასაც დაიცავს. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ არაფრის გვეშინია, ჩვენი ყველაზე დიდი იარაღი რელიეფია. ამ ხეობაში ფეხის მოკიდება ვინმეს იოლი არ ეგონოს. მასმედიას კი ვურჩევთ, სამხედრო თემებზე მას შემდეგ ილაპარაკოს, სახელმწიფოებრივი საიდუმლოებების ჩვეულებრივი მოვლენისაგან განსხვავებას და მის შენახვას რომ ისწავლიან.

**— როგორ ფიქრობთ, თუ რუსი ხელს არ შეგვიშლის, აფხაზებს შემოვირიგებთ?**

— შევრიგდებით. თუ არადა, მაშინ რაღაც სხვა გზა უნდა მოიძებნოს. ახლა აფხაზი იმ ურჩ შვილს ჰგავს, დაყვავება რომ არ ესმის, თუ ასე გაგრძელდა, მშობელს ისღა დარჩენია შვილს ყური მაგრად აუწიოს.

**გენწვიშისა და აჟარის მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ რუსული დესანტის ყოფილი დისლოკაციის ადგილი მოვინახულე. საგანგებოდ გათხრილ სანგრებთან, სილითა და ქვებით სავსე ტომრები, კონსერვის თუნუქის კოლოფები და ერთჯერადი კოვზები დაეტოვებინათ რუსებს, ალბათ ნიშნად იმისა, რომ კოვზი კოდორულ ნაცარში ჩაუვარდათ. აქ უკვე მეგზურობას ოფიციალური პირი მიწევდა. რუსული დესანტის აჟარაში ყოფნის პერიოდზეც მან მომაწოდა ინფორმაციები. იგი დესანტის გადმოსხმის პირველი წუთებიდანვე ყველაფრის მხილველია.**

ვესაუბრე აჟარის სასაზღვრო კომენდატურის შტაბის უფროსს **სვიმონ გასვიანს:**

**— მოსახლეობა ამბობს — რუსის დესანტს ერთი წლის მარაგი ჰქონდა მოტანილიო. მაინც რა იყო იმ ბარგში?**

— დაშლილი რკინის საწოლები მოიტანეს, დღემდე ვერ გამიგია, რად უნდოდათ. საძინებელი ტომრები, კარვები, უამრავი პროდუქტი და კიდევ უფრო მეტი — იარაღი, ყველანაირი საბრძოლო საშუალება ჰქონდათ. ორი სატვირთო მანქანა ვერ გადაზიდავდა იმათ ჩამოტანილ მარტო ტყვია-წამალს, რად უნდოდათ? შეიძლებოდა მათთვის დაგვეჯერებინა, რომ სამშვიდობოდ იყვნენ მოსულები? სამშვიდობო პატრული რომ დადიოდა, იარაღი საერთოდ არ ჰქონდა თან.

**— ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტი თუ მოახერხეს, რას ეუბნებოდნენ ხალხს?**

— სოხუმისკენ მიმავალ გზას გაგიხსნით საქონლის და პროდუქტის წაღება რომ გაგიიოლდეთ გასაყიდად. სოხუმიდან სპეციალურ სამარშრუტო ავტობუსებს გამოვუშვებთ და სამყაროს მოწყვეტილები არ იქნებითო. პლაჟზე ნებივრობის უფლებასაც შეგვპირდნენ. ეგონათ, ხალხს მოატყუებდნენ და დააბრმავებდნენ. მერე საკენში და აჟარაში პოსტებს გახსნიდნენ და ხეობას ალყაში მოაქცევდნენ. არ გამოუვიდათ ოინი!

**— ცოცხალი სამხედრო ძალა რა რაოდენობის იყო?**

— სულ 100 ჯარისკაცი და ოფიცერი იქნებოდა. ჯარისკაცები 18-19 წლის ბიჭები იყვნენ.

**— აგრესიულები ჩანდნენ?**

— მაგის გამომჟღავნების საშუალება ვინ მისცა! ეგონათ, აჟარაში ასე „პომპეზურად“ რომ დავსხდებით, ხალხი შეშინდება და გაიქცევაო. მაგრამ ამდენი რომ შემოვეხვიეთ ირგვლივ, ფერი ეცვალათ. ასი კი არა, ათასი კაცი რომ ჩამოსულიყო, არც ჩვენ ვიყავით არსად წამსვლელი და ვერც ისინი გაგვექცეოდნენ სადმე.



**— როცა მიხვდნენ, რომ ხაფანგში გაებნენ, რა რეაქცია ჰქონდათ?**

— მოტყდნენ. დაბლობში ეგენი იყვნენ, მაღლობზე — ჩვენ. ეგენი ვერ გვხედავდნენ, ჩვენ კი თითოეულ მათ ნაბიჯს ვზვერავდით. სანგრების თხრა დაიწყეს. ამას ან რა აზრი ჰქონდა, რას უშველიდათ, თავიდან გვეგონა, სამარეს ითხრიდნენ.

**— სროლაც იყოო, მართალია?**

— ეს ღამით მოხდა. შესაშინებელი სროლა ავტეხეთ რუსების ირგვლივ, უნდა მიმხვდარიყვნენ, ალყაში რომ იყვნენ და ერთი უნებართვო განძრევაც საკმარისი იქნებოდა იერიშის მისატანად.

**— რომელ ნებართვას გულისხმობთ?**

— დესანტში ერთადერთი ოფიცერი არ იყო რუსი. სახეზე ეტყობოდა, რომ აფხაზი იყო. დავუძახეთ და გავაფრთხილეთ, თითი არ გაანძრიოთ, თორემ ბიჭები რას იზამენ არ ვიცი-მეთქი. სამშვიდობო მისიით ვართ ჩამოსულები, პოლკოვნიკის მოხსენების თანახმად, სამშვიდობოების სარდლის განკარგულებას ვასრულებთო, — მიპასუხა. ვუთხარი, არ მახსოვს, ამნაირი რამ იმ ხელშეკრულებაში რომ იყოს მითითებული, რაღაცას ბოდავთ-მეთქი. ხელშეკრულებაში რა წერია, ეგ ჩემმა პოლკოვნიკმა და სარდალმა იციან, მაგათ კიდევ ალბათ თქვენს უფროსობასთან ექნებათ გარკვეული ყველაფერიო, — ასეთი პასუხი გამცა კაცმა, რომელიც მგონი, მართლა ვერ ხვდებოდა, რატომ იყო აჟარაში.

**— დაბნეულები ჩანდნენ?**

— ძალიან, ეს იმაშიც ეტყობოდათ, რომ სტრატეგიული ადგილიც კი ვერ შეარჩიეს დასაჯდომად. ნებით მოიქციეს თავი ალყაში. ვიფიქრეთ, რომ ან შტერები არიან, ან კიდევ საომრად არ მოსულანო, მაგრამ მერე, როცა მათი ბარგი ვნახეთ, რომელიც თექვსმეტმა შვეულმფრენმა ძლივს გაზიდა აჟარიდან, დავრწმუნდით, რომ მართლა ვერ ჰქონდათ თავში ყველაფერი რიგზე.

**— ევტეევის აჟარაში ამოსვლის მერე, გული ხომ არ მიეცათ რუსებს?**

— რას ამბობთ! ევტეევია თუ ვიღაცა, აზრზე არ იყო, სად იმყოფებოდა და რა ხდებოდა, ისეთი მთვრალი იყო. შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, მაშინ ამოიყვანეს. ფხიზელი არც მანამდე გვინახავს და იმ დღესაც გაბრუებული დადიოდა. მგონი, არც კი ახსოვდა, როგორ გამოუშვა თავისი ხალხი ხეობაში.

**— როგორ ფიქრობთ, აქაურობა კარგად ჰქონდათ დაზვერილი?**

— ცხადია. 1994-1995 წლებში იყვნენ რუსები აქ და ზედმიწევნით იცნობენ ამ ადგილებს. 1996 წელს გავიდნენ ხეობიდან. არც მაშინ უნახავს ვინმეს ფხიზელი რუსი სამხედრო. მთვრალები „ბმპ“-ებით პანტაპუნტით ცვიოდნენ ხევებში. ეტყობა, ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ დიდი ხარჯი იყო მათი აქ ყოფნა და ყველა რუსი ერთად გაიკრიფა. ახლა კი, ეტყობა, რაღაცის შიშმა აიტანათ და ამიტომაც გამოეშურნენ კოდორისკენ. შვეულმფრენების გარდა, ქვემოთ კიდევ ეყენათ საბრძოლო ტექნიკა და ცოცხალი ძალა, ეგონათ ხეობაში გამაგრებული დესანტი ამოსვლის საშუალებას მისცემდა. ეს რომ გაეკეთებინათ, მართლა ჩაკეტავდნენ ხეობას და კოდორსაც მართლა დავკარგავდით. ამის იქით უკვე ზემო სვანეთია.

> — დილაადრიან ერთბაშად რამდენიმე შვეულმფრენით მოფრინავდნენ, არ ისროდნენ. თანაც, ხომ გითხარით, ისე უტვინოდ იქცეოდნენ და ისეთ ადგილზე დაეშვნენ, რომ თუ რამეს გაბედავდნენ, ცოცხალი ამბის მიმტანიც აღარ ეყოლებოდათ, იმიტომაც ვაცალეთ დასხდომა, რომ გაგვერკვია, რა ხდებოდა.

**— ამიტომაც ამბობენ, მესაზღვრეებს და ადგილობრივ მოსახლეობას დესანტისთვის დაჯდომის საშუალება არ უნდა მიეცათო.**

— მერწმუნეთ, მსგავსი ფაქტის განმეორება რომ სცადონ, დაუყოვნებლივ ვესვრით. თუ გაფრთხილებული არ ვიქნებით და უცხო მფრინავ ობიექტს შევამჩნევთ, იმასაც ვესვრით.

**— 12 აპრილსაც ხომ არ იყავით გაფრთხილებული? რატომ არ ესროლეთ?**

— დილაადრიან ერთბაშად რამდენიმე შვეულმფრენით მოფრინავდნენ, არ ისროდნენ. თანაც, ხომ გითხარით, ისე უტვინოდ იქცეოდნენ და ისეთ ადგილზე დაეშვნენ, რომ თუ რამეს გაბედავდნენ, ცოცხალი ამბის მიმტანიც აღარ ეყოლებოდათ, იმიტომაც ვაცალეთ დასხდომა, რომ გაგვერკვია, რა ხდებოდა.

**— თქვენთან, მესაზღვრეებთან რა თქვეს?**

— ბრაზობდნენ, ხეობიდან ჯარები რატომ არ გაგყავთ, აქ რა გინდათო. არ უნდოდათ იმის შეგნება, რომ ჩვენ მესაზღვრეები ვიყავით. აქედან უნდა წახვიდეთო, — ბურდღუნებდნენ. სად უნდა წავიდე? ჩემი წინაპარი მე-19 საუკუნეში რუსმა გამოაქცია სოფელ ხალდედან, მაშინ რუსულმა სამთო არტილერიამ მუხანათურად აიღო ხალდე. რეჩკიანების გვარი დედაბუდიანად ამოწყვიტეს, გასვიანები გადარჩნენ და ამ ხეობას შეაფარეს თავი. ახლა აქ არ მაყენებს რუსი? აქედან არსად წამსვლელი არ ვარ. ვის გაუგია საზღვრიდან მესაზღვრის გაყვანა? ჩემი მიწის იარაღით დაცვას ვერავინ ამიკრძალავს, ამის ნება ღმერთმა მომცა! აქედან მესაზღვრეებიც თუ მართლა გაიყვანეს, ხეობა მოკვდება. სამყაროსთან კოდორის ერთადერთი დამაკავშირებელი საშუალება დღეს მხოლოდ მესაზღვრეების შვეულმფრენებია.

**— როგორ ფიქრობთ, საომარი სიტუაცია რომ შეიქმნას, რა მოხდება?**

— შეიძლება ავიაციით დაგვბომბონ, მაგრამ თუ ცოცხალ სამხედრო ძალას არ შემოიყვანენ, ხეობას ვერ დაიპყრობენ. აქ კი კაციშვილი ვერ შემოვა. ეს სიტყვები დიდგულა კაცის ნათქვამი არ გეგონოთ, ჩემი ძმები აფხაზეთის ომს შეეწირნენ და არც მე ვოცნებობ ჩემს ქვეყანაში ლტოლვილად ყოფნაზე.

**ეკა ლომიძე**


გილოცავთ აღდგომის
ბრწყინვალე დღესასწაულს!
ქრისტე აღსდგა!



# ვინ დაეხმარება უსახლკაროდ დარჩენილებს?

მიწისძვრით დანგრეული თბილისის ძველი უბნების აღდგენა პოლიტიკურმა პარტიებმა წინასაარჩევნოდ თითზე დაიხვიეს. თბილისი უნდა აღვადგინოთ! — უკვე ფრთიან ფრაზადაც იქცა. აქა-იქ, დედაქალაქში, შესაბამისი მოწოდებების სარეკლამო დაფებიც გამოჩნდა. თუმცა, ირონია იქით იყოს და ვინ იცის, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა იქნებ ხალხთან, მის გაჭირვებასთან მიახლოება მართლა გულით გადაწყვიტეს და არა — ქულების ჩასაწერად.

მაგრამ საზოგადოებაში გაჩნდა სრულიად ლოგიკური ეჭვი — ხომ არ წავა ათასობით ლარი და დოლარი მავანის ჯიბეში?! ვინ იქნება პასუხისმგებელი ამ თანხების განკარგვაზე? — ამ კითხვებზე გასულ კვირას უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი ხელისუფლებისაგან ელოდა პასუხს, შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციები და ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სხვათა შორის, ამ შეხვედრებზე მეტად პესიმისტური განწყობილება სუფევდა. მოსახლეობა დიდი ოპტიმიზმით არც იმ 10 მილიონ დოლარს უყურებს, რომელიც მსოფლიო ბანკმა დანგრეული სკოლებისა და ბაგა-ბაღების აღსადგენად გამოყო. უკანასკნელი მონაცემებით, დედაქალაქის 280 სკოლიდან 230 სეისმომედეგურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, იგივე ითქმის 65.000 საცხოვრებელ სახლზე — ექსპერტების შეფასებით, ყველა მწვავე ავარიულია.

გვესაუბრება ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **კობა დავითაშვილი:**

— როცა თბილისში ომის დროს სახლები დაინგრა, მახსოვს მათ ასაშენებლად დიდი ფული გამოიყო. ამ თანხების უმეტესი ნაწილი მავანმა და მავანმა „შეჭამეს“. იმ სახლებში კი, რომელშიც დაზარალებული მობინადრეები უნდა შესახლებულიყვნენ, მთავრობის წარმომადგენლებმა დაიდეს ბინა. ახლაც იგივე არ განმეორდეს.

— **როგორ ფიქრობთ, რა სახით შეიძლება კონტროლის დაწესება?**

— ისევ და ისევ დაზარალებული ხალხის მიერ შექმნილი ამხანაგობების კონტროლი იქნება სანდო, მათ უნდა გადაწყვიტონ, რა მასალა რა ფასად იყიდონ. საეჭვოდ მეჩვენება მერიის ინიციატივა, რომ გარეუბნებში შეიძინს ბინებს.

— **ისეთი თვალსაზრისიც არსებობს, რომ ყოველ დაზარალებულ ოჯახს გარკვეული ოდენობის თანხა გადაეცეს და მან ინდივიდუალურად გადაწყვიტოს, იყიდოს თუ ახალი ააშენოს, ან შეაკეთოს ძველი...**

— ჩემი აზრით, ეს ყველაზე უპრიანი იქნება და საიმედოც. კარგი იქნება, თუ სახლის მფლობელს გადავცემთ ფულს და შემდეგ მან დახარჯოს რაშიც უნდა. სხვაგვარად, გამოყოფილი თანხების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ მოხმარდება დაზარალებულებს. როცა კონტროლის პალატაში ვმუშაობდი, შევისწავლე 1991-92 წლებში დანგრეულ ბინებზე გამოყოფილი თანხების მიზნობრივი დანახარჯები. იმდენი სიყალბე აღმოვაჩინეთ, რომ თვალებს არ ვუჯერებდი. ყოველი იმ დანგრეული სახლის ადგილას დღეს ფეშენებელური კორპუსი დგას, სადაც, ძირითადად, როგორც მოგახსენეთ, ჩინოვნიკები შესახლდნენ.

— **კი, მაგრამ რატომ იყო რეალურად დაზარალებული ხალხი ჩუმად?**

— გააჩუმეს, ზოგს ინფლაცია დაუსახელეს მიზეზად, ზოგსაც ალბათ მცირეოდენი თანხა შესთავაზეს. ვინც პატრონიანი იყო, ის შესახლდა. ახლაც ასე იქნება. „კრიშის“ მქონე რაღაცას ელირსება, უპატრონოები კი — დაიჩაგრებიან.

**ვანო ზოდელავა,** თბილისის მერი:

— **ბატონო ვანო, რა ან ვინ იქნება გარანტი იმისა, რომ მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში შესული თანხები მიზნობრივად გაიხარჯება?**

— ამისათვის უკვე შექმნილია საგანგებო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. მათ ექნებათ ყოველი თეთრის გაკონტროლების უფლება, არც ერთი თეთრი უმიზნოდ არ უნდა დაიხარჯოს და არც დაიხარჯება. დედაქალაქის საპატიო მოქალაქეებს მეც, თქვენც და ალბათ მოსახლეობაც ენდობა.

— **რა პრინციპით იმუშავებს კომისია?**

— კომისია ან მისცემს დაზარალებულთა ოჯახებს თანხას, ან სახლების მშენებლობების დაწყებისთანავე გამოიყოფა თანხები სამშენებლო მასალებისათვის.

— **ზემოთ საპატიო მოქალაქეთა ჯგუფი მოიხსენიეთ. ისინი უსასყიდლოდ იმუშავებენ?**

— რა თქმა უნდა.

— **ამბობენ, თითქოს ვიღაც უცნობ პირს ფონდში მილიონი ლარი გადაურიცხავს. მართალია?**

— ნეტა ასე ყოფილიყო და მის ვინაობას მე მაინც გაგიმხელდით. სამწუხაროდ, ჭორია.

*ქეთი ბერეკაშვილი*




# ამერიკელებმა პირობა შეასრულეს, დანარჩენი ქართულ მხარეზეა დამოკიდებული

ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების თბილისში გამოჩენამ და „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის დაწყებამ ბევრი გაახარა, ბევრიც გაანაწყენა. ზოგსაც ოკეანისგაღმელი რეინჯერი ერთგვარ ჯადოსნურ ჯოხად წარმოუდგენია, რომელიც ერთ წელიწადში არმიასაც აგვიშენებს და დაკარგულ ტერიტორიებსაც დაგვიბრუნებს...

აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის მეთაურობის მიერ გამოგზავნილი პირველი 20 სამხედრო ინსტრუქტორი 30 აპრილს, დილით ჩამოფრინდა თბილისში და ძალზე გაახარა თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე.

თავდაცვის სამინისტროში თავისუფლად ამოისუნთქეს — უკვე დაიწყო ზემოხსენებული წვრთნის პირველი ფაზა. იგი ითვალისწინებს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის შესწავლას, მათ შორის ამერიკელი ინსტრუქტორების განსათავსებელი ადგილების მოძიებასა და საწვრთნელი პოლიგონების შერჩევას. ეს ფაზა ორი კვირა გასტანს, ხოლო შუა მაისიდან დაიწყება სწავლების მეორე ფაზა — საშტაბო მომზადება.

საზოგადოების უმრავლესობა, ისევე როგორც ბევრი პოლიტიკოსი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველი რეინჯერების მომზადებას, რასაც თავისი გამართლებაც აქვს — მთელ მსოფლიოში სპეცრაზმელები ეფექტიან ჩვენებებს აწყობენ თავზე აგურების გადამტვრევით თუ ერთმანეთისთვის ბეჭის ამოგდებით. თუმცა „კვირის პალიტრის“ აზრით, საქართველოსთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ამ სწავლების მეორე ფაზით გათვალისწინებული საშტაბო მომზადება. საერთო ჯამში, მომზადდება ორი შტაბი. პირველი იქნება გენერალურ შტაბთან არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის „ეროვნული დონის კრიზისული მართვის ცენტრი“, რაც საგანგებო სიტუაციების დროს ყოველთვის აკლდა ქვეყნის ხელისუფლებას. ამ ცენტრის აღსაჭურვად ამერიკული მხარე აპირებს გადმოგვცეს კავშირგაბმულობისა და მართვის ძვირად ღირებული რადიოელექტრონული აპარატურა.



მეორე შტაბი ოპერატიული მნიშვნელობისა იქნება და ასევე მოიხსენიება — „ოპერატიული დონის შტაბი“. იგი ერთ-ერთი სახეობის ჯარის ტერიტორიაზე განთავსდება.

საშტაბო მომზადების დამთავრებისთანავე, სავარაუდოდ აგვისტოში, დაიწყება სწავლების მესამე — ტაქტიკური ფაზა, რომელიც საველე პირობებში 2000-მდე ქართველი სამხედროს გაწვრთნას ითვალისწინებს. როგორც ადრე აღვნიშნავდით, წვრთნის პროგრამას გაივლის თავდაცვის სამინისტროს ოთხი ბატალიონი — კოჯრის ცენტრის, „კომანდოსის“, საჩხერის სამთო, მე-11 ბრიგადის მოტომსროლელი და ერთი ჯავშანსატანკო ასეული. თითოეულ ბატალიონში, ამერიკელთა მოთხოვნით, 400 კაცამდე იქნება. სწავლება თითოეული ბატალიონისთვის 90-100 დღე გაგრძელდება.

სწავლების მთავარი მიზანია ქართულ არმიაში შეიქმნას ამერიკული სტილის მსუბუქ ქვეითთა ბატალიონები. შესაბამისად, მათი შეიარაღება და აღჭურვაც ამერიკული იქნება. ჯერჯერობით, საქართველოში გამოსაგზავნი იარაღი ამერიკელებს არ შეუსყიდიათ, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ იგი ამერიკის მსუბუქ ქვეითთა ბატალიონების იარაღის მსგავსი იქნება — ძირითადად ავტომატური შაშხანები M16A2 და სხვ.

თავდაპირველად განსაზღვრული იყო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის წელსვე დამთავრება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი 2003 წელშიც გადავა. ამიტომაც ის 64 მლნ დოლარის დაფინანსება, რაც პროგრამას უნდა დასჭირდეს, განაწილდება 2002 და 2003 წლებზე.

აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი ნიუანსი: მიუხედავად ჩვენი რეალობისთვის საარაკო თანხის, 64 მლნ დოლარის სწავლებისთვის გამოყოფისა (იგი თავდაცვის სამინისტროს 4 წლის ბიუჯეტს უტოლდება), პროგრამის დაწყება გარკვეული ფინანსური პრობლემების გამო გაჭიანურდა. ამ თანხის არც ისე მცირე ნაწილი 150-მდე ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორის სოლიდურ ანაზღაურებას, აგრეთვე მათი საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებასა და სატრანსპორტო ხარჯებს მოხმარდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკული იარაღი საკმაოდ ძვირი ღირს, ამიტომაც 64 მლნ დოლარის ლომის წილი გასაწვრთნელი ქართველი ბატალიონებისთვის ცეცხლსასროლი იარაღის შესყიდვას დასჭირდება.

ამერიკული მხარის კატეგორიული მოთხოვნით, მკვეთრად გაიზრდება მოსამზადებელი ქართველი სამხედროების ანაზღაურება. ამის შესახებ თავდაცვის სამინისტრომ პრეზიდენტს უკვე წარუდგინა თავისი გაანგარიშება. ბატალიონის მეთაური, რომელიც დღემდე 110-120 ლარით კმაყოფილდებოდა (41 ლარი ხელფასი, ულუფის კომპენსაცია 59 ლარი, პლუს ნამსახურობისა და წოდების თანხები), დატებით მიიღებს 600 ლარამდე ხელფასს. დანარჩენი ოფიცრების ანაზღაურების დანამატიც 470-600 ლარი იქნება.

ზემსახურ სერჟანტებს და ზემსახურებს (ზემსახურის ანაზღაურება დღეს 93-110 ლარია) თანამდებობის მიხედვით დაემატებათ 385-410 ლარი.

გულდაწყვეტილნი არც რიგითები დარჩებიან, რადგან მათი ყოველთვიური ანაზღაურება 385 ლარამდე გახდება.

ეს მნიშვნელოვანი ფულადი დანამატი საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადაუხადოს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაგავლილ 2000-მდე სამხედრო მოსამსახურეს არა მარტო უშუალოდ 100-დღიანი წვრთნების განმავლობაში, არამედ შემდგომშიც.

თანხები წყალში გადაყრილი რომ არ აღმოჩნდეს, თავდაცვის სამინისტრო თითოეულ სამხედროსთან გააფორმებს არანაკლებ სამწლიან კონტრაქტს, რომელშიც მხარეები ურთიერთვალდებულებებს იკისრებენ. ბატალიონის მეთაურს უნდა მიეცეს სრული უფლება, წესდების ხშირად დამრღვევ სამხედროსთან გაწყვიტოს კონტრაქტი.

იმის ფონზე, რასაც დღეს იღებს ჩვეულებრივი ოფიცერი თუნდაც იმავე თავდაცვის სამინისტროში, 470-600 ლარით შემოსავლის გაზრდა მათი ოჯახებისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალია. ამიტომ წვრთნაგავლილმა ოფიცრებმა ძალღონე არ უნდა დაიშურონ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესასრულებლად. თუმცა, წმინდა ქართული ვარიანტებიც არ არის გამორიცხული. შესაძლოა ამა თუ იმ ბატალიონში ძმაკაცობით ან ზემოდან დარეკვით დაუმსახურებლად დაინიშნოს შეუფერებელი დონის სამხედრო.

მესაზღვრეთა ერთი ბატალიონის (სავარაუდოდ, მოტოსამანევრო ჯგუფის) პროგრამაში ჩართვა ჭიანურდება სხვადასხვა ბიუროკრატიული მიზეზით. შესაძლებელია თავდაცვის სამინისტროს ოთხსავე ბატალიონში წვრთნების გასავლელად მესაზღვრეების თითო-თითო (ოღონდ 30-50 კაცამდე გაძლიერებული) ოცეული გადანაწილდეს.

ტაქტიკური სწავლების დამთავრების შემდეგ



მეოთხე ფაზის — დასკვნითი ეტაპის დრო დადგება, სადაც საბოლოოდ შეჯამდება პროგრამის განხორციელების ნიუანსები.

ნურვინ იფიქრებს, რომ 100-დღიანი წვრთნის შემდეგ ქართულ არმიაში უცბად გამოჩნდებიან ყოვლისშემძლე სუპერჯარისკაცები. მთავარია, ჩამოყალიბდეს ახალი ტიპის ქვედანაყოფები, რომლებიც წვრთნების პროგრამის დასრულების შემდეგაც გააგრძელებენ ინტენსიურ საბრძოლო სწავლებას. ისინი იქნებიან მუდმივი მზადყოფნის საბრძოლო შენაერთები კრიზისულ სიტუაციის დროს მოქმედების რაიონში ოპერატიულად გადასასროლად.

ამასთან დაკავშირებით ცოტა უცნაურად ჟღერს ოფიციალური თბილისის პირობა, „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაგავლილ 200-მდე სამხედროს არ გამოვიყენებთ აფხაზეთის პრობლემის ძალით მოგვარების ოპერაციებშიო. გასაგებია, რომ ეს წმინდა პოლიტიკური განცხადებაა და ეტყობა, ასეც უნდა იყოს. რეალურად, კრიზისულ სიტუაციაში კი, საქართველოს ხელისუფლებას მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ამერიკელების მიერ მომზადებული სამხედრო დანაყოფების გარდა, არავინ ეყოლება გალში თუ კოდორის ხეობაში ოპერატიულად გადასასროლად.

# პანკისში სტრატეგიული საგუშაგო გაიხსნა...

29 აპრილს პანკისის ხეობაში მომხდარი ინციდენტი შეიძლებოდა სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებაში გადაზრდილიყო. დუისის გზით ხადორჰესისკენ მიმავალ შინაგანი ჯარების ავტომანქანების კოლონას ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილი პროტესტის ნიშნად ავტომატების ჰაერში სროლით შეხვდა.



ეს ინციდენტი, საბედნიეროდ, ორთაბრძოლაში არ გადაზრდილა. ქვედანაყოფმა მოახერხა მთელი პანკისის ხეობის გავლა და ხადორჰესს მიაღწია, სადაც შინაგანი ჯარების ორი ახალი საგუშაგო გაიხსნა. მათი მთავარი საბრძოლო ამოცანაა ხადორჰესის დაცვა.

ხადორჰესს უკვე სამჯერ დაესხნენ თავს. როგორც ამბობენ, თავდასხმის მიზანი უფრო ეკონომიკური ხასიათისა იყო, ვიდრე პოლიტიკური.

საქმე ის გახლავთ, რომ ხადორჰესს, რომელსაც ჩინელები აშენებენ, დღემდე ძირითადად ადგილობრივი ქისტების ერთი ჯგუფი იცავდა და, შესაბამისად, სოლიდურ ანაზღაურებასაც იღებდა. სხვებსაც მოუნდათ, არა ადამიანების გატაცებითა თუ ნარკოტიკებით ვაჭრობით, არამედ კანონიერი გზით — მნიშვნელოვანი ობიექტის დაცვით — ფულის შოვნა. ამიტომ ამ ჯგუფებს შორის ხდება შეტაკებები იმის თაობაზე, თუ ვინ დაიცავს ხადორჰესსა და იქ მომუშავე ჩინელებს.



ხადორჰესის უსაფრთხოების დაცვა შინაგანი ჯარების ახალგახსნილ საგუშაგოს დაევალა

ხადორჰესთან საგუშაგოს გახსნას შინაგანი ჯარები აპრილის შუა რიცხვებშიც აპირებდნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლეს — როგორც ამბობენ, ისინი ხადორჰესისკენ პანკისელებმა არ გაატარეს.

29 აპრილს კი ამ ჩანაფიქრის განხორციელება მოხერხდა ისევ პანკისელი ქისტების დახმარებით. შინაგან ჯარში კონტრაქტის საფუძველზე მიიღეს 16 ქისტი და იარაღიც გადასცეს. დღეს ისინი, შინაგანი ჯარის ამდენივე მებრძოლთან ერთად, აკონტროლებენ ახალგახსნილ საგუშაგოებს.

რასაკვირველია, ამ საგუშაგოებს მარტო ჰიდროელექტროსადგურის დაცვის ფუნქცია არ აკისრია. რუკაზე ერთი დახედვაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ სახელმწიფო საზღვრისკენ, ჩეჩნეთისკენ მიმავალი ბილიკები ამ საგუშაგოებიდან მაინცდამაინც შორს არ არის.

„კვირის პალიტრა“ არაერთხელ წერდა იმის შესახებ, რომ პანკისის ხეობის გასაკონტროლებლად აუცილებელია საგუშაგოების და სათვალთვალო პოსტების მოწყობა ხეობის მთელ პერიმეტრზე, რათა გამოირიცხოს შეიარაღებული ჯგუფების მოძრაობა, როგორც ბარისკენ, ისე ჩრდილოეთით, საზღვრისკენ.

# ამერიკული ავიაციის საქართველოში დაფუძნების შესაძლებლობას რუსეთი მკვეთრად აპროტესტებს

ერთი შეხედვით ერაყი სამხრეთ კავკასიიდან კარგა შორსაა, თუმცა თანამედროვე საბრძოლო (განსაკუთრებით კი დამრტყმელი ავიაციის) ტექნიკისთვის ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს; ამიტომაც სულაც არ არის გამორიცხული, რომ ვაშინგტონმა ერაყზე საჰაერო თავდასხმების განხორციელების საბაბით, ოფიციალურ თბილისთან შეთანხმებით სცადოს საქართველოში საბჭოთა პერიოდიდან დარჩენილი სამხედრო აეროდრომების ინფრასტრუქტურის გამოყენება. „კვირის პალიტრა“ ადრეც წერდა, რომ თურქეთის ინჯირლიყის, საუდის არაბეთის, ქუვეითის თუ კატარის ის აეროდრომები, რომლებზეც ამჟამად ამერიკული დამრტყმელი ავიაციაა განთავსებული (რომ აღარაფერი ვთქვათ სპარსეთის ყურეში მუდმივად მყოფ ამერიკულ ავიამზიდებზე), სრულიად საკმარისია ერაყის საჰაერო თავდაცვის ჩასახშობად და უზუსტესი „წერტილოვანი“ დარტყმების განსახორციელებლად.

მაგრამ, სხვა მხრივ, ერაყზე საჰაერო შეტევის საბაბი საუკეთესო საშუალებაა ამერიკული სამხედრო ავიაციის საქართველოს საჰაერო სივრცეში და რუსეთის ფედერაციის სამხრეთ საზღვრების უშუალო სიახლოვეს გამოსაჩენად.

ამას, რა თქმა უნდა, მშვენივრად ხვდებიან მოსკოვში და რუსი პოლიტიკოსები თუ მაღალჩინოსანი სამხედროები უკვე პროტესტსაც აცხადებენ. კრემლს აღარ უნდა, რომ ამერიკელებმა კიდევ ერთხელ მოატყუონ — ფაქტობრივად, ავღანეთში სწორედ ანტიტერორისტული ოპერაციის საბაბით, შუა აზიის ქვეყნების აეროდრომებზე უკვე გამოჩნდა არა მარტო სამხედრო-სატრანსპორტო, არამედ თვით საბრძოლო თვითმფრინავებიც კი.

ჯერ იყო ფრანგული Mirage-2000-ების ესკადრილია გადაისროლეს შუა აზიის ერთ-ერთ პოსტსაბჭოურ რესპუბლიკაში, რომელსაც 18 აპრილს ამერიკული F-18 „ჰორნეტების“ ჯგუფიც (მათი ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია) შეუერთდა. ამერიკული „ჰორნეტები“ ყირგიზეთის დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტ „მანასის“ ასაფრენ ბილიკზე დაეშვნენ. მათ მოსამსახურებლად 200 ამერიკელი სპეციალისტი ჩაჰყვა.

ფრანგულ „მირაჟებს“, ისევე როგორც ამერიკულ „ჰორნეტებს“, რამდენიმე ფუნქციის შესრულება შეუძლიათ — როგორც საჰაერო დარტყმების განხორციელება ავღანეთში, ასევე საჰაერო ბრძოლების წარმოება ჩრდილოეთით, სულაც რუსეთის საჰაერო სივრცეში.

„მირაჟები“ და „ჰორნეტები“ პირველი „მტრედები“ არიან, რომლებიც ადრე თუ გვიან შეიძლება რუსეთის უსაფრთხოებას სამხრეთიდან დაემუქრონ.

საბჭოთა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი სისტემის დაშლის შემდეგ რუსეთის საჰაერო თავდაცვა მნიშვნელოვნად შესუსტდა სამხრეთი მიმართულებიდან, რადგან სწორედ სამხრეთის რესპუბლიკებში — საქართველოში, აზერბაიჯანში, თურქმენეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში იყო განთავსებული ძირითადი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და რადიოელექტრონული აღმოჩენის სისტემები.

თუკი პენტაგონი ყირგიზული სცენარით და ერაყზე თავდასხმის საბაბით საბრძოლო ავიაციას საქართველოს აეროდრომებზეც განათავსებს, შესაბამისი აერონავიგაციური მოწყობილობისა და სააეროდრომო საფრის გარემონტების შემდეგ საამისოდ შეიძლება გამოყენებული იქნეს ვაზიანის, დიდი შირაქის, მარნეულის, სენაკისა და კოპიტნარის სამხედრო აეროდრომები, აგრეთვე თბილისის აეროპორტიც. ამით მკვეთრად გაეზრდებათ პოტენციური საფრთხე რუსულ სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს ჩრდილო კავკასიაში.

შუა აზიაში მეტწილად სტეპებია და რუსული რადიოლოკაციური სადგურები უფრო შორ მანძილზე ხედავენ, კავკასიის ქედი კი მათთვის „დამაბრმავებელი“ ზღუდეა.

თუკი ქართული საჰაერო თავდაცვისთვის ყოველთვის მოულოდნელობას წარმოადგენს ჩრდილოეთიდან შემოფრენილი თვითმფრინავები და შვეულმფრენები, ასევე, რუსული ПВО-სთვისაც არასასურველი სიურპრიზი იქნება, თუკი სამხრეთიდან კავკასიონის მთებს ზებგერითი სიჩქარით ამერიკული F-15 თუ F-16-ები



**ჩვენი დოსიე:** თუკი საქართველოს სამხედრო აეროდრომებზე მართლაც განათავსებენ ამერიკულ ტაქტიკურ დამრტყმელ თვითმფრინავებს, მაშინ მათ საშუალება ექნებათ იმოქმედონ არანაკლებ 1000 კმ-ის რადიუსში. დამატებითი საწვავის ავზების ჩამოკიდების შემთხვევაში და აგრეთვე საჰაერო ტანკერიდან გამართვისას მათი საბრძოლო მოქმედების რადიუსი 2-3-ჯერ იზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკულ F-18E-სა და F-15E-ს შეეძლებათ „წერტილოვანი“ უზუსტესი საჰაერო დარტყმები საქართველოს ტერიტორიიდან განახორციელონ ერაყის, ირანისა და, რაც ყველაზე საინტერესოა, რუსეთის სამხრეთში ძირითადი სტრატეგიული ობიექტების წინააღმდეგაც.

გადაევლებიან.

თუკი ამერიკელი ინსტრუქტორების საქართველოში ჩამოსვლა და თავად „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა წარმატებით დასრულდება, მოსალოდნელია, რომ ვაშინგტონ-თბილისის სამხედრო-პოლიტიკურმა თანამშრომლობამ ბევრად ფართო მასშტაბები მიიღოს, მათ შორის სავარაუდოა, რომ საქართველოში დაფუძნდეს ამერიკული სამხედრო ბაზები. ოღონდ ისინი ნამდვილად არ დაემსგავსება ბათუმისა თუ ახალქალაქის რუსულ სამხედრო ბაზებს. პენტაგონი არასოდეს გადაყრის ფულს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მოძველებული ჯავშანტექნიკის ფარეხებში შესანახად. ამერიკული ბაზები იქნება ან სამხედრო-საჰაერო სახის — ვაზიანის ან დიდი შირაქის აეროდრომებზე, ანდა სამხედრო-საზღვაო — ფოთში.

საერთო ჯამში, რამდენად მომგებიანი იქნება ყოველივე ეს სამომავლოდ საქართველოსთვის, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რადგან მედალს ორი მხარე აქვს. ერთი შეხედვით, ამერიკული გამანადგურებლების შიშით პანკისსა თუ კოდორის ხეობას ველარავინ დაგვიბომბავს, მაგრამ სხვა მხრივ — სწორედ ეს ამერიკული სამხედრო ბაზები და მასთან ერთად მთლიანად საქართველო აღმოჩნდება რუსეთისთვის პოტენციური მტრის როლში.

# ლიკვიდირებულია თუ არა ბასაევი?!

ზამთარში ერთგვარად „მიძინებული“ ჩეჩნეთი გაზაფხულმა გამოაღვიძა. რუსეთის სპეცსამსახურები ზეიმობენ ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურების განადგურებას.

ამ ბოლო დღეებში დაბეჯითებით ლაპარაკობენ, შამილ ბასაევიც მკვდარიაო. ბასაევი რუსეთის მასმედიას „არაერთხელ“ მოუკლავს და გაუცოცხლებია, მაგრამ უკანასკნელ ხანს გავრცელებული ხმები ძალიან ჰგავს სიმართლეს, მით უმეტეს იორდანიელი ხატაბის მოწამვლის შემდეგ.



ფოტო, რომელსაც რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ

შამილ ბასაევის ლიკვიდირების შესახებ ბოლოს, 30 აპრილს განაცხადა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ანატოლი კვაშნინმა. ამის დამადასტურებლად რუსმა გენერალმა თქვა, — ბასაევი, რომლის ერთ-ერთი საეთერო მოხმობა „გინეკოლოგი“ იყო, ბოლო ნახევარი წელია რადიოეთერში არ გასულაო.

თავად ეს არგუმენტი, სიმართლე რომ ითქვას, ბევრ არაფერს ნიშნავს. ტყეებში გახიზნულმა ჩეჩენმა მებრძოლებმა იციან, რომ მათ რადიოსაუბრებს მუდმივად უსმენენ რუსეთის სპეცსამსახურები. ამიტომაც ცდილობენ რადიოეთერში იშვიათად ან საერთოდ არ გავიდნენ, ხოლო ინფორმაციები ერთმანეთს სანდო შიკრიკების ხელით გაუგზავნონ. ასეთ შემთხვევაში მართალია, ოპერატიული ცნობა მნიშვნელოვნად იგვიანებს, მაგრამ სამაგიეროდ, იზრდება საიმედოობა.

უკანასკნელად 2000 წლის თებერვალში დააფიქსირეს შამილ ბასაევი, რომელიც ბლოკირებული გროზნოს დატოვებისას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმით აფეთქდა. მოგვიანებით, 2001 წლის 22 აგვისტოს, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შამილ ბასაევი საჰაერო დაბომბვაში მოჰყვა და მძიმე ჭრილობები მიიღო. რუსული მასმედია ხან ამბობს, ბასაევი ხელში დაიჭრაო, ხანაც — ცალი თვალი დაკარგაო. დასავლურმა საინფორმაციო საშუალებებმა კი გაავრცელეს ცნობა, თითქოს შამილ ბასაევს კონფლიქტი მოუვიდა იჩქერიის თავდაცვის მინისტრთან მაჰომედ იამბიევთან და კამათისას ამ უკანასკნელმა ბასაევს მუცელში სამი ტყვია ესროლაო.

ამ ინფორმაციებიდან ბევრი არ დადასტურდა და ჩვეულებრივ „დეზა“ აღმოჩნდა, მაგრამ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები ბევრად უფრო სერიოზული დაეჭვების საფუძველს იძლევა.

იჩქერიის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა სადღაც მთებში, სავარაუდოდ, დაღესტნის საზღვრის ახლოს, 30 აპრილს საიდუმლო თათბირი მოიწვია, რომელსაც ესწრებოდნენ მისი საველე მეთაურები — უვაისოვი, აბალაევი, ვაშაევი, იუნოსოვი და ბალტუკაევი. თითქოს ამ თათბირზე მასხადოვს შეატყობინეს შამილ ბასაევის დაღუპვის ამბავი, რის შემდეგაც მასხადოვს გაუცია ახალი უმაღლესი სამხედრო მეჯლისის შექმნის ბრძანება. წინათ მას ხატაბი და ბასაევი ხელმძღვანელობდნენ.



ამ თათბირიდან უკან, თავისი დისლოკაციის ადგილზე დაბრუნებული აბალაევი, რომელსაც ადრე უშიშროების მინისტრის პოსტი ეკავა, რუსი სამხედრო მზვერავების საფარს გადააწყდა და დაიღუპა. მასთან ერთად დაიღუპა ახალი სამხედრო მეჯლისის კიდევ ორი წევრი — უვაისოვი და ვაშაევი.

ამით რუსმა სპეცსამსახურებმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენეს მასხადოვის დაჯგუფებას. ჯერ ერთი იმით, რომ ფიზიკურად გაუნადგურეს სამი მნიშვნელოვანი საველე მეთაური და მეორე, მთავარი გარემოება — რუსული სპეცსამსახურები მარჯვედ იყენებენ მასმედიის საშუალებებს იმ ინფორმაციის გასავრცელებლად, რომ თითქოს ისევ ასლან მასხადოვის მიერ იყო გაყიდული მისივე საველე მეთაურების მარშრუტი. ვისაც „დათა თუთაშხია“ კარგად წაუკითხავს, მიხვდება, რომ სპეცსამსახურების მოქმედების პრინციპი საუკუნეების გასვლის შემდეგაც არ შეცვლილა.

ძნელია, რაიმე დააბრალო ასლან მასხადოვს, მაგრამ ფაქტია, რომ იჩქერიის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი ისლამ ხასუხანოვი მართლაც ჩაიგდეს ხელში რუსეთის სპეცსამსახურებმა და ბევრი რამაც დააყაჭვინეს. 21 აპრილს იგი ს. შალის ერთ-ერთი მცხოვრების სახლში აიყვანეს და იქვე ამოიღეს კომპიუტერი და ფაილები. სავარაუდოდ, მათი საშუალებით და ხასუხანოვზე ზეწოლით რუსმა ფედერალებმა მასხადოვის რაზმების ზუსტი კოორდინატები მოიპოვეს. 27 და 28 აპრილს მასირებული საჰაერო შეტევები განხორციელდა მასხადოვის რაზმების დისლოცირების ადგილებზე ვედენოს, კურჩალოისა და ნოჟაი-იურტოვსკის რაიონებში.

როგორც ჩანს, ეს ზაფხული საკმაოდ ცხელი იქნება არა მარტო ჩეჩნეთისათვის, არამედ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზეც, სადაც რუსეთის საბრძოლო ავიაცია ნადირობას გააგრძელებს თითოეულ ჩეჩნურ რაზმზე და ალბათ კიდევ ბევრჯერ დაარღვევს ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცეს. მეორე მხრივ, რუსული სპეცსამსახურები დაიწყებენ ჩეჩენი საველე მეთაურების ინტენსიურ ძებნას პანკისის ხეობაში.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# სისხლით შეღებილი სააღდგომო კვერცხები, ანუ რატომ გააქრეს რაიხსტაგის მესამე მედროშე



ამ ფოტოზე, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ერთადერთი ჯარისკაცია აღბეჭდილი (ან ეგოროვი, ან ქანთარია).



იშვიათი ფოტო: ორი ჯარისკაცი და ოფიცერი სამსონოვი (შუაში). სწორედ ეს სურათი დაუმალეს საბჭოთა მოქალაქეებს.

ეს ფოტოები ერთმანეთისგან რამდენიმე წამის ინტერვალით არის გადაღებული (დააკვირდით თუნდაც ტრანსპორტის განლაგებას).

*გადაწყდა, – ბერლინისათვის თექვსმეტ აპრილს უნდა შეეტიათ. აპრილის დასაწყისში ფართო ფრონტით გავიდნენ ინგლის-ამერიკის ჯარები და ჯერ რურის სამრეწველო რაიონის ხელში ჩაგდებას აპირებდნენ, შემდეგ კი ბერლინის მიმართულებით ელბისაკენ წაწევას. იმავდროულად, ფრანგები სამხრეთის მიმართულებით მიიწევდნენ. მათ გეგმაში შედიოდა შტუტგარტის და მიუნხენის აღება. ასე რომ, მოკავშირეთა სარდლობა ბერლინის ირგვლივ წრის შეკვრას ჩქარობდა. ამავე დროს საბჭოთა ჯარები ოდერსა და ნაისეზე, 60–100 კილომეტრში იდგნენ ბერლინთან. 7 აპრილს დუაიტ ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ლაიფციგის აღების შემდეგ, თუ დიდი დანაკარგი არ ექნებოდა, სიამოვნებით შევიდოდა ბერლინში. არადა იალტის კონფერენციაზე გარკვეულ ხაზებზე შეთანხმდნენ, რომლის იქით მოკავშირეებს ფეხი არ უნდა წაედგათ, მაგრამ ისე მოხდა, რომ 80 სისხლსავსე დივიზიით მათ წინსვლას გერმანელებმა მხოლოდ გადაღლილი 26 დივიზია დაუპირისპირეს და მოკავშირეებიც იოლად, უმნიშვნელო დანაკარგებით მიიწევდნენ წინ. ამ დროს კი საბჭოთა ჯარებს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ვერმახტი, მაგრამ ამისდა მიუხედავად, როცა ოდერსა თუ ნაისეზე განხორციელებული მძლავრი შეტევის შემდეგ საბჭოთა მხედრობამ საბოლოოდ შეარყია გერმანელთა თავდაცვა, მოკავშირეები, ბოლოს და ბოლოს, დადგნენ შეთანხმებულ ხაზზე. ბერლინის აღების პატივი სრულიად სამართლიანად საბჭოთა არმიას ერგო.*

შეტევა დილის ხუთ საათზე უნდა დაწყებულიყო. გაერთიანებული ფრონტების შტაბის გენერალიტეტი საათს შესცქეროდა. დრო არნახულად ნელა გადიოდა. მარშალმა ჩუიკოვმა მეგობრებს ჩაის დალევა შესთავაზა, დრო ასე უფრო სწრაფად გავაო. ჩაი, იქვე, მიწურში მოგვართვაო ახალგაზრდა გოგონამ, კოტოროგო პაჩემუტა ზვალი ნე რუსკიმ იმენემ — მარგო, — მოგვიანებით თავის მოგონებებში დაწერს მარშალი ჟუკოვი. გოგონა კი ქართველი გახლდათ და სახელიც აქ, საქართველოში დაარქვეს ალექსანდრე დიუმას რომანებზე გაზრდილმა მშობლებმა, მაგრამ როცა იქ, იმ ავბედით ოცდაჩვიდმეტ წელს მშობლები რაღაც მოგონილი ბრალდებით დაუხვრიტეს და ხალხის მტრების შვილად გამოაცხადეს, თვრამეტი წლის ქალიშვილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე — ასე უფრო დავამტკიცებ, რომ მოღალატეების კი არა, ერისა და ქვეყნის პატრიოტების გაზრდილი ვარო. თავდაპირველად, სანიტარულ ნაწილში გაამწესეს, მაგრამ მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლის ველიდან დაჭრილის გამოყვანისას თვითონაც დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მისი საველე ჰოსპიტალი ბელორუსიაში გადაესროლათ. თავისიანების ძებნაში გართული ამ დროისათვის მთლიანად დანგრეული მინსკის დასავლეთით პატრულმა დააკავა და შტაბში წაიყვანეს, როგორც „სამხედრო რეჟიმის დამრღვევი“. თუმცა მალევე გაარკვიეს, ვინც იყო. ოღონდ ეგაა, მისი გვარი უმალვე დაავიწყდათ, რადგან სახელის გაგონებისთანავე ვიღაცამ იხუმრა — დაბრო პაჟალოვატ კ ნამ კნიაჟნა მარგო. იმ დღიდან ასე იცნობდა მას გენერალიც და რიგითიც. მარგო, იქვე, შტაბში დატოვეს რაკი აღმოჩნდა, რომ მას ფერშლობის გარდა, ამ წლებში რადისტობაც აეთვისებინა: შტაბის რადისტი კი იმ დილით ნაღმზე აფეთქდა. ირემივით გოგო იყო, გიშრისთვალებიანი. ომის წლებს ცოტა კი გაეუხეშებინა, მაგრამ მაინც ჰქონდა ის საოცარი ქალური ხიბლი, ურომლისოდაც ქალი გაურკვეველი სქესის არსებად იქცევა ხოლმე.

ის იყო ჟუკოვი და ჩუიკოვი ჩაის სმას მორჩნენ, მერე საათებს დახედეს, გარეთ გავიდნენ, რომ ერთბაშად იგრიალა ათასობით საარტილერიო დანადგარმა. იქვე, მიწურთან, ყმუოდნენ „კატიუშები“. მათმა ცეცხლმა ერთბაშად გაანათა იქაურობა. კიოდნენ ყუმბარმტყორცნები. მიწურის თავზე მიფრინავდნენ ჭურვები და თითქოს ეს არ კმაროდა, ჰაერიდან ცვიოდა ათასობით და ათიათასობით ბომბი. ხანმოკლე ინტერვალებით მოფრინავდნენ ბომბდამშენების მოზრდილი შენაერთები. მერე კი ტანკების მოტორების გრიალმა დაფარა, უფრო სწორად, ტანკების გრიალი ჩაენაცვლა ამ ხმებს. ეს მონაცვლეობა საარტილერიო მომზადების დასასრულს ნიშნავდა. ტანკებს ახლა ქვეითი ჯარის პოლკები მიჰყვებიან და ვინ იცის, რამდენი მათგანი დღევანდელი დილის შუქს ველარ იხილავს. იცის ეს მარგომ. იცის და გულში ლოცულობს მათზე. ბებიისგან ნასახსოვრებ ჯვარზეც ილოცებდა, მაგრამ საქართველოში დატოვა. ხალხის მტრების შვილისთვის რომ ჯვარი აღმოეჩინათ, არ აპატიებდნენ. არადა სწამდა — ღვთის რწმენამ გამოატარა ამ დიდი ომის ქარცეცხლში და სიკვდილსაც არაერთგზის გადაარჩინა. მაგრამ, აბა, ამას ვის გაუმხელდა?! თუმცა იყო ერთი, მამაცი უფროსი ლეიტენანტი სამსონოვი, რომელსაც ალბათ ამ მძიმე წუთებში, როცა ათასობით პროჟექტორმა და ლიხტვაგენმა გაანათა ბრძოლის ველი და ეს ამაზრზენი ფეიერვერკი მის თვალწინ ასეულობით სიცოცხლეს ნთქავდა, გაუმხელდა, რომ მორწმუნეა და რაკი 2 მაისს მართლმადიდებლური აღდგომის დღესასწაულია (ეს ერთი უკრაინელი ჯარისკაცისაგან შეიტყო), წინასწარ დაიჭირა თადარიგი. სადღაც ოთხი ცალი კვერცხი იშოვა და მალულად მოხარშა სამოვარში. იმედი ჰქონდა, რომ ამ დღეებში წითელი მელნით შეღებავდა. შტაბში, ფრონტის სარდლის მაგიდაზე იდგა წითელმელნიანი სამელნე, მაგრამ საჭირო იყო დროის შერჩევა და მარგოს იმედი ჰქონდა, რომ აღდგომამდე დარჩენილ ამ ორ კვირაში აუცილებლად მოახერხებდა ამას. მერე ორ ცალს დედ-მამის სახელზე გადააგორებდა მიწაზე. სულერთია სად, მათი საფლავები მაინც არ იცოდა სად იყო. ორს კი კოსტიას მიუძღვნიდა სააღდგომო საჩუქრად, ის მსროლელთა ბატალიონის მეთაური იყო და ახლა ალბათ ბერლინის დამცველების ზღუდეებს უტევდა. ოღონდ გადარჩეს, ოღონდ არაფერი ევნოს და ამ კვერცხებს, სააღდგომო კვერცხებს მაინც გადასცემს, თუნდაც დაგვიანებით. ახლა მთავარია, არ დამემტვრეს ისინი, — ფიქრობდა ქალიშვილი და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა საველე ჩანთაში ჩაწყობილ კვერცხებს. ბოლოს და ბოლოს, დღეს თუ არა, ხვალ ჩაცხრება ეს ქარბორბალა და მათ შეღებვასაც მოახერხებს.

**ის იყო ჟუკოვი და ჩუიკოვი ჩაის სმას მორჩნენ, მერე საათებს დახედეს, გარეთ გავიდნენ, რომ ერთბაშად იგრიალა ათასობით საარტილერიო დანადგარმა. იქვე, მიწურთან, ყმუოდნენ „კატიუშები“. მათმა ცეცხლმა ერთბაშად გაანათა იქაურობა. კიოდნენ ყუმბარმტყორცნები. მიწურის თავზე მიფრინავდნენ ჭურვები და თითქოს ეს არ კმაროდა, ჰაერიდან ცვიოდა ათასობით და ათიათასობით ბომბი.**

ინათა თუ არა, ბრძოლა უფრო გააფთრდა და გამძვინვარდა. აქამდე მიჩუმებული გერმანელთა საცეცხლე ბატარეები ახლა მთელი ძალით ამოქმედდნენ და ისეთი საპასუხო ცეცხლი გახსნეს ბლინდაჟებიდან, ცხვირის გამოყოფაც საშიში იყო.

— ბევრი დაჭრილია, ამხანაგო მეთაურო. საველე ჰოსპიტალი საქმეს ველარ აუდის, ფერშლებიც დაგვიხოცეს ამ ოხრებმა. იქნებ მოგვაშველოთ ვინმე, — ტელეფონით აცნობეს ზურგის სამსახურის უფროსს. იქვე გაისმა ბრძანებაც.

— შტაბის ის მებრძოლები, ვისაც გაქვთ ფერშლად მუშაობის გამოცდილება, ერთ რიგად მოეწყვეთ!.. — სამი ქალი და შვიდი მამაკაცი სმენაზე დადგა. მათ შორის მარგოც იყო.

ქვეითთა პირველ ასეულებს უკვე აეღოთ გერმანელების მიერ გაჭრილი ხუთრიგიანი სანგრებიდან პირველი ორი და ახლა მესამე სანგრამდე რვა-ათი მეტრი აშორებდა მოწინააღმდეგეებს. სანგრიდან თავის ამოყოფა აშკარა სიკვდილს უდრიდა. მარგომ ჯერ რამდენიმე დაჭრილი გამოიყვანა ბრძოლის უკანა ხაზიდან, მერე იმ იმედით, იქნებ კოსტიას გადავეყაროო, ხოხვით მიაღწია მისიანების მიერ დაკავებულ სანგრამდე, მაგრამ ის იყო, იქაურობისთვის თვალი უნდა მოევლო, რომ სულ რაღაც ორიოდ მეტრში მძიმე ბომბი აფეთქდა და თავზე იმდენი ქვა და ღორღი დააყარა, რომ ერთბაშად გაითიშა. როცა გონს მოეგო, უპირველესად ჩანთისკენ გააქანა ხელი, მოსინჯა — არა, კვერცხები გადარჩენილიყო. ეს კარგად ენიშნა. კვლავ კოსტიას ძებნას შეუდგა, თუმცა მალევე დარწმუნდა, რომ ამ ტყვიების წვიმაში ეს ამაო იყო და წამით ფიქრებს მისცა თავი.

— სამსონოვი, ცნობილი გვარია. შემთხვევით თავადური სისხლიც ხომ არ გირევიათ? — ჰკითხა კოსტიას.

— არა, რას ამბობთ, მე ხომ რუსი არა ვარ, ჩემი ნამდვილი გვარი სამსონაძეა. ჩემი წინაპარი მეფე არჩილს ჩამოჰყოლია საქართველოდან და შემდეგ პეტერბურგში დასახლებულა. არც ვიცი, მერამდენე თაობა ვარ, მაგრამ თუ ლენინგრადი ბლოკადას გადაურჩა, აუცილებლად გაჩვენებ წინაპრების მიმოწერას ქართულ ენაზეო, უთხრა ერთხელ ვაჟმა. ქალი ისე შეირხა, ვაჟმა იფიქრა, ვაითუ, ჩემი ქართველობა არ ესიამოვნაო, მაგრამ, როცა მის თვალებში სიხარულის ნაპერწკალი შენიშნა, დამშვიდდა და თხრობა განაგრძო. ქალი კი ერთბაშად აცახცახდა. მისკენ ხელი გაიწოდა და...

— იცი, მეც ქართველი ვარ, ქართველი, გესმის? — და ყელზე ჩამოეკიდა ვაჟკაცს. ეს არ იყო მხოლოდ შეყვარებულის ამბორი, — თავისიანის ნახვით გამოწვეული აღტყინების გამოხატვაც გახლდათ, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამძაფრებდა სიყვარულს, რომელიც იქ, იმწუთას, ერთი ნახვით დაიბადა. მართალია დიდი რომანისტი ალექსანდრე დიუმა, როცა ამბობს — სიყვარულს არა აქვს ხვალეო. ფრონტის ხაზზე კი მოვლენები ელვისუსწრაფესად იცვლებოდა — საბჭოთა არმიის მოწინავე ნაწილები 21 აპრილს ბერლინში შევიდნენ. ათი დღე და ღამე ქუჩებში მიმდინარეობდა ხელჩართული ბრძოლები. თითოეული სადარბაზოს, თითოეული სახლის აღება ათობით ადამიანის სიცოცხლედ უჯდებოდა გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც. 30 აპრილს კი რაიხსტაგს შეუტიეს 79-ე მსროლელი კორპუსის მებრძოლებმა. 14 საათსა და 25 წუთზე უფროსი ლეიტენანტის კონსტანტინე იაკობის ძე სამსონოვის ბატალიონი პირველი შეიჭრა რაიხსტაგის შენობაში (მარშალი ჟუკოვი, „მოგონებები“). წინა დღით კი გაერთიანებული ფრონტების სარდლობა რაიხსტაგზე დროშის აღმართვის საკითხს იხილავდა.

— უპრიანი იქნება, გლეხური წარმოშობის რუსმა ჯარისკაცმა აღმართოს ეს დროშა, — თქვა და დანარჩენებს გადახედა მარშალმა როკოსოვსკიმ.

— ჰო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსებთან ერთად ეს ომი სხვა ხალხებმაც მოიგეს და ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი ქართველია, — წყნარად ჩაილაპარაკა გენერალური შტაბის უფროსმა ანტონოვმა და თვალი თვალში გაუყარა ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალს ჟუკოვს.

— მართალი ბრძანდება მარშალი, რაიხსტაგზე დროშა რუსმა და ქართველმა ჯარისკაცებმა უნდა აღმართონ. გენერალ ტელეგინს ვთხოვთ, რამდენიმე ასეთი ორკაციანი ჯგუფი წარმოადგინოს.

ჟუკოვმა იცოდა, რომ რაიხსტაგის კიბეზე ასე იოლად არ გაატარებდნენ გერმანელები. პირველივე ცდაზე სამი წყვილი დახოცეს ფაშისტებმა. მერე სარდლობამ გადაწყვეტილება მიიღო და კიბის ორივე მხარეს მოაჯირები ცოცხალი ღობით ამოქოლეს და ამგვარად შეუქმნეს კორიდორი მედროშეებს, მაგრამ შენობაში დარჩენილი გერმანელები ისეთი გამეტებით ისროდნენ, რამდენიმე მედროშე კიდევ დაეცა. ასობით მათი მცველი შეეწირა ამ საქმეს რაიხსტაგის იმ დაწყევლილ კიბეზე. დასასრულ, ისევ კოსტია სამსონოვმა იმარჯვა, — მომყევითო, დასჭექა და ავტომატის ცეცხლით კიბეზე აიჭრა, არც ეგოროვი და ქანთარია გახლდნენ მშიშრები. მათაც მარჯვნივ და მარცხნივ გახსნეს ცეცხლი და რაიხსტაგის სახურავის ბაქანზე გააღწიეს. მათ ფეხდაფეხ მიჰყვა დაჭრილი ფოტოგრაფი, რომელმაც ეს ისტორიული სურათი გადაიღო. საღამოს 21 საათსა და 50 წუთზე სამეულმა რაიხსტაგზე აღმართა დროშა.

პატარა ჯგუფის მამაცი მებრძოლები ერთმანეთს ასწრებდნენ შენობისკენ მიმავალი გზის გარღვევას. „მათ შორის პირველები იყვნენ: კაპიტანი კ. სამსონოვი, უმცროსი სერჟანტი გ. ქანთარია და სერჟანტი მ. ეგოროვი. სწორედ მათ ხვდათ პატივი რაიხსტაგზე აღემართათ წითელი დროშა (საბჭოების ოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით გამოცემული კალენდარი. მოსკოვი, 1947 წ., ინგლისურ ენაზე). იქ კი, რაიხსტაგის პირველ სართულზე, იმ წუთებში, როცა უფროსი ლეიტენანტი სამსონოვი გააფთრებული მიარღვევდა მოწინააღმდეგის შემოტევას, ავტომატის ჯერით მოცელეს თეთრხალათიანი ფერშალი ქალი, რომელმაც ვიდრე გონს დაკარგავდა, ტყვიებისაგან დაცხრილული მარჯვენით საველე ჩანთაში კვერცხები მოსინჯა — ხომ არ დაიმტვრაო. კვერცხები მთელი იყო. წუთიც და მარგოს სისხლით შეიღება ისინი, მაგრამ თვითონ მარგო აღარ იყო ამქვეყნად.

**— სამსონოვი, ცნობილი გვარია. შემთხვევით თავადური სისხლიც ხომ არ გირევიათ? — ჰკითხა კოსტიას. — არა, რას ამბობთ, მე ხომ რუსი არა ვარ, ჩემი ნამდვილი გვარი სამსონაძეა. ჩემი წინაპარი მეფე არჩილს ჩამოჰყოლია საქართველოდან და შემდეგ პეტერბურგში დასახლებულა.**

P.S. ამ მოთხრობის იდეა ბატონ ჯოლბორდ თხელიძეს, უაღრესად წიგნიერ და განათლებულ ადამიანს ეკუთვნის. მასალებიც მანვე მოგვაწოდა, რისთვისაც ავტორი მადლობას უხდის.

**ვაჟა გავაშელი**

# თითქოს ვინმე ჩვენგან ფეხმძიმედ იყოს და გვეხვეწებოდნენ, გინდა თუ არა, ცოლად უნდა მოიყვანოო

„როგორ შევეყრები მე ჩემს პრეზიდენტს და როგორ შემეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს პრეზიდენტს ახალს და რას მეტყვის იგი მე?!" — ილიას სიტყვების ამგვარი ინტერპრეტირებული ვარიანტი ზურაბ ჟვანიას ამჟამინდელი მდგომარეობისთვის პირდაპირ ზედგამოჭრილია. მთელი პოლიტიკური ბომონდი სულთქვაშეკრული ელოდება, როდის შეხვდებიან ერთმანეთს შევარდნაძე და ჟვანია და როდის შედგება მათ შორის საუბარი, რომელმაც არსებითად „მოქალაქეთა კავშირის" ბედი უნდა გადაწყვიტოს. არადა, არ დაადგა საშველი ამ „რანდევუს". შევარდნაძე და ჟვანია ერთმანეთს გზაში სცდებიან — სანამ სტრასბურგიდან დაბრუნებული ბატონი ზურაბი თბილისში აკლიმატიზაციას გაივლიდა, შევარდნაძე უკვე თურქეთში იყო. თუმცა ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ საქართველოს „ფესვმაგარი" პრეზიდენტი განგებ არიდებს თავს ჟვანიასთან შეხვედრას. ამასობაში კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება. ახლოვდება „მოქალაქეთა კავშირის" პარტიის ყრილობაც, რომლის ჩატარებასაც 15 მაისამდე გეგმავენ პარტიის წარმომადგენლები.



ექსმმართველი პარტია მეტისმეტად დაბნეულია. მამალაძის და ჟვანიას ცხვრები ერთად რომ ველარ მოძოვენ, ამას ერთხმად აცხადებენ როგორც ერთი, ისე მეორე ე.წ. ფრთის თუ ფლანგის წარმომადგენლები. ერთ-ერთმა პარტია უნდა დატოვოს. სავარაუდოდ, ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს, ვის დარჩება „მოქალაქეთა კავშირი". საბოლოო სიტყვა პრეზიდენტზეა.

„წინასაგანაჩენო" განწყობას არ „იმჩნევენ" არც „ლევანისტები" და არც „ზურაბისტები". ფრაქცია „ალიანსი — ახალი საქართველოსთვის" ლიდერი **ირაკლი გოგავა** აცხადებს, რომ ისინი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ როგორც ამომრჩევლები.

— „მოქალაქეთა კავშირის" სახელით არც ერთ ჯგუფს, არც იურიდიულად და არც მორალურად, არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ელემენტარულად — ვინ უნდა შექმნას საარჩევნო სია თბილისის არჩევნებში? ამისი უფლებამოსილება არც ერთ მხარეს არ აქვს. ყრილობის გარეშე ასეთ სიას ვერავინ გააკეთებს.

— **ყრილობა როდის ჩატარდება?**

— შეთანხმებისამებრ 15 მაისამდე უნდა გაიმართოს, მაგრამ ზოგ-ზოგიერთები, ჯერჯერობით, კულუარული და კაბინეტური შეხვედრების მეშვეობით ცდილობენ თავიანთი პოზიციების გარკვევას.

— **ანუ შეიძლება, რომ ყრილობა ჩაიშალოს?**

— არა, ყრილობა არ ჩაიშლება. მას აუცილებლად ჩავატარებთ, მაგრამ... გამორიცხული არ არის, ყრილობამდე „მოქალაქეთა კავშირის" საორგანიზაციო კომიტეტმა პარტია დატოვოს.

— **ე.ი. ჟვანიას გუნდმა?**

— დიახ, პრეზიდენტი შევარდნაძე არ დაუშვებს, რომ საკუთარი პარტია ოპოზიციაში ჩაუდგეს. ასეთ შემთხვევაში ჟვანია დატოვებს „მოქალაქეთა კავშირს" და ალბათ საკუთარ პოლიტიკურ გაერთიანებას შექმნის. ეს საკითხი უახლოეს ხანში გადაწყდება.

— **მაგრამ, თუკი თქვენი იმედები არ გამართლდება და ჟვანია არ დატოვებს „მოქალაქეთა კავშირს"?**

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ თავად შევარდნაძე დატოვებს პარტიას?

— **არც ეგ არის გამორიცხული, მით უმეტეს, რომ ამაზე მინიშნება პრეზიდენტმა უკვე გააკეთა.**

— არა მგონია, ასე მოხდეს. იმიტომ, რომ „მოქალაქეთა კავშირის" წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს იმას, რომ პარტია არ იყოს ოპოზიციაში და კვლავ წარმოადგენდეს სახელმწიფოს მხარდამჭერ ძალას. ჩვენ გვაქვს, აგრეთვე, ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერები. დასანანია, რომ ჩვენს ჯგუფებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. დღევანდელი „მოქალაქეთა კავშირი" არასტაბილურობას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე სტაბილურობას. ამაზე გავლენა ჟვანიას გარემოცვის ზოგიერთმა წარმომადგენელმა მოახდინა, რომლებსაც სუბიექტური ფაქტორიდან გამომდინარე, შევარდნაძე პათოლოგიურად ეზიზღებათ.

— **არავინ იცის, რითი დასრულდება შევარდნაძის და ჟვანიას შეხვედრა. როგორც ამბობენ, არ არის გამორიცხული, შევარდნაძემ ფსონი სწორედ ჟვანიაზე დადოს და არა მამალაძეზე.**

— შევარდნაძემ შეიძლება შეაჩეროს არჩევანი იმაზე, თუ ვის დარჩება „მოქალაქეთა კავშირი" — ჟვანიას თუ თავად შევარდნაძეს. აქ მამალაძე არაფერ შუაშია; ხოლო თუ ყრილობა გადაწყვეტს, რომ პარტია მხარს უჭერს შევარდნაძეს, არა მგონია, ბატონი ზურაბი და მისი გარემოცვა ისევ პარტიაში დარჩეს.



რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას და მის გარემოცვას, ისინი არჩევნებისთვის ემზადებიან და დაბნეულობას არ იმჩნევენ. პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა **ვასილ მაღლაფერიძემ** ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ჟვანიას გუნდის მონაწილეობის ფაქტი დაგვიდასტურა.

— ჩვენ აქტიურად ვემზადებით როგორც თბილისის, ისე საქართველოს დანარჩენ რეგიონებში დანიშნული ადგილობრივი არჩევნებისთვის.

— **ირაკლი გოგავა აცხადებს, რომ არჩევნებში მონაწილეობის მორალური უფლება არც ერთ მხარეს არ აქვს.**

— საქართველოში სიტყვის და აზრის თავისუფლებაა და შეიძლება მას ასე ჰგონია. ასე რომ, სრული უფლება აქვს, რაც უნდა, ის ილაპარაკოს, მაგრამ პარტიას ჰყავს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც თვითონ წყვეტს, რა გააკეთოს და რომლის წევრიც გოგავა ნამდვილად არ გახლავთ.

— **ყველაფერს ალბათ მაინც შევარდნაძე-ჟვანიას შეხვედრა გადაწყვეტს.**

— არა მგონია, ამ შეხვედრამ რაიმე შეცვალოს. უბრალოდ, პრინციპული საკითხები უნდა გაირკვეს. თუ პრეზიდენტი იტყვის, რომ ეს პარტია მისთვის მნიშვნელოვანია და სურს ისევ უხელმძღვანელოს, მაშინ პარტიას ჩვენ დავტოვებთ. ჩვენთვის პარტიის სახელს მნიშვნელობა არა აქვს. კი, ბატონო, „მოქკავშირიდან" წავალთ და სხვა სახელს დავირქმევთ.

— **თუ არსებობს თუნდაც ერთი პროცენტი შანსი იმისა, რომ არჩევნებში მამალაძის ფრთასთან ერთად მიიღოთ მონაწილეობა?**

— ერთი კი არა, 0,1 პროცენტიც არ არსებობს. სიმართლე გითხრათ, ისეთი სიტუაციაა, თითქოს ვინმე ჩვენგან ფეხმძიმედ იყოს და გვეხვეწებოდნენ, გინდა თუ არა, ცოლად უნდა მოიყვანოო. არ გვინდა, ბატონო! გაგვანებონ თავი! მათთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით ან ამ სახელით, ან სხვა სახელით, ოღონდ სხვაგან. მამალაძეს და მის გუნდს ჩვენთან საერთო არაფერი აქვთ.

— **პარტიის ყრილობას, ცხადია, მამალაძის გუნდის წევრებიც დაესწრებიან. რაიმე ინციდენტს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

— ვერ გავიგე, რატომ უნდა მოვიდნენ ან მამალაძე, ან გოგავა. მეორეც, ყრილობა მუშტიკრივისთვის არ იმართება. იქ სერიოზული საკითხები უნდა გადაწყდეს.

— **ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რატომ იბრძვით ასე თავგამოდებით დისკრედიტებული „მოქალაქეთა კავშირის" შესანარჩუნებლად?**

— სავსებით გეთანხმებით. სხვებმა მხოლოდ მას შემდეგ დატოვეს „მოქალაქეთა კავშირი", რაც კარგად ჩაპუტკუნდნენ და ამ პარტიის მეშვეობით გვარიანად მოითბეს ხელი. ჩვენ კი ბოლომდე ვიყავით და გარკვეულ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით. ახლაც არავის არაფერს ვედავებით. კი, ბატონო, თუ პრეზიდენტს მაინცდამაინც ეს პარტია უნდა, ღმერთმა შეარგოს. ჩვენ ჩვენს გზას მოვნახავთ.

— **ე.ი. უარს იტყვით პარტიის ქონებაზე, მის ავლადიდებაზე და ისე წახვალთ, „წილს" მაინც არ მოითხოვთ?**

— მინდა გითხრათ, რომ ამჟამად პარტიაში ერთი შაურის ქონებაც კი არ მოიპოვება.

— **როდის აქეთ გალატაკდა „მოქალაქეთა კავშირი"?**

— მერწმუნეთ, მე იქ ქონების მსგავსი არაფერი მინახავს. ვალები — იცოცხლე!

— **რა ვალები?**

— რა ვიცი, ქვეყნის ვალი გვქონდა, ზოგი ოფისის, ზოგიც სხვა რაღაც-რაღაცების...

— **ბატონო ვასიკო, რატომ ჭიანურდება შევარდნაძე-ჟვანიას შეხვედრა. გოგავა ამბობს, შევარდნაძე განგებ აჭიანურებსო...**

— მგონი, გოგავა თავს უხერხულ მდგომარეობაში იგდებს, როცა ასეთ რაღაცებს ამბობს. ე.ი. მან თურმე ისიც იცის, თუ რა უდევს გულში პრეზიდენტს. ეს უკვე სასაცილოა.

— **მაშ, რა ხდება რეალურად? რატომ არ ხერხდება ეს შეხვედრა?**

— რა იცით, იქნებ შეხვდნენ კიდეც. მაინცდამაინც ჰაერში ბუშტები უნდა აეშვათ?

— **ე.ი. საიდუმლოდ შეხვდნენ?**

— არა, მე არ ვიცი, მაგრამ ვამბობ — შეიძლება უკვე შეხვდნენ კიდეც-მეთქი.

— **დასასრულ, შევარდნაძე დაესწრება თუ არა პარტიის ყრილობას?**

— ვერ გეტყვით, პრეზიდენტის პროგნოზირება ძალიან ძნელია.

P.S. ერთი სიტყვით, „მოქალაქეთა კავშირის" და მასში შემავალი ჯგუფების თუ პირების ბედი უახლოეს ხანში პარტიის ყრილობაზე უნდა გადაწყდეს. თუმცა, როგორც ამბობენ, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია — ჟვანია თავის გუნდთან ერთად „მოქალაქეთა კავშირს" დატოვებს და ახალ პოლიტიკურ პარტიას შექმნის. უბრალოდ, ყრილობაზე ეს ამბავი ოფიციალურად გაფორმდება.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# ქართული გვარ-სახელიანი „ბუგატი" საერთაშორისო ავტოსალონს იპყრობს



მის გამოშვებას „ფოლკსვაგენი" მომავალი წლიდან გეგმავს

ამას წინათ, ინტერნეტში ერთ საინტერესო ცნობას წავაწყდი — „ფოლკსვაგენის" ვებგვერდი იუწყებოდა, რომ მის კონცერნში შემავალი ერთ-ერთი პრესტიჟული ფირმის „ბუგატის" მიერ ახალი მოდელის შექმნაზე გამოცხადებული კონკურსი ვინმე ზვიად ციკოლიას გამარჯვებით დასრულდა. იქვე მითითებული იყო, რომ ამ კონკურსში 3000-მდე დიზაინერმა მიიღო მონაწილეობა და მისი დიდი მნიშვნელობის გამო, გამარჯვებული დიზაინერის, ზვიად ციკოლიას მოდელს უკვე მომავალ წელს თავად „ფოლკსვაგენის" ლეგენდარული ფერდინანდ პიხი წარუდგენს მსოფლიო საზოგადოებას (ეს უკანასკნელი დიდი ფერდინანდ პორშეს შვილთაშვილი გახლავთ და „ფოლკსვაგენის" დღევანდელი სახე სწორედ მისი დამსახურებაა). მსოფლიო ავტოწარმოებაში არსებული უდიდესი კონკურენციის გამო, ავტომობილის დიზაინს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხზე მთელი ინფრასტრუქტურები მუშაობენ და ახალი მოდელის შექმნაზე მილიონობით დოლარი იხარჯება. „ბუგატი" ძვირად ღირებულ, პრესტიჟულ სუპერავტომობილებს განეკუთვნება და მსოფლიო ავტობაზარზე „პორშეს", „ლოტუსსა" და „ფერარის" უწევს კონკურენციას. ამ ფონზე აშკარად ქართული გვარ-სახელის მქონე დიზაინერის გამარჯვება ცოტა არ იყოს, დაუჯერებელი ჩანდა და თავიდან გადავწყვიტე, რომ საუკეთესო შემთხვევაში ემიგრაციაში გაზრდილი ქართველი იქნებოდა. ყოველი შემთხვევისთვის, თბილისში მისი მოძებნა მაინც ვცადე... ჩემდა გასაოცრად, ზვიად ციკოლია თბილისელი აღმოჩნდა — ის ოჯახთან ერთად ხილიანზე, ჩვეულებრივი კორპუსის ერთ ჩვეულებრივ ბინაში ცხოვრობს და არაჩვეულებრივ, მსოფლიო დონის მოდელებს ქმნის...

— თბილისის სამხატვრო აკადემია დავამთავრე, საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინის განხრით. ადრეული ბავშობიდან მქონდა გატაცება — მანქანები მაინტერესებდა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში, სატრანსპორტო ლაბორატორიაში დავდიოდი. აკადემიაში სატრანსპორტო დიზაინის განხრა რომ ყოფილიყო, იქ ჩავაბარებდი. მაგრამ ამას ჩემთვის ხელი დიდად არ შეუშლია. თუ კაცს რამე გაინტერესებს, აკადემიების და უნივერსიტეტების გარეშეც ისწავლი...

— **„ფოლკსვაგენთან" კავშირი როგორ დაამყარე?**

— ეს ჯერ კიდევ 1997 წელს მოხდა, როდესაც ფრანკფურტის ავტოსალონზე „ბუგატის" ჩემი პირველი მოდელი გამოვფინე. მაშინ ბევრი კონცერნი დაინტერესდა.

— **საერთაშორისო ავტოსალონში მონაწილეობა დიდ თანხებს უკავშირდება. ალბათ, მოდელის გამოფენაში ეკონომიაც იგულისხმება...**

— არა. ჩვეულებრივი მოდელი — 1:1-ზე მასშტაბით. ფინანსურად, მის შექმნასა და პავილიონის დაქირავებაში ფინანსურმა ჯგუფმა „ქართუმ" გამიწია დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფართის დაქირავებას ნამდვილად ვერ გავწვდებოდი. ტრანსპორტირებაც ცალკე პრობლემა იყო.

— **„ბუგატის" ქართული მოდელი?..**

— იმ პერიოდში „ეარ ჯორჯიაში" ვმუშაობდი დიზაინერად. ყველანაირად ხელს მიწყობდნენ და ფრანკფურტის ავტოსალონში მონაწილეობა რომ გადავწყვიტე, მოდელის ტრანსპორტირებაშიც მათ ვთხოვე დახმარება. უარი არ უთქვამთ — სარეისო თვითმფრინავის საბარგულში რაც ჩაეტევა, წავიღებთო. გაგეცინებათ, მაგრამ მოდელის შექმნა აეროპორტიდან დავიწყე — სამგზავრო თვითმფრინავის საბარგული ავზომე და მოდელი ისე დავაპროექტე, რომ ზუსტად მის პარამეტრებში ჩატეულიყო. მაგრამ თავგადასავლები ამით არ დასრულებულა... კიდევ კარგი, ფრანკფურტში ჩემი ბავშვობის მეგობარი დამხვდა. ავტოსალონზე საშინელი სიურპრიზი მელოდა — აეროპორტიდან ჩემი მოდელის მხოლოდ ნარჩენები მოიტანეს. როგორც ჩანს, ჩამოტვირთვის დროს ჩვეულებრივ ტვირთად გაფორმებულ „ბუგატის" მოდელს სათანადო ყურადღება არ მიაქციეს და მთლიანად დალეწილი იყო... წარმოიდგინეთ პრესტიჟული ავტოსალონის დარბაზი. ჩემს მარჯვნივ „ლოტუსია" განთავსებული, მარცხნივ „ლამბორგინი", პირდაპირ კი „ბრაბუსი". ჭკუაზე არ არიან — საგანგებოდ გაწვრთნილ სპეციალისტებს თეთრი ხელთათმანები ეცვიათ და ზუზუნებივით ბუმბულებით თავ-თავის კონცეფცი-მანქანებს აპრიალებენ. ამ დროს ჩხარუნით მოაქვთ „ციკოლიას დიზაინის" დამტვრეულ-დაფხრეწილი მოდელი და „ლოტუსსა" და „ლამბორგინის" შორის დებენ... თუმცა, მაშინ გარემომოყოლმა რეაქციამ ფიქრის დრო და თავი აღარ მქონდა. ჯერ თბილისში დავიტანჯე მისი აწყობით — ხან რა გამოტყვრებოდა, ხან — რა. გერმანიაში დალეწილი მოდელი რომ დავინახე, ლამის სისხლი ჩამექცა თავში... მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია. მე და ჩემი მეგობარი მაშინვე ქალაქში გავვარდით, ერთ საათში საჭირო მასალა ვიყიდეთ და მუშაობას შევუდექით. იმ საღამოს, წასვლის წინ ზრდილობიანი ევროპელები მოდიოდნენ და მთელი სერიოზულობით მისამძიმრებდნენ მოდელის „დაღუპვას". ალბათ, ამანაც იმოქმედა — მე და ჩემმა მეგობრებმა „თავი გავიგიჟეთ" და ავტოსალონის მონაწილე ელიტური საზოგადოება კიდევ ერთხელ გაოცდა, როდესაც დილით, პავილიონში მოსულებს ჩემი „გაცოცხლებული" მოდელი დახვდათ...

— **„ციკოლიას დიზაინით" შექრულებული „ბუგატის" პირველი მოდელის პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა?**

— საკმაოდ დიდი წარმატებით. გამოფენაზე პრესტიჟული მოდელების სამყაროში ცნობილი ავტომშენებელი, რომანო არტიოლი იმყოფებოდა. სწორედ მან აღორძინა „ბუგატის" ფირმა, შემდეგ კი „ლოტუსი" შეიძინა და იქ აპირებდა მის გამოშვებას. ჩემი მოდელი ძალიან მოეწონა. არა მხოლოდ საქმიანი, მეგობრული ურთიერთობაც იოლად დავამყარეთ და ქართულადაც კი ვიქეიფეთ. მაშინ სხვა ცნობილმა ფირმებმაც გამოთქვეს ჩემთან თანამშრომლობის სურვილი. ერთი მათგანი დიზაინის თავისებური გადაწყვეტით დაინტერესდა — ჩემმა ახსნა-განმარტებამ — ეს თვითმფრინავის საბარგულთან შეთავსების გამო მოხდა-მეთქი, საყოველთაო აჟიოტაჟი გამოიწვია.

(გაგრძელება იხ. გვ. 33)



# ახალი სკანდალი კალაძეების ირგვლივ —

## ახლო ნათესავი კალაძეებს ფულს სძალავდა?!

ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის გატაცებული ძმის, ლევან კალაძის ირგვლივ ახალი სკანდალი აგორდა. კალაძეების ოჯახი გენერალურ პროკურატურაში უჩივის ტელეარხ „საქართველოს ხმის" გენერალურ დირექტორს ავთანდილ ხუნდაძეს და კალაძეების ოჯახის ახლო ნათესავს ჯემალ ლეჟავას. საჩივარში აღნიშნულია, რომ ამ პიროვნებებმა ლევან კალაძის გასათავისუფლებლად ფეხბურთელის ოჯახს ფული გამოსძალეს. ამჟამად შესაბამისი მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და კალაძეების „გულშემატკივრებს" სერიოზული პატიმრობა ემუქრებათ.

თავის მხრივ, ხუნდაძის ადვოკატმა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გენერალურ პროკურორს საპასუხო საჩივრით მიმართა. იგი თანხის გამოძალვას უარყოფს. გარდა ამისა, როგორც ადვოკატი ძაგუა განმარტავს, ხუნდაძე ადვოკატის გარეშე დაიკითხა. ექვმიტანილი პროტესტს გამოთქვამს — თანხა გადაეცა კალაძეების მკვიდრ ნათესავს, აქედან გამომდინარე, ეს ფაქტი კრიმინალად ვერ ჩაითვლებაო. ამავე ინფორმაციით, ხუნდაძე შს სამინისტროს იზოლატორში თანამშრომლებმა სცემეს, რის შემდეგაც გამოაცხადა შიმშილი.

„კვირის პალიტრა" ესაუბრა **ლევან კალაძის** მამას, კარლო კალაძეს, რომელიც გადაჭრით აცხადებს, რომ ხუნდაძე და ლეჟავა თაღლითები არიან და მათ ლევან კალაძის ადგილსამყოფელი იციან.

**— ბატონო კარლო, დღევანდელი მონაცემებით, რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენს შვილთან დაკავშირებით. სამართალდამცავებს კვალისთვის ხომ არ მიუგნიათ?**

— ისევ ეძებენ. შეიძლება ამ დღეებშიც გაათავისუფლონ. არის გარკვეული ინფორმაციები, რომელსაც მეც არ მეუბნებიან. ვიცი, რომ ინტენსიურად მუშაობენ ლევანის გასათავისუფლებლად.

**— ბატონო კარლო, მართალია, რომ თქვენ გენერალურ პროკურატურაში უჩივით ვინმე ავთანდილ ხუნდაძეს, რომელმაც ფული გამოგძალათ შვილის გათავისუფლების მოტივით?**

— სამი ათას რვაასი დოლარი აქვს წაღებული ჩემგან. შემპირდნენ, შვილს მოგიყვანთო და თუ თანხას არ მოგვცემ, შეიძლება მოკლანო. ისე, გულახდილად გითხრათ, არ მინდა მაგ აფერისტზე საუბარი. მოვუგებ სასამართლო პროცესს ისე, როგორც წესია. ახლა ამბობს, არ გამომირთმევიაო. მარტო ეგ კი არ არის, მეორეა კიდევ დაპატიმრებული — ჯემალ ლეჟავა.

**— როგორ დაგიკავშირდნენ თავიდან და რატომ ენდეთ?**

— მე მაგათთვის საერთოდ არ მითხოვია დახმარება. თვითონ მოვიდნენ და დამპირდნენ, რომ მაპოვნინებდნენ შვილს. თითქოს კახამ სთხოვა დახმარება მაგათ, ეს ტყუილი აღმოჩნდა. გაფუჭებულზე გაფუჭებული ადამიანია. ლაპარაკი და გარეგნობა ისეთი აქვს, ერთი საცოდავი კაცი გეგონებათ.

**— თვითონ ხუნდაძე ამბობს, რომ თანხა მას კი არა, თქვენს ნათესავს, ჯემალ ლეჟავას გადაეცით...**

— 2000 დოლარი გამომართვეს მაგან და ჯემალ ლეჟავამ, დანარჩენი კი ხუნდაძის დავალებით წაიღო ჯემალმა. იცით, რა აფერისტები არიან?! ყველაფერი იციან მაგათ, ვის ჰყავს ჩემი შვილი წაყვანილი, სად არის. ჯერ კიდევ არ მინდა ყველაფრის ლაპარაკი და ბავშვს რომ გაათავისუფლებენ, მერე დაწვრილებით მოვყვები ყველაფერს. ისეთ რამეს მოისმენთ, თმა ყალყზე დაგიდგებათ.

**(გაგრძელება იხ. გვ 13)**

# რა ჩამოიტანეს „ახლებმა" ამერიკიდან?..

*„ახალი მემარჯვენეების" ამერიკული ვოიაჟი, რომელსაც ბოროტი ენები მოქალაქე-რეფორმატორების მიბაძვად მიიჩნევდნენ, დასრულდა. ვიზიტი ვიზიტად, მაგრამ საინტერესოა, რა ჩამოიტანეს ოკეანეს გაღმა ქვეყნიდან „ახლებმა". ამ საკითხზე ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარეს* ***დავით გამყრელიძეს*** *ვესაუბრეთ:*

— ამერიკაში ჩვენი ვიზიტი კოდორ-



ში მიმდინარე პროცესებს დაემთხვა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო გაეროს და მეგობარი ქვეყნების პოზიცია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკის მისიამ დემარშის მეთოდს მიმართა — წერილობით გადასცეს თავიანთი პროტესტი რუსებს კოდორში მიმდინარე პროცესების გამო. შევხვდით საფრანგეთის მისიის ხელმძღვანელობას, რომელიც არის კოორდინატორი იმ მეგობარი ქვეყნებისა, რომლებიც ეხმარებიან გაეროს გენერალურ მდივანს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში. აფხაზეთი მათ მხოლოდ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში წარმოუდგენიათ. რუსებისათვის ყველაზე მტკივნეული ე.წ. „ბოდენის" დოკუმენტია, რომელიც აფხაზეთის დაბრუნების საკითხს ეხება. გაეროში აფხაზეთის აღორძინების პროგრამა დევს, რომელიც კონკრეტულად ეხება ლტოლვილებს და იქ დარჩენილ მოსახლეობას. დღეს ყველაზე დიდია შანსი, რომ ეს პოლიტიკური საკითხი მოგვარდეს. აფხაზეთის აღორძინებისათვის ათეული მილიონობით დოლარის გამოყოფაა ნავარაუდევი.

**— რუსული ფაქტორი არ დომინირებდა საქართველოს საკითხებზე მსჯელობისას?**

— რა თქმა უნდა, რუსეთი შემაკავებელი და ხელის შემშლელი ფაქტორია, მაგრამ დღეს ამერიკელები უკვე დაუფარავად საუბრობენ საქართველოს ინტერესებზე. რა თქმა უნდა, რუსებს გაეროში ანგარიშს უწევენ, მაგრამ იქვე მიუთითებენ, რომ დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადახედვა. ეს იმდენად მყარი თვალსაზრისია დღეს მსოფლიოში და იმდენი ძლიერი მეგობარი გვყავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის სახელმწიფოების სახით, რომ საქართველოს პოზიცია დღეს ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო. ჩვენს ქვეყანას ვაშინგტონშიც დიდი ავტორიტეტი აქვს. განგვიხილავენ როგორც ერთ-ერთ დამოუკიდებელ და პერსპექტიულ სახელმწიფოს. შეიძლება ამ ბოლო დროს ბევრჯერ ითქვა, მაგრამ მაინც უნდა გავიმეორო — ამერიკისათვის საქართველო არის სერიოზული პარტნიორი არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც.

თეთრ სახლში, პენტაგონში, სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც კი გვქონდა საქმიანი შეხვედრები, ყველგან ჩანდა, რომ ამერიკელებს საქართველოზე ყველაფერი აინტერესებთ — რამდენად ძლიერია აქ რუსული ფაქტორის გავლენა, აინტერესებთ რა ხდება კოდორში, რა პრობლემებია აფხაზეთში. დაინტერესდნენ ეკონომიკური პრობლემებითა და კორუფციის ფაქტორითაც.

**— კონკრეტული დახმარების გაწევის შესახებ თუ იყო საუბარი?**

— მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა პენტაგონში, მით უმეტეს, რომ გამოცხადდა ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება საქართველოსთვის სამხედრო დახმარების პროგრამის დაწყების თაობაზე. იქ ჩვენ იმის ახსნაც გვიწევდა, რომ ამ პროგრამის დაწყება საშური საქმე იყო, რადგან დახმარების შესახებ განცხადებასა და მის რეალურ აღსრულებას შორის პერიოდმა ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს არაერთი პროვოკაციის დაგეგმვის საშუალება მისცა.

ამერიკაში ვიზიტისას არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საჭიროა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაც, რაც ქვეყანას დაბალანსირებული პრინციპებით განვითარების საშუალებას მისცემს. ეს თვალსაზრისი სრულიად გაიზიარეს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და კონგრესის წარმომადგენლებმა. ისინი მზად არიან ყველა მიმართულებით გაუწიონ აქტიური დახმარება საქართველოს, მთავარია, ჩვენ ვიყოთ ამისათვის მზად და გააზრებული გვქონდეს, რომ ეს ნამდვილად სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

**— კონკრეტულად, რა ოდენობის დახმარებას გვთავაზობენ?**

— კონკრეტული ციფრის გამხელა ამერიკელების კომპეტენციაა. თუმცა გეტყვით იმას, რომ სამხედრო სფეროში დაგეგმილი დახმარების რაოდენობა გაცილებით სჭარბობს იმ თანხას, რაც ჩვენი ბიუჯეტიდან აქვთ გამოყოფილი სამხედრო და თავდაცვის ინსტიტუტებს.

გამგზავრებამდე წინასწარ გვქონდა განსაზღვრული, რომ შინაური პრობლემები, შინადაპირისპირება არ მიგვეტანა ამერიკელებამდე. სამწუხაროდ, ადრე იქ ნამყოფი ზოგიერთ ჩვენს თანამემამულესავით არავინ „ჩაგვიშვია". არ გვითქვამს სხვებივით — ის ცუდი კაცია და უნდა მოვიცილოთ, ან კიდევ, ესა და ეს სტრუქტურა უვარგისიაო... ეს ჩვენი ქვეყნის შინაპრობლემებია.

პენტაგონში შეხვედრისას წამოვჭერით სამხედრო განათლების საკითხიც. საჯაროდ გავახმაურეთ ჩვენი სურვილი საქართველოში ისეთი სამხედრო აკადემიის ჩამოყალიბებისა, რომელიც დააკმაყოფილებს ამერიკულ სტანდარტებს, რეგიონის საჭიროებას და რომელიც არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის, არამედ მთელი ცენტრალური აზიისთვისაც ოფიცერთა კადრების სამჭედლო იქნება.

**— ამერიკაში როგორ აღიქვეს თბილისში მომხდარი მიწისძვრა?**

— ეს ამბავი სწრაფად გახმაურდა. ამის შემდეგ ყველა შეხვედრას ამ თემით ვიწყებდით. ჩვენი ინფორმაციით, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აქტიურად განიხილავს საკითხს საქართველოსთვის დახმარების გაწევის შესახებ.

**— ბოლო დროს პრეზიდენტი საკუთარ პარტიას შემოსწყრა. კულუარებში ამბობენ, შესაძლოა „ახლებმა" შევარდნაძე თავიანთ პარტიაში მიიწვიონო.**

— ვფიქრობ, დღეს პრეზიდენტი არ უნდა ფიქრობდეს პარტიიდან პარტიაში გადანაცვლებაზე. ის ან დამოუკიდებლად იქნება, ან ნომინალურად მაინც დარჩება „მოქკავშირში". დღეს პრეზიდენტი ყველა პარტიაზე მაღლა დგას. უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, რაც ჩვენ ამერიკაში ჩავიტანეთ ისიც იყო, რომ საქართველოში დაიწყო პროცესი არაერთი პირის ირგვლივ პარტიების კონცენტრირებისა, არამედ კლასიკური დემოკრატიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პარტიების შენებისა.

***იზო რიკაძე***



# რას გვეტყვი, მამაო?

**— თუ შეიძლება გვაცნობეთ, რამდენი მართლმადიდებელია სულ დღევანდელ მსოფლიოში?**

— გთავაზობთ მართლმადიდებელი მრევლის რაოდენობრივ მაჩვენებლებს გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" (№23, 1999) მონაცემებით: მართლმადიდებელი მრევლის რიცხოვნობა მსოფლიოს მართლმადიდებლურ ეკლესიებში მართლმადიდებლურ გაზეთ OCA-ს („ამერიკის მართლმადიდებლური ეკლესია") მიხედვით: ეკლესიათა დასახელება — მრევლთა რიცხოვნება

რუსეთი — 100 000 000-დან 150 000 000-მდე
რუმინეთი — 20 000 000
საბერძნეთი — 9 000 000
სერბეთი — 8 000 000
ბულგარეთი — 8 000 000
კონსტანტინოპოლი — 4 500 000
საქართველო — 3 000 000
ანტიოქია — 250 000-დან 750 000-მდე
ალექსანდრია — 250 000-დან 750 000-მდე
იერუსალიმი — 250 000-დან 750 000-მდე
პოლონეთი — 570 000
კვიპროსი — 442 000
ალბანეთი — 160 000
ჩეხეთი — 55 000
სლოვაკეთი — 55 000
ფინეთი — 55 000
იაპონია — 25 000
ჩინეთი — 20 000
სინას მთა — 900

**— ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ გაგვარკვიოთ, როდის არის სინამდვილეში წმინდა გიორგის ხსენების დღე — 6 მაისს თუ 23 ნოემბერს?**

— მსოფლიო ქრისტიანული ეკლესია წმინდა დიდმოწამე გიორგის ხსენებას აღნიშნავს 23 აპრილს (6 მაისს ახალი სტილით), საქართველოში კი, გარდა ამ დღისა, მისი ხსენება წელიწადში კიდევ რამდენჯერმე იდღესასწაულება. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაული — 10 ნოემბერს (23 ნოემბერს ახალი სტილით) — თვით წმინდა ნინომ დააწესა, წმინდა გიორგის საგვემელ ურემის თვალზე ტანჯვათა მოსახსენებლად!

**— ჩემს ახლობელს სურს ჯვარი დაიწეროს გოგონაზე, რომელიც დედამისმა განბანა ნათლობის შემდეგ. ჩაეთვლება თუ არა მას ეს ცოდვად?**

— განბანის ფენომენი გაუგებარია ეკლესიური აზროვნებისთვის, რადგან განბანვა ხდება ნათლობის საიდუმლოს შესრულების დროს და მას ასრულებს მოძღვარი. როცა ხალხში დაიკარგა საეკლესიო ცნობიერება, ადამიანებმა შექმნეს საკუთარი საკულტო წესები, თითქოს ვინმე განბანს მონათლულ ადამიანს. ამდენად, განბანის თვალსაზრისით შეგიძლიათ არ ინერვიულოთ — ეს ადამიანი სულიერად არანაირად არ ენათესავება მისგან „განბანილ" მონათლულ ადამიანს.

**— მომეწონა გოგონა, რომელიც, როგორც გავარკვიე, ჩემი ნათლიის გვარისა ყოფილა, თუმცა, მათ გვარის მეტი არავითარი ნათესაური კავშირი არ გააჩნიათ. შემიძლია თუ არა, შევირთო ცოლად?**

— თუ მათ ნათესაური კავშირი არა აქვთ და ისიც პირდაპირი მუხლით, თქვენს ქორწინებას წინ არაფერი ეღობება.

**— ეთვლება თუ არა ფეხმძიმე ქალს ცოდვად, მარხვა რომ არ შეინახოს დიდმარხვაში?**

— სასურველია, რომ ფეხმძიმე ქალმა საკუთარ მოძღვართან შეათანხმოს ეს საკითხი.

**— არსებობს თუ არა თბილისში წმინდა ლუკას ეკლესია?**

— თბილისში არ არის წმინდა ლუკას ეკლესია.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***


# იზრუნეთ საკუთარი კუჭის ჯანმრთელობაზე!

## სიმძიმე კუჭის არეში?

## მუცლის შებერილობა?

## გულისრევის შეგრძნება?



ჩვენი პლანეტის ყოველი მესამე მცხოვრები პერიოდულად განიცდის ისეთ უსიამოვნო სიმპტომებს, როგორიცაა, სიმძიმე კუჭის არეში, მუცლის შებერილობა, გულისრევის შეგრძნება.

***რა არის მთავარი მიზეზი ამ არასასიამოვნო შეგრძნებებისა?***

ყველასათვის ცნობილია, რომ საკვების კარგად შეთვისებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კუჭის უნარი შეიკუმშოს რიტმულად და კოორდინირებულად, დააქუცმაცოს საკვები და გადაადგილოს იგი შემდგომი გადამუშავებისათვის.

ეხლა კი წარმოიდგინეთ სიტუაცია, როდესაც თქვენი კუჭი მოდუნებულია, მოფამფალებულია და "ზარმაცად" იკუმშება. საკვები ხანდახან ფერხდება კუჭში, რაც იწვევს - სიმძიმეს კუჭის არეში, მუცლის შებერილობას, გულისრევის შეგრძნებას.

***როგორ მოქმედებს მოტილიუმი?***

მოტილიუმი ახდენს კუჭის მოძრაობითი ფუნქციის ნორმალიზებას, უბრუნებს კუჭს ძალასა და ენერგიას, აღადგენს მისი მუშაობის ბუნებრივ რიტმს.

საჭმლის მონელების პროცესის ნორმალიზირებით, მოტილიუმი აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და გიბრუნებთ კარგ განწყობილებას.

ჩვეულებრივ პრეპარატებისაგან განსხვავებით, რომლებიც დროებით აუმჯობესებენ თქვენს მდგომარეობას, **მოტილიუმი** ხანგრძლივი დროით გაგათავისუფლებთ ამ უსიამოვნო სიმპტომებისაგან, მათი გამოვლინების ძირითადი მიზეზების აღმოფხვრით.

***როგორ უნდა მივიღოთ მოტილიუმი?***

მოტილიუმი მიიღება 1 ტაბლეტი 3-ჯერ დღეში 15-30 წთ-ით ადრე საჭმლის მიღებამდე. უკვე პირველი მიღებების შემდეგ მოტილიუმი იძლევა რეალურ შვებას.

თუ არასასიამოვნო შეგრძნებები კუჭში ჭამისა და ჭამის შემდეგ გაწუხებთ საკმაოდ ხშირად, მაშინ მოტილიუმის რეკომენდირებული კურსი შეადგენს 2-4 კვირას.

***მოტილიუმის ახალი ფორმა*** - ლინგვალური ტაბლეტები იდება ენაზე, რამოდენიმე წამის შემდეგ ტაბლეტი იხსნება და გადაიყლაპება ნერწყვთან ერთად და არ საჭიროებს წყლის მიყოლებას. ეს უკანასკნელი გარემოება მნიშვნელოვანია, რადგან ბევრ ადამიანში პირღებინების შეტევისას წყლის მიყოლება ან მისი დანახვაც კი იწვევს კვლავ გულისრევას.







## მოტილიუმი

### ენდეთ მხოლოდ ორიგინალურ პრეპარატებს

პრეპარატზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ
ტელ/ფაქსი: 94 13 39; ელ-ფოსტა: jan-cil@caucasus.net

„ჯონსონ ჯონსონის" კორპორაცია ფირმა „იანსენ-სილაგი"

# ავჭალის კოლონიაში კიდევ ერთი მკვლელობაა მოსალოდნელი?!



„კრიტში“ უფრო დაცული იქნება, ვიდრე ზონაში...

ავჭალის კოლონიაში, ე.წ. „წითელ ზონაში“ თვითნაკეთი ბომბის აფეთქების და აპრილის შუა რიცხვებში ერთ-ერთი პატიმრის ზურა გოგიბერაშვილის ცემით მოკვლის საიდუმლომ გაჟონა. უფრო მეტიც, არსებობს საშიშროება, რომ კოლონიაში შეიძლება ახალი მკვლელობა მოხდეს. ლაპარაკია ზურა გოგიბერაშვილის დაჯგუფების ერთ-ერთ წევრზე, ელდარ გოგბერაშვილზე, რომელიც უკავშირდება რამდენიმე წლის წინ „კანონიერი ქურდის“, ვინმე ცაგარეიშვილის მკვლელობას, არადა, ეს მკვლელობა, სარწმუნო ინფორმაციით, მხოლოდ ზურა გოგიბერაშვილმა ჩაიდინა. ციხეში დღემდე მოქმედებს დაუწერელი კანონი: ქურდის მკვლელი უნდა მოკვდეს. სისხლი, თუნდაც რიგითმა პატიმარმა აიღოს, ამის შემდეგ შავი სამყაროს ავტორიტეტი ხდება.

მოხდა უცნაური დამთხვევა: ზურა გოგიბერაშვილისა და ელდარ გოგბერაშვილის გვარები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. გარდა ამისა, ისინი ყოფილი მხედრიონელები და მეზობლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ზურა გოგიბერაშვილმა თავის დროზე ხმამაღლაც კი განაცხადა, რომ ქურდი მან მოკლა და ელდარ გოგბერაშვილი არაფერ შუაში იყო, შავ სამყაროში ორივენი მაინც ქურდის მკვლელებად შერაცხეს. თუმცა ციხეში სერიალებივით ერთმანეთს მიყოლებული ინციდენტები მხოლოდ ამ ვერსიის გამო არ მომხდარა. პატიმრები ლაპარაკობენ გავლენის სფეროების გადანაწილებაზეც, რომელიც ე.წ. ციხის ადმინისტრაციასთან დაახლოებულ დაჯგუფებასა (ბაბუნაშვილი) და ასე ვთქვათ, არაადმინისტრაციულ დაჯგუფებას (გოგბერაშვილი-გოგიბერაშვილი) შორის დღესაც არსებობს. მით უფრო, რომ „მაყურებლად“ დღესდღეობით, ისევ გოგბერაშვილი-გოგიბერაშვილის დაჯგუფების წევრი არჯევანიძე რჩება. გარდა ამისა, რომელიმე პატიმარს რომ ჰკითხოთ — ვინ აკონტროლებს ციხესო, მაშინვე გიპასუხებს, ადმინისტრაცია უძლურია და ციხე ხელში ქურდებს აქვთ აღებულიო.

ელდარ გოგბერაშვილმა დახმარებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარეს ნანა კაკაბაძეს მიმართა: — მაქვს ინფორმაცია, რომ „კრიტში“ ქურდები ვილაცის მოსყიდვას აპირებენ ჩემს მოსაკლავადო.

მაშ ასე, რა უძღოდა ყოველივე ამას წინ?

## პრეისტორია

**ნანა კაკაბაძე:** — ელდარ გოგბერაშვილი 1995 წელს „მხედრიონელი“ იყო. „მხედრიონის“ რეპრესიებში ისიც მოყვა და ბანდიტობისთვის 14 წელი მიუსაჯეს. აწ გარდაცვლილი ზურა გოგიბერაშვილიც „მხედრიონელი“ გახლდათ. ისინი იყვნენ მეზობლები, მეგობრობდნენ კიდეც და ორივე თითქმის ერთდროულად დააპატიმრეს. მოგეხსენებათ, ხონის კოლონიაში ყოფილი პოლიციის თანამშრომლებს ათავსებდნენ. რადგან გვარდია და „მხედრიონი“ გასამხედროებულად ითვლებოდა, ისინიც ხონის კოლონიაში მოათავსეს. ამ კოლონიაში ერთი მხრივ, გავლენის სფერო ხელში ეჭირა გოგბერაშვილი-გოგიბერაშვილის დაჯგუფებას, მეორე მხრივ, იყო მეორე დაჯგუფებაც, რომელიც, ელდარ გოგბერაშვილის თქმით, ადმინისტრაციას ამხედრებდა მათ წინააღმდეგ. კერძოდ, ითხრებოდა გვირაბები, იხერხებოდა „რეშოტკები“ და დეპარტამენტში მიდიოდა ინფორმაცია, რომ ყველაფერს გოგბერაშვილის ჯგუფი აკეთებდა. ეს ჯერ კიდევ მაშინ ხდებოდა, როცა დეპარტამენტის თავმჯდომარე მსხვილიძე იყო. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტის დროს მსხვილიძემ თბილისში, №5 იზოლატორში ხონიდან 16 კაცი გადმოიყვანა. ამ ხალხმა შეძლო უშუალოდ მსხვილიძესთან შეხვედრა, აუხსნეს მას საქმის ვითარება, წარუდგინეს შესაბამისი მტკიცებულებები და მსხვილიძემაც თექვსმეტივე ათ დღეში უკან დააბრუნა. ხონში მათ დახვდა ნასვამი პატიმრების დიდი ჯგუფი, რომლის წევრებმაც კიდევ ერთხელ მოინდომეს ანგარიში გაესწორებინათ „კანონიერი ქურდის“ მკვლელისთვის (მკვლელად ისინი ელდარ გოგბერაშვილს მიიჩნევდნენ). ამ შეხლა-შემოხლის დროს დაიჭრა გოგბერაშვილი, რომელიც „რესბალნიცაში“ მოათავსეს. ამ პერიოდში ხონის კოლონიიდან ე.წ. „წითელი ზონა“ (სადაც მოთავსებულნი იყვნენ მსჯავრდებულნი ძალოვანი სტრუქტურებიდან) გადმოვიდა ავჭალაში. შესაბამისად, „რესბალნიციდან“ ელდარ გოგბერაშვილიც ავჭალაში მოხვდა.

გოგბერაშვილი ავჭალის „კრიტში“ მოათავსეს. თუმცა, სარწმუნო ინფორმაციით, მას ქურდები სამჯერ დაესხნენ თავს. ამის შედეგად გოგბერაშვილს ორივე ლოყაზე ნაიარევი დარჩა. მისი თქმით, ერთხელ ყელიც გამოჭრეს და დააგდეს. ეგონათ, მოკვდა, თუმცა, სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. ამ ინფორმაციას გელა ნიკოლაიშვილიც („ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“) ადასტურებს და განმარტავს, ფიზიკურად ელდარ გოგბერაშვილი საკმაოდ ძლიერი პიროვნებააო. ამის შემდეგ ზურა გოგიბერაშვილი ხმამაღლა აცხადებს: „ის ქურდი ელდარმა კი არა, მე მოვკალიო“. ამით მას ელდარის გადარჩენა უნდოდა. მიუხედავად ამისა, ელდარ გოგბერაშვილი მაინც ცდილობდა, საქმის გარკვევა ქურდების მეშვეობით მომხდარიყო. მართლაც, მან ჩარია ერთ-ერთი ქურდი (მისი ვინაობის დადგენა ვერ შევძელით), რომელიც იცნობდა ცნობილ ქურდს დათო კაკულიას. დათო კაკულია სერიოზულად აპირებდა ამ საქმის გარჩევას, თუმცა მოულოდნელად შარშან, აგვისტოში იგი რუსეთში ჩაცხრილეს. პრაქტიკულად, საკითხი ღია რჩება. და ისიც ვერ ხერხდება, რომ ქურდებმა მას ქურდის მკვლელის ბრალდება მოუხსნან. ისინი „წითელ ზონაში“ იმყოფებიან და წესით, უფრო დაცულნი უნდა იყვნენ, მაგრამ ქურდები მაინც ახერხებენ, რომ ყოფილი თანამშრომლების მეშვეობით მათზე იერიში მიიტანონ და მკვლელობა შეუკვეთონ.

## ხონის კოლონიის „მაყურებელი“ ავჭალაში „ჩამოწერეს“?

**გელა ნიკოლაიშვილი:** — პატიმრებისგან გამოჟონილი ინფორმაციით, ხონის „მაყურებელი“ კახა ბაბუნაშვილი (იგი თავის დროზე ნაძალადევის რაიონის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსი იყო) ავჭალაში გადმოსვლიდან რამდენიმე თვეში გადააყენეს. ეს მოხდა შარშან შემოდგომაზე. ამბობენ, რომ ბაბუნაშვილი და მისი დაჯგუფება ნარკომაფიაში იყვნენ გარეულები, რომლებსაც პირდაპირ გოჩა სისაურთან (შსს-ს ნარკომანიისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ყოფილი უფროსი, რომელიც ნარჩემაშვილმა გაათავისუფლა) ჰქონდათ კავშირი და საქართველოს ყველა ზონას ნარკოტიკებით ამარაგებდნენ. „მაყურებლის“ ადგილს ამჟერად იკავებს გოგიბერაშვილი-გოგბერაშვილის დაჯგუფების წევრი არჯევანიძე. ბაბუნაშვილი ამას ისტერიულად განიცდის და ცდილობს „მაყურებლის“ ე.წ. სტატუსის დაბრუნებას. ამ პერიოდში ავჭალის „წითელი ზონის“ კოლონიას ხელმძღვანელობს გზირიშვილი. გოგბერაშვილის თქმით, ბაბუნაშვილის ხალხი კოლონიის უფროსს დაჰპირდა, თუ ბაბუნაშვილს „მაყურებლად“ დააბრუნებ, გარანტიას გაძლევთ, რომ „ობშიაკის“ ფული გაიზრდებაო. თუმცა არჯევანიძის, ანუ გოგბერაშვილის ხალხი პატიმრების ხელმოკლეობის გამო თანხის გაზრდას ეწინააღმდეგებოდნენ (ეს თანხა სულზე 5 ლარია). დაპირისპირება კულმინაციამდე მიდის.

## ბომბის აფეთქება საკანში, რომელიც არ გახმაურდა...

**ნანა კაკაბაძე:** — ადმინისტრაციასთან დაახლოებულმა ჯგუფმა მონახა ნეიტრალური პატიმარი, ვინმე ქვლივიძე და გოგბერაშვილს მიუგზავნა, რომელმაც მას სთხოვა — თავს დამესხნენ და მამა მომიკლეს. მეომარი კაცი ხარ, ბომბების კეთება გეცოდინება და მასწავლეო. „რად გინდა“? — უკითხავს გოგბერაშვილს. იარაღის ყიდვის საშუალება არა მაქვს და შემდგომი თავდასხმისაგან ოჯახის დაცვა მინდაო. გოგბერაშვილსაც უსწავლებია. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ უკვე მოხდა აფეთქება და აი, როგორ: ორი პატიმარი, ერთი ფერაძე, რომელიც, როგორც ამბობენ, მუდმივად წამლის ზემოქმედების ქვეშ იყო და თავის თავს ვერ აკონტროლებდა (ის გამოიყენეს) და მეორე — ყოფილი „მაყურებელი“ კახა ბაბუნაშვილი, ბარაკიდან გამოდიან, შედიან აბანოში, თითქოს სარეცხის გასარეცხად. შემდეგ მიდიან საკნებისკენ. პირველ ბომბს აგდებენ გოგბერაშვილი-გოგიბერაშვილის საკანში, მეორე ბომბი ფერაძეს მეორე საკანში უნდა შეეგდო, მაგრამ შენელებული მოძრაობის გამო ხელში აუფეთქდა და იგი იქვე დაიღუპა.

ელდარ გოგბერაშვილმა მიამბო, უცებ დავინახე, რომ „ფორთოჩკიდან“ ვილაცამ ხელი შემოყო. იქვე გამხმარი თევზის აცმა მეკიდა და ვიფიქრე, ვილაც მპარავს-მეთქი. ამ დროს ბომბი შემოაგდო, რომელიც დავარდა საწოლზე. მას მაშინვე საბანი გადავახვიე და იატაკზე გადმოვაგდეო. როგორც მითხრა, თურმე ასეთი თვითნაკეთი ბომბი დახურულ სივრცეში მოქმედებს ეფექტურად. ამიტომ მაშინვე კარები გამოუგლეჯია და შესაბამისად, დარტყმის ძალა კედელსა და ფანჯარაზე გადასულა. ჩამოინგრა კედელი, ამოიწვა იატაკი. იქ მყოფები გადარჩნენ.

ელდარი ამბობს, რომ მის ოთახში ბომბი ბაბუნაშვილმა შეაგდო. ეს ხდება 11 აპრილს. თუმცა ეს აფეთქება არ გახმაურებულა. ამის შემდეგ ციხის ადმინისტრაცია რატომღაც ე.წ. არაადმინისტრაციულ პატიმართა ჯგუფს შლის, სხვადასხვა ადგილზე ამწესებს და არანაირ ზომებს არ იღებს იმ ჯგუფის მიმართ, ვისი მხრიდანაც აფეთქება მოხდა. ასევე ადგილზე რჩება ზურა გოგიბერაშვილი და ელდარ გოგბერაშვილი. ადმინისტრაცია, უსაფრთხოების მიზნით მათ „კრიტში“ ჩაჯდომას სთავაზობს. ელდარი დათანხმდა, ზურა კი უარზე დადგა. 16 აპრილს ზურა გოგიბერაშვილი მაინც მოკლეს ცემით.

## „ენჯეოს“ წარმომადგენელი ადმინისტრაციას დაინტერესებაში ადანაშაულებს

აფეთქებული საკნის სანახავად მისულ ნანა კაკაბაძეს იგი გარემონტებული დახვდა — იატაკი გამოუცვლიათ, ახალი შპალერი გაუკრავთ. ერთადერთი დანგრეული კედლის შეღებვა ვერ მოესწროთ. გაუკვირდა, — რატომ არ დალუქეს ოთახი ან საერთოდ, რატომ გაარემონტეს, ის ხომ შემთხვევის ადგილი იყოო. ადმინისტრაციას თავი უმართლებია — თვითონ პატიმრებმა გაარემონტესო. თუმცა უცნაურია — საიდან გაუჩნდათ მათ შპალერი, წებო და ა.შ. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ გამოძიებამ ხელი შეუწყო კვალის წაშლას. ვის ინტერესებში იყო ეს ყველაფერი?! „მე გამოძიების მიმართ უნდობლობა გამიჩნდა. საგულისხმოა ისიც, რომ აფეთქება მოხდა 11 აპრილს და ეს ინფორმაცია დღემდე არ გავრცელებულა. მე არ ვგულისხმობ ფერაძეს, რომელსაც ბომბი ხელში აუფეთქდა. გამოდის, რომ ისინი მხოლოდ ერთ აფეთქებას აფიქსირებენ, იმიტომ, რომ არ სურთ სწორი გამოძიების ჩატარება“, — აცხადებს ნანა კაკაბაძე.

## რას ითხოვს ჯერ კიდევ ცოცხალი ელდარ გოგბერაშვილი?

როგორც აღვნიშნეთ, გოგბერაშვილი „კრიტში“ ზის და დარწმუნებულია, რომ მას ქურდები მოკლავენ.

ამასთან დაკავშირებით „კვირის პალიტრა“ უშუალოდ ესაუბრა **მიშა ფხაკაძეს,** — გამომძიებელს, რომელმაც ამ საქმეზე მოკვლევა ჩაატარა. სხვათა შორის, იგი ამ ამბების შემდეგ დააწინაურეს — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. ის ციხეში განვითარებულ მოვლენებში ადმინისტრაციასაც სდებს ბრალს.

**— ბატონო მიშა, თვითნაკეთი ბომბის აფეთქებამდე თუ იყო ადმინისტრაციისათვის ცნობილი, რომ პატიმართა დაჯგუფებებს შორის სერიოზული დაპირისპირება არსებობდა?**

— გარკვეული ორი ჯგუფის დაპირისპირება უკვე აშკარად ჩანდა. გამოიკვეთა, რომ ეს კონფლიქტი თავს იყრის გოგიბერაშვილის გარშემო, რომელიც ქურდული სამყაროს მიერ კანონიერი ქურდის, ცაგარეიშვილის მკვლელად იყო შერაცხული.

**— ამბობენ, რომ, გარდა ამისა, დავა იყო გავლენის სფეროს ხელში ჩაგდებაზეც. საუბარია ბაბუნაშვილზე, რომელსაც ე.წ. „მაყურებლის“ სტატუსის დაბრუნება უნდოდა...**

— კახა ბაბუნაშვილი თავის დროზე, ხონის კოლონიაში იყო „მაყურებელი“ და ავჭალის კოლონიაში გადმოსვლის შემდეგ დაახლოებით ოთხი თვე კიდევ ასრულებდა ამ ფუნქციას. მერე ის შეცვალა არჯევანიძემ, რომელიც ასე ვთქვათ, გოგბერაშვილი-გოგიბერაშვილის ჯგუფის წევრი იყო.

**— მართალია თუ არა, რომ „წითელი ზონის“ კოლონიის უფროსს, გზირიშვილსა და ბაბუნაშვილის ჯგუფს შორის მიდიოდა მოლაპარაკება, რომ თუ გზირიშვილს „ობშიაკი“ ფულს გაუზრდიდა, სანაცვლოდ ბაბუნაშვილი „მაყურებელი“ გახდებოდა?**

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, იმიტომ, რომ იურისტი ვარ და მტკიცებულება არ მაქვს. ჭორად, როგორც თქვენ, მეც გავიგე, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი მაქვს.

**— როგორ მოხდა, რომ აფეთქების შემდეგ საკანი სასწრაფოდ გაარემონტეს და თქვენც, გამოძიებამ, იგი რატომღაც არ დალუქეთ?**

— როგორც ჩანს, ეს ჩემს მისვლამდე მოხდა. ჩვენ არ შეგვიმჩნევია, რომ იყო ორი აფეთქება.

**— სხვათა შორის, ამას თავად ელდარ გოგბერაშვილი ამბობს...**

— დაკითხვის დროს ჩემთვის არაფერი უთქვამს. შემთხვევის ადგილი დავათვალიერეთ და როგორც გითხარით, მერელა გავიგე, რომ თურმე საწოლები გადაულაგებიათ, „ადეალები“ გაუკრავთ კედელზე.

**— ასე ადვილად ხდება, საკანში ახალი შპალერის გაკვრა, იატაკის გამოცვლა? მე ეს ნანა კაკაბაძემ მითხრა...**

— არა. არა, რა შპალერი? ნანა კაკაბაძე გოგიბერაშვილის მკვლელობის შემდეგ მოვიდა. ხომ გეუბნებით, „ადეალები“ დაგვხვდა გაკრული კედლებზე და ამიტომ ვერ შევნიშნეთ. თავიდან ასე გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს ფერაძემ თავი მოიკლა. მერე დავკითხე იმ საკნის მობინადრენი: ჭავჭანიძე, გოგიბერაშვილი, გოგბერაშვილი და არჯევანიძეც. არაფერი მითხრეს.

**— ამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა. გამოდის, რომ ადმინისტრაციამ დამალა ეს ამბავი და თავის დროზე არც მასმედიას გაუგია...**

— გეთანხმებით, რომ თუკი აფეთქება მართლაც მოხდა და არ გამჟღავნდა, ცხადია, ეს ადმინისტრაციის ბრალია. იმიტომ, რომ ის პირველი მივიდა იქ. თავიდან ჩვენ არც ვიცოდით, ვის ვისი აფეთქება უნდოდა. პირიქით, ადმინისტრაციის თანამშრომლებიც ამბობდნენ თვითმკვლელობა იყოო. შემდეგ კახა ბაბუნაშვილმა გაამჟღავნა, რომ არსებობდა დაპირისპირება.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ დაიმალა ეს ინფორმაცია?**

— ჩანს, ციხის ადმინისტრაცია არ ელოდა, რომ ინციდენტი გაგრძელდებოდა და საქმე მკვლელობამდე მივიდოდა. უფრო კი საფიქრებელია, რომ ხელს არ აძლევდათ დაპირისპირების გამჟღავნება.

**— გარდა ამისა, ამ აფეთქების შემდეგ დაშალეს გოგბერაშვილის დაჯგუფება, ბაბუნაშვილის ჯგუფს კი არავინ შეხებია, ანუ ვისი მხრიდანაც აფეთქება მოხდა, მათ თითი არ დააკარეს. რატომ?**

— არ ვიცი. ეს არის „შავი სამყარო.“ შეიძლება ჟურნალისტს უთხრან რამე, მაგრამ გამოძიებას — არა.

**— დღეს ელდარ გოგბერაშვილი „კრიტიდან“ გადაყვანას ითხოვს. მისი განცხადებით, ის იმყოფება იმ ადგილზე, სადაც თავის დროზე ყელი კინაღამ გამოჭრეს.**

— გვაქვს ინფორმაცია, რომ მას ავჭალის კოლონიაში საფრთხე კიდევ ემუქრება. რაც შეეხება „კარცერს“, ადრე მანდ არასრულწლოვანთა „კარცერი“ იყო და ხის კარი აქვს. ანუ იქ უფრო დაუცველი იქნება.

**— მაგრამ ის რომ არ არის ქურდის მკვლელი?**

— ფაქტია, რომ ის და გოგიბერაშვილიც შერაცხულები არიან ქურდის მკვლელებად.

**— აწ გარდაცვლილმა გოგიბერაშვილმა, როგორც ვიცი, ხმამაღლა განაცხადა, ქურდი მხოლოდ მე მოვკალიო.**

— მერე რა, სასამართლოს მიხედვით, ისინი არც ერთი არ არის გასამართლებული ქურდის მკვლელობისთვის. მე როგორც ვიცი ელდარი ბანდიტიზმისთვის არის გასამართლებული, ზურა — სხვა პიროვნების მკვლელობისთვის.

**— ანუ არსებობს საშიშროება, რომ მას მაინც მოკლავენ?**

— იცით, „კრიტში“ უფრო დაცული იქნება, ვიდრე თავისუფალ ზონაში!

# ახალი სკანდალი კალაძეების ირგვლივ

## ახლო ნათესავი კალაძეებს ფულს სძალავდა?!

(დასაწყისი იხ. გვ. 12)

**— თუ იცოდით, რომ ასეთი აფერისტები იყვნენ, რატომ ენდეთ?**

— ვენდე იმიტომ, რომ ყოველწუთას შვილის სიცოცხლეს მიხსენებდნენ. დაკარგული რომ გყავს და მის სიცოცხლეზე გელაპარაკებიან, როგორ იტყვი უარს?!.

**— პირველად როდის დაგიკავშირდნენ?**

— ლევანი როგორც კი მოიტაცეს,



კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მაგათ იციან სად არის ჩემი შვილი და როგორ არის. ჩავალპობ ციხეში ღორივით.

ერთი თვის შემდეგ უკვე შემო

**— საჩივრის შეტანა ამდენი ხნით რატომ დააგვიანეთ?**

— ისე მარწმუნებდა, ლევანს მოგიყვანთო, რომ პოლიციის ჩარევა აღარც მინდოდა. მეჩქირვნა, წყნარად დამთავრებულიყო ყველაფერი. არ მაღირსა მოყვანა და გამოძალვა დაიწყო ნელ-ნელა. მერე ალბათ უკვე 50 ათასს მეტყოდა და მეც არ დავიხევდი უკან... ახლა ადვოკატი აიყვანა და ყველაფერს აკეთებს, რომ როგორმე თავი დაიხსნას, ვითომ მართალია. რომელ „შავთან“ რა აქვს ნალაპარაკევი, ყველაფერი ვიცი. ერთი, უნდა შევხვდე მის ადვოკატთან ერთად და ველაპარაკო. მე მაგას ფაქტებით უნდა დავუმტკიცო — ვინ არის. იცით, რომ ჩაწერილია: „მე მაგათ ორი მილიონი უნდა წავართვა“, ყველაფრის გაშიფვრა არ მინდა, რა. ნახავთ, ხუნდაძეს რა ბრალდებებს წაუყენებენ. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მაგათ იციან სად არის ჩემი შვილი და როგორ არის. ჩავალპობ ციხეში ღორივით.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ თანამონაწილეებიც ჰყავს თქვენი შვილის გატაცებაში?**

— ეგეც, ლეუავაც და კიდევ ერთი ქალია ხუნდაძის ახლობელი, ეთერია თუ ვიღაცა.

**— როგორ მიხვდით, რომ გატყუებდნენ და ფულს გძალავდნენ?**

— რომ გავიდა ოთხი-ხუთი თვე და არ დამთავრდა დღეს-ხვალე, მერე ტელეფონი გამოცვალა, კახა რომ არ დამიკავშირებოდა. ამის შემდეგ ცოლს დაუტოვა მობილური. ცოლი კიდევ ატყუებდა — ბათუმშია წასული, იქაა, აქაა, კონფერენციაზეა და ა.შ. მერე გადავამოწმე და რა ბათუმში, კაზინოში იყო დამალული, თავის სამსახურში.

**— აკი „საქართველოს ხმის“ გენერალური დირექტორიაო?**

— ტყუილია, ტყუილი. აფერისტია, ხომ გითხარით. გენერალური დირექტორი კი არა, სიკვდილია. თქვენ რომ დაელაპარაკოთ გაგიჟდებით: იტყვით, ვინ არის ეს დაჩაგრული კაციო. რომ გაიგოთ, რა საქმეებს აკეთებს, ჭკუას დაკარგავთ. ახლა სასამართლო დაიწყო. მე კიდევ ვუცდი რაღაც-რაღაცებს. წინ ვიხედები, არ მინდა ჩემს შვილებს ვიღაცამ ავნოს. მერე მე თვითონ გამოვუტან მაგათ განაჩენს და, ალბათ, მეც დავამთავრებ ჩემს ცხოვრებას.

*გვერდი მოამზადა მარინა მამისაშვილმა*

# აშშ რუსეთისაგან „გაგებას“ ელის



იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონის მიერ აზვირთებული ანტიტერორისტული ოპერაცია ავღანეთიდან მალე კავკასიაში გადაინაცვლებს — ტრაპიზონის სამიტზე ბაქომ, თბილისმა და ანკარამ ტერორიზმთან, ორგანიზებულ ბოროტმოქმედებასთან, იარაღის კონტრაბანდასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ერთობლივი ბრძოლის ხელშეკრულება დადეს, თბილისში კი 20 ამერიკელი სპეცდანიშნულების სამხედრო ჩავიდა. ისინი ქართველ სამხედროებს რადიკალურ მუსლიმანურ ფორმირებებთან ბრძოლას ასწავლიან: ვაშინგტონი მიაწვდის საქართველოს იარაღს, ტყვია-წამალს და რადიოკავშირის საშუალებებს ექსტრემისტებთან საბრძოლველად. აშშ-მა საქართველოს 60 მლნ დოლარი გამოუყო სპეცრაზმელთა მოსამზადებლად. სულ საქართველოში აშშ-დან 200 სამხედრო უნდა ჩავიდეს და როგორც ამერიკული მხარე იუწყება, იქ ნახევარ წელიწადს დარჩებიან. ანალიტიკოსები ეჭვობენ, რომ ამერიკელ სამხედროებს რესპუბლიკაში უფრო დიდხანს მოუწევთ ყოფნა, რადგან მათ ფუნქციებში არა მარტო ქართველ კოლეგათა სწავლება შევა, არამედ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაცვაც. გარდა ამისა, არსებობს აზრი, რომ ვაშინგტონს დაგეგმილი აქვს სამხრეთ კავკასიაში, ირანისა და ერაყის ახლოს, მუდმივმოქმედი სამხედრო ბაზის ორგანიზება. ამ შემთხვევაში დამამშვიდებელი ფაქტორია ის, რომ ედუარდ შევარდნაძემ ამერიკელებს წერილობითი პირობა მისცა, აშშ-ის ინსტრუქტორების მიერ მომზადებულ სამხედრო ფორმირებებს აფხაზეთის წინააღმდეგ არ გამოვიყენებო. როგორც იტარ-ტასი იუწყება, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებზე დაყრდნობით, ამერიკელები გარანტიას იძლევიან, რომ ინსტრუქტორები არ გამოჩნდებიან არც პანკისის და არც კოდორის ხეობებში.

უეჭველია, რომ პრაქტიკული ამერიკელები, აშშ-ში მყოფ საქართველოს თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძესაც მოსთხოვენ გარანტიებს, იმისა, რომ საქართველო ამერიკელ სამხედროებს აფხაზეთის საწინააღმდეგოდ არ გამოიყენებს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ამერიკაში ვიზიტის პროგრამაში შედის ჰარვარდის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა რეგიონალური თავდაცვის პრობლემებზე, ასევე პენტაგონის ხელმძღვანელობასთან და სახელმწიფო დეპარტამენტთან მოლაპარაკებები ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის თემაზე, კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების პრობლემებზე.

საინტერესოა, რომ ანალოგიური პრობლემატიკა განიხილება რუსეთის და აშშ-ის მაისის შეხვედრებზე. ამერიკის ელჩმა მოსკოვში ალექსანდრე ვერშბოუმ არ გამორიცხა, რომ ჯორჯ ბუში და ვლადიმირ პუტინი განიხილავენ საქართველოსა და მთელი კავკასიის პრობლემებს. ელჩმა ისიც აღნიშნა, — ამ ბოლო დროს რუსეთი გაგებით ეკიდება იმ პროექტებს, რასაც ამერიკა საქართველოში ახორციელებსო. ვერშბოუმ განაცხადა, რომ ამ პრობლემის გადასაწყვეტად ვაშინგტონი მზადაა უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს თავის რუს კოლეგებთან, რათა თავიდან აიცილოს გაუგებრობანი.

***რია ნოვოსტი***

# თბილისს რუსეთის სამხედრო ბაზები ათი წლის შემდეგ დატოვებენ...

## ინტერვიუ რფ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან გენერალ ალექსანდრ კოსოვანთან

**— საქართველოსთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ამიერკავკასიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. ვინ ხელმძღვანელობს რუსეთის სამთავრობო კომისიას?**

— როგორც ყოველთვის, მინისტრი ილია კლებანოვი. განვიხილეთ ჩვენ მიერ აღებული ვალდებულებები და დავაფიქსირეთ, რომ რუსეთის მხრიდან ყველაფერი შესრულებულია. თბილისში გავგზავნით ნოტას, სადაც გამოვთქვამთ ჩვენს წინადადებებს.



**— ქართული მხარე თუ ეთანხმება თქვენს დასკვნებს?**

— ჯერჯერობით ურთიერთშორისი შეთანხმებები გვაქვს. მაგალითად, საგარეჯოდან გაგვაქვს საბრძოლო და საინჟინრო ქონება. 2002 წლის პროგრამა უკვე შესრულდა.

**— რამდენი ტონა საბრძოლო მასალა გაიტანეთ?**

— 35 ტონა. ეს საწყობებში არსებული ასაფეთქებელი საშუალებების მესამედია. პარალელურად, ადგილზევე ხდება ასაფეთქებლების უტილიზაცია, რისი წინააღმდეგიც ქართული მხარე არ არის. საბრძოლო ინვენტარი გაგვაქვს სომხეთში. ყველაფერი შეთანხმებულია საქართველოსთან და სომხეთთან. ჩვენ არ გავუსწარით მოვლენებს და გადავწყვიტეთ, არ განვიხილოთ საქართველოს დედაქალაქიდან ჩვენი ნაწილებისა და ობიექტების გაყვანის საკითხი, მანამ, სანამ არ დადგინდება ახალქალაქიდან და ბათუმიდან ჩვენი სამხედრო ბაზების გაყვანის თარიღი.

ახლა თბილისში 1500 სამხედრო პირია, თუ არ ჩავთვლით მათი ოჯახის წევრებს. ჩვენ დათმობაზე წავედით და თუ ადრე საქართველოდან ჯარების გაყვანას 25 წლის შემდეგ ვაპირებდით, მერე — 15 წლის, ახლა 10 წელიწადს შევთავაზებთ. ქართული მხარე დაინტერესდა ჩვენი პოზიციით.

**— როგორ აფასებთ თბილისთან რუსეთის დიალოგის ტონს?**

— კოდორის ხეობის ამასწინანდელმა სიტუაციამ და საქართველოში აშშ-ის ჯარების ყოფნამ უარყოფითად იმოქმედა ჩვენს კონტაქტებზე. თანაც თბილისის მხრიდან აშკარა სიცრუე ისმის. ისინი აცხადებენ, კოდორიდან ჯარები გამოვიყვანეთო. არადა იქვე დატოვეს. საეჭვოდ აფაციფუცდნენ პოლიტიკური ძალები და პარლამენტი...

**— რუსეთი ხომ არ შეაშფოთა საქართველოში ამერიკელების ყოფნამ?**

— რასაკვირველია. არაერთხელ შევთავაზეთ საქართველოს — ერთად ვებრძოლოთ პანკისის ხეობაში ბოევიკებსო, მაგრამ მათ ამერიკელების დახმარება ამჯობინეს. გამოდის, რომ რუსეთი განზე დარჩა. ვის ესიამოვნებოდა ეს?

**— დაცულია თუ არა გუდაუთაში ჩვენი ყოფილი ბაზის ობიექტები, ინფრასტრუქტურა?**

— რა თქმა უნდა... ახლა იქ მშვიდობისმყოფელები დგანან. დისლოცირებულია მათი შვეულმფრენების ესკადრილია და სხვა ნაწილები. გუდაუთაში მთელი სამხედრო ინფრასტრუქტურა საიმედოდ არის დაცული.

ქართული მხარისათვის გუდაუთის ბაზის გადაცემის საბუთები უკვე მზად არის. გავეცი განკარგულება თბილისში მათი ოფიციალური გაგზავნის შესახებ. ახლა ქართველებმა გადაწყვიტონ, ჩამოვლენ თუ არა გუდაუთაში. ცხადია, არ ჩამოვლენ...

**— აჭარის მეთაურმა ასლან აბაშიძემ განაცხადა, არავის მივცემ რუსეთის ჯარის ბათუმიდან გაყვანის უფლებასო. როგორ უყურებთ ამ პრობლემას?**

— მე ვიცნობ აბაშიძის პოზიციას და მის თბილ განწყობილებას რუსეთის ჯარისადმი. ჩვენ ეს გვახარებს. მას თავის დროზე დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ საქართველოში გაჩაღებული ომის ხანძარი აჭარაზე არ გადასულიყო. რასაკვირველია, მისი დამოკიდებულება რუსეთისადმი განსხვავდება ოფიციალური თბილისის შეხედულებისაგან.

ამავე დროს, თუ ჩვენმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა აჭარიდან ბაზების გაყვანა, ცხადია, ჩვენ ამას შევასრულებთ, მაგრამ ეს დიდ დროს მოითხოვს. სანამ რუსეთში საჭირო ინფრასტრუქტურა არ მომზადდება, საქართველოდან არც ერთ ჯარისკაცს არ გავიყვანთ!

# კოდორის ხეობაში უკრაინელები ჩადგებიან

## ნინო ბურჯანაძე: „რუსი მშვიდობისმყოფელების უკრაინელებით შეცვლის იდეა საქართველოში აქტიურად განიხილება“.



კიევში, შავი ზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მეექვსე საპროცედურო შეხვედრის დუნე და მონოტონური მიმდინარეობა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ დაარღვია თავისი ემოციური გამოსვლით. მან განაცხადა, — ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ნორმალურ განვითარებას ხელს შეუშლის ქართულ-რუსული დაპირისპირებაო და სურვილი გამოთქვა, — კარგი იქნება, თუ კონფლიქტების მოგვარებაში ეს ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას და აფხაზეთში რუს მშვიდობისმყოფელებს უკრაინელები შეცვლიანო.

სხდომაზე სკანდალის სუნი დატრიალდა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრეი დენისოვმა მაშინვე მოინდომა ბრალდებაზე პასუხის გაცემა, მაგრამ სხდომის თავმჯდომარე უკრაინულმა მხარემ პრეტენზიების განხილვა შეხვედრის ბოლოსთვის გადადო.

ნინო ბურჯანაძემ გაზეთის კორესპონდენტს თავისი აღშფოთების მიზეზი გაუმხილა:

— თუ არ მოგვარდება პოლიტიკური პრობლემები, შეუძლებელი იქნება ნორმალურ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ლაპარაკი. განა მოხერხდება საქართველოს სრულფასოვანი ეკონომიკური ინტეგრირება ეკონომიკურ სტრუქტურებში ან ეკონომიკურ პროექტებში, როცა 5-მილიონიან ქვეყანას 300 ათასი ლტოლვილი ჰყავს? მიუხედავად იმისა, რომ დღეს არ ვაპირებდი ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე ლაპარაკს, მაინც თავი ვერ შევიკავე და მწვავედ გამოვედი. ამის მიზეზი გახლდათ ჟურნალი, რომელიც ორიოდ დღის წინ აქ რუსეთის მხარეემ გაავრცელა. ჟურნალში დაბეჭდილია რუსეთის რეგიონებთან ეკონომიკური თანამშრომლობის მოწოდება და ამ რეგიონებს შორის ფიგურირებს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ეს არის უდიდესი ცინიზმი! სხვას ვერაფერს ვიტყვი.

ალბათ ასეთ მკაცრ განცხადებას არ გავაკეთებდი, რომ არა რამდენიმე კვირის წინ რუსეთის სახელმწიფო დუმის სხდომაზე 385 დეპუტატის ხმით გატანილი წინადადება, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთმა შეიძლება ცალმხრივი წესით ითანამშრომლოს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ჟურნალში ასახულია რუსეთის ზოგიერთი პოლიტიკოსისა და გენერლის განწყობილება, რომელთაც შეუძლიათ თავს ნება მისცენ და 14 შვეულმფრენით სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გაუფრთხილებლად გადასხან დესანტი. რუსეთმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა ისწავლოს საქართველოსთან ლაპარაკი არა როგორც თავის საკუთარ რეგიონთან, არამედ როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ანდრეი დენისოვის აზრით, „ეს ემოციური გამოსვლა იმ რთული სიტუაციის გამოძახილია, რაც კავკასიის რეგიონში სუფევს... საერთაშორისო საკითხებში რუსეთის ოფიციალურ პოზიციას გამოხატავენ მხოლოდ პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი“.

თათბირის შემდეგ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანატოლი ზლენკომ განაცხადა, რომ საქართველოში უკრაინელი მშვიდობისმყოფელების შესაძლო გაგზავნის თაობაზე ისაუბრეს მან და ნინო ბურჯანაძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხის განსახილველად აუცილებელია გაეროს თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, მათი ეგიდით უკრაინის მშვიდობისმყოფელების კონფლიქტის რეგიონში შეყვანა და უკრაინის უმაღლესი რადის გადაწყვეტილება.

— თუ ეს პროცედურები შესრულდება და საქართველო შესაბამის განცხადებას გააკეთებს, ჩვენ აუცილებლად განვიხილავთ ამ საკითხს, — თქვა ზლენკომ.

***ნეზავისიმაია №87***


ფრჩხილების სილამაზე შეიძლება იმსხვერპლოს სოკოვანმა დაავადებამ

ფრჩხილების სოკოვანი დაავადებების მკურნალობა

თუ შეამჩნიეთ, რომ თქვენი ფრჩხილები გახდნენ არათანაბარი, დაიწყეს აქერცვლა ან შეიცვალეს ფერი, შესაძლოა თქვენ გაქვთ სოკო.

სოკოს შეუძლია:
- გადავიდეს სხვა ფრჩხილებსა და ორგანოებზე;
- გადაედოს თქვენს ახლობლებს;
- გამოიწვიოს ალერგიული დაავადება.

ამიტომაც საჭიროა მიმართოთ ექიმ-დერმატოლოგს.

დღეისათვის ექიმ-დერმატოლოგთა განკარგულებაში არის მკურნალობის ბევრი თანამედროვე მეთოდი. სოკოვანი დაავადების მკურნალობის უახლესი მეთოდი არის ***პულს-თერაპია*** (წამლის მიღება შესვენებებით). პულს-თერაპია ეფექტური და უსაფრთხოა, რადგანაც საშუალებას აძლევს ორგანიზმს დაისვენოს წამლის მიღებისაგან და არ საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას.



სერტიფიცირებულია

მოგვმართეთ და:
- თქვენ ნახავთ თქვენს ფრჩხილებს ლამაზს და ჯანმრთელს,
- თქვენ აღტაცებული იქნებით ეფექტით,
- თქვენ იგრძნობთ თავს დამაჯერებლად.

დამატებითი ინფორმაციისათვის
ტელ.: 25 09 00, 10.00–18.00
(დასვენების დღეები:
შაბათი-კვირა).

„ჯონსონ ჯონსონის“ კორპორაცია
ფირმა „იანსენ-სილაგი“



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიწიოხოხენ

**7 წლის თამთა თუჯიშვილს** მშობლები დაჰპირდნენ, — დაბადების დღეზე ველოსიპედს გიყიდითო. სამწუხაროდ, დათქმულ დროზე ვერ შეუსრულეს პირობა. მერე მიწაც იძრა. მეორე დღეს თამთა შეეხვეწა მშობლებს, — აღარ მინდა ველოსიპედი. ერთი დიდი მაგიდა მიყიდეთ, რომ მიწისძვრის დროს ყველანი მის ქვეშ შევძვრეთო.

***

**5 წლის სოფიკო ბერიძე** დედას ეუბნება:

— დედიკო, დღეს დილით 3 ბალონი მიწისძვრა იყო.

***

**5 წლის ანანო ანდღულაძის** ბაბუამ დღისით დაიძინა. გამოღვიძებულს გაკვირვებულმა გოგონამ ჰკითხა:

— რატომ დაიძინე თენებაში?

***

**4 წლის თიკო შარიქაძეს** შურა ბებო სამი გოჭის ამბავს უყვება:

— ერთ-ერთმა მოზიდა ქვები და მაგარი სახლი ააშენა.

— რუსთავის ცემენტით? — იკითხა თიკომ.

***

**3 წლის ტყუპს ლუკასა და იოანეს** სათამაშოდ მისცეს მუყაოს პატარა ყუთები. ერთ-ერთი გახეული აღმოჩნდა.

იოანემ მაშინვე გასცა ბრძანება:

— გახეული პატარა სანდროს, უგახეული — მე.

***

სახურავზე კატა გამოჩნდა.

— ბებო, ნაქე, კატა მოვიდა, — უთხრა ბებიას **2 წლის შვილთაშვილმა გვანცა გალდავაძემ**.

— ჰო, ბებო, ჰო, კატაა. მაგას რუსულად „კოშკა“ ჰქვია, — აუხსნა ბებიამ.

რამდენიმე ხნის შემდეგ კატა ისევ გამოჩნდა.

— ბებო, ბებო, — ეძახის გვანცა, — ნაქე, კატა მოსულა ლუსულად.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი ანდაზიდან გამოტოვებულ სიტყვას: „ნაჩუქარ ცხენს ... არ ესინჯებაო“.




## იპოვე 15 განსხვავება



იპოვე ქვემოთ მოცემული დეტალები ნახატზე





რომელი ხაზი მიიყვანს კურდღელს სტაფილოსთან?



შეურჩიე სურათს სახელწოდება და ჩაწერე უჯრებში




ქოქოსის რომელ კაკალზეა რიცხვების ყველაზე მეტი რაოდენობა?



მოუძებნე ყველას საკუთარი ჩრდილი

## 1 რებუსი




## კროსვორდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაგდანას ერთ-ერთი შვილი | თანხმობის ნიშანი | „ისეთი ... დაბადებულა“ (ლექსი) | კვახი ანუ ... | შუშა ანუ ... | მდიდრული საგარაკო სახლი | გულადი, უშიშარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტი | თბილისის „აღმომჩენი“ ფრინველი | ვაზის სარი | წონის ერთეული | პატარა „გემი“ | აქლემის მსგავსი ცხოველი | ... ხვიტია |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მაშუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## უიღბლო გარიგება



ბონდო წიქარიძემ ჭაბუკობიდან მოყოლებული თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში გაატარა. ბოლოს ისევ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და დაბა აგარაში რესტორანი გახსნა.

ზამთრის ერთ სუსხიან დღეს რესტორნის კარი შუახნის მაღალმა, ქერა რუსმა მამაკაცმა შეაღო. ბონდომ და მისმა მეგობრებმა სტუმარი ინტერესით შეათვალიერეს... საბჭოთა კავშირის პერიოდში რუსის გამოჩენა აგარაში უცხო ხილი არ გახლდათ — აქაურ შაქრის კომბინატს ხშირად სტუმრობდნენ მოსკოვიდან ათასგვარი შემმოწმებლები თუ სპეციალისტები... ამჯერად ყურადღება ჩრდილოელის ძვირფასმა ქურქმა მიიპყრო...

— მოხარშულს ვიცნობ მაგათ და ბიჭი არ ვიყო, ეგ ქურქი ჭიქა არაყზე აქ თუ არ დავატოვებინო!.. — დაიქადნა ბონდომ მეგობრებთან და სტუმარს მიეგება, საუცხოო სუფრა გაუშალა, გვერდით მიუჯდა და ჩვენებური ჭაჭა მოუმარჯვა... რუსი კერკეტი კაკალი გამოდგა — მართალია, სულმოუთქმელად ცლიდა ჭიქას ჭიქაზე, მაგრამ არაფრით არ თანხმდებოდა ბონდოს უცნაურ წინადადებას: ახალნაყიდი ქურქი მისთვის ძველმოდურ პალტოში გაეცვალა. ბოლოს არაყმა და ბონდოს დაშაქრულმა ენამ თავისი გაიტანა...

გახარებულმა ბონდომ და მისმა ძმაკაცებმა, სტუმარმა ქურქი უკან არ მოითხოვოსო, ნახევრად გათიშული კაცი სასწრაფოდ რკინიგზის სადგურში გააქანეს, ბილეთიც თვითონ აუღეს და შორეულ გზას გაუყენეს... უკან მობრუნებულებმა სუფრა განაახლეს, ბონდოს მოხერხებულობა და მარიფათი შეუქეს, ბევრი ფულის შოვნა უსურვეს. ფულის ხსენებაზე ბონდოს მოულოდნელად მწვანე ფერი დაედო — თურმე მთელი ნავაჭრი (ბარე სამ ქურქს რომ იყიდდა) სიჩქარეში იმ ძველი პალტოს ჯიბეში ჩარჩენოდა, რუსს რომ ძალისძალად გაუცვალა...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## ახე იცის ცოფის შიშმა...

ქუთაისში, ავტოქარხნის საავადმყოფოში მუშაობს ჩემი მეგობარი ექიმი გია გაბუნია. ერთხელ, მორიგეობისას, სვანებმა ბავშვი მოუყვანეს: — არიქა, გვიშველე ექიმო, ძაღლმა დაგვიკბინა და არ დაგვეღუპოსო!.. გიამ ბიჭუნას ჭრილობები დაუმუშავა, საჭირო მანიპულაციები ჩაუტარა და მის მშობლებს და გულშემატკივრებს (იქნებოდა ასე 6-7 კაცი) განუმარტა, დააკვირდით ძაღლს 10 დღე, ამ ხნის განმავლობაში თუ მოკვდება, ბავშვს აუცილებლად დასჭირდება ცოფის საწინააღმდეგო აცრებიო.



— ექიმო, იმ ძაღლს ვაცოცხლებდი, — მოვკალი! — დაიგრუხუნა ერთ-ერთმა წარბშეკრულმა გოლიათმა სვანმა.

— ჰოდა, თუ მოკალით, ჩემო ბატონო, მოაჭერით ახლა თავი და წაიღეთ თბილისში, გამოსაკვლევად!.. — დაარიგა გიამ.

სვანები ექიმს შეფიქრიანებულები დაემშვიდობნენ და წავიდნენ. ცოტა ხანში ისევ მობრუნდნენ და ერთ-ერთი მორიდებით ეკითხება გიას:

— დიდი ბოდიში, ექიმო, რომ გაწუხებთ ისევ, მაგრამ თავი ვის უნდა მოვჭრათ?

კომენტარს აღარ შემოგთავაზებთ...

***გიას უახლოესი მეგობარი, ქუთაისი***

## როგორ სწავლობდნენ რუსულს სამტრედიაში...

ეს ამბავი სამტრედიაში მოხდა. სწორედ აქ გადაიღეს მხატვრული ფილმი „იმერული ესკიზები“. როგორც ჩანს, ფილმში დატრიალებული ამბები ამ კუთხეში ხშირად მეორდება. მამიდაჩემმაც ერთი ასეთი კურიოზი გაიხსენა: თურმე თანაკლასელი ჰყოლია, ყველაზე ჩამორჩენილი და ზარმაცი. ერთხელ, რუსულის გაკვეთილზე მასწავლებელს უკითხავს, აბა ვინ მეტყვის, როგორ იქნება რუსულად პარიკმახერი პარსავსო. ყველანი გაჩუმებულან და მათდა გასაოცრად, ხელი სწორედ ამ ზარმაც გოგონას აუწევია, მასწავლებელსაც მაშინვე დაურთავს ნება, ეპასუხა. გოგონა ამდგარა, თანაკლასელებისთვის ამაყად გადაუხედავს და ხმამაღლა უთქვამს: პარიკმახერ პარსუეტ...



***თეონა ვაშაყმაძე, საჯავახო***

## გიგლას ოინები



ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში ცხოვრობს ბიძაჩემი, კოლორიტული და ენაკვიმატი პიროვნება — გიგლა მსხალაძე. გიგლას ძმაკაცებში ქეიფი და დროს ტარება ქვეყანას ურჩევნია და ერთი პერიოდი ცოტა არ იყოს, ზედმეტი მოუვიდა, თითქმის ყოველდღე შინ გვარიანად შექეიფიანებული ბრუნდებოდა. მორიგი ასეთი „დაბრუნებისას“ გიგლამ პირდაპირ საძინებელი ოთახისკენ აიღო გეზი, რომ მეუღლის, ქალბატონ ანიკოს „ლოცვა-კურთხევისათვის“ როგორმე თავი აერიდებინა, მაგრამ არ გაუმართლა და საძინებელ ოთახში ანიკო ჩასაფრებულივით გამოეცხადა:

— კიდევ გამობრუჟდი ხომ, შენი კუბო დავდგი აქანე!

გიგლას ნამდვილად არ ჰქონდა ჩხუბის თავი, გაერიდა მეუღლეს და მეორე ოთახში გავიდა უსიტყვოდ. ანიკომ იქაც მისდია:

— შენი კუბო დავდგი აქანე!..

გიგლა სასტუმრო ოთახში შევარდა, იქნებ აქ მაინც მომასვენოს ანიკომო, მაგრამ საქმეში ხარ?

— შენი კუბო დავდგი აქანე!.. — ისმოდა ანიკოსგან გაფუჭებული მაგნიტოფონივით.

ახლა კი იფეთქა გიგლამ:

— ქალო! რას დაახრიგინებ მაგ კუბოს აქეთ-იქით, დააყენე ამ „ზალაში“ მაინც, დამასვენე მეც და დაისვენებ შენც!.. თუ მაინც არ მეშვები, მე ვიცი, რასაც ვიზამ!..

ეს თქვა და გავარდა გარეთ, ნალიასთან მიყუდებულ კიბეს დაავლო ხელი, მიადგა ეზოში მდგარ უშველებელ ხეჭეჭურს და თვალის დახამხამებაში კენწეროზე მოექცა:

— აქედან უნდა გადმოვხტე, რომ მთელმა გურიამ გაიგოს, როგორ მავიწროებენ ოჯახში! — გაჰყვიროდა მთელი ხმით.

ამას კი აღარ ელოდა ანიკო და გაოგნებულმა უკან დახევა ამჯობინა:

— კაი ახლა, გიგილო, თავს ნუ მჭრი, ჩამოი ქვეით, ხმის გამცემი არ ვარ...

ბევრი ემუდარა ანიკო გიგლას, დაუჩოქა კიდევაც, მაგრამ რომ შეატყო, გიგლა ხეჭეჭურის ხიდან ჩამომსვლელს არ ჰგავდა, დაავლო ხელი კიბეს და წაიღო ნალიისკენ.

მოულოდნელობისგან ახლა გიგლა ლამის ჩამოვარდა ხიდან და ზემოდან დასაკოდი მოზვერივით ჩამობღავლა ცოლს:

— სად მიგაქვს ცა, მაი კიბე, მღუპაავ?!

P.S. მეორე დღეს, დილაადრიან გამოსულიყო გიგლა აივანზე და უშველებელ ხეჭეჭურს შეჰყურებდა, ვერ გაეხსენებინა, რამ აიყვანა ამ სიმაღლეზე... მერე ხელი ჩაიქნია, ძროხის მოსაწველად მიმავალ ანიკოს თვალი გააყოლა და აჩქარებული ნაბიჯებით გასწია ჭიშკრისკენ — რა თქმა უნდა, „პახმელიაზე“ გამოსასვლელად.

***მამუკა მარღიშვილი, ქარელი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

სვანებს როიალი დაუგორდათ და შესაჩერებლად ფეხი პედალს დააჭირეს.

***ქეთი პაპაშვილი, თბილისი***





ნაბახუსევი ჭიჭიკია სასადილოში ზის, მაგრამ ბუზები არ აცლიან ჭამას.

— აფიციანტ! — ყვირის ჭიჭიკია.

— რა გინდა, ბატონო!

— ა, შენ ათი ლარი და თუ ძმა ხარ, გოუშალე ამგენს ცალკე სუფრა!

***უშანგი გ., სურამი***

## ანეკდოტური კურიოზი

ტაქსის მძღოლმა წნორიდან საქობიოში ერთი იქაური გლეხკაცი მიიყვანა. მანქანა ჭიშკართან გაჩერდა, გლეხკაცი გადმოვიდა და პირდაპირ სახლისკენ გაქანდა.

— ძიაკაცო, ფული? — შეახსენა მძღოლმა.

— აბა, შვილო, ვინ მამაძაღლს ჰქონდეს და არ მოგცეს, მე იმისი...

***ა. მჭედლიშვილი, სიღნაღი, სოფელი ანაგა***



### ჩვენი სტუმარია სატირულ-იუმორისტული ჟურნალი ფილოლოქვა

## ჯენტლმენები

(ნამდვილი ამბავი)

ერთხელ, სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას, 5 ახმახი ბიჭი დაგვემგზავრა, სვანურად ლაპარაკობდნენ. აღმოჩნდა, რომ „სტრელი“ ჰქონდათ დანიშნული და იქ მისულებს 30 კაცი დაახვედრეს.

— ახლა წავიდეთ, 4-5 კაცი დავიმატოთ და უკან მივბრუნდეთ, ერთი გემრიელად „დავაბოქსაოთ“.

მე მათ საუბარზე გამეცინა.




— შენ რას იცინი? — მომიბრუნდა ერთი. ფერი-ფური წამივიდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და ავუხსენი, რომ მეც სვანი ვარ და თქვენს ლაპარაკზე გამეცინა-მეთქი. გამომკითხეს, ვინ ვარ, რა გვარი ვარ. მოგეხსენებათ, ყველა სვანი ერთმანეთის ნათესავია, მეც მათი ახლობელი აღმოვჩნდი. თავისუფლების მოედანზე ჩავიდნენ. ფული არ გადაუხდიათ. ბოლოს ჩასულმა კი მძღოლს უთხრა: „გმადლობთ, ძმაო, კარგად იყავი და იცოდე, ამ გოგონასი გადახდილია“.

***მარი ხერგიანი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# „კოხტა–მალაჩილა“

## ნოველა

— გამარჯობა, ლევან!

— რამდენი ხანია აღარ მინახიხ-არ, რამ აგაყენა ასე დილაუთენია?

— საქმე მაქვს, ჩემო დავით, საქმე! ნავთლუღის სადგურთან მანქანა მელოდება, გარეუბანში მივდივარ, სამუშაო ვიშოვე! აი, უკვე მეოთხე თვეა, რაც ვმუშაობ, პურის ფული გამიჩნდა...

— მომილოცავს! დღევანდელ დღეს სამუშაოს შოვნა ადვილი არ არის. ვინ დაგეხმარა, ის დალოცვილი?

— ბედი და განგება, ჩემო ძმაო! ღმერთი მთლად რომ არ გაგწირავს — ეს არის სწორედ. თუ მეტროსკენ მიდიხარ, ერთად წავიდეთ, გზაში ყველაფერს მოგიყვები.

— წავიდეთ, მეც სამუშაოსთან დაკავშირებით ძველი ამხანაგი უნდა ვნახო როგორმე ნაძალადევში. აღარც მჯერა, რომ რაიმეს ვიშოვი, მაგრამ მაინც სახლთან უნდა დავუდარაჯდე. ერთ დროს ვმეგობრობდით, ერთმანეთთან ძალიან ახლოსაც ვიყავით, ბევრჯერ გვიქეიფია ერთად. ახლა მინდა ვთხოვო, იქნებ რაიმე საქმე გამომინახოს თავის ფირმაში. რამდენჯერ დავურეკე, პასუხი არ მაღირსა, რომ შევხვდები, იქნებ უარი არ მითხრას...

— ძნელი დრო დაგვიდგა, ძალიან ძნელი. მე მართლაც რომ ბედმა გამიღიმა, — გააგრძელა თხრობა ლევანმა:

— ამ ოთხი თვის წინ, ქუჩაში შემხვდა ირაკლი საყვარელიძე, მას შენც კარგად იცნობ...

— ხვალ დილით, შვიდ საათზე, ნავთლუღის სადგურზე უნდა ვიყო, გარეუბნიდან მანქანები მოვლენ, შეიძლება მწვანილის ბაღჩებში სამუშაოდ წაგვიყვანონ და თუ გინდა შენც მოდი, — მითხრა ირაკლიმ.

მეორე დილით 7 საათზე მივედი, ირაკლი უკვე იქ დამხვდა. ჩვენ გარდა, ოცამდე კაცს მოეყარა თავი. ბევრი ლოდინი არ დაგვჭირვებია, მართლაც მოვიდა რამდენიმე მანქანა. მე, ირაკლი და კიდევ ორი კაცი, ერთი მანქანით წაგვიყვანეს.

30-40 წუთის შემდეგ მანქანა ერთი სახლის (უფრო სასახლეს ჰგავდა) წინ გაჩერდა. მძღოლმა გვანიშნა, გადმოვსულიყავით. სახლიდან წარმოსადეგი მამაკაცი გამოვიდა. ყურადღებით აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, შემდეგ მძღოლს მიუბრუნდა — ოთხი კაცი არ მჭირდება, ამ ორს ავიყვან (ჩემზე და ირაკლიზე მიუთითა), სხვები ვისაც გინდა, მიეციო...

— დაგინახეთ თუ არა, მომეწონეთ, გატყობთ, კულტურული ხალხი ხართ. ვერც წარმოვიდგენდი, რომ თქვენნაირი ინტელიგენტები ჩემთან სამუშაოდ მოვიდოდნენ... — გვითხრა ზაურბეგმა (ასე ერქვა ჩვენს მასპინძელს) გამართული ქართულით და თან ეშმაკურად ჩაიღიმა.

დღესაც ვერ გამირკვევია, რატომ არჩია ზაურბეგმა ჩვენი თავი ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს.

მძღოლმა თეთრი მერსედესი გამოიყვანა გარაჟიდან. ზაურბეგმა თავაზიანად შემოგვთავაზა მანქანაში ჩავმსხდარიყავით.

ორიოდე კილომეტრში მანქანა ერთ-ერთ ნაკვეთთან გაჩერდა. თვის ბოლოკი შემოსულიყო. ჩვენ ბოლოკის მიწიდან ამოღება, კონებად შეკვრა და ნაკვეთის გვერდზე ჩამდინარე რუს წყალში გარეცხვა დაგვავალა მძღოლმა.

მთელი დღე ვიმუშავეთ. თავიდან სახალისოც კი მოგვეჩვენა... დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობდით.

ბოლოკის ამოღება რომ დავამთავრეთ, მძღოლმა ნიადაგში ნაკელის შეტანა დაგვავალა — საკმაოდ არასასიამოვნო და მძიმე შრომა გამოდგა.

ნაკვეთის ბოლოში ორი ლითონის ავზი იდგა, თითოეული ასე 200 ლიტრი ტევადობისა. მათში ნაკელი უნდა ჩაგვეყარა და წყალი დაგვესხა, კარგად აგვერია და შემდეგ ვედროებით მოგვესხა მთელ ნაკვეთში.

ჩვენ მიერ მომზადებულ მასას ისეთი შემზარავი სუნი ასდიოდა, რომ ცხვირპირი ცხვირსახოცებით გვქონდა აკრული, მაგრამ არაფერს გვშველოდა, შეუძლებელი იყო ამ სუნის ატანა...

შემდგომ, სიცხეები რომ დაიჭირა, ძალიან გაგვიჭირდა მუშაობა.

ჩავარდნილი ადგილი იყო, მზე პირდაპირ ტვინში აჭერდა, შუადღისას მუშაობა კი არა სუნთქვაც შეუძლებელი იყო.

არც ჩვენთან და არც მეზობელ ნაკვეთებში ერთი ძირი ხეც არ იდგა, თავს ვერსად შეაფარებდი...

მეზობლადაც ქართველები მუშაობდნენ. ახალგაზრდები იყვნენ. თავიანთ დამქირავებლებს ძალიან ემდუროდნენ —



ბევრს გვამუშავებენ, ცუდად გვექცევიან, თანაც ქართული არავინ იცის და გვიჭირს ურთიერთობაო.

ჩვენ კი, ჩვენი „ხაზეინები“ რატომღაც გამორჩეულად გვექცეოდნენ. არავინ გვსაყვედურობდა, თუმცა მათ დავალებებს განსაკუთრებული მონდომებით ვასრულებდით.

ისე, კაცმა რომ თქვას, მართლა გამორჩეულები ვიყავით. სრულებით არ ვგავდით დაქირავებულ მუშებს. ორივენი სათვალიანები, ხანდაზმულები. თუმცა არ ვიცი, რა რეაქცია ექნებოდათ, რომ გაეგოთ, ინჟინრების რამდენი თაობა გამოვზარდეთ.

ჩვენს მეზობლად მომუშავენიც პატივისცემით გვექცეოდნენ. ისიც გვითხრეს — ძალიან გაგიმართლათ, ზაურბეგი მიღებული და პატივცემული კაცია და მეტად შეძლებულიცო.

ზაურბეგს, მესამე ცოლად, ქართველი გოგო ჰყოლია.

ერთი შვილი ჰყოლია ზაურბეგს ქართველ ცოლთან, პირველ ცოლთან თერთმეტი, ხოლო მეორესთან — შვიდი.

ერთხელ, ნაშუადღევს, ნაკელი რომ შეგვქონდა ნაკვეთში და ოფლში ვცურავდით, ზაურბეგის მანქანა მოგვადგა. მასთან ერთად მანქანიდან სამი კაცი გადმოვიდა, ყველანი შეზარხოშებულნი იყვნენ. ზაურბეგმა თავის ენაზე სტუმრებს ჩვენი თავი ისე გააცნო, თითქოს თავს იწონებდა — შეხედეთ, ვინა მყავს დაქირავებული, თქვენს მუშებს კი არა ჰგვანანო. თან ჩვენთვის უკვე ნაცნობი ღიმილი არ სცილდებოდა. სტუმრები მე და ირაკლის ისე გვათვალიერებდნენ, თითქოს სამუზეუმე ექსპონატები ვიყავით...

მძღოლმა მანქანიდან სურსათსანოვაგე გადმოიღო — დღეს ბიჭი შემეძინა, მუშაობას თავი დაანებეთ, მეზობლებიც დაპატიჟეთ და ჩემი ბიჭის სადღეგრძელო დალიეთ! — გვითხრა, მანქანაში ჩაჯდა და სტუმრებიანად გაგვეცალა.

რამდენიმე ნაკვეთის მოშორებით გავშალეთ სუფრა. რუს წყალში ბევრი ვიბანეთ, მაგრამ ამაზრზენი სუნი ვერაფრით მოვიშორეთ, ოფლისა და ნაკელის სუნი თითქოს ძვალ-რბილში გაგვჯდომოდა...

ზაურბეგი პროფესიით მძღოლი ყოფილა. ადრე საკუთარი ტრაილერიც ჰყოლია. ახალგაზრდობაში შორეულ რეისებში დადიოდა თურმე. ახლა კი, დიდი ბიზნესით ყოფილა დაკავებული.

ქართველმა მუშებმა ისიც გვითხრეს, რომ განსაკუთრებული წარმოსადეგობისა და სხვა, ჩვენთვის უცნობი თვისებების გამო, მისთვის „კოხტა-მალაჩილა“ შეურქმევიათ.

...

ამ ლაპარაკში მე და ლევანი ვაგზლის მოედნის მეტროსთან მივედით. მან თხრობა დაასრულა და ნავთლუღისკენ წავიდა, ხოლო მე — ნაძალადევისკენ.

იმ დღეს არაფერი გამოვიდა — სამი საათის ლოდინის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ძველი ამხანაგი ვნახე. დიდი ამბით შემხვდა, გადამკოცნა კიდეც, მაგრამ სამსახურთან დაკავშირებით ცივი უარით გამომისტუმრა, თუმცა იმედიც გამომაყოლა, შენ აღარ შეწუხდე, თუ რაიმეს გამოვძებნი, მე თვითონ დაგირეკავო, — მითხრა და მანქანაში გაუჩინარდა.

ორი თვეც არ იქნებოდა გასული ჩემი და ლევანის შეხვედრიდან, რომ ლევანმა დამირეკა, შევხვდეთ, საქმე მაქვსო.

საკმაოდ დამწუხრებული მომეჩვენა. — გახსოვს, ირაკლი საყვარელიძეზე რომ გიყვებოდი? — ერთი კვირის წინ დავასაფლავეთო, — მითხრა.

ელდა მეცა.

ლევანმა თხრობა განაგრძო:

— დიდი სიცხეები დაიჭირა და გულმა ვერ გაუძლო. ნაკვეთში ცუდად გახდა. ორი წლის წინ ინფარქტი გადაუტანია, ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

ირაკლი ცუდად რომ გახდა, დიდი ამბავი ავტეხე. მძღოლი მოვიდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაგვიყვანა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ირაკლი გზაში გარდაიცვალა.

ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა. დარჩნენ დედა-შვილი ბედის ანაბარა. გული დამწყვიტა ირაკლის სიკვდილმა. ხომ იცი, ვისი შვილიც იყო — მამა აკადემიკოსი ჰყავდა, დედა პროფესორი. ცნობილი მეცნიერები იყვნენ. ირაკლიც პროფესორი იყო, ვაკეში, აკადემიკოსების სახლს რომ ვეძახდით, იქ ცხოვრობდა. ძალიან რომ გაუჭირდა, ბინა გაყიდა, ოჯახით გლდანში გადასახლდა. შემდეგ, ის ფულიც რომ შემოეხარჯა, როგორც გითხარი, ერთად დავდიოდით ზაურბეგის ბაღჩებში. გუშინ მძღოლმა ზაურბეგთან წამიყვანა, საიდან გაიგო ჩემი მისამართი, ახლაც ვერ გამიგია. ზაურბეგმა დიდი ამბით მომისამძიმრა მეგობრის დაღუპვა. შემდეგ მუშაობის გაგრძელება შემომთავაზა...

ჩემო დავით, შენ უკვე ყველაფერი იცი, რა პირობებში ვმუშაობ. მე ისიც ვიცი, რომ რამდენიმე წელია არავითარი შემოსავალი არა გაქვს. ამიტომ წამოდი და თუ ზაურბეგმა არ დაგიწუნა, ვიმუშაოთ მის მწვანილის ბაღჩაში.

ხმა არ ამომიღია.

შეყოვნება რომ დამატყო, ლევანმა მითხრა — ხვალ მე მივდივარ და თუ გადაწყვეტ, სადგურთან მოდი.

ლევანმა დიდი თავსატეხი გამიჩინა.

არწასვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც ვორჭოფობდი.

ეს ამბავი მეუღლეს მოვუყევი. ძალიან გაუხარდა — ღმერთიც უშველის ლევანს, იქნებ ჩვენც საშველი დაგვადგესო.

...ჩემი ინფარქტიც გამახსენდა, ორი წლის წინ რომ გადავიტანე, მაგრამ ცუდი აზრები შორს მოვისროლე.

გადაწყვეტილება მიღებული იყო...

...

რატომღაც ზაურბეგის მეტსახელი გამახსენდა:

მალაჩილა!

კოხტა-მალაჩილა!

სად გამიგია ეს სახელი?

სად?

გადმოვქექე ჩემი წიგნები...

...

1770 წლის 20 აპრილს, 50 წლის მეფე ერეკლემ, ასპინძასთან, პირისპირ ბრძოლაში მოკლა განთქმული ბელადი კოხტა-მალაჩილა... — წერს ლევან სანიკიძე.

ნეტა რას ერჩოდა მეფე ერეკლე კოხტა-მალაჩილას?

ან რა აზრი ჰქონდა კოხტა-მალაჩილას მოკვლას, თუ დღეს მისი სეხნიის ბაღჩაში მუშაობა მოტყუებულ, დაბეჩავებულ და დაკნინებულ ქართველ კაცს სანატრებელი გაუხდებოდა...

...

მეორე დილით, დანიშნულ ადგილას ადრე მივედი. ლევანის ლოდინში ომარ ხაიამი გამახსენდა:

კაცის წამება, მის შეძლებას
ალმატებულა,
ღმერთმა თავიდან ის სიკვდილით
ავალდებულა.
ნეტავი იმას, ვისაც ქვეყნად
არ უცხოვრია,
ნეტავი იმას, ვინაც სულ არ
დაბადებულა!..

გარშემო დუმილი სუფევდა.

არც ეკლესიის ზარები რეკდნენ...

---

...

ანათებდა მთვარე მწვანედ
წითელ ქვიშას,
სული კედელს ტეხდა,
ცრემლი ბოღმას გვიდა,
ძაღლი იწვა ყუთში,
ჯაჭვი რეკდა ციდან,
სიო ღრუბელს ცრიდა,
კოშკი იდგა მკვიდრად...
რიყის ქვაზე ლურჯი თევზი
თეთრ ქვირითებს ყრიდა მშვიდად.

### ვეცადე ფშაურად

ვნახე და ნახვა მამინდა,
უშბისა დასაპყრობისა,
თუმც რასა ვროშავ, ბედშავი,
რომელი დასაპყრობისა...
თავად დამიპყრო იმანა,
თავად მადინა ცრემლია,
მე კი სულელმა მაინცა
ურცხვად შავძახე ზვიადსა —
თუ კაც ვიქნები, დაგიპყრობ,
ადრე იქნ, თუნდა გვიანა!

### არცა ხმალი მაქვს

არცა ხმალი მაქვს, არც ფარი,
არცა წინაპრის სამკლავე,
ალბათ მამივა ჩემი დრო
და ზვარაკივით დამკლავენ.
არავის გავახსენდები,
მთაში მიტირებს ბერდედა...
(ვინმემ ხმა გამეცთ და მერე
სატყვიეთ გამიმეტეთა).
და მერე თუნდაც ჩამქოლეთ,
არ ვჩივი — ესეც ბედია,
ჩემი მწუხარე ლექსები
სიმწრისგან აბღავლდებიან.
არცა ხმალი მაქვს, არც ფარი,
არცა წინაპრის სამკლავე,
ალბათ მამივა ჩემი დრო
და ზვარაკივით დამკლავენ.

### მცხეთას ვცხოვრობდი

...დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია...
ხალხური

მცხეთას ვცხოვრობდი,
მტკვარს ვხვრეპდი
და დევი მყავდა მსახურად,
მივლიდა ნონა — მხევალი,
წვერს იღებავდა გლახუნა.
მამამზე გულში მიკრავდა —
მეფერებოდა ცალხელას...
მე ხელი არად მინდოდა,
იმას კი თვალის ახელა.

### მე კიდევ მოვალ

ასე დავიწყებ და დავივიწყებ
ცოტა ხნით მიწას,
მაღლა გავწვები,
ღრუბელთა შორის მოვიკალათებ
და ალბათ მაშინ,
მარტოობა რომ შემაწუხებს,
მზისკენ გავცურავ, გავსრიალდები
და მზე დამადნობს, ჩამომაწვიმებს,
თუკი ზამთარი დამხვდება გზაში,
გავთეთრგუნდები
და ვისრიალებ ხელიდან — ხელში,
სანამ დავდნები.
შემდეგ დამდნარი ჩავიღვენთები,
აღმოვცენდები, გავმარცვალდები,
გავმტევანდები,
დავიჭყლიტები
და გამიხსენებთ...
ასე დავიწყებ — მე კიდევ მოვალ...

...

ცამ ჩამოაგდო ცრემლი
და ამოვიდა ქვაზე ყაყაჩო,
მიუალერსა ფუტკარმა ნექტარს,
სკაში წაიღო ყაყაჩოს წვენი
გამოათაფლა...



### თოვლი ქუჩაში

თეთრად გაიპენტა არე,
მე მომნატრებია თოვლი,
ქარი შემომიღებს კარებს
და ქარს შემოჰყვება ცოლი:
— თოვს და გაიხარე, ბიჭო,
მეტყვის, ნიშნს მომიგებს თითქოს.
მე კი შარშანდელი მიჯობს,
შარშან უკეთესი იყო.
ციდან მოფარფატებს ფიფქი,
ნაზად გავუწოდე ხელი,
ვიცი, ჩემი ცოლის ფიქრი,
რატომ ურჩევნია ძველი.
მზე კი დადებულ თოვლს ადნობს,
შენც რა ლამაზი ხარ, ცაო,
ვიღაც გამაღვიძებს ამ დროს,
სად ჩაგძინებია ძმაო?!
თურმე მე ქუჩაში მძინავს,
თურმე დამესიზმრა თოვლი,
თურმე არ მქონია ბინა,
სიზმარს გაჰყოლია ცოლი.
წავალ, ამ სიზმრისას დავლევ,
ზეცა განათდება შორი,
ვიცი, მე მოვკვდები მალე,
მერე სულ მექნება თოვლი.

***მირზა უკლებას თბილისში იცნობენ, როგორც მომღერალს. იგი მთელი ცხოვრება სახელმწიფო კაპელაში მღერის. ბ-ნი მირზა ნამდვილი ქართველია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით — ლაღი, ქეიფის მოყვარული, ამავე დროს პოეტური და რომანტიკული.***

***დღემდე მისმა ყველაზე ახლობლებმა თუ იცოდნენ მისი პოეტური მოღვაწეობის შესახებ. გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.***

### სინანული

ვცადე — ველარ ავირბინე
კიბეები ბაგრატის,
ისევ ქვებზე გელოდები,
ფიქრი ისევ დაგნატრის...
როგორ შორი მეჩვენება,
შენს სახლიდან ჩემამდის,
თეთრი ხიდის მოაჯირი
ველარ მწვდება წელამდის.
ნუთუ მართლა გაგვიფრინდა,
წლები — ჩიტი ჩიორა,
ნუთუ ზღაპრის ბოლოში ვართ?
— იყო, არა იყო რა...

...

სანამ გაზაფხულია,
მზე ანთია ლადარა,
სანამ „ლურჯა ცხენები“
სრბოლამ ჯერ ვერ დაღალა,
სანამ ჩემზე ფიქრობენ,
სანამ სადღაც მელიან,
სანამ შენი წამწამნი,
აკრთობს წამწამთ ლელიანს,
სანამ ბროლის მკლავები
მხოლოდ მე მიმელიან —
მანამდის ხარ ოცნების
ფეხადგმული ტაძარი,
ჩემი სულის ყივილი,
ჩემი მწვანე ზღაპარი.

# ინგა გრიგოლიას კინაღამ გადაცემა ჩავუშალე...



მას შეუძლია ძალიან დიდხანს ისაუბროს სხვათა შესახებ, მოჰყვეს უამრავი ანეკდოტი და მოგიდუღოთ უგემრიელესი ყავა, ოღონდ საკუთარ თავზე ნუ ჰკითხავთ ნურაფერს, თორემ უნებლიეთ დაიბნევა, თითქმის დამუნჯდება და გამუდმებით მხოლოდ ერთ ფრაზას იმეორებს — ჩემზე, ჩემზე, აბა, რა გითხრათ? მიუხედავად ამისა, საინფორმაციო პროგრამა „მოამბის" წამყვანი **დიანა ჟოჟუა** მაინც ავალაპარაკე. სხვათა შორის, იგი მხოლოდ ტელეეკრანზეა დიანა, თორემ ისე, მოფერებით ყველა დიკას ეძახის. ზოგჯერ დიანათი თუ უხმობენ, ვერც კი ხვდება, რომ მას ეძახიან. მეგობრების დახასიათებით იგი ბავშვური, მიამიტი და გულუბრყვილო არსებაა და სინამდვილეში სულაც არ ჰგავს იმ სერიოზულ და ოფიციალურ დიანას, რომელსაც ყოველდღე მიჰყავს „მოამბე". დიკა პირველი არხის წამყვანთა შორის იშვიათი გამონაკლისია — მას ჟურნალისტური განათლება აქვს და არა სხვა პროფესია. მოკლედ, დიკა ჩემი სტუმარია და მოგვითხრობს საკუთარ თავზე.

— სკოლა დავამთავრე თუ არა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მოვეწყვე და მუშაობა დავიწყე „იბერვიზიაში". იმდენად პატარა ვჩანდი სხვებთან შედარებით, რომ ყველა ბავშვს მეძახდა და ხუმრობდნენ — დიკამ აკვნიდან ფეხი გადმოდგა თუ არა, მაშინვე ტელევიზიაში გამოიქცაო. აბა, რა გითხრათ, აკვნიდან რა ოცნება მაწუხებდა, არ მახსოვს, მაგრამ ჟურნალისტობაზე ნამდვილად არ მიოცნებია. იურიდიულზე უნდა ჩამებარებინა და სრულიად მოულოდნელად ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აღმოვჩნდი.

**— ხომ არ ნანობ?**

— რას ამბობ. არა, ძალიან მიხარია, რომ მხოლოდ წამყვანად არ მიმუშავია და „იბერვიზიაშიც" და პირველ არხზეც ვიყავი აქტიური კორესპონდენტი.

**— იმდენად აქტიური, რომ კინაღამ ტყვედ ჩავარდი.**

— გალსა და ზუგდიდში რომ არეულობა იყო რამდენიმე წლის წინ, მე და რამდენიმე ჟურნალისტი გალში გადავიპარეთ. რომ არა ღვთის წყალობა, შეიძლება ცუდად წაგვსვლოდა საქმე, ოთხი კბილებამდე შეიარაღებული აფხაზი დაგვადგა თავზე და ჩვენც კამერებივით გავშეშდით, მხოლოდ ჩვენი თვალები მოძრაობდა. ბედად, რუსი ჯარისკაცები გამოჩნდნენ და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. თბილისში რომ ჩამოვედი, მაშინ შემეშინდა. მაგრამ ძალიან ბედნიერი ვიყავი იმით, რომ იშვიათი, ექსკლუზიური მასალის მოძიება შევძელი.

**— რისკზე წასვლა გიყვარს?**

— ძალიან. გალიდან ჩამოსული, სამაჩაბლოში გავვარდი, მერე კი ისევ ზუგდიდსა და გალში. ძალიან მიყვარს ბილიარდის თამაში, საბილიარდოში ყველაფერი მავიწყდება, ასე ვარ საქმეშიც, მუშაობას რომ ვიწყებ, არაფერი მახსოვს.

**— შენზე გავიგე, ქართველი მფრინავები შვეულმფრენში არ უშვებენო.**

— კინაღამ ტრაგედია დავატრიალე. ჩეჩნეთის და საქართველოს საზღვართან მივფრინავდით. მფრინავებს თავი მოვაბეზრე მუდარით, საჭესთან დამსვით-მეთქი. რა, მართვა იცით? — გაიკვირვეს, აბა რა, სულელი ხომ არა ვარ, ისე ამდენი გეხვეწოთ-მეთქი, იმათაც — ჯანდაბას შენი თავიო და გვერდით მომისვეს. ჩემი ხელის ერთმა მოძრაობამ კინაღამ დაგვღუპა. ლამის კლდეს შევეჯახეთ. ბედმა გამიღიმა, რომ გამწარებულმა მგზავრებმა შვეულმფრენიდან არ გადმომაგდეს.

**— რაზე ოცნებობ?**

— ჩემი ოცნება მსოფლიოში მოგზაურობაა, მაგრამ უდროობისა და მოუცლელობის გამო, ზაფხულშიც კი ვერ გავსულვარ საზღვრების გარეთ. ერთადერთი ჩემი დასასვენებელი ადგილი ზღვაა.

**— სადაც არავინ მოგეშველა, როცა იხრჩობოდი.**

— არა, სურვილიც კი არ გასჩენია ვინმეს, რომ პლაჟიდან წამოწეულიყო მაინც და მშველელისთვის ეხმო. ისე ღელავდა ზღვა, იმხელა ტალღები მოგორავდა, რომ ეტყობა, ყველას ან მოჩვენება ვეგონე ზღვაში ან არადა იფიქრეს — გიჟია ვიღაც, ასეთ დროს ზღვაში რამ შეიყვანაო და ყველამ გამწირა, მაგრამ მაინც გადავრჩი. ღმერთმა არ გამწირა.

**— არ გეშინია, ამ შენი აზარტულობის გამო, ერთხელაც მწარედ რომ დაისაჯო?**

— აბა, რა გითხრა? ამაზე რომ ვფიქრობდე, ხიფათში ხომ აღარ ჩავვარდები? ჩემი აზარტულობა ფულის ხარჯვაშიც მჟღავნდება. თუ გსურთ, თქვენი ოჯახის ერთი თვის ბიუჯეტი ერთ დღეში დახარჯოთ, მე უნდა გამიშვათ საყიდლებზე — ფულის ყადრი არ ვიცი. არა, კი ვიცი, მაგრამ ცოდნას ვერ ვამჟღავნებ (იცინის).

**— შენი ენაკვიმატობის გამო, თურმე ინგა გრიგოლიას კინაღამ გადაცემა ჩაუშალე, რა თქვი ასეთი?**

— ანეკდოტი მოვყევი სტუდიაში და ინგაც ახარხარდა. მე ვზრუნავ ჩემსირგვლივმყოფთა მხიარულ განწყობაზე. თქვენც მოგიყვებით ერთ ანეკდოტს, შეიძლება ბევრმა იცოდეს კიდეც, მაგრამ იმედი მაქვს მაინც გაეცინებათ: მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა, სამ უკაცრიელ კუნძულზე ცალ-ცალკე გაუშვეს ორი ფრანგი მამაკაცი, ერთი ქალი, ორი იტალიელი კაცი ასევე ქალთან ერთად და ჭიჭიკია და ბიჭიკია ნაზიკიასთან ერთად. ერთი თვის შემდეგ მკვლევარებმა კუნძულები მოინახულეს. ფრანგები მშვიდად გრძნობდნენ თავს. ქალი იყო უგუნებოდ — ეს რა ხალხში მოვხვდი, ჯენტლმენურად ჩემს თავს ერთმანეთს უთმობენ და არც ერთი ზედაც არ მიყურებსო. იტალიელებთან მხოლოდ ერთი კაცი და ქალი დახვდათ: დუელის შემდეგ გამარჯვებულ თავის პარასკევასთან ერ[illegible] ცხოვრობდა, ყველაზე საინტერესო სიტუაცია მესამე კუნძულზე დახვდათ. [illegible]ემ-ნაბეგვი, თავწაკრული ნაზიკია კუნძულს გვიდა. ბიჭიკია და ჭიჭიკია კი ნა[illegible]ეს აგორებდნენ. რა მოგივიდა, ნაზიკია, შე უბედუროო, — ჰკითხეს მეცნიერებმა. „რავა რა მომივიდა. ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს ჭიჭიკიას ვეკუთვნი, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს — ბიჭიკიას. კვირას კი ხან ერთი მცემს და ხან მეორე, რატომ ბოზობ, შე კახპაო".

**— შენზე ამბობენ, ხან ბინ ლადენთან არის შეკრული და ხანაც — ბუშთანო. ზუსტად რას გაბრალებენ?**

— უფრო მეტსაც გეტყვით — პატარა ლევიათანს მეძახიან. თუ რამე უბედურება მოხდა მსოფლიოში, მე ვარ მაშინ მორიგე „მოამბეში" და გულდათუთქული ვაუწყებ ხალხს უბედურებას. ამიტომაც მივრცელებენ მეგობრები ხმებს, თითქოს ვიღაც-ვიღაცებთან ვიყო შეკრული. 11 სექტემბერსაც მე ვიყავი „მოამბის" წამყვანი და იმ დღესაც, ამერიკამ ქაბული რომ დაბომბა. მერწმუნეთ, ძალიან მშვიდობიანი ადამიანი ვარ და ყველანაირ ძალადობას ვეწინააღმდეგები.

**— დღესასწაულები გყვარებია, მართალია?**

— აღდგომის დღესასწაული მიყვარს ძალიან. აღდგომა ყველა დღესასწაულისაგან განსხვავებულია — აღსდგა უფალი მკვდრეთით და ჩვენც აღვსდექით, რადგან მისი მადლი თითოეული ჩვენგანის სულს მოეფინა.

*ეკა ლომიძე*

12 მაისი კვირა

11 მაისი შაბათი

10 მაისი პარასკევი

9 მაისი ხუთშაბათი

8 მაისი ოთხშაბათი

7 მაისი სამშაბათი

6 მაისი ორშაბათი

# სტუდიაში მაღაროელის ჩაფხუტებით დაშვენებული მივედით... თურმე ჯერ სად ხარ...



„ალიონელი" **ალექსანდრე ფარულავა** თავისი მეგობარი რეჟისორის, სერგო ბუიღლიშვილის წყალობით მოსულა პირველ არხზე და აგერ უკვე 8 წელია „ალიონის" შემოქმედებითი გუნდის სტაჟიანი წევრია. შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრეს ოჯახი მთლიანად ტელევიზიასთან და თანაც „ალიონთან" ყოფილა დაკავშირებული. ყველაფერს ჩემი რესპონდენტისაგან გაიგებთ.

— ტელევიზიაში მისული ჯერ რადიოში, „პიკის საათში" მოვხვდი, მერე გადავედი „ალიონში", რომელიც სწორედ „პიკის საათის" შემოქმედებითი ჯგუფის ინიციატივით შეიქმნა. ასე დაიწყო ჩემი სატელევიზიო კარიერა. ვმუშაობდი რეპორტიორად, კორესპონდენტად, ვმუშაობ წამყვანად და ვფიქრობ, რომ ბევრი საინტერესო შემოქმედებითი პროცესის მონაწილე და მოწმე ვიყავი.

**— კორესპონდენტობის შემდეგ წამყვანობა ცოტა მოსაწყენი ხომ არ გეჩვენება?**

— არა, ტელევიზიაში ყველა სფეროში მოღვაწეობა თავისებურად საინტერესოა. რეპორტიორის ყოველდღიური საქმიანობა მრავალმხრივი კონტაქტითაა საინტერესო, წამყვანის და დიქტორისა კი იმით, რომ შეძლებისდაგვარად ინდივიდუალური და შემოქმედებითი იყოს. ორივე შემთხვევაში უზარმაზარი შრომაა საჭირო იმისათვის, რომ მაყურებელი მუდმივად გყავდეს.

**— ალბათ იმისთვისაც, რომ პოპულარობაც არ დაკარგო, არა?**

— საერთოდ, საკუთარი თავი პოპულარულად არ მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ პოპულარობის ცნება ჩვენში არასწორადაა გაგებული, ხშირად არასწორადაც ვეწევით პოპულარიზაციას, ანუ ის ადამიანები ხდებიან პოპულარულები, ვინც ამას არ იმსახურებს. მოვა დრო, როცა ჩვენში ძალიან გაძნელდება პოპულარობის მიღწევა და საქართველოში ძალიან ცოტა, მაგრამ მართლა პოპულარული და ღირსეული ადამიანები იქნებიან.

**— თუ გიფიქრიათ, რამ მოიტანა ეს ყბადაღებული პოპულარობის სინდრომი ჩვენთან?**

— ამაში ალბათ ჩვენც, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიც ეცოდავთ — ისეთ ადამიანებს ვახვედრებთ საზოგადოების ინტერესის სფეროში გამუდმებით, ისეთებზე გადავცემთ სიუჟეტებს და ვწერთ სტატიებს, რომლებიც ამას ხშირ შემთხვევაში არ იმსახურებენ, მაგრამ ჩვენ ამ დროს მომგებიან ბიზნესზე ვმუშაობთ. ალბათ მოვა დრო და ჩვენი მენტალიტეტიც ამ მხრივ შეიცვლება. თუმცა ეს დრო ხვალ ნამდვილად არ დადგება.

**— როცა გცნობენ, როგორ იქცევი?**

— ვცრუობ, რომ მე ის არა ვარ, ვინც მათ ვგონივარ, რომ მე ვარ ალექსანდრე ფარულავას ტყუპისცალი გიორგი, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს ტელევიზია. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ არ მინდა ვინმე გაისარჯოს და დაუაცურდეს ჩემს პატივსაცემად. ხალხის ფსიქოლოგია ხომ ასეთია, თუ გიცნო, პატივიც უნდა გცეს.

**— როგორ აგვარებ ოჯახთან ურთიერთობის პრობლემას, როგორც ვიცი, დატვირთული სამუშაო გრაფიკი გაქვს.**

— ჩემი ოჯახი მთლიანად ტელევიზიას უკავშირდება. ჩემი მეუღლე, თამარ ჩიხლაძეც „ალიონში" მუშაობს უკვე 5-6 წელია. ვფიქრობ, საერთო სამსახურმა განაპირობა, რომ ერთმანეთს კარგად ვუგებთ. ხშირად ამბობენ, ცოლ-ქმარი ერთად არ უნდა მუშაობდნენო. მე არ ვეთანხმები ამ აზრს, ზოგჯერ ერთ სიბრტყეში მუშაობაც გვიწევს. უფრო ხშირად კი სხვადასხვა საქმე გვაქვს და მე მის საქმეში არ ვერევი, ის — ჩემსაში.

**— ალბათ ვერც წარმოგიდგენია სხვა პროფესიის მეუღლე...**

— დიახ. სხვა პროფესიის რომ ყოფილიყო, შესაძლოა პრობლემებიც მქონოდა. აბა რა, ბევრისთვის ძნელი გასაგები იქნებოდა, რატომ ვარ ტელევიზიაში თითქმის დღედაღამ და რატომ ვბრუნდები კვირაში ოთხჯერ სახლში ძალიან გვიან.

**— შენი ქალიშვილი თუ იჩენს ტელევიზიის მიმართ ინტერესს?**

— მას ძიძა ჰყავს და ბავშვის მოვლის პრობლემა არ გვაწუხებს, თუმცა ხშირად გამოგვივლის ხოლმე სამსახურში. უკვე პირდაპირ ეთერშიც იყო და იოლი შესაძლებელია ჩვენი პროფესია აირჩიოს. ჯერ კი იბნევა, როცა „ალიონის" წამყვანების ვინაობა ცხადდება: გადაცემა მიჰყავდათ ალექსანდრე ფარულავას და ნინო შუბლაძესო და ამბობს, რომ „ალიონში" მისი მამიკო ალეკო შუბლაძე იყო.

**— ნინო შუბლაძეს, თურმე, ხშირად აცინებ ეთერში?**

— ნინო ძალიან მხიარული ადამიანია და იუმორზე იოლად იცის აყოლა. ამას წინათ სტუდიაში ერთი სტუმარი მთელი სერიოზულობით მსჯელობდა მნიშვნელოვან თემებზე. მე ირონიული რეპლიკა მომაფიქრდა. დავწერე და ნინოს მივაწოდე. მეგონა, უბრალოდ გაიღიმებდა. მან კი სიცილი ატეხა, არადა ისეთ თემაზე მიდიოდა საუბარი, რომ იქ სასაცილო არაფერი იყო.

**— ეი. პირდაპირი ეთერიც ისევე სავსეა მოულოდნელობით, როგორც ცხოვრება...**

— დიახ. მთავარია, მობილიზებული იყო ნებისმიერი შემთხვევისათვის, დროულად გამოასწორო ლაფსუსი ისე, რომ მაყურებლისთვის შესამჩნევი არ იყოს. ეთერს მიღმა შესანიშნავად ვხუმრობთ და ვმხიარულობთ.

**— სახუმარო ლექსიკონიც კი გაქვთ, არა?**

— მე მდიდარი ფანტაზია მაქვს საიმისოდ, რომ უცნაური სიტყვები და ფრაზები მოვიგონო. მაგალითად, კროცვა არის ბოდვა, ანუ თუ ვიტყვით, რომ ძალიან ვიკროცეთ, ეს ნიშნავს, ძალიან ბევრი ვიბოდიალეთ.

**— ტელევიზიის გარეთ შენი პარტნიორის, თავზეხელაღებული მძღოლის, ნინო შუბლაძის გეშინია?**

— არა, მე ნამდვილად არ მეშინია. აგერ ახლახან, მანქანით ჩამომიქროლა, თურმე ტელეფონზე მირეკავდა, მე ვერ გავიგე. მანქანით დამეწია და მკითხა, რამ დაგაყრუა, რა იყო, წერილი ხომ არ მიგაქვს იმქვეყნადო. ვისაუბრეთ, მერე კი თვალის დახამხამებაში გაქრა. საბედნიეროდ, მას როგორც ქალს, ყველა გზას უთმობს.

**— თუ გიხუმრიათ გადაცემის დროს მაშინ, როცა სულაც არ იყავით ხუმრობის ხასიათზე?**

— კი. ეს იყო მაშინ, როცა თქვენი გაზეთით გავიგეთ, რომ 20 თებერვალს მიწისძვრა მოხდებოდა. მე და ნინოს უნდა წაგვეყვანა იმ დილით „ალიონი". დილით ბინები დაცარიელდა და მეგონა, არავინ არ გვიყურებდა, მაგრამ შევცდი. მართალია, მე და ნინო ყველას ვამხნევებდით, მაგრამ შიში ოხერია, ამიტომ მომზადებულები მივედით სტუდიაში და მაყურებელს მაღაროელის ჩაფხუტებით გამოვეცხადეთ. კარგი რამ გამოგვივიდა. იმ დღეს კი გადავრჩით, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ, იმ კაცის სიზმარი, აგერ ორი თვის შემდეგ ახდა და თანაც როგორ ახდა (თურმე ყველაფერზე ხუმრობა არ შეიძლება)... მიწისძვრის შემდეგ ღამით ქუჩაში მეც გვარიანად შეშინებულმა პირველად ვნახე სრულიად გაფითრებული ნინო შუბლაძე. მანქანებიდან გადმოსული კარგა ხანს ვბოდავდით რაღაცებს და ერთადერთი, რაც გარკვევით ვთქვით, მადლობა იყო ღვთის წინაშე, რომ არ გაგვწირა.

*ეკა ლომიძე*

ეს წერილი ილიას საიუბილეოდ დავწერე, მაგრამ მაშინ ვერსად შევძელი მისი დაბეჭდვა. რატომღაც ამ წერილის გულისთვის მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტში დამიბარეს. მერე ილიას საიუბილეოდ თითქოს ერთ-ერთ (არ ვასახელებ) გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო, შეიტანეს კიდეც ნომერში, მაგრამ გათენდა დილა, გამოვიდა გაზეთი და...

მას აქეთ დიდი დრო გავიდა და იმდენი რამ მოხდა, იმდენი დაიწერა პრესაში, ახლა დაუჯერებელიც კი არის, რომ მაშინ ეს წერილი ვერ დავბეჭდე.

უბედურმა შემთხვევამ საქართველოს კიდევ ერთი საყვარელი შვილი წაართვა. ჩვენ გვერდით აღარ არის კინორეჟისორი ომარ გვასალია... ძალიან მინდა, ეს წერილი დაიბეჭდოს და თქვენც ისევე დაინახოთ ომარი, როგორსაც მე ვუყურებდი მას.

ვფიქრობ, ილიაზე ლაპარაკი საქართველოს ბედზე ლაპარაკს ნიშნავს და რაკი ამის უფლება მე ჯერჯერობით არ მომიპოვებია, ამიტომ წინასწარ ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშეც და ასევე კინორეჟისორ ომარ გვასალიას წინაშეც, რადგანაც მის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის, „რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან“, შესახებ მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი.

წინასწარვე მინდა განვაცხადო, რომ ეს ფილმი მომწონს, ძალიან მომწონს და ამიტომაც უფრო ვუხდი მის ავტორს ბოდიშს, რომ სურვილი ერთია — საზოგადოების წინაშე გამოვთქვა ჩემი აზრი, — შესაძლებლობა კი მეორე; შეიძლება რამე ისე ვერ ვთქვა, როგორც ამ ფილმს ეკადრება. ალბათ ასეთ შემთხვევაში მკითხველი იტყვის, მაშინ ხომ დუმილი სჯობდაო, მაგრამ სწორედ ეს დუმილი არ შემიძლია და სწორედ ამიტომ მივიქცევ რამდენიმე ხნით მკითხველის ყურადღებას.

ამას წინათ ეს ფილმი საქართველოს ტელევიზიით უჩვენეს. მანამდე კი კინოს სახლის მცირე დარბაზში მოეწყო პრემიერა და როცა ფილმი დამთავრდა, ერთ-ერთმა მაყურებელმა გულწრფელად თქვა: ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ილიას მკვლელობის მონაწილე ვიყავიო. ვფიქრობ, ამაზე უფრო დიდი შეფასება შეუძლებელია, თუმცა ფილმის ავტორს, ალბათ თვითმიზნად არ გაუხდია, რომ ყველა მაყურებელს ასეთი განცდა დაუფლებოდა, ეს უფრო მაყურებლის სინდისზე და პატიოსნებაზეა დამოკიდებული. წესიერმა და პატიოსანმა კაცმა იცის, რომ ის ერის განუყოფელი ნაწილია და როცა საკითხი ილიას მკვლელობას ეხება, იგი თავის თავზე იღებს ულირსი მოძმის ცოდვას, აღიარებს, რომ „მეექვსე მკვლელია“.

### ვინ არის „მეექვსე მკვლელი“?

აი, ეს არის საფიქრალი და ყოველი ჩვენგანისათვის საკუთარ არსებაში პასუხის გასაცემი კითხვა. კითხვა, რომელიც ისე ოსტატურად და თითქოს სხვათა შორის არის ფილმის ფინალში დასმული, რომ სულაც არ გატანს ძალას ავტორი, შენს თავზე „მეექვსე მკვლელის“ ცოდვა იკისრო; იგი მხოლოდ დოკუმენტალისტის სიზუსტით ხატავს იმ საშინელებას, რაც წიწამურის გზაზე მკვლელებმა ჩაიდინეს. კადრში ბუნდოვნად, ერთი გაელვებით, თითქმის არც კი ჩანს მკვლელების სახეები. ისტორიამ არ უნდა იცოდეს ეს არაადამიანური სახეები, ისინი უსახონი არიან. ანდა რა სახე უნდა ჰქონდეთ ადამიანთ, რომელთაც, ვაჟას თქმისა არ იყოს: „ილია ჭავჭავაძის მკვლელებს რომ შეეძლოთ, თვითონ საქართველოს მოჰკლავდნენო“.

კადრში ჩვენ პანორამით ვხედავთ ხუთ ბუნდოვან სახეს, რომელთაგან ერთი 1908 წელს პოლიციის შეტაკებისას მოკლეს, სამნი ორი წლის შემდეგ გაასამართლეს, ერთი კი 34 წლის შემდეგ.

ხოლო მეექვსე მკვლელი ჯერჯერობით უცნობია. მისი ადგილი ფილმში ღიად დაუტოვებია ავტორს.

ვინ არის „მეექვსე მკვლელი“.

იქნებ ყოველი ჩვენგანი, ვინც ამ ფილმის ნახვის შემდეგ, იმ მაყურებელივით საკუთარ თავზე აიღებს ამ საშინელ ცოდვას.

იქნებ იმ დანარჩენ ხუთივით კონკრეტული და უსახური ადამიანი, რომელმაც დანარჩენებზე მეტად მოახერხა შენიღბვა და რაღაცის თუ ვიღაცის წყალობით, დღესაც იმალება, ჩვენს შორის არის, ჩვენ მას ვხედავთ, მაგრამ რატომღაც გვეშინია მისი მხილება; ამიტომაც არის, რომ ყოველი ჩვენგანი, — ვინც ილიას მკვლელს ვხედავთ, ხელს ვაფარებთ და არ ვამხელთ, — თავისუფლად შეიძლება ვიწოდოთ „მეექვსე მკვლელად“ და თავისუფლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თავი ფილმში საამისოდ დატოვებულ ღია კადრში.





იქნებ ის ქართველია „მეექვსე მკვლელი“, რომელმაც ნებსით თუ უნებლიეთ არ იცის ილია და ამით უსახო ხდება, როგორც ქართველი. თუმცა, „არცოდნა არცოდვააო“, მაგრამ ილიას არცოდნა, ჩემი აზრით, ყველა ცოდვაზე უფრო მძიმეა დღევანდელი ქართველი კაცისათვის, მით უმეტეს, ახალგაზრდობისთვის, რადგან ილია სწორედ მომავალში ხედავდა საქართველოს იმედს.

ჩემი აზრით, ამ ფილმში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რა ვიცით ახალგაზრდებმა ილიას შესახებ, რომელიც მთელი სიმწვავითაა აქ დაყენებული. სამწუხაროდ, ირკვევა, რომ სტუდენტებში უმრავლესობამ არც კი იცის, ჰქონდა თუ არა ილია ჭავჭავაძეს პუბლიცისტური წერილები. თითქოს ერთი შეხედვით ამის არცოდნა ახალგაზრდებისთვის არც ისე დიდი ტრაგედიაა, მაგრამ...

იქნებ ის მასწავლებელია ილიას „მეექვსე მკვლელი“, ვინც ვერ ახერხებს გვასწავლოს ილია.

იქნებ იმ დამალული „მეექვსე მკვლელივით“ შენიღბული, დღესაც ცდილობს, როგორმე მოგვწყვიტოს ილიას, როგორმე გათიშოს სამწყსო მწყემსისაგან და შემდეგ უპატრონოდ დარჩენილ უაზრო ფარას იქით მისცეს გზა, საითაც მისთვის უფრო სახეიროა.

ჩინგიზ აითმატოვს შემზარავად აქვს დახატული მანქურთის სახე. ადამიანს, რომელსაც თავზე აქლემის ტყავს ჩამოაცმევდნენ, თმა შიგნით ჩაეზრდებოდა და ამით ავიწყდებოდა წარსული. იგი „პატრონის“ სურვილის ბრმა შემსრულებელი ხდებოდა და შეეძლო მშობლის მოკვლაც კი.

დღეს ილიას არცოდნა ასეთ მანქურთობას წააგავს და რაკი მანქურთი სხვათა სურვილის აღმსრულებელია, იგი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს „მეექვსე მკვლელად“.

რაკი ერთხელ დავმალეთ ჩვენს შორის „მეექვსე მკვლელი“, შეიძლება სწორედ ამიტომაც ვინმეს არ მოეწონოს ფილმში ასეთი მხილება, — რაც ასე თუ ისე, გვაჩვენებს ჩვენს დღევანდელ სახეს, — და უსაყვედუროს კიდეც ფილმის ავტორს ამ საშინელების სააშკარაოზე გამოტანა, ასეთებს მალვა ეხერხებათ და სხვასაც იმას უკიჟინებენ, შენც დამალეო, საბაბად საქართველოს სახელის „შერცხვენას“ მოიტანენ ხოლმე და ასე გაჩუმებულებს ვიღაც უჩინარი თანდათან თავის ჭკუაზე გვაყენებს.

სხვა რომ არაფერი, ილია ყველაზე მეტად ებრძოდა სხვათა თვალწინ კოხტაობას. იგი პირველი ამხელდა ხოლმე ჩვენს ნაკლს და ამის წყალობით მტერიც მრავლად ჰყავდა.

ზოგიერთს შეიძლება ისიც არ მოეწონოს, რომ წყარო, რომელიც ილიას უყვარდა და იმ საბედისწერო დღეს ჩვეულებრივზე დიდხანს გაჩერდა მასთან, ასე მოუვლელი ჩანს კადრში. გზა, რომელზეც სიცოცხლის უკანასკნელი წუთები გაატარა ილიამ და რომლითაც მარადისობას შეუერთდა, დღეს ასე მოუვლელი და დანაგვიანებულია: ადგილიც კი არ არის ზუსტად აღნიშნული, სადაც ილია მოჰკლეს, აპარატი კი ამაოდ ტრიალებს ღორღებს შორის და ისმის წამყვანის ხმა: დაახლოებით სადღაც ამ ადგილას მოუკლავთ ილიაო.

რაღა თქმა უნდა, წყაროსა და გზის ლამაზად გადაღებაც შეიძლებოდა, მაგრამ ავტორი არ ადგას დამალვისა და შენიღბვის გზას; ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ პირველი თვითონ გახდებოდა „მეექვსე მკვლელი“. ილიას ხომ ყველაზე მეტად ერის სატკივარის არგამხელა ეჯავრებოდა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ზურაბ ყიფშიძის ხმა. ერთია ტექსტი და მეორე — ვინ კითხულობს, როგორ კითხულობს, რა დამოკიდებულება აქვს ყოველ წარმოთქმულ სიტყვასთან. როგორც დოკუმენტური ფილმი, „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ ვერ წარმომიდგენია ბატონი რეზო თაბუკაშვილის მიერ წაკითხული ტექსტის გარეშე, ასევე ვერ წარმომიდგენია ეს სურათი ზურაბ ყიფშიძის ხმის გარეშე.

მე აღარაფერს ვამბობ ფილმის დანარჩენ დადებით მხარეებზე, რომლებიც ფილმს ერთ



მთლიან სიმფონიად კრავენ. ალბათ დამეთანხმებიან კინორეჟისორები, კინომცოდნეები და სხვანიც, რომ ფილმი მაღალი რეჟისორული ოსტატობითაა შესრულებული. პირადად მე, ამ ფილმის ნახვის შემდეგ დიდი სურვილი გამიჩნდა, როდესმე შემექმნა დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასევე საჭირო იქნებოდა ჩვენი ერისათვის. კიდევ უფრო შემიყვარდა კინო და კიდევ უფრო დავრწმუნდი მის ძალაში.

მე არ ვიცი, მხატვრულ ფილმში რა ხერხებით შეიძლება იმ შთაბეჭდილების მოხდენა, რასაც ამ ფილმში, ილიას მკვლელობის ეპიზოდში ბერდანის თოფის გამოსახულება იწვევს მაყურებელში.

უბრალოდ, ეკრანზე ნაჩვენებია ბერდანის თოფის სქემა და დიქტორი ჰყვება მის სიზუსტესა და შესაძლებლობებზე: ამ ტიპის თოფს ტყვია ოთხი ათას ნაბიჯზე მიაქვს, ილიას კი ხუთი-ექვსი ნაბიჯიდან ესროლეს, გვეუბნება ავტორი და ისეთი შემზარავია მოყოლილი ამბავი, რომ ძალაუნებურად იმასაც კი გაიფიქრებ კაცი: პოლკოვნიკ ბერდანს, წინასწარ რომ შესძლებოდა იმის განჭვრეტა, მის მიერ დამუშავებული თოფი ყველაზე მეტად ქართველებისთვის რომ იქნებოდა საბედისწერო, ვფიქრობ, თვითონვე დახევდა მის სქემას, რომელიც ასე შემზარავია ფილმში, თუმცა, რას გაიგებ...

თოფი კი აქ არაფერ შუაშია, უმეცარი და უსახური შვილი ყველაზე უფრო საშიში იარაღია ერის ცხოვრებაში, იმ ერისა, რომელმაც ღმერთმა ერთდროულად მოუვლინა ილია და „მეექვსე მკვლელი“, რომელიც ბედის განგებით დღესაც აფარებს თავს ჩვენს შორის და ვინ იცის, იქნებ ყველა ჩვენგანშიც.

კიდევ ბევრი შეიძლებოდა ამ ფილმის ჰარმონიულობასა და მისი შემქმნელების მაღალპროფესიონალობაზე საუბარი. ამაზე, ალბათ, ჩემზე უკეთესად დაწერენ კინომცოდნეები და აქ დასმულ სატკივარზე დაფიქრებული ადამიანები, მე კი ერთხელ კიდევ ბოდიშს ვიხდი დიდი ილიას სულთან, ქართველ საზოგადოებასთან და ფილმის რეჟისორთან, თუ რამე ისე ვერ ვთქვი, როგორც საჭირო იყო.

ბოლოს კი მინდა გამარჯვება ვუსურვო ილიას აზრს, რომელსაც ვერავითარი ბერდანის ტყვიით ვერავითარი მტერი ვერ მოჰკლავს; გამარჯვება მინდა ვუსურვო ამ უკვდავი აზრის საგანს, საქართველოს, რომელიც ადრე თუ გვიან თვალგამართული დაინახავს საკუთარი სულის სარკეში თავის ნამდვილ სახეს.

ჯერჯერობით კი სადღაც ჩვენს შორის დადის „მეექვსე მკვლელი“.

ხუთი წლის მერე კი მხოლოდ ამის დამატება შემიძლია:

დღეს ერთმანეთს ვხოცავთ ქართველები.
— ერთმანეთს ვძარცვავთ.
— ერთმანეთს ვატყუებთ.
— ერთმანეთს არ ვენდობით.
— ერთმანეთს არ ვინდობთ.
— და
რაც მთავარია —
აღარ გვაქვს ერთობა.

და ასე ვცხოვრობთ ილიას საქართველოში.

და რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთ დროს, ასეთ ყოფაში გვტოვებენ ის კაი ქართველები...

საუბედუროდ, დღეს ისევ და ისევ მძლავრობს „მეექვსე მკვლელი“...

•••

ამ სახით წერილი მოგვიანებით გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა, მაგრამ სურვილი გამიჩნდა, კიდევ ერთხელ შევახსენო ქართველობას „მეექვსე მკვლელი“ და რამდენიმე სიტყვით კიდევ გამოვხატო ჩემი შეხედულება.

როგორც აღვნიშნე, დიდი ხნის წინათ დავწერე ეს წერილი, მას მერე კი იმდენი რამ მოხდა, ისეთი შავბედობის ბორბალი დატრიალდა საქართველოს თავზე, რომ ყურებში ერთთავად სულ ვაჟას სიტყვები ჩამესმის: „ილია ჭავჭავაძის მკვლელებს რომ შეეძლოთ, თვითონ საქართველოს მოჰკლავდნენ“.

*მეშინია.*

*ვაითუ მართლა შეძლონ მათ ეს.*

***ისე გამრავლდნენ ილიას მკვლელების, თუ მეექვსე მკვლელის შთამომავალნი, ისე გაძლიერდნენ, ისე სძირკვავენ ილიას აზრს საქართველოს სულიდან, ისე გათიშეს ქართველობა და მათ შორის ცდილობენ ჩვენი იმედის, საქართველოს ახალგაზრდობის გათიშვას და ერთმანეთთან წაკიდებას, რომ თუ ეს მოახერხეს, აი, სწორედ აქედან დაიწყება ჯერ იმედის სიკვდილი, შემდეგ კი მხრებჩამოჭრილ და გაძვალტყავებულ საქართველოს დასაკლავ ხარივით ბეჭებზე დასცემენ და ისე ოსტატურად გაუყრიან ყელში სასიკვდილო მახვილს, როგორი ოსტატობითაც გამოასალმეს სიცოცხლეს ილია, როგორ ოსტატურადაც შეინიღბა „მეექვსე მკვლელი“, თავისი ნაშიერი გაამრავლა, ყველაფერი ხელში ჩაიგდო და ისღა დარჩენია, სიცოცხლე მოუსწრაფოს ღონეგამოცლილ და დაბეჩავებულ საქართველოს.***

***მაინც როგორ მოახერხა „მეექვსე მკვლელმა“ ასე გამრავლება, ასე აღზევება, ერის ბედის ხელში ჩაგდება და ილიას აზრისთვის შთამომავლობის მოწყვეტა?***

***იქნებ ისევ და ისევ ჩვენი დაუდევრობით, ჩვენი ყურთბალიშზე წოლით და იმით, რომ ყოველმა ჩვენგანმა არ მოინდომა საკუთარ სულში მოეძებნა ის უჩინარი „ილიას მეექვსე მკვლელი“, მკვლელი, რომელიც დღისით, მზისით ბატკნებივით გვიხოცავს ერის სასიქადულო შვილებს, გაუმაძღარ, სისხლმოწყურებულ მგელივით აჩანაგებს და ჟუჟავს ილიას სამწყსოს, თვითონ კი მრავლდება და მეჩვენება, რომ სულ მალე, მთელი ქვეყანა „მეექვსე მკვლელის“ შთამომავლობით გაივსება და აღარავინ არაფრად ჩააგდებს ვაჟა-ფშაველას ნათქვამს: „ილია ჭავჭავაძის მკვლელებს რომ შეეძლოთ, თვითონ საქართველოს მოჰკლავდნენ“. თუ ილიას ნააზრევის ჩაკვლა მოახერხეს და ყველაფერი ქართველისათვის სულ ერთი გახდა, თუ საქართველოს მომავალი თაობა წინაპართა სულსა და ფესვებს მოსწყდა, თუ მათ არ ექნა ერთი პირი, არ ექნა მტყუანმართლის გარჩევის უნარი და მტკიცე ნება დასაკლავად გამზადებული საქართველოს გადარჩენისა, მაშინ საქართველო სულიერად მკვდარი იქნება და ღმერთო მაღალო, დედა ღვთისმშობლის ძალო და მადლო, ნუ დაუშვებ ამას, ნუ აზეიმებ „მეექვსე მკვლელის“ მოდგმას, დაგვეხმარე, შენ გადმოგვაფარე შენი მფარველი კალთა და თითოეულ ჩვენგანს საკუთარ სულში გვაძებნინე „მეექვსე მკვლელი“.***

***გოდერძი ჩოხელი***


საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია SOS-Kinderdorf International–ის
ნამდვილი წევრი საქართველოს SOS–ბავშვთა სოფელი

**დაინტერესებულ პირებს გიწვევთ სამუშაოდ ფსიქოლოგ-პედაგოგის თანამდებობაზე!**

- გსურთ გახდეთ საქართველოს SOS-ბავშვთა სოფლის ოჯახის წევრი?
- გსურთ გაუწიოთ დახმარება ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს?
- გეძლევათ შანსი გქონდეთ სტაბილური ანაზღაურების მქონე სამუშაო ადგილი

***მოთხოვნები:***

- 25-35 წლის
- უმაღლესი ფსიქო-პედაგოგიური განათლებით
- შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე
- ინგლისური ენის მცოდნე
- კომპიუტერთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილებით
- გუნდური მუშაობის უნარით
- საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული განათლების მიღებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის მზადყოფნა

***დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:***

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
- დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები

დაგვიკავშირდით ტელეფონით საქართველოს SOS-ბავშვთა სოფლის ეროვნულ საკოორდინაციო ბიუროში მისამართი: ქ. თბილისი, ალ .ყაზბეგის პრ. 11ა; 12-15 სთ-მდე; ტელ: 37 31 57 / 96 06 54; ელ. ფოსტა: sosgeo@gol.ge საკონტაქტო პირი: ზვიად ბერძენიშვილი

ეთინოს 12 წლის გოგონა ჰყავს და აფხაზეთიდან დევნილთათვის გამოყოფილ თბილისის ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. მისი ციცქნა ბინა ღარიბულია, მაგრამ ლამაზი.

— გარემონტება ვერ შევძელი, ამიტომ ვცდილობ, ეს ნაცრისფერი კედლები შევაფერადო და ლიკას გუნება გავუხალისო, თორემ თქვენც ხედავთ, როგორი პირქუში შენობააო, — მითხრა.

ქეთინო გუდაუთელია. მისი მოხუცი დედა ვაჟიშვილთან ცხოვრობს. ქეთინოს ძმას გაუმართლა, საქმე კარგად წაუვიდა, სამოთახიანი ბინა იყიდა, ოჯახიც დააბინავა და დასაც იწვევდა თავისთან, მაგრამ ქეთინომ საერთო საცხოვრებელში ყოფნა ირჩია, — ლიკა უკვე დიდი გოგოა, საოჯახო საქმეს კარგად უძღვება, არც სწავლაში ჩამორჩება. მე ერთ-ერთ პრესტიჟულ კაფეში ვმუშაობ. ყოველკვირა 40 ლარს მიხდიან. ამას გარდა, საჭმელიც ხშირად მიმაქვს შინო...

მან იცის, რისთვისაც ვესტუმრე. ჩემმა ნაცნობმა წინდაწინ გააგებინა, ჟურნალისტს უნდა შენი ამბების მოსმენაო. ვატყობ, უჭირს წარსულის გახსენება.

თაროზე ორი მოზრდილი ქილა უდგას. სხვა დროს ამას არც მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ ამჯერად თვალს ვერ ვაშორებ. ქილებში ფერადი კენჭები ყრია, იქვე, კუთხეში კი რამდენიმე დიდი ნიჟარაა.

— **ეს კენჭები აფხაზეთიდან გამოყოლილი ხომ არ არის?**

სევდიანი ღიმილით დამიქნია თავი.

— მუდამ მხიბლავდა ფერადი კენჭები, სადაც არ მოვხვდებოდი, სულერთია, ბიჭვინთა იქნებოდა, სოხუმი თუ გაგრა, — ყველგან ვაგროვებდი. ერთნაირი კენჭი არ არსებობს. ყოველთვის მაოცებდა ეს... საერთოდ, ზღვისპირეთის მცხოვრებლებს ზღვა თითქოს მობეზრებული ჰქონდათ (როცა დაკარგეს, მერე გაიგეს მისი ფასი). დედაჩემი სულ მებუზღუნებოდა, როცა კენჭებს მივიტანდი შინ. ერთი ძველი ჩემოდანი მქონდა. მასში ვინახავდი კენჭებს. ეს კენჭებიც იქიდანაა. როცა ის საშინელება დატრიალდა, ჩემს ჩემოდანს წამოვავლე ხელი და გამოვიხურე კარი.

— **ქეთინო, წარმოშობით რაჭველი ყოფილხარ. გუდაუთა სეპარატისტი აფხაზების „ეპიცენტრი“ იყო ყოველთვის. როგორც ვიცი, გუდაუთაში ქართველები ბევრნი არ იყავით. არ გიჭირდათ ცხოვრება?**

— იქაური ქართველების უმეტესობა მართლაც რაჭველები ვიყავით. მამაჩემის ბაბუა გადმოსახლებულა ამბროლაურიდან, მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ოჯახი წამოსულა. გვერდიგვერდ დასახლებულან. ცოტანი არ ვყოფილვართ, ჩვენს უბანს რაჭველებისას ეძახდნენ, აფხაზებთან ურთიერთობა არ გვიჭირდა. ბოლო ხანს დაიძაბა სიტუაცია. აი, მაშინ კი მართლაც გაგვიძნელდა.

— **ქართული სკოლა დაამთავრე?**

— სამწუხაროდ, არა! ჩემს სახლთან ახლოს რუსული სკოლა იყო და ქართველებიც იმ სკოლაში დავდიოდით.

— **როგორც ვიცი, შენი სიყვარული სკოლიდან მოდის.**

— ჰო. ჩემი და ასტამურის სიყვარულზე კარგა ხანს ლაპარაკობდნენ გუდაუთელები... მისი აფხაზობა არაფერ შუაში იყო, ჩვენს გვარებს შორის შუღლი ჩამოვარდა... ამის გამო აღუდგნენ წინ ჩვენს სიყვარულს ჩემი მშობლები.

— **რა ინციდენტი იყო ასეთი?**

— ასტამურის მამას ბრალდებოდა მამაჩემის ბიძაშვილის მოკვლა. დააპატიმრეს კიდეც, სამი წლის მერე გაათავისუფლეს, რადგან მკვლელი ასტამურის მამის მეგობარი აღმოჩნდა. იმ დროს ერთად ყოფილან. დამნაშავე გაქცეულა და მილიციას ხელთ ასტამურის მამა შერჩენია. გათავისუფლების მერე მალე მოიყვანა ცოლი. გაჩნდა ასტამური. ერთი წლის მერე მე დავიბადე. ჩვენ ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა ერთმანეთი შეგვიყვარდა. ასტამურს თავიდანვე სცოდნია ჩვენს გვარებს შორის ჩამოვარდნილი შუღლის ამბავი. მე მერე გავიგე, როცა ერთ დღეს დედაჩემმა ოთახში ჩამკეტა და მითხრა, — თუ იმ სისხლისმსმელი ოჯახის შვილთან კიდევ ერთხელ დაგინახავ, სკოლაშიც აღარ გაგიშვებო.

ჩვენ მალულად მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთხელ ასტამურმა მითხრა, — მამაჩემი მკვლელი არ არის, მაგრამ თუნდაც ასე იყოს, შვილები პასუხს არ ვაგებთ მშობლების საქციელზეო. დაბადების დღეებზე ისეთ საჩუქარს მიძღვნიდა ხოლმე, სად დამემალა, არ ვიცოდი. უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავვარდნილიყავი, თვითონ მან იპოვა გამოსავალი. ჩემი მშობლები ყოველთვის ზარ-ზეიმით მიხდიდნენ დაბადების დღეს, მთელ კლასს ეპატიჟებოდნენ. ასტამურმა მითხრა, ჩემი საჩუქარი კლასელებს დააბრალეო... მართლაც, მეგობრები ხელში მომაჩეჩებდნენ საჩუქარს და ჩამჩურჩულებდნენ: ეს მისგან, ეს კი — ჩვენგანო და იწყებოდა ლხინი, ლხინი უიმისოდ... 1988 წელს სკოლას ვამთავრებდი. ასტამური უკვე მოსკოვში ბიძასთან ცხოვრობდა და თან სწავლობდა. ვიცოდი, რომ უყურადღებოდ არ დამტოვებდა. ასეც მოხდა — ჩემს მეგობარს თეთრი, ლამაზი, ცოცხალი ბაჭია გამოატანა ჩემთან, რომელსაც ყელზე წითელბაფთააგაყრილი ოქროს ბეჭედი ჰქონდა შებმული. დედაჩემი შეწუხდა და ჩემს კლასელებს უსაყვედურა — ასე რატომ დაიხარჯეთ, თქვენ ხომ საკუთარი ფული არ გაქვთო... ივნისის ბოლოს, სკოლის დამთავრების ბანკეტზე ასტამური ჩამოვიდა. დედაჩემს ლამის დაუჩოქა, — ქეთინო მიყვარს და მის ხელს გთხოვთო. დედაჩემმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა — მტერს, ნათესავის მკვლელის შვილს შვილს ვერ მივცემო. იმის საშუალება აღარ მოგვცა, რომ განვმარტოებულიყავით და რამე გადაგვეწყვიტა. სამ დღეში მეგობრის ხელით ასტამურმა წერილი გამომიგზავნა, — მოსკოვში სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე, საზაფხულო შრომითი სემესტრი მეწყება, ერთ თვეში ჩამოვალ და აღარავის არაფერს შევეკითხები, სულ ერთად ვიქნებითო. მეც, ასე თუ ისე, დავმშვიდდი, მაგრამ თურმე ჩემი მშობლები არ იყვნენ მშვიდად. მათ სოხუმელი ქართველი საქმრო გამომიძებნეს და მის გასაცნობად ვახშამიც გამართეს.

— **კი, მაგრამ, თოჯინა ხომ არ იყავი? სულაც არ გეხსენებინა ასტამური, ისე გეთქვა უარი მშობლების რჩეულზე!**

— ახლა ვფიქრობ, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ მაშინ ვერ გავბედე. სულ სხვა ტრადიციებზე ვიყავი გაზრდილი, სადაც უმცროსი ვერ ბედავდა უფროსის წინააღმდეგ წასვლას. მშობლები ისე შეთანხმდნენ, ჩვენ არაფერი გვკითხეს. ერთ კვირაში დამნიშნეს და როცა ასტამური ჩამოვიდა, უკვე გათხოვილი დავხვდი. 1990 წელს ლიკა შემეძინა. ამ წლიდან აფხაზეთში სიტუაცია დაიძაბა. ჩემი ქმარი აფხაზების მოსისხლე მტრად გადაიქცა და როცა ომი დაიწყო, მასზე „ნადირობა“ გამოცხადდა.

— **ასტამურმა როგორ გადაიტანა შენი გათხოვება?**

— ძალიან მძიმედ. ჩემი მეგობრისთვის უთქვამს, — ქეთინოს გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია... მინდა ბედნიერი იყოს, მაგრამ რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, დაველოდები და მის შვილსაც ვუპატრონებო.

— **ომის დროს არ ჩამოსულა?**

— ჩამოვიდა, მაგრამ მე ვერ ვნახე, სოხუმიდან ჩუმად გამომაპარა მისმა ნათესავმა, ისიც ჩემს სკოლაში სწავლობდა. ამ საზარელმა ომმა მამაჩემი და ჩემი ქმარი შეიწირა. ჩემი ძმა სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

— **აფხაზეთის დაკარგვის მერე აღარ შეგხმიანებია ასტამური?**



ასეთი მახსოვს აფხაზეთი....

— ასტამურზე სამი წელი არაფერი ვიცოდი. ხან მეუბნებოდნენ, მოკლესო, ხან — საზღვარგარეთ გაიქცაო. კარგა ხნის მერე ჩვენმა საერთო ნაცნობმა მომაგნო ამ საცხოვრებელში და მომიტანა მისი წერილი. მწერდა, ვერ ავიტანე აფხაზებსა და ქართველებს შორის ბრძოლა და შუღლი, ამიტომაც, როგორც კი გავიგე, სამშვიდობოს იყავი (მას დაუვალებია თავისი ნათესავისთვის ჩემი პატრონობა), ჩემიანებიც გავარიდე სოხუმს და მოსკოვში წავედი. მანამ არ დავბრუნდები აფხაზეთში, სანამ იქ ქართველებს არ დავინახავო. მთხოვდა, დამირეკეო. დიდხანს ვითრიე ფეხი, ბოლოს, როცა საოცარი მარტოობა ვიგრძენი და ძალიან გამიჭირდა, ავკრიფე მისი ტელეფონის ნომერი. კარგა ხანს ჩუმად მისმენდა, მე კი უაზროდ ვლაპარაკობდი, ვუყვებოდი ყველაფერს, რაც ამ ხნის განმავლობაში სათქმელი დამიგროვდა. ვგრძობდი, ღელავდა, სიჩუმეზე ეტყობოდა. საერთოდ, როცა რაღაცას საშინლად განიცდიდა, მუნჯდებოდა. ბოლოს, მივხვდი, რომ ისევ მე უნდა დავმშვიდობებოდი პირველი. მხოლოდ მაშინ დამელაპარაკა, ქართულ-რუსულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა. ქეთინო, გელოდები, Приезжай, ახლა უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე когда-нибудь, не могу без тебя. ჩამოიყვანე ლიკა და ჩამოდით... ჩვენ ერთად უნდა დავბრუნდეთ გუდაუთაშიო... ფოსტიდან ვრეკავდი და ხმამაღლა ტირილისა მომერიდა. ქვითინი რომ შემეკავებინა, თითები დავიკბინე. შინ დაბრუნებულმა ვიგრძენი, სახე საშინლად მიხურდა, ხელიც მტკიოდა...

რამდენიმე თვე აღარ შევხმიანებივარ. ბოლოს ისევ მისმა ნაცნობმა მომაკითხა, წერილი მომიტანა, მობილური ტელეფონი და 200 დოლარიც მოაყოლა. მთხოვდა, ქსელში ჩართე და დაურეკეო. დავპირდი, მაგრამ არ დავურეკე. აღზრდა უფლებას არ მაძლევდა, ოჯახის ნების წინააღმდეგ წავსულიყავი — მამა და ქმარი ხომ აფხაზეთის ომში დავკარგე! მართალია, ამ სისხლის ღვრაში ასტამურს (და ბევრს) არანაირი ბრალი არ მიუძღოდა, მაგრამ ის ხომ აფხაზი იყო, ის ხომ თავის დროზე არ სურდათ სიძედ ჩემებს?! ფულიც კარგა ხანს მქონდა შენახული, მაგრამ მერე ლიკას ექსკურსიაზე მოუწია წასვლა, სპორტული ტანსაცმელი არ ჰქონდა, არადა გელათში მიდიოდნენ სამი დღით. არ მინდოდა ჩემს შვილს გული დასწყვეტოდა, ამიტომაც ერთი 100-დოლარიანი მაშინ დავახურდავე. მერე დედას დასჭირდა ძვირად ღირებული წამლები. შემეცოდა ჩემი ძმა და წამლის ფულში შევეშველე. გაუკვირდა — შე საწყალო, სად გაქვს საშუალება, რომ ჩვენ გვეხმარებიო. დანაზოგი მქონდა-მეთქი... რამდენიმე კვირა კვლავ სიჩუმეში გავიდა. ვგრძნობდი, რომ დიდხანს ასე ვერ გავძლებდი და როცა ხელფასი ავიღე, მობილური აპარატი ქსელში ჩავრთე. ახლა დარეკვას ვეღარ ვბედავდი. ბოლოს, თავი უსინდისო ადამიანად ჩავთვალე — მისი ფული ხომ გამოიყენე, მობილურიც მიისაკუთრე და მადლობაც აღარ გინდა გადაუხადო-მეთქი? როგორც იქნა, დავრეკე. სხვამ მიპასუხა, მაგრამ როგორც კი ასტამური ვიკითხე, მაშინვე მას გადასცეს აპარატი. ვცდილობდი, ჩვეულებრივი მეგობრების დიალოგს დამსგავსებოდა საუბარი, მაგრამ არ გამოგვდიოდა. ასტამურმა მითხრა: დიდი ხანია შენს ზარს ველოდები. ახლა მეგობრებთან ერთად ვარ. ტელეფონმა რომ დარეკა, თითქოს ვიგრძენი, რომ შენ იყავი, მაგრამ მაინც ჩემს მეგობარს მივაწოდე ყურმილი. ამიხდა ოცნება. ბედნიერი ვარ, რომ შენი ხმა მესმისო. მთხოვა (ვინ იცის, მერამდენედ), ჩამოდი, ნურავის მიაქცევ ყურადღებას. რაც მოხდა, ჩვენ ამაში ბრალი არ მიგვიძღვის და ახლა მაინც უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი ბედნიერებისთვისო...

— **და მაინც, ვერაფერი გადაწყვიტე?**

— გადავწყვიტე. როგორც კი ეს სასწავლო წელი დასრულდება, მე და ლიკა მოსკოვში გავემგზავრებით. ამას წინათ ჩემს ძმას 35 წელი შეუსრულდა და დაბადების დღეზე მთელი სანათესავო და მეგობრები შეიკრიბნენ. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, თითოეულ მათგანს სახეზე მაინც სიხარული ეწერა, რადგან გვერდით ერთგული ადამიანი ჰყავდა. ამ შეხვედრის მერე დიდხანს ვიფიქრე და ასეთი დასკვნა გამოვიტანე: ყველას თავისი ადგილი აქვს — დედას, ძმას, შვილს, მეგობარს და ნათესავს. ქმარი კი ის ადამიანია, რომელსაც ვერავინ შეგიცვლის, ვინც ჭირსა და ლხინში შენს განცდებს პირველი გაიზიარებს და მხარში ამოგიდგება. იმდენ ხალხში, ხმაურსა და ჟრიამულში ისეთი მარტოსული და უბედური ვიყავი, რომ კინაღამ ავტირდი. მივხვდი, რომ დრო იყო, დაკარგული სიყვარული მომეძებნა, რომ ბედნიერებისთვის ფართოდ გამეღო გულის კარი.

— **ალბათ იმედი გაქვს, რომ მოსკოვში ახლებურად ააწყობ ცხოვრებას, არა?**

— მე ისეთ ადამიანთან მივდივარ, მოსკოვში კი არა, მასთან ერთად უდაბნოშიც ავაწყობ ცხოვრებას...

აწყობილი ცხოვრება კი რა არის, თუ არა ბედნიერება?

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ეროტიკა მარაოს ენაზე



ესპანეთში, საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებში მარაო არა მარტო მოდის საგანი იყო, იგი ეტიკეტსაც ემორჩილებოდა. მაგალითად, მეფის სასახლეში სეფექალები ვერ გახსნიდნენ მარაოს უაავგუსტოესი ოჯახის წევრებთან. რუსეთში პეტრე I-მა მარაო უმაღლესი საზოგადოების მთავარ ატრიბუტად აქცია, ეკატერინე II-ის დროს კი ის ქალის სალამოს ტუალეტის განუყოფელ ნაწილად იქცა. აღმოცენდა „მარაოს ენა“. მარაოს საშუალებით სამიჯნურო საუბრებს აბამდნენ ქალები. მარაოს გახსნა და დაქნევა ნიშნავდა — „გათხოვილი ვარ“. „თქვენდამი გულგრილი ვარ“ — ამბობდა მარაო, რომელიც ქალს სახეს უფარავდა. ერთი გახსნილი ფირფიტა ნიშნავდა მეგობრულ განწყობას, ორი — „იმედი იქონიეთ“, სამი გახსნილი ფირფიტა კი სიყვარულის ახსნას. თუ დაკეცილი მარაო ქალს ვერტიკალურად ეკავა — მამაკაცს მისკენ გზა ხსნილი ჰქონდა.

დღეს მარაოს დაკარგული აქვს საკეკლუცო მნიშვნელობა და მხოლოდ გამაგრილებელ მოვალეობას თუ ასრულებს, ისიც ხანდახან.

# გახსოვდეთ, მომავალო დედებო!



ფეხმძიმობის პირველი 28 დღე ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის სახის ნაკვთების ფორმირებისათვის.

ხშირი, უხეში წარბები ექნება ბავშვს, ვისი დედაც ფეხმძიმობის პირველ კვირებში ბევრ ხორცს მიირთმევს. მომდევნო 63 დღის მანძილზე ხდება სახის შუა ნაწილის ფორმირება. სახის ქვედა ნაწილი ვითარდება შემდეგი 189 დღის მანძილზე.

ასე რომ, ფეხმძიმობის პერიოდში სწორი კვებით ლამაზი შვილები გაგიჩნდებათ...

ამერიკელ სოციოლოგთა აზრით, გამოკითხულ ქალთა 91% შესაძლებლობის მიხედვით ირჩევს დღეში 1 საათი მარტოდმარტომ გაატაროს, ვიდრე მეუღლესთან ერთად. მათგან 83%-მა განაცხადა, რომ ამ ერთ საათს გამოიყენებდნენ მაღაზიებში სასიარულოდ, რათა არ მოესმინათ ქმრების ბუზღუნი — ეს ძალიან ძვირიაო.

საყვარელ საქმიანობად 78%-მა დაასახელა ტელესერიალების ყურება, წიგნის კითხვა და კოსმეტიკური პროცედურები. თავისუფალი დროის გატარებას გამოკითხულთა 59% მეგობრებთან ირჩევს, 8% — მშობლებთან. მხოლოდ 33%-მა მოინდომა ქმართან ერთად სადმე წასვლა, ხოლო 9%-მა ისურვა თავისუფალი დრო მიეძღვნა სექსისთვის.



**ᲗᲔᲗᲠ** ფერს ფრთხილად უნდა მოეპყრონ ტანსრული და ასაკოვანი ქალები. თეთრი კაბის ჩაცმას ვინც ერიდება, შეუძლია პიჯაკი ან თეთრი შარფი მაინც ატაროს.

თეთრი სამოსი სახის კანს სინატიფეს მატებს, მზეზე გარუჯულს — მშვენივრად გამოჰკვეთს, მაგრამ ლაჟღაჟა კანის მქონენი უნდა მოერიდონ, რადგან თეთრი უფრო ამკვეთრებს სიწითლეს.

**ᲨᲐᲕᲘ** ფერი ყოველთვის მოდაშია და ელეგანტურია, გამოკვეთს სამშვენისებს და ძვირფასეულობას. მაგრამ იგი ყველას როდი უხდება. ფერმიხდილ ქალებს უფრო გააუფერულებს, სამაგიეროდ, შავი შარვალი და ქვედაკაბა მარჯვედ „იპარავს“ ზედმეტ წონას. ისიც არ უნდა დაივიწყოთ, რომ ეფექტურად გამოიყურება მხოლოდ პრიალა, მსუყე შავი ფერი, როგორიც ახასიათებს აბრეშუმს. გაცრეცილი — მოსაწყენია და უფრო სამგლოვიარო იერი აქვს.

**ᲬᲘᲗᲔᲚᲡ** ბევრი ნიუანსი აქვს და არჩევანის საშუალებას იძლევა. მაგალითად, მუქიბორდოსფერი ბლეიზერი ფიგურის ნაკლს მალავს, ვარდისფერი ბლუზა სახეს სინაზეს მატებს, ალისფერი შარფი ან შლაპა მუქ კოსტიუმს გამოაცოცხლებს.

**ᲤᲝᲠᲗᲝᲮᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ** — ზედგამოჭრილია სამხრეთელი ტანწერწეტა ქალიშვილებისთვის. ქალბატონებს ამ ფერის მხოლოდ ცალკეული დეტალის გამოყენებას ვურჩევთ.

**ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ** — ჭირვეული და აგრესიული ფერია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ელფერის სწორად არჩევას. როგორც ყველა ღია ფერი, ისიც ასუქებს ადამიანს, ამიტომ ამ ფერს უნდა მოერიდონ მსუქანი ქალები. კარგად ერწყმის ყავისფერს, მუქ მწვანეს და მუქ ლურჯს. სხვა ფერებთან შეხამებაში ძალიან გამომწვევია.

**ᲧᲐᲕᲘᲡᲤᲔᲠᲘ** — გააჩნია, რა ელფერი დაჰკრავს — ხან ეფექტურია, ხან მოსაწყენი. ყურადღებით იყავით — ეს ფერი აბერებს.

**ᲚᲣᲠᲯᲘ** — მშვიდი, ცივი ფერია. მდიდარი ფერთა გამა ახასიათებს. ცისფერი და ფირუზისფერი ქერათმიანებს, მუქი ლურჯი — საქმიან გარემოს უხდება. ლურჯ და ცისფერთვალება ქალბატონებს ყველანაირი გამა უხდებათ და თვალების ფერს უცვლის.

**ᲛᲬᲕᲐᲜᲔ** — მრავალფეროვანია. მუქი მწვანე ტანს უფრო გამხდარს და კოხტას აჩენს. ერთი ნაკლი კი აქვს — ძალზე აფერმკრთალებს სახეს, ამიტომ მწვანე კოსტიუმის ჩაცმისას მაკიაჟი მკვეთრი უნდა იყოს.

**ᲘᲘᲡᲤᲔᲠᲘ** — ტანს სინატიფეს მატებს, ბევრს უხდება, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს — აბერებს ადამიანს, ამიტომ სჯობს იასამნისფერი სხვა ფერებს შეუხამოთ.

ლბათ ყველაფერი მაინც აქ, თბილისში დაიწყო — შეიძლება მაშინ, როცა პაატა ციქურიშვილმა მსახიობობა გადაწყვიტა და ბატონ ამირან შალიკაშვილის ჯგუფში მოხვდა. ქართველ მაყურებელს ალბათ კარგად ახსოვს თბილისის სახელმწიფო პანტომიმის თეატრის სპექტაკლები და მათ შორის, „კრიმანჭული“, რომელიც წლების განმავლობაში ანშლაგით მიდიოდა. ერთ-ერთი წარმოდგენის შემდეგ მათი ნიჭით მოხიბლულმა თაყვანისმცემლებმა „კრიმანჭულის“ მთელი შემადგენლობა გერმანიაში მიიწვიეს. ქართველ მსახიობებს იქ „მიმო-დრამის თეატრის“ სახელით იცნობდნენ. სულ მალე მათ საფრანგეთის თეატრის მოყვარულთა გულებიც დაიპყრეს. სწორედ „მიმო-დრამის თეატრის“ წამყვანი მსახიობი გახლდათ პაატა ციქურიშვილი, რომელ-

**პაატა ციქურიშვილი თეატრალური „ოსკარის“ პრიზზე მეოთხედ წარდგენილ ირინასთან და დედასთან ერთად**



მაც 1995 წელს მეუღლესთან — მსახიობ და ქორეოგრაფ ირინა ციქურიშვილთან ერთად ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა.

ვაშინგტონში პოპულარობის მიღწევა არც ისე იოლია. უძილო ღამეებმა შედეგი გამოიღო. ამერიკელი მაყურებელი თანდათან ინტერესდებოდა განსაკუთრებული ტალანტის მქონე ახალგაზრდა წყვილით... სულ მალე მათ გაიცნეს საოცრად ნიჭიერი ადამიანი — ანდრეი მალაევ-ბაბელი (ცნობილი მწერლის ისააკ ბაბელის შვილიშვილი) და მასთან ერთად განაგრძეს მოღვაწეობა. ტელევიზიასა და პრესაში გამოჩნდა პირველი რეცენზიებიც...

პაატა ციქურიშვილი „კლასიკ-თეატრის“ დირექტორმა ინა შაპირომ ჯერ თეატრის იუბილეზე მონაწილეობის მისაღებად მიიწვია, შემდეგ კი — რეჟისორად. ანდრეი მალაევ-ბაბელმა მას ჩეხოვის „კაშტანკას“ დადგმა შესთავაზა.

თეატრმცოდნეების აღფრთოვანება ქართველი ხელოვანებით თანდათან იზრდებოდა... „პაატა ციქურიშვილის პანტომიმის დონე ფენომენალურია“ — წერდა „კაშტანკას“ ნახვის შემდეგ ცნობილი კრიტიკოსი უილიამ ტრიპლეტი. „პაატა ციქურიშვილი უბრწყინვალესი პანტომიმისტია“ — ეს სათაური დიდი შრიფტით დაბეჭდა „ვაშინგტონ პოსტმა“. „ირინა ციქურიშვილი დიდი ოსტატობით უხამებს ერთმანეთს კლასიკური ბალეტისათვის დამახასიათებელ მოხდენილობასა და იმ დაუოკებელ ენერგიას, რომელსაც იგი ასე უზომოდ აფრქვევს...“ აღნიშნავდა გაზეთი „აქთარ სპათლაითი“.

„კაშტანკას“ წარმატების შემდეგ გაგვიჩნდა იდეა, შეგვექმნა ინტერნაციონალური თეატრ-სტუდია, სადაც თავს მოიყრიდნენ მსახიობები სხვადასხვა ქვეყნიდან. 1998 წელს თეატრის დირექტორთა საბჭომ დამნიშნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად, ჩემი მეუღლე ირინა კი — მთავარ ქორეოგრაფად. ჩვენს თეატრს „სტანისლავსკის თეატრ-სტუდიის“ სახელით იცნობდნენ“ — წერს პაატა ციქურიშვილი „კვირის პალიტრისთვის“ გამოგზავნილ წერილში.

„სტანისლავსკის თეატრ-სტუდიის“ პარალელურად პაატა მიიწვიეს მერილენდის ამერიკულ უნივერსიტეტში ჯერ ევგენი შვარცის „აჩრდილის“ დასადგმელად, შემდეგ კი ამავე უნივერსიტეტში თეატრალური კათედრის ხელმძღვანელად.

სპექტაკლი სპექტაკლს ცვლიდა... დოსტოევსკის „იდიოტის“ გამოჩენამ თეატრის რეპერტუარში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სწორედ ამ სპექტაკლის გამო წარადგინეს ირინა ციქურიშვილი საუკეთესო ქორეოგრაფის, ხოლო პაატა ციქურიშვილი და ანდრეი მალაევ-ბაბელი წლის საუკეთესო რეჟისორის ნომინაციებზე — ჰელენ ჰეიზის ჯილდოს მოსაპოვებლად.

ჰელენ ჰეიზის ჯილდოს ხშირად თეატრალურ „ოსკარსაც“ უწოდებენ და ამერიკის თეატრალურ სამყაროში ყველაზე პრესტიჟულ პრიზად ითვლება. ჰელენ ჰეიზი გახლდათ გამოჩენილი მსახიობი ქალი, რომელმაც ვაშინგტონში ჩამოაყალიბა თეატრალური საზოგადოება და შექმნა პირველი თეატრი. მისი სახელობის პრიზზე წარდგენა ყოველი თეატრისთვის და თეატრის მოღვაწისათვის უდიდესი პატივია..

ისევ ატეხეს გაზეთებმა აჟიოტაჟი...

„იდიოტის“ ამ ჯადოსნურ დადგმაში ბრწყინვალედაა ერთმანეთში შერწყმული პანტომიმა, ცეკვა და სამსახიობო ხელოვნების სხვა ფორმები. აი, როგორი უნდა იყოს თეატრი“.

***ტერი ქორქოსანი, გაზეთი „ვაშინგტონ რევიუ“***

„მიშკინის როლისთვის შეუძლებელია პაატა ციქურიშვილზე მაღალი კლასის მსახიობის მოძებნა. მისი თამაში ამ არაამქვეყნიურ დადგმაში ბრილიანტივით ბრწყინავს“.

***ლოიდ როუზი, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“***

„ირინა ციქურიშვილის ცეკვა ჰაეროვანი და მომხიბვლელია, ხოლო „იდიოტში“ მისი ქორეოგრაფიული ინტერპრეტაცია ვაშინგტონის საცეკვაო ხელოვნების ისტორიაში მნიშვნელოვან როლს დაიკავებს.

თუ ჟიური „იდიოტს“ არ მიანიჭებს ჰელენ ჰეიზის პრემიას, უმჯობესია მან არაკომპეტენტურობის საფუძველზე საერთოდ შეწყვიტოს მუშაობა“.

***ბობ ანტონი, კრიტიკოსი***

„გამოვიდა ბროდვეის ვარსკვლავი, გახსნა კონვერტი, რომელშიც გამარჯვებულის გვარი ეწერა და თქვა: ბედნიერი ვიქნები, ეს გვარი სწორად რომ წარმოვთქვაო. მე მაშინვე მივხვდი, რომ ჩემზე იყო ლაპარაკი. წაიკითხა თუ არა ჩემი გვარი, დარბაზში გამაოგნებელი წივილ-კივილი ატყდა. „გაუმარჯოს! გაუმარჯოს“ — ქართულად ყვიროდნენ ჩვენი დასის ამერიკელი წევრები“ — იხსენებს ირინა ციქურიშვილი.

ირინა გახლდათ პირველი ქართველი, რომელმაც ჰელენ ჰეიზის პრიზი დაიმსახურა. იმ დღიდან რამდენიმე წელი გავიდა. ირინა უკვე ამ ჯილდოს ორგზის მფლობელია.

2002 წლის დასაწყისში პაატამ სტანისლავსკის თეატრ-სტუდიის ბაზაზე შექმნა ახალი თეატრი „Synetic Theate- Studio“, რომლის დირექტორიც პაატა გახლავთ, მთავარი ქორეოგრაფი კი — ირინა.

გასული წლის ბოლოს ციქურიშვილები თბილისში დაუკავშირდნენ ქართველი მაყურებლისთვის კარგად ცნობილ და საყვარელ მსახიობს — ირაკლი კავსაძეს და ამერიკაში ჩასვლა შესთავაზეს... ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ირაკლი კავსაძე მეუღლესთან — ლიკა გორგილაძესთან და პატარა ქალიშვილთან, ირინკასთან ერთად ვაშინგტონს გაემგზავრა.

*პირველად „Synetic Theater- Studio“-ში დადგმული „ჰამლეტის“ შესახებ ირაკლის დისგან — ნანუკა ხუსკივაძისგან შევიტყვე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ულრმესი მადლობა გადავუხადო ბატონ კახი კავსაძის და ნანუკას, ასევე გიორგი ვეკუას — მათ ირაკლის და პაატას დამაკავშირეს. დიდ მადლობას ვუხდი ბატონებს — ამირან და გოჩა შალიკაშვილებს, რომლებმაც საინტერესო მასალა გადმომცეს ამ წერილის მოსამზადებლად:*

5 აპრილს „Synetic Theter - Studio“-ში გაიმართა პრემიერა. მაყურებელმა იხილა შექსპირის „ჰამლეტის“ სრულიად განსხვავებული ვარიანტი. „ჰამლეტის“ მსგავსი სახით ინსცენირება პირველი პრეცედენტია მსოფლიოში.

სპექტაკლი უსიტყვოდ დაიდგა. მინდა ისიც მოგახსენოთ, რომ „ვაშინგტონ პოსტი“ ძირითადად კრიტიკულ წერილებს ბეჭდავს. ცდილობს საქებარი სიტყვები თავშეკავებულად და ძუნწად იხმაროს. „ჰამლეტის“ ნახვის შემდეგ კი ზედიზედ რამდენიმე ნომერში შთაბეჭდილებებით აღსავსე ცნობილი კრიტიკოსები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. სტატიებში სულ ხუთი ადამიანის გვარი ფიგურირებდა — პაატა და ირინა ციქურიშვილების, ირაკლი კავსაძის, ბატონი გოგი ალექსი-მესხიშვილის, რომელმაც მხატვრულად გააფორმა სპექტაკლი და, რა თქმა უნდა, ბატონი გია ყანჩელის, რომლის ნაწარმოებებზეც აიგო წარმოდგენის მუსიკალური მხარე.

„ფურორი ვაშინგტონის და არა მხოლოდ ვაშინგტონის თეატრალურ სამყაროში — მსგავსი „ჰამლეტი“ არსად დადგმულა“.

***უილიამ ტრიპლეტი, „ვაშინგტონ პოსტი“***

„ჰამლეტის“ უსიტყვოდ დადგმის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ უნდა ვაღიარო, თურმე ვცდებოდი“.

***ჯეინ ჰოროვიჩი, კრიტიკოსი***

„საოცრად ძლიერი, ძალზედ დამაჯერებელი სასცენო სახე შექმნა ირაკლი კავსაძემ. უყურებ მის კლავდიუსს და გჯერა, რომ მას ნამდვილად შეეძლო ბოროტების ჩადენა“.

***პიტერ ფეი***

„თუ გინდათ ოფელიათი აღფრთოვანდეთ, უნდა ნახოთ ის ირინა ციქურიშვილის შესრულებით. პაატა ციქურიშვილის ჰამლეტი არ არის ტრადიციული. ის შეიძლება ნამდვილი ჰამლეტის აჩრდილს შევადაროთ, რომელიც მის პირველ სახეზე ზუსტი და მკვეთრია“.

***„ვაშინგტონ პოსტი“,***

„სპექტაკლში გამოყენებულია დიდი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის შესანიშნავი მუსიკა ტრადიციული ვიოლინოს შესრულებიდან დაწყებული, ინდუსტრიული როკით დამთავრებული. საოცრად ერწყმის ერთმანეთს მუსიკა, პლასტიკა და გოგი ალექსი-მესხიშვილის მხატვრული გაფორმება“.

***უილიამ ტრიპლეტი***

„ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მსახიობები მუშაობის პროცესს იხსენებდნენ:

**პაატა:** — 10 წლის წინ რუსთაველის თე-



**კავსაძეები ირინკასთან ერთად**

ატრში ბატონმა მერაბ სვირავამ უსიტყვოდ დადგა „ვარიაციები შექსპირის თემაზე“. მას შემდეგ სულ ვფიქრობდი „ჰამლეტის“ ამ სახით განხორციელებაზე.

**ირაკლი:** — უსიტყვო „ჰამლეტი“ პირდაპირ ასოცირდება პანტომიმასთან, მაგრამ ეს არ არის პანტომიმა. ეს არის ნამდვილი დრამატული სპექტაკლი სიტყვების გარეშე. ჩემთვის ამ ჟანრში მუშაობა სიახლე იყო. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი პარტნიორები მყავს. ჩვენ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის.

**ირინა:** — მე, პირველ რიგში, ქორეოგრაფი ვარ და შემდეგ მსახიობი. მუშაობის განმავლობაში ყველა პარტიის შესრულება მიწევს და მხოლოდ ბოლო კვირას ვუთმობ საკუთარ როლს. პირველ რიგში საოცარმა მუსიკამ მომცა მუხტი...

ვაშინგტონში ირინასთან და პაატასთან ერთად ცხოვრობს მათი ვაჟი — ვახტანგი და პატარა გოგონა — ანა, რომელიც ამერიკაში დაიბადა. ბატონი კახისგან ვიცით, რომ სულ მალე ირაკლის მეორე შვილი შეეძინება, რაც შეეხება ირინკას, ის ამერიკულ კოლეჯში სწავლობს და როგორც ბაბუას ტელეფონით საუბრისას ახარა, კლასში ყველაზე კარგად ფლობს ინგლისურ ენას(?!). ერთ კვირაში პაატა, ირაკლი და ბატონი გოგი ალექსი-მესხიშვილი კენედის ცენტრის მთავარ დარბაზში ჰელენ ჰეიზის — თეატრალური „ოსკარის“ გადაცემას საპატიო სტუმრების რანგში დაესწრებიან და გულშემატკივრობენ ირინას, რომელიც ამ პრიზზე უკვე მეოთხედაა წარდგენილი, შემდეგ ცოტას დაისვენებენ და მუშაობას დაიწყებენ ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელზე“, რომელსაც ოქტომბერში იხილავს ამერიკელი მაყურებელი.

„კვირის პალიტრის“ მიერ გაგზავნილი ფაქსი სიხარულით მიიღეს პაატამ და ირაკლიმ და კითხვებზე პასუხებმაც არ დააყოვნა:

**— რამდენი ქართველი ხართ დასში?**

**ირაკლი:** — სამი: პაატა, ირინა და მე.

**— როგორია თქვენი რეპერტუარი და რამდენ სპექტაკლში ხართ დაკავებული?**

**პაატა:** — როგორც აღმოჩნდა, აქ სარეპერტუარო სისტემა არ არსებობს — ერთი სეზონის განმავლობაში ორი თვე შეუწყვეტლივ ითამაშებ და შემდეგ სპექტაკლი იხურება. არის შემთხვევები, როცა წარმოდგენას კვლავ აბრუნებენ სცენაზე, მაგრამ ძალიან იშვიათად.

**ირაკლი:** — მე უკვე ოთხ სპექტაკლში მივიღე მონაწილეობა — „მკვდარ სულებში“ ვითამაშე პროკურორი, „ფაუსტში“ — ვაგნერი, დაკავებული ვიყავი „კაშტანკაში“ და „ჰამლეტში“, სადაც კლავდიუსი განვასახიერე. გაგიკვირდებათ, როცა გეტყვით, რომ „ჰამლეტი“ მთლიანად უსიტყვოდ სრულდება, მაგრამ როგორც აღნიშნავენ, ამ სპექტაკლში ერთმანეთს არაჩვეულებრივად ერწყმის მოქმედება, მხატვრობა, მუსიკა, ქორეოგრაფია, და, რა თქმა უნდა, აქტიორული მონაცემები.

**— რომელ ჟანრს მიეკუთვნება „Synetic Theater-Studio“?**

**პაატა:** — ჩვენი თეატრი სინთეზურია, აერთიანებს გამოხატვის, ანუ „სახიობის“ ყველა ფორმას: ვიზუალურს, ვოკალურს, მუსიკას, ცეკვას, ლიტერატურას, დრამას, პანტომიმას, მხატვრობას და ა.შ.

**— რატომ გადაწყვიტეთ საქართველოდან წასვლა?**

**ირაკლი:** — საქართველოდან წასვლა არ ნიშნავს, რომ გავექეცი მას. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ თუ მსახიობს მიეცემა საშუალება უფრო ფართო ასპარეზზე გამოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები, მან უნდა გამოიყენოს ეს შანსი. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც.

**— თუ არსებობდა ენის ბარიერი?**

**ირაკლი:** — რა თქმა უნდა. ამერიკაში როცა ჩამოვედი, ინგლისური ძალიან ცუდად ვიცოდი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, კარგი მეხსიერება მაქვს და ტექსტები სწრაფად დავიმახსოვრე.

**— დღე, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე...**

**ირაკლი:** — მე გამოვყოფდი 8 აპრილს. „ჰამლეტის“ პრემიერის შემდეგ მე და პაატას დასავლეთ ვირჯინიაში მოგვიწია გამგზავრება. სწორედ იქ შეგვატყობინეს, რომ „ვაშინგტონ პოსტში“ დაიბეჭდა უპრეცედენტო სტატია „ჰამლეტის“ შესახებ — წერილში უბრალო შენიშვნასაც კი ვერ ნახავთ, მხოლოდ და მხოლოდ აღფრთოვანებას გამოხატავენ.

**— ქართველ ემიგრანტებს თუ ხვდებით?**

**ირაკლი:** — ძალიან ხშირად. ბედნიერი ვარ, რომ მათი სახით ასეთი არაჩვეულებრივი მეგობრები შევიძინე...

**— ვინ და რა გენატრებათ ყველაზე მეტად?**

**ირაკლი:** — კახი, ნანუკა, ჩემი დისშვილი — აკა, ჩემთვის ძვირფასი ადამიანები, და რა თქმა უნდა, მშვიდი და განათებული თბილისი.

**პაატა:** — ნოსტალგია კარგი ჯილდოა ქართველთათვის. სულ მახსენდება: — „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები...“

**— ძნელი იყო დამკვიდრება?**

**ირაკლი:** — რა თქმა უნდა, მაგრამ, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკაში ნიჭი და სიკეთე ადამიანს არ ეკარგება.

**პაატა:** — ამერიკაში თავის დამკვიდრება რთული და გრძელი პროცესია, მაგრამ ეს ის ქვეყანაა, რომელიც საშუალებას გაძლევს სრულად გამოავლინო საკუთარი შესაძლებლობები.

**— საქართველოში დაბრუნებას არ ფიქრობთ?**

**ირაკლი:** — ჯერჯერობით არა, რადგან უკვე არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც შემდეგი სეზონის გახსნაზე, ანუ 30 ოქტომბერს უნდა შედგეს ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელის“ პრემიერა. სულ მალე რეპეტიციები დაიწყება. წარმოდგენას რა თქმა უნდა, ინგლისურ ენაზე ავაჟღერებთ...

... ჩვენს ტკივილიან რეალობაში ასეთი სასიხარულო ამბებიც ხდება. ამის არდანახვა და გულთან ახლოს არმიტანა შეუძლებელია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონის თეატრალური სამყარო ქართველმა მსახიობებმა მოაჯადოეს და აღაფრთოვანეს. მათი თხოვნით მადლობას გადავცემ ბატონებს — ამირან შალიკაშვილს, რობერტ სტურუას, მერაბ სვირავას და ყველას, ვინც გულშემატკივრობს საკუთარ თანამემამულეებს და წერილს მათივე სიტყვებით დავამთავრებ: „ეს მხოლოდ ჩვენი კი არა, სრულიად საქართველოს გამარჯვებაა... ყველას გილოცავთ...“

***ეკა მახარაშვილი***

# ელჩს თავქარიანობის უფლება არა აქვს

როცა 1999 წელს დოქტორი თომას ბორერ-ფილდინგი გერმანიაში შვეიცარიის ელჩი გახდა, მყისვე განაცხადა — არ მომწონს ჩემი წინამორბედების კონსერვატიული სტილი, მინდა ოპტიმისტური, მოდერნისტული შვეიცარიის ელჩი ვიყოო. ამ კონცეფციას სრულიად იზიარებდა დიპლომატის მეუღლე, 30 წლის ყოფილი „მისის ტეხასი“, ულამაზესი შოუნი. გერმანელი ქალბატონების გულის გასახეთქად ბერლინში მას მყისვე უწოდეს ქალაქის მშვენება.

ქალბატონ შოუნს შვილები ჯერ არ ჰყავს, არც სამსახურში სიარულით იკლავდა თავს და უსაქმურობისგან ზოგჯერ იმის ნებასაც აძლევდა თავს, რასაც სხვა დიპლომატების ცოლები ვერ გაბედავდნენ. შარშან შვეიცარიის საელჩოს შენობის ოფიციალურად გახსნის წინ ქალბატონმა შოუნ ბორერ-ფილდინგმა ეროტიკის ხელოვნებ-



ის სიყვარულით, ჟურნალ „მაქსის“ ფოტოგრაფებს მეტისმეტად ფრივოლურ პოზებში საკუთარი თავის გადაღების უფლება მისცა — სხვათა შორის, დიპლომატის მეუღლეს მაინცდამაინც არც ტანსაცმელი ამძიმებდა.

შვეიცარიის გაზეთებმა აღშფოთება ვერ დამალეს — მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი ვერ იქნებაო. ამბობენ, ბრალდება უსაფუძვლო იყო, იმის მიუხედავად, რომ პაპარაცები შოუნს სულ კუდში დასდევდნენ, ცუდ რამეში ვერაფრით „გამოიჭირეს“.

არც ამ წყვილთან დაკავშირებული ამჟამინდელი სექსუალური სკანდალი მომხდარა შოუნის მიზეზით. ვინმე ჯამილემ, 34 წლის პარიკმახერმა, რომელიც ბერლინის დიდი უნივერმაღის საპარფიუმერიო განყოფილებაში მუშაობს, შვეიცარიულ გაზეთ „ზონტაგსბლიკს“ მოუთხრო თავის სასიყვარულო ურთიერთობაზე გერმანიაში შვეიცარიის ელჩთან და დაწვრილებით აღწერა მათი ინტიმური შეხვედრები. თომას ბორერ-ფილდინგმა განაცხადა, ამ ქალს საერთოდ არ ვიცნობო. მაგრამ ჯამილეს უკან არ დაუხევია, გაზეთებში დაწვრილებით აღწერა ცოლ-ქმრის საძინებელი, სადაც მისი თქმით, ის და თომასი ხვდებოდნენ ერთმანეთს დიპლომატის ცოლის შინ არ ყოფნის დროს.

ელჩის მეუღლემ ამ სკანდალში ძალიან ღირსეულად დაიჭირა თავი — მედიდურად ბრძანა, — ჩემი ქმარი ამას არ იზამდაო.

მეუღლეებს ამან ვერ უშველა. შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოზეფ დაისმა ოფიციალურად გამოაცხადა — იმის მიუხედავად, მართალია თუ არა ის, რაც ჩვენს ელჩთან დაკავშირებით დაიწერა, იგი თავის თანამდებობაზე ვერ დარჩებაო. შვეიცარიელების დიდი ნაწილი ეთანხმება საგარეო უწყების თავკაცის თვალსაზრისს, ბერლინელთა უმეტესობა კი გააკვირვა ამ განცხადებამ — ეს მხოლოდ ცოლ-ქმრის საქმეა, ასე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ პოლიტიკოსთა და დიდჩინოსანთა უმეტესობა გადასაყენებელი გახდებაო.

„დასჯილ“ დიპლომატს სამსახური სხვა ქვეყანაში შესთავაზეს, მაგრამ იუარა, — ამ შეურაცხყოფის შემდეგ შესაძლოა სახელმწიფო სამსახურში აღარც დავრჩე და კერძო ბიზნესში ჩავერთოო.

ცოლ-ქმარს მატერიალური გასაჭირი არ ელით. თომასი ძალზე შეძლებული ოჯახიდანაა, ქალბატონმა შოუნმა კი მილიარდერ ჩარლი ვილიამსთან გაყრის შემდეგ მილიონები მიიღო. ასე რომ, ამ მხრივ სადარდებელი არაფერი აქვთ.

***ტრუდი №7***

# ყოფილი პრეზიდენტი მრჩეველი გახდა



თეოდორ რუზველტის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტი ყველაზე ახალგაზრდა პენსიონერია. ბილ კლინტონმა ოცნება აისრულა — კარგად გამოიძინა და მერე იმაზე დაიწყო ფიქრი, მუშაობა სად დავიწყოო, მით უმეტეს, რომ არ ჰყოფნის პენსია — წელიწადში 157 ათასი დოლარი. სამსახური ბევრგან შესთავაზეს, მაგრამ მაინცდამაინც არ დაინტერესებულა. მთელი წელიწადი უსაქმოდ იყო, ადვოკატობის უფლება „სექსსკანდალის“ მერე აღარ ჰქონდა. საერთოდ, მონიკა ლევინსკისთან სკანდალი ძვირი დაუჯდა ბილ კლინტონს. ვალების გასასტუმრებლად ლექციების კითხვა დაიწყო, ერთ საათიან ლექციაში 100 ათას დოლარს ითხოვდა. წიგნის წერასაც მიჰყო ხელი — წარსულს იხსენებდა, გულახდილობაში 10 მლნ დოლარს დაჰპირდნენ, პარალელურად სერიოზულ და ფულიან სამუშაოს ეძებდა.

მისი „კეთილისმყოფელები“ ამბობდნენ, სჯობს პოლიტიკას მოეშვას და შოუმენობა ან მსახიობობა დაიწყოსო. მით უმეტეს, ამ წრეში ბევრი მეგობარი ჰყავს, თუნდაც ბარბრა სტრაიზანდი ან ენტონი ჰოპკინსიო. ერთმა პროდიუსერმა და სცენარისტმა ჯ. რუსომ კლინტონს როლიც შესთავაზა განგსტერულ ფილმში, ყოველდღიურ ტოკ-შოუს წამყვანადაც მიიწვიეს რადიოში, მაგრამ კლინტონი სხვა ვაკანსიაზე ოცნებობდა. სწორედ ისეთზე, როგორიც მეგობარმა — კალიფორნიელმა მაგნატმა რონალდ ბერკლიმ შესთავაზა. ეს ის ბერკლია, რომელმაც თავის დროზე დააფინანსა კლინტონის საპრეზიდენტო კამპანია. მან ბილ კლინტონი თავის საინვესტიციო ფირმაში უფროს მრჩევლად მიიწვია. ჯერჯერობით ჟურნალისტებისთვის არ გაუმხელიათ, ხელფასი რამდენი ექნება, მაგრამ პრეზიდენტობის გამოცდილება და, რაც მთავარია, კლინტონის „სახე“ რომ სათანადოდ დაფასდება, ეჭვი არავის ეპარება.

სხვათა შორის, თეთრი სახლის ყოფილი პატრონის „მარჯვენა ხელს“ — ვიცე-პრეზიდენტ ალბერტ გორსაც ბიზნესმენობისკენ გაუწია გულმა და რიჩარდ ჰოლანდერის საფინანსო კომპანიის ვიცე-თავმჯდომარე გახდა.

კალიფორნიელ მაგნატს რონალდ ბერკლის უთქვამს, — დარწმუნებული ვარ, კლინტონი-ბანკირი უფრო ივარგებს, ვიდრე კლინტონი-ადვოკატი ან კლინტონი-პრეზიდენტიო.

***იზვესტია №73***

# მარგარეტი



**გულის შეტევისა და მინი-ინსულტების სერიის შემდეგ ბრიტანული პოლიტიკის პირველ ლედის, ყოფილ პრემიერს მარგარეტ ტეტჩერს ექიმებმა საჯარო გამოსვლები აუკრძალეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი საწოლსაა მიჯაჭვული. ტეტჩერმა განაცხადა, რომ იგი გააგრძელებს სტატიების წერას და „საკუთარი აზრის საზოგადოებამდე მიტანას“, მაგრამ...**

დროს წინ ვერავინ აღუდგება. შემთხვევით როდი წერენ ბრიტანულ გაზეთებში, რომ ტეტჩერის ეპოქა დასრულდა.

მსოფლიო პოლიტიკაში ტეტჩერის ღვაწლზე, მის ეპოქაზე მსჯელობა ძალზე ძნელია. ტეტჩერი ან უყვარდათ, ან სძულდათ და იმავდროულად, ორივე ბანაკი აღიარებდა, მეგი დიდი პოლიტიკოსი, ძლიერი, უმტკიცესი ნებისყოფისა და შეხედულებების ქალიაო. თუმცა ამ თვისებების გარეშე იგი ვერც გახდებოდა პირველი პრემიერ-მინისტრი ქალი ისეთ მამაკაცურ ბასტიონში, როგორიც ბრიტანული პოლიტიკური ცხოვრება იყო და არის ამჟამადაც.

სხვათა შორის, მისი დაბადების ფაქტით თუ ვიმსჯელებთ, მას არ უნდა გამართლებოდა — მარგარეტ ჰილდე რობერთსი ქვეყანას 1925 წლის 13 ოქტომბერს მოევლინა, საბაყლოს მეპატრონის ოჯახში. ოჯახი, როგორც თავად ტეტჩერი წერს, „პრაგმატული, სერიოზული და უკიდურესად რელიგიური“ იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, ოქსფორდის ერთ-ერთ კოლეჯში განაგრძო სწავლა და ქიმიკოსის დიპლომი მიიღო. ოქსფორდშივე ჩაერთო პოლიტიკაში, უნივერსიტეტის კონსერვატორთა ასოციაციის ხაზინადარი იყო. თავი რომ ერჩინა, ლონდონის ერთ-ერთ საკონდიტრო კომპანიაში დაიწყო მუშაობა, ტორტებისა და ნაყინების შემავსებლების კონტროლიორად.

პარლამენტში გასვლა პირველად 1950 წელს სცადა, მაგრამ დამარცხდა. ძირეული ცვლილებები მის ცხოვრებაში 1951 წელს დაიწყო, როცა დენის ტეტჩერს, საშუალო შეძლებულ ბიზნესმენს გაჰყვა ცოლად. სწორედ მაშინ დაიწყო დიდი ხნის ოცნების ასრულება — ადვოკატობა უნდოდა და ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები. მალე ტყუპი — კეროლი და მარკი შეეძინა.

1959 წელს, 32 წლისა, ბოლოს და ბოლოს, თემთა პალატაში გავიდა, სადაც 1992 წლამდე მოღვაწეობდა. კონსერვატორებს არც ისე მოსწონდათ ახალგაზრდა მეგი, თუმცა ნიჭიერი და მიზანდასახული რომ იყო, არავინ უარყოფდა. იქნებ მისი შურდათ კიდეც?

1970 წელს ტორები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და მარგარეტი განათლების მინისტრად დანიშნეს. მაშინ ფიქრობდნენ, კარიერის პიკს მიაღწიაო, — ყველას ასე ეგონა, მარგარეტის გარდა. მოგვიანებით იგი დაწერს: „ხალხს ჰგონია, რომ მწვერვალზე არც ისე ბევრი ადგილია. მე კი გეტყვით — იქ, მწვერვალზე უამრავი თავისუფალი ადგილია, ოღონდ კიბეზე ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ახვიდე“. ისიც ადიოდა და არც ისე ანალღვლებდა, მოეწონებოდა ეს ვინმეს თუ არა. ჯერ კიდევ მინისტრობისას მოასწრო და თითქმის მთელ ინგლისს წაეჩხუბა, როცა უფროსკლასელთათვის უფასოდ რძის დარიგება აკრძალა (სახელმწიფო ხარჯები უნდა დაზოგილიყო). მაშინ შეარქვეს „ტეტჩერი — რძის მიმტაცებელი“.

1974 წელს არჩევნებზე ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს. კონსერვატორთა ლიდერი, მაშინდელი პრემიერი ედვარდ ჰიტი გადადგა, მალე პარტიის ლიდერობაზეც თქვა უარი. მარგარეტმა გაბედა და საკუთარი კანდიდატურა შესთავაზა. „წააგებთ“, მიუგდო პრემიერყოფილმა... მაგრამ ხმის უმრავლესობით მაინც აირჩიეს. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბულდოზერივით მიიწევდა წინ.

დიდ ადამიანებზე უამრავი მითი შექმნილა. ამ მხრივ, არც მარგარეტი ყოფილა გამონაკლისი. ამბობდნენ, იუმორის ბრწყინვალე გრძნობა და მახვილი ენა ჰქონდაო. სიცრუეა, ბრიტანული პოლიტიკოსები მართალია მუდამ გამოირჩეოდნენ მჭევრმეტყველებით, მაგრამ ამას მარგარეტ ტეტჩერზე ვერ იტყოდი. პირიქით, მის გამოსვლებში ყოველთვის იგრძნობოდა დამრიგებლურ-მენტორული ტონი, თითქოს კლასის დამრიგებელიაო. გამოცდილება დიდებული რამაა. მარგარეტი სწავლობდა და ისწავლა საპარლამენტო ლაპარაკი.

1979 წელს პრემიერი გახდა და დაიწყო თავის ირგვლივ სივრცის გაწმენდა. სწორედ აქ გამოავლინა თავისი რკინისებური ხასიათი — კაბინეტიდან ერთმანეთის მიყოლებით გააპანღურა ყველანი, ვინც კი ბრიტანული ეკონომიკის გაჯანსაღების მისეულ რეცეპტებს არ ეთანხმებოდა. „მოთმენა შემიძლია იმ პირობით, — ამბობდა იგი, — თუკი ყველაფერი ჩემებურად იქნება“.

სხვათა შორის, „რკინის ლედი“ რომ შეარქვეს, რუსებს უნდა უმადლოდეს. მაშინ, 1976 წელს უკვე მოპოვებული ჰქონდა „ანტიკომუნისტური მეხთამტყორცნელის“ წოდება. ახალმა წოდებამ მარგარეტი გაახარა: „აი, ვდგავარ თქვენ წინაშე ჩემს საღამოს მწვანე კაბაში, სახეზე მსუბუქი კოსმეტიკით, ქერა, ოდნავ ხვეული თმით. რით არ ვარ დასავლური სამყაროს რკინის ლედი?!“ — თქვა ლონდონში ერთ ბანკეტზე.

რას აღარ ეძახდნენ — პლუტონურ ქერას (ბირთვულ იარაღზე ბრიტანეთის უფლებების დაცვისა და ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განლაგების გამო), ატილა-კრუხს (ჰუნთა მრისხანე ბელადის საპირისპიროდ), რათა ხაზი გაესვათ, რომ ამ ქალში შეუბრალებელი მამაკაცური სისასტიკე ბუდობდა. ეს მეტსახელი ასეთი ფრაზით გააბათილა: „მამლები კი ყივიან, მაგრამ სწორედ კრუხები ჩეკენ კვერცხს!“ ყველაზე ელეგანტურად, წმინდა ფრანგულად საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა დაახასიათა: „მას მერილინ მონროს ტუჩები და კალიგულას თვალები აქვს“.

ტეტჩერს სხვა მრავალთაგან ერთი ისტორიული დამსახურებაც აქვს: პირველმა დასავლელ ლიდერთაგან „აღმოაჩინა“ გორბაჩოვი. 1984 წელს, ლონდონში შეხვედრისას, ორივეს მოეწონა ერთმანეთი.

მეგის ევროპა დიდად არ ეხატებოდა გულზე, ევროკავშირიც იმითვე პასუხობდა. 1990 წელს პრემიერის პოსტი ევროსაბჭოში ინტეგრაციით უკმაყოფილომ დატოვა. მოგვიანებით, მარგარეტ ტეტჩერს სამუდამო პერობა და ბარონესა ტეტჩერ ქესთივენელის ტიტული ებოძა.

ერთი სიტყვით, შეიძლება გიყვარდეს ან არა მარგარეტ ტეტჩერი, მაგრამ მსოფლიო ისტორიაში შესამჩნევი კვალი რომ დატოვა, არავის ეეჭვება. იგი მართლაც ძლიერი პიროვნება და დიდი ქალია.

***ეხო პლანეტი №15***




# კიდევ კარგი, პუტინს ცოლი ფილოლოგი ჰყავს



სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორდღიანი „მრგვალი მაგიდა“ გაიმართა თემაზე „ენობრივი პოლიტიკა თანამედროვე რუსეთში“. შეხვედრაში ცნობილ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდა ვლადიმირ პუტინის მეუღლე ლუდმილა პუტინა, რომელმაც გადაჭრით გაილაშქრა რუსული ენის რეფორმირების წინააღმდეგ. მშობლიურ ინსტიტუტში ქალბატონი პუტინა, რა თქმა უნდა, მცველთა თანხლებით იყო მისული. რუსეთის განათლების მინისტრი ვლ. ფილიპოვი, ვიდრე ლუდმილა პუტინას გვერდით დაჯდომის უფლებას მისცემდნენ, დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა გულმოდგინედ გაჩხრიკეს.

ფორუმზე გამოსულმა ქალბატონმა პუტინამ განაცხადა, — არ ვეთანხმები ჩემს ნაცნობ პოლიტიკოსს, რომელმაც ნაღვლიანად თქვა, — ალბათ მალე ინგლისურის გარდა ყველა ენა მოკვდებაო. ეს არ მოხდება. ადამიანები დაიცავენ თავიანთ ენას. მეცნიერებათა აკადემიის მიერ შემოთავაზებული რუსული ენის რეფორმა კონიუნქტურულიაო.

ლუდმილა პუტინას დაეთანხმა უნივერსიტეტის რექტორი ლ. ვერბიცკაიაც, რომელიც სპეციალურად მოსახლეობისთვის ამზადებს სწორი გამოთქმების ჯიბის ლექსიკონს. ლ. ვერბიცკაიას მიაჩნია, რომ ლექსიკონი 800-სიტყვიანი უნდა იყოს, განათლების მინისტრი თავს იკლავს — მოხელეებს 200-ც ეყოფათო.

ფილიპოვი იმასაც ამბობს, გამოსვლების დროს დაშვებული ენობრივი შეცდომებისთვის სახელმწიფო მოხელეები დიდი თანხით დავაჯარიმოთ და სადაც კი უხეიროდ შედგენილ აზრას თუ განცხადებას ვნახავთ, არც მათი პატრონები დავინდოთ, ისინიც დავაჯარიმოთო.

სხვათა შორის, მალე დუმა შეიმუშავებს შესაბამის კანონს. ბეჭდვითი სიტყვის მინისტრის მოადგილემ ყინჩად განაცხადა, — ამ საქმეს არ მოევლება, თუ რუსული ენის თემას პრესასა და ტელევიზიაში პიარი არ ექნებაო. ამ მოდური სიტყვის გაგონებაზე დარბაზში მსხდომი ფილოლოგები შეიშმუშნენ.

ძალზე საინტერესო იყო მოსკოველი მეცნიერის ს. ტერ-მინასოვას გამოსვლა. მან ილაპარაკა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ლიდერებზე. ხაზგასმით აღნიშნა, — გამართული რუსულით მხოლოდ იოსებ სტალინი საუბრობდა, ახლა კი ვლადიმირ პუტინიო. თუმცა ისიც დასძინა, — მის მეტყველებას ზოგჯერ დახვეწილობა აკლია, თუმცა ამას მოევლება, ბოლოს და ბოლოს, მეუღლე ფილოლოგი ჰყავსო. ქალბატონმა ტერ-მინასოვამ გამოსვლა ძალზე პათეტიკურად დაამთავრა — რა ეშველებოდა რუსულ ენას, პუტინს ცოლად მათემატიკოსი ან ქიმიკოსი რომ ჰყოლოდაო.

***კომერსანტი №64***



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**ვარ 30 წლის. ვენერიული დაავადების გამო განმივითარდა პროსტატიტი, რომელიც მიმდინარეობს წლების განმავლობაში. მკურნალობის შემდეგ ისევ დამრჩა ბაქტერიები, კერძოდ „დიპლოკოკი“ და „სოკო“, დამიქვეითდა შრომისუნარიანობა. გთხოვთ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე?**

***მკითხველი***

ურეთრის (შარდსადენის) გამონადენში დიპლოკოკის (გონოკოკის) არსებობა წლების განმავლობაში გონორეული ურეთრიტის (შარდსადენის ანთების) ქრონიკულ მიმდინარეობაზე მეტყველებს, ხოლო სოკოს არსებობა — მეორად, თანდართულ ინფექციაზე. გონორეული ინფექციის გაქრონიკულების ძირითადი მიზეზი არარაციონალური ან დაუმთავრებელი მკურნალობაა, თუმცა მის ხელშემწყობ პირობებს წარმოადგენს ავადმყოფის ორგანიზმის დაქვეითებული წინააღმდეგობისუნარიანობა, ინფექციის მაღალი ვირულენტობა (მაავადებელი თვისებები), ალკოჰოლიანი სასმელები, ბევრი სიარული, სქესობრივი აგზნება, ცხენით ან ველოსიპედით სიარული.

მწვავე გონორეული ურეთრიტის უმრავლეს შემთხვევაში თანამედროვე მკურნალობის მეთოდების გამოყენების პირობებში ანთება ურეთრის მხოლოდ წინა ნაწილში ვითარდება, მაგრამ პროცესის პროგრესირებისას იგი ურეთრის უკანა (პროსტატულ) ნაწილსაც მოიცავს და ვინაიდან ურეთრის ეს ნაწილი წინამდებარე ჯირკვალთან (პროსტატასთან) ანატომიურად მჭიდრო კავშირშია, ინფექცია გამომტანი სადინარების გზით უშუალოდ ამ ჯირკვალშიც გადადის და ვითარდება გონორეული პროსტატიტი, რომელიც მამაკაცისათვის საკმაოდ მრავალმხრივი უსიამოვნო სიმპტომატიკით ხასიათდება: დილაობით ურეთრიდან უმნიშვნელო გამონადენითა და მღვრიე შარდით დაწყებული და სასქესო სფეროსა და ნერვული სისტემის მხრივ მძიმე საერთო მოვლენებით, ფუნქციური მოშლილობით დამთავრებული.

ქრონიკული გონორეის დროს, ისევე, როგორც მწვავე გონორეის მკურნალობისას, იყენებენ ანტიბიოტიკებსა და სულფანილამიდურ პრეპარატებს, მაგრამ უფრო დიდი დოზებით. თუ ავადმყოფი ამ პრეპარატებით უკვე ნამკურნალებია, მაშინ მას მასტიმულირებელი თერაპია ან ვაქცინოთერაპია ესაჭიროება, ხოლო შემდგომ — ანტიბიოტიკები. ქრონიკული პროსტატიტის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თერაპიას. იყენებენ ცხელ მიკროოყნებს, მენჯის აბაზანებს, დიათერმიას, ტალახით მკურნალობას, მასაჟებს. მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელია ურეთრის გამონადენში ლეიკოციტების რაოდენობის შემცირება და გონოკოკების გაქრობა. თუ ადგილი აქვს შეხორცებებს, მის სამკურნალოდ ბეჟირებას (სპეციალური იარაღით სადინრების გაფართოებას) მიმართავენ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, ოპერაციული ჩარევაც კი შეიძლება გახდეს საჭირო.

ამდენად თქვენ გესაჭიროებათ ინტენსიური მკურნალობა და მის ჩასატარებლად უნდა მიმართოთ კვალიფიციურ ექიმს სპეციფიკური პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში და არა კლინიკის გარეთ, ანონიმურად მოქმედ, ხშირ შემთხვევაში, დაბალი დონისა და კვალიფიკაციის ექიმს. აქ იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში ექიმს დიაგნოსტირების და მკურნალობის გაცილებით მეტი საშუალება აქვს, ვიდრე კუსტარულად მოწყობილ კაბინეტში.

**— ვარ 73 წლის. მაწუხებს სტენოკარდია. დასვენება ან ნიტროგლიცერინის მიღება ტკივილებს დროებით მიხსნის. არსებობს თუ არა განკურნების საშუალება? გთხოვთ, განმიმარტოთ.**

***როდიკო ჟორჟოლიანი, თბილისი***

— სტენოკარდიაზე ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას, რომ კონკრეტული შეკითხვა უპასუხოდ დავტოვოთ.

სტენოკარდიული (გულის ტკივილის) შეტევა იმითაა გამოწვეული, რომ გულის კუნთის სისხლით მომარაგება შეუსაბამოა მის მოთხოვნილებასთან, ანუ გულის კუნთს ვერ მიეწოდება იმდენი სისხლი, რამდენიც სჭირდება. დასვენების დროს გულის კუნთის დატვირთვა მცირდება, ამიტომ მას ნაკლები სისხლი ესაჭიროება და სწორედ ამიტომ გეხსნებათ ტკივილი. ნიტროგლიცერინი მოქმედებს გულის კუნთის მკვებავ სისხლძარღვებზე და აფართოებს მათ, რაც გულის კუნთის სისხლით მომარაგების გაუმჯობესებას იწვევს. ამას კი ისევ ტკივილის მოხსნამდე მივყავართ. მაგრამ ნიტროგლიცერინი არის ძალიან ხანმოკლე მოქმედების პრეპარატი. არსებობს მისი მსგავსი, გახანგრძლივებული (პროლონგირებული) მოქმედების მქონე პრეპარატები, რომლებიც კორონარების (გულის კუნთის მკვებავი სისხლძარღვების) გამაფართოებელ ეფექტს რამდენიმე საათის განმავლობაში ინარჩუნებს. ასეთი პრეპარატის რამდენჯერმე მიღება დღის განმავლობაში ფაქტობრივად ხსნის კორონარების სპაზმს და უზრუნველყოფს გულის კუნთის სისხლმომარაგების აღდგენას.

რაც შეეხება სრულ განკურნებას, კორონარების პათოლოგიური ცვლილებები ათეროსკლეროზული პროცესის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამ პროცესის უკუგანვითარება ფაქტობრივად შეუძლებელია, თუმცა შეიძლება მისი შენელება და პროგრესირების თავიდან აცილება.

## ტესტი: იცით, როგორ უნდა მოიქცეთ?

**7 წლის ბიჭუნა ღამით ხშირად შარდავს ლოგინში. დღისით ასეთი რამ არ ემართება. ბავშვი ძალიან განიცდის. სამედიცინო გამოკვლევით საშარდე გზების ორგანული პათოლოგია (დაავადება) არ დადასტურდა. როგორ მოვიქცეთ?**

**ა) ვატარებ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში, ვიდრე არ დავადგენ, რომელი ორგანო აქვს ბავშვს დაზიანებული.**

**ბ) ყოველღამე ვაიძულებ გაიღვიძოს, ადგეს ლოგინიდან და მოშარდოს, რომ ლოგინი არ დაასველოს; საერთოდ კი, შევუზღუდავ სითხის მიღებას.**

**გ) დილით, როცა ლოგინი სველი დამხვდება, გავუწყრები და დავსჯი ხოლმე, რათა ეცადოს, აღარ გაიმეოროს მსგავსი რამ.**

**დ) შევეცდები, უფრო ღრმად ჩავწვდე ბავშვის სულიერ სამყაროს, მოვუხსნა შინაგანი სტრესი, დავარწმუნო საკუთარ შესაძლებლობებში, კუნთოვანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ჩავრთავ სპორტში, შევიცვლი მკაცრ ტონს და მასთან მეგობრულ ურთიერთობას ვარჩევ; დილით, როცა ლოგინი მშრალი დამხვდება, შევაქებ, შევუსრულებ დიდი ხნის დანაპირებს, ვეცდები მოვუხსნა არასრულფასოვნების კომპლექსი.**

სწორი პასუხია **დ**.

ახლა განვმარტოთ თითოეული არასწორი პასუხის შინაარსი:

**ა**. ამ ასაკის ბიჭუნას შარდის შეუკავებლობა ღამით შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. ყველაზე ნაკლებად სავარაუდოა ორგანული დაავადება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში, ბავშვს შარდის შეუკავებლობა ექნებოდა დღის საათებშიც. რეალური მიზეზი უნდა ვეძებოთ ბავშვის სულიერ მდგომარეობაში. შემთხვევათა 80 პროცენტში ეს სიმპტომები ბიჭებს აღენიშნებათ და მათ შორის ძალიან ხშირად გვხვდებიან თავის თავში დაურწმუნებელი, საკუთარი შესაძლებლობების უარმყოფელი ბავშვები. ზოგჯერ პატარას მიაჩნია, რომ დედა თრგუნავს მის თავისუფლებას — იგი ზედმეტად განიცდის დედის სიმკაცრეს და მბრძანებლობას, მაგრამ არ გამოხატავს აშკარა წინააღმდეგობას მის მიმართ. დედის დავალებას ბავშვი ძალიან ნელა ასრულებს ან პირიქით — მის საპირისპიროს აკეთებს. ძალიან ხშირად ასეთ ბიჭებს აკლიათ მამის მორალური მხარდაჭერა. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია მამასთან ხშირი ურთიერთობა.

ასეთ პატარებს ზოგჯერ აქვთ შიში თავისი თანატოლების მიმართ. ამდენად, შარდის შეუკავებლობის მიზეზი ბავშვის ფსიქიკური ძვრებია, რომლებიც თქვენთვის შეუმჩნეველი დარჩა. ამიტომ თუ სამედიცინო გამოკვლევამ გამორიცხა ორგანული პათოლოგია, გირჩევთ, კიდევ უფრო ნუ დაღლით პატარას ზედმეტი სამედიცინო მანიპულაციებით — ეს მხოლოდ გააღრმავებს მის სტრესს.

**ბ**. ასეთ ბავშვებს ღრმა ძილი ახასიათებთ. თუ თქვენ აიძულებთ პატარას, გაიღვიძოს ყოველღამე მოსაშარდად, ეს მისთვის საკმაოდ მძიმე, უარყოფითი მომენტი იქნება: თანაც ამგვარი მოქმედებით თქვენ კიდევ ერთხელ არწმუნებთ ბავშვს, რომ ის პატარაა.

სითხის მიღების შეზღუდვაც არ არის გამოსავალი — ამით თქვენ გაიფუჭებთ ურთიერთობას ბავშვთან.

**გ**. დამსჯელი ღონისძიებები სველი ლოგინის ნახვის შემდეგ ბავშვის სულიერ სამყაროს ძლიერ ტრავმას აყენებს, იგი ხომ თავადაც ძალიან განიცდის ამ მდგომარეობას. ამიტომ, გირჩევთ, მსგავს ღონისძიებებს ნუ მიმართავთ.

რაც შეეხება **დ** პასუხს, მასში მოკლედაა მოწოდებული ის სწორი რეკომენდაციები, რომლებიც დაგეხმარებათ, იმოქმედოთ ბავშვის სულიერ მხარეზე, შემატოთ მას თავდაჯერებულობა.

შინაგანი სტრესის მოხსნის მიზნით, ასვით ბავშვს კატაბალახას ნაყენი. ამასთან ეცადეთ, გაზარდოთ მამის როლი შვილის ცხოვრებაში. მამამ ხშირად უნდა დაიხმაროს პატარა თავის საქმიანობაში და კაცად აგრძნობინოს თავი ბავშვს.

ამრიგად, შეეცადეთ, დაარწმუნოთ ბავშვი საკუთარ შესაძლებლობებში, მოუხსნათ არასრულფასოვნების კომპლექსი და გარწმუნებთ, მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება.

***თამარ მამაცაშვილი***

## ფეხშიშველა დადიხართ? – ფრთხილად, სოკოა!..

### დიაგნოზი ფრჩხილების მიხედვით

ფრჩხილებს ბევრი რამის თქმა შეუძლია. სუფთაა ფრჩხილები — ე.ი. ადამიანი კარგად აღზრდილია, მანიკიურით — შეძლებულად ცხოვრობს, მოკვნეტილი — ნერვიულია... ხოლო თუ ფრჩხილებს ფერი აქვს შეცვლილი და ამობურცულია — მაშინ ჯანმრთელობაა მისახედი.

დაავადებები ხომ ფრჩხილებზეც ტოვებენ თავიანთ „ავტოგრაფს“. აი, როგორ გვიხსნიან ამ „ავტოგრაფებს“ მიკოლოგები:

— სარკისებურად უპრიალებს ფრჩხილები იმას, ვისაც კანის დაავადება აქვს, ქავილი აწუხებს.

— ფრჩხილები თეთრდება ძლიერი მოწამვლის დროს ან მაშინ, როცა ფრჩხილების ძირში ანთებითი პროცესი მიმდინარეობს.

— ყვითელი ფრჩხილები, თუმცა იშვიათად, შეიძლება დაბადებიდან დაჰყვეს ადამიანს. თუ ფრჩხილი გაყვითლებას იწყებს კიდეებიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი კარგად არ ეკვრის კანს, მის ქვეშ ჭუჭყი დაგროვდა და სოკომ დაიბუდა.

— ლურჯი ფრჩხილები მიანიშნებს სისხლის ცუდ მიმოქცევაზე.

— ფრჩხილი მწვანდება, როდესაც ტრავმის შემდეგ მის ქვეშ ჩირქი გროვდება.

— ფრჩხილი შავდება — ტრავმის (მძიმე საგნის დარტყმის) შედეგად, მაგრამ შეიძლება ამის მიზეზი მელანომაც იყოს. საბედნიეროდ, ეს იშვიათი შემთხვევაა.

— „ცხიმოვანი ლაქა“ (მუქი-ყვითელი, რომელიც ნაპირებთან სიწითლეში გადადის) გვხვდება ფსორიაზით დაავადებულებში, ე.ი. ფრჩხილების ქვეშ იმალება ფსორიაზის ბალთები.

— პატარა თეთრი ხაზები (ფრჩხილების შუაში) მიანიშნებს, რომ ორი თვის წინ გრიპით იყავით ავად ან რაღაც სტრესი განიცადეთ.

— თუ ფრჩხილი მეტისმეტად არის ამობურცული და შესქელებული, ე.ი. მის ქვეშ „ყვავის“ სოკო, თუმცა მიზეზი შეიძლება იყოს ტრავმაც და მოუხერხებელი ფეხსაცმელიც.

— ფრჩხილი ჩაბრუნებულია — მიზეზი შეიძლება იყოს ტრავმა და ხშირ შემთხვევაში, სოკოც.

— თუ ფრჩხილი იმტვრევა და იფშვნება, მიზეზი შეიძლება იყოს ავიტამინოზი და არ არის გამორიცხული, რომ სოკო გემრიელად „იკვებება“. ზოგჯერ ფრჩხილი ემტვრევათ ეგზემით დაავადებულებს ან იმ ქალებს, ვინც მოიხმარს ქიმიურ სარეცხ ფხვნილებს, სითხეებს და ფრჩხილის ლაქის გასაცლელ უხარისხო ხსნარს.

— ფრჩხილის ნელი ზრდა უკავშირდება პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებებს.

### ვისი ფრჩხილებია საფრთხეში?

ფრჩხილების დაავადებათაგან ყოველი მესამე სოკოა, რომელიც ფეხის ფრჩხილებზე 10-ჯერ მეტად გვხვდება, ვიდრე ხელებზე. სოკოთია დაავადებული ყოველი მე-20 ადამიანი, მოხუცებულებში კი, ყოველი მე-10, რადგან ასაკის მატებასთან ერთად ფრჩხილის ზრდა ნელდება და სოკოც ადვილად აღწევს მის ქვეშ.

ბავშვები საერთოდ არ ავადდებიან სოკოთი, რადგან მათი ფრჩხილები სწრაფად იზრდება და „დაუპატიჟებელი სტუმარიც“ ვერ ასწრებს დაბუდებას.

ხშირ შემთხვევაში ავადდებიან ოჯახში ახლობლებისაგან უმეტესად, მოხუცებულებისგან.



საერთო ჩუსტებით, წინდებით სარგებლობისას. ხალიჩებიდან და ფარდაგებიდან, როცა ფეხშიშველა დავდივართ. ასევე — აბანოში და საცურაო აუზში.

### როგორ დავიცვათ თავი სოკოსგან

...იზრუნეთ ოჯახში მოხუცებულების ჯანმრთელობაზე.

...იხმარეთ მხოლოდ საკუთარი ჩუსტები (სტუმრადაც კი თან წაიღეთ), ძველი ფეხსაცმელი (სოკოთი დაავადებულის) აუცილებლად დაწვით და არ გადაყაროთ, რათა სხვამ არ აიღოს.

...ურიგო არ იქნება, გამოცვალოთ ხალიჩები და ფარდაგები.

...სოკოს უყვარს ტრავმირებული ფეხები, ამიტომ დროულად უნდა ვუმკურნალოთ დაჟეჟილ და ნატკენ ფეხებს, მოირჩინეთ კოჟრები.

...ფეხშიშველა არ იაროთ აბანოსა და საცურაო აუზში. იქ ყოფნის შემდეგ გულდასმით დაიბანეთ ფეხები საპნით ან დაისხურეთ სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები.

...არ იაროთ მთელი დღე ვიწრო და ყელიანი ფეხსაცმლით და ჩექმით.

...არ მოიჭრათ ფრჩხილები ძალიან ღრმად. არ მოიჭრათ კანი ფრჩხილის ძირში (ის იცავს ფრჩხილს სოკოსაგან).

...ხელები რომ არ დაავადდეს სოკოთი — ხშირად დაიბანეთ საპნით, არ მოიკვნიტოთ.

### იკურნება თუ არა სოკო?

რა თქმა უნდა. თუმცა დიდი დრო სჭირდება. მაგალითად, ფეხებზე მკურნალობა გრძელდება 5-დან 12 თვემდე, ხელებზე 3 თვე.

მკურნალობის მეთოდებია: პირველი — მალამოები, კრემები და ლაქები.

მეორე — ფრჩხილების მოცილება ქირურგიული გზით ან სალბუნით (სანამ ფრჩხილი გაიზრდება, კანზე უნდა წაისვათ სპეციალური მალამო).

მესამე — მიიღოთ სოკოს საწინააღმდეგო აბები და კაფსულები.

***კომსომოლსკაია პრავდა №6***



## გაზიანი წყალი ჯანმრთელობისთვის საშიშია!

კალიფორნიაში მალე მიიღებენ კანონს, რომლის მიხედვითაც გაზიანი სასმელების გაყიდვა ისევე საშიშად ჩაითვლება ჯანმრთელობისათვის, როგორც სიგარეტით ვაჭრობა. შტატის ხელმძღვანელობა ცდილობს ამ კანონით დაამარცხოს ამერიკაში ფრიად გავრცელებული სენი — სიმსუქნე. თავდაპირველად კანონის შემოღებით გაძვირდება გაზიანი სასმელები, შემდეგ კი ისინი ნაწილობრივ აიკრძალება. მოგებული თანხა (გეგმის მიხედვით, იგი $ 342 მილიონი იქნება) მოხმარდება სკოლებში ჯანმრთელობის დაცვას და სკოლის გარეშე ღონისძიებებს. გაზიანი სასმელების ინდუსტრიის წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ კანონმდებლების მიმართ და მიაჩნიათ, რომ რაციონიდან ამა თუ იმ პროდუქტის ამოღება საქმის ხელოვნურად გამარტივებაა — სიმსუქნეს ასე ვერ ვძლევთ. სხვათა შორის, ვაშინგტონის, არკანზასის და ვირჯინიის შტატებმა უკვე გაზარდეს სააქციზო გადასახადი გაზიან სასმელებზე.

***ოგონიოკი №15***

## ფარმაკოლოგიური სიახლენი



**წამალი საუკუნის სენის წინააღმდეგ.** შიდსის საწინააღმდეგო ახალი წამალი შექმნეს ტაილანდში. იგი წინამორბედებზე უფრო ეფექტურია, აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი და იმუნიტეტის შემანარჩუნებელი ეფექტი. ტაილანდის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აბების პირველი პარტია, პირობითი დასახელებით „მსოფლიოში ყველაზე იაფი ანტიშიდსური კოქტეილი“, უკვე გაიყიდება ამ თვეში. ერთი აბის ფასი 46 ცენტია. „კოქტეილის“ წარმოებას და მისი ხარისხის კონტროლს განახორციელებენ უშუალოდ სახელმწიფო ფარმაცევტული კომპანიები.

**განიკურნება ინსულტი.** როგორც აღმოჩნდა, ამ ბოლო დროს ყბადაღებული „ვიაგრა“ ინსულტის შემდგომ შესანიშნავად აღადგენს ტვინს. იგი ვირთხებზე გამოსცადეს და დაადგინეს, რომ „ვიაგრას“ მიღების შედეგად ტვინის უჯრედების რაოდენობა ინტენსიურად იზრდება. გარდა ამისა, „ვიაგრას“ მიღების შემდეგ ვირთხები გაცილებით აქტიურები და საზრიანები ხდებოდნენ.

***ვოტ ტაკ! №15***

# ღანძილი ჯანმრთელობის საწინდარია



გაზაფხულის დადგომასთან ერთად, როდესაც ჩვენი ორგანიზმი ვიტამინების ნაკლებობას განიცდის და ჯერ ახალი ხილიც არ შემოსულა, დროულია მივიღოთ, რაც შეიძლება მეტი, ორგანიზმისათვის საჭირო ნივთიერებებით მდიდარი ბალახეული, მაგალითად, ველური ღანძილი, რომლის მრავალი სახეობა არსებობს და ზოგიერთი წითელ წიგნშიც კი არის შეტანილი. მათ შორის სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა მთის ღანძილი.

ღანძილი C ვიტამინის უშრეტი წყაროა, სრულიად საკმარისია 10 ფოთოლი შევჭამოთ, რომ ჩვენი ორგანიზმი მიიღებს ამ ვიტამინის დღეღამურ ნორმას. გარდა C ვიტამინისა, რომელიც რაოდენობით 10-15-ჯერ აჭარბებს ციტრუსებსაც კი, ღანძილი შეიცავს სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, როგორიცაა ფიტონციდები, ორგანული მჟავები, ეთეროვანი ზეთები, საპონინები, რომელთა წყალობითაც ეს მცენარე არის უებარი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება. ხალხურ მედიცინაში მას იყენებდნენ და დღესაც იყენებენ როგორც სურავანდის სამკურნალო, ასევე მადის აღმძვრელ საშუალებას.

ახალი ღანძილის ჭამა სასარგებლოა ათეროსკლეროზის დროს. მისი ფოთლების ნაყენი უნდა მივიღოთ ციების, ცხელების დროს. რევმატიზმის დროს კი სპირტიანი ნაყენით დავიზილოთ მტკივანი ადგილები. ღანძილის წვენს იწვეთებენ ყურში ჩირქოვანი ანთების დროს.

ახლა გთავაზობთ ღანძილის მომზადების წესს: კარგად გარეცხილ ფოთლებს დააყარეთ მარილი და მოათავსეთ მომინანქრებულ ქვაბში სიმძიმის ქვეშ. დამწნილებული ღანძილი ბრწყინვალე გარნირია ხორცისა და კარტოფილის კერძებთან.

*ლიზა №15*

# ჯარაექიმის რჩევები

**დაბალი წნევის დროს:** 10 გ ნეგოს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 10 წუთი, გაწურეთ და მიიღეთ ერთი თვის განმავლობაში 1/3 ჩ/ჭ ნაყენი 3-ჯერ დღეში ერთი თვის განმავლობაში. შესვენების შემდეგ შეგიძლიათ გაიმეოროთ კურსი.

**იმუნიტეტს ამაღლებს:** შეურიეთ ერთმანეთს 1ჩ/კ ალოეს ფოთლების წვენი, 1 ჩ/კ თაფლი და 40 გ მშრალი ღვინო. გააჩერეთ 5-6 დღე და მიიღეთ ჭამის წინ 1-2 კვირის განმავლობაში.

**სიგარეტის წევას გადაგაჩვევთ:** შეურიეთ ერთმანეთს 100გ შვრიის მწვანე თესლი, დაასხით 0,5 ლ არაყი, გააჩერეთ 3 კვირა ბნელ ადგილას. შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 15 წვეთი დღეში 3-ჯერ 20 წუთით ადრე ჭამამდე. ერთი კვირის შემდეგ ეფექტი სახეზე იქნება — სიგარეტი აღარ მოგინდებათ.

**გაციების დროს:** წყლის ორთქლზე გაათბეთ თაფლი და წაისვით ბეჭებს შორის, მჭიდროდ შეიკარით ბამბის ქსოვილით, ზევიდან შემოიკარით შალი ან თბილად ჩაიცვით. ერთი საათის შემდეგ მოიხსენით და თბილად დაწექით.


**მკურნალობა აპარატურით**

ალერგიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ენაბლუობის, წნევის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის (სიმსუქნე, ოსტეოქონდროზი), იმუნური სისტემის დაქვეითების მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით.

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, მე-13 სართ. (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა) ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი, ექიმი ზურაბ ხარიაშვილი, 10-16 სთ-მდე

☎ 899-97-58-77; 39-58-77 ბინა.

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

Supreme Plus (სუპრიმე ფლას) - 95ლ. QuickTek (ქვიქთექ) - 130ლ.

**გაყიდვაშია ტესტ-ჩხირები:** • Supreme (სუპრიმე) • One Touch (უან თაჩ) • Accu-Check (აქუ-ჩექ) • Glucotrend (გლუკოდრენტ) • QuickTek (ქვიქთექ)

**ასევე გაყიდვაშია:** • ავტომატური საჩხვლეტი–11ლ; • ერთჯერადი ნემსი 50ც. - 3 ლ; • საქარინ-ნატრიუმი • შარდის საერთო ანალიზის ტესტ-ჩხირები 100ც-50ლ (განსაზღვრება: ხვედრით წონა, სიმჟავე, ერითროციტები, ლეიკოციტები, ნიტრატები, პროტეინი,ბილირუბინი, აცეტონი, გლუკოზა და უროზილინოგენი..)

შპს „კონტრასტი" ბორჯომის ქ 4.

☎ 354405 / 347403 / 8 99 19-60-55

**ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“**

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის გამომტანი გზების პათოლოგიები



ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის გამომტანი გზების პათოლოგიებს შორის ყველაზე გავრცელებულია ნაღვლის ბუშტის ჰიპო ანუ ატონიური დისკინეზია. ამ დაავადების დროს ნაღვლის ბუშტის კუნთოვანი შრე ფართოვდება, მცირდება კუნთის შეკუმშვის უნარი, რის შედეგადაც ნაღველი გუბდება — ნაღვლის ბუშტი ნორმასთან შედარებით 2-3-ჯერ უფრო დიდია. ნორმალური ნაღვლის ბუშტი 40-60 $სმ^3$ ნაღველს შეიცავს.

გაწელილი ნაღვლის ბუშტის ნერვული დაბოლოებები ღიზიანდება, რის საფუძველზეც ვითარდება უსიამოვნო შეგრძნება. ეს გამოიხატება მღრღნელი ან გახანგრძლივებული ტკივილით, მარჯვენა ფერდქვეშა არეში თითქმის მუდმივი სიმძიმის შეგრძნებით. ამ მდგომარეობაში ნაღველი, რომელიც ჭამის დროს ჭარბი რაოდენობით ხვდება თორმეტგოჯა ნაწლავში, გადადის კუჭში და აღიზიანებს მის ლორწოვან გარსს. პირში ჩნდება სიმწარის შეგრძნება, ზოგჯერ ღებინებას მოჰყვება ნაღვლის შემცველი მასები.

ნაღვლის ბუშტის ფუნქციონირების სხვა დარღვევა ჰიპერტონიული დისკინეზიაა — ანუ ნაღვლის ბუშტის კედლის კუნთების მომატებული ტონუსი. ასეთ შემთხვევაში საკმაოდ ძლიერი ტკივილი ვითარდება უეცრად და სწრაფად გადის. ეს დაკავშირებულია ნაღვლის ბუშტის სპაზმთან.

ნევროზი არის ნაღვლის ბუშტისა და ნაღველგამომტანი გზების დისკინეზიის გამომწვევი. დაავადებას იწვევს ემოციური გადატვირთვა, სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის მოხმარება, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა, არასრულფასოვანი კვება. კვების რეჟიმის დარღვევა, კერძოდ, საკვების დღეში მხოლოდ ორჯერ მიღება განაპირობებს ნაღვლის ბუშტში ნაღვლის შეგუბებას.

ასე რომ, ნაღვლის ბუშტის დისკინეზიის თავიდან ასაცილებლად ხელი უნდა აიღოთ მავნე ჩვევებზე, დაიცვათ კვების რეჟიმი და მეტი იმოძრაოთ. დღეში 4-5-ჯერ უნდა ჭამოთ ერთსა და იმავე დროს. რაციონი უნდა იყოს მრავალფეროვანი, მიიღეთ როგორც ცხოველური (ნაკლები რაოდენობით), ისე მცენარეული ცხიმები. მწარე სანელებლები, სპირტიანი სასმელი იწვევს ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას.

დილით აუცილებელია ტანვარჯიში, მუცლის პრესის ვარჯიშები, დღეში 1 საათით მაინც სწრაფი ნაბიჯით სიარული. მაგრამ თუკი პირში სიმწარეს გრძნობთ, მარჯვენა ფერდქვეშა არე გტკივათ, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

გაითვალისწინეთ! ნაღვლის ბუშტის დისკინეზიის ჰიპო და ჰიპერტონიული ფორმების დროს მკურნალობა განსხვავებულია.

თუკი სათანადო ზომებს დროზე არ მიიღებთ, დაავადება გამძაფრდება. პათოლოგია განსაკუთრებით (ჰიპოტონიური ფორმა) საუკეთესო საფუძველია ნაღვლის ბუშტის (უკენჭო) ანთების განვითარებისათვის, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება ნაღველ-კენჭოვან დაავადებაში გადაიზარდოს.

ნაღვლის ბუშტის ანთება ვითარდება დაავადების გამომწვევი მიკრობების ნაწლავებიდან თორმეტგოჯა ნაწლავში შეჭრით, იქიდან კი ნაღვლის გამომტანი გზებით ნაღვლის ბუშტში შეღწევით. არსებობს ნაღვლის ბუშტში ინფექციის შეჭრის კიდევ სხვა გზაც: სისხლძარღვებისა და ლიმფური სადინარების საშუალებით, ორგანიზმში არსებული ინფექციური კერიდან — კარიესული კბილები, ანთებითი ნუშურა ჯირკვლები, აპენდიქსის ანთება, ღრძილების ანთება, პაროდონტოზი. ქოლეცისტიტის მიზეზი შეიძლება გახდეს ქრონიკული ანთებითი ცვლილებები კუჭში, თორმეტგოჯა ნაწლავში, კუჭქვეშა ჯირკვალში, ღვიძლში.

ქოლეცისტიტის განვითარებას ხელს უწყობს არასრულფასოვანი კვებით დასუსტებული ორგანიზმიც, ასევე შიმშილი, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, ემოციური გადაძაბვა. და თუ დროზე გამოავლენთ და მოახდენთ ორგანიზმის ინფექციური კერების სანაციას, ეს თავიდან აგაცილებთ ქოლეცისტიტს.

თუკი პრობლემას სათანადო ყურადღება არ მიექცევა, უკენჭო ქოლეცისტიტი თანდათან გადაიზრდება კალკულოზურ (კენჭოვან) ქოლეცისტიტში. ამ დროს ნაღვლის ბუშტში წარმოიქმნება ე.წ. ბილირუბინ-კალციუმის კენჭები. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნივთიერებათა ცვლის დარღვევაც, რასაც იწვევს ცხიმების ჭარბი მოხმარება ანდა მისი სრული გამოთიშვა რაციონისაგან.

კენჭების განვითარებას ხელს უწყობს კვებათაშორის დიდი ინტერვალიც. თუ ჯანმრთელი ადამიანი დღეში 3-4-ჯერ უნდა ჭამდეს, ნაღვლის ბუშტის პათოლოგიის დროს აუცილებელია 5-6-ჯერადი კვება მცირე ულუფით. ამის გამო საჭიროა ძილამდე 1-1,5 საათით ადრე მსუბუქი ვახშამი (კარტოფილის პიურე, მაკარონი ან ცოტაოდენი თევზი), რათა შემცირდეს ინტერვალი ვახშამსა და დილის საუზმეს შორის.

ნაღვლის ბუშტში კენჭების წარმოქმნას თან ახლავს ტკივილი და სხვა სიმპტომები: უძლიერესი, შეტევისებური ტკივილი აღინიშნება მარჯვენა მხარში, ბეჭქვედა არესა და წელის მიდამოში. ვითარდება ძლიერი ციებ-ცხელება, ზოგჯერ იწევს ტემპერატურა, ვითარდება კანისა და ლორწოვანის სიყვითლე. მკურნალობა ამ დროს, როგორც წესი, ოპერაციულია.

ზოგიერთი ადამიანი ამ დროს უარს ამბობს ოპერაციაზე და ქვების დასაშლელად სხვადასხვა ხალხურ საშუალებას მიმართავს. ეს, რა თქმა უნდა, მცდარია, მან შეიძლება გამოიწვიოს ნაღვლისგამომტანი გზების ქვებით დახშობა, რასაც მოჰყვება ნაღვლის ბუშტის წყალმანკი, მისი დაინფიცირების შემდეგ კი დაჩირქება, ნაღვლოვანი პერიტონიტი (მუცლის ფარის ანთება).

ამიტომ საჭიროა წელიწადში ორჯერ კონტროლი — ნაღვლის ბუშტის ექოსკოპიური გამოკვლევა, სისხლის საერთო ანალიზი, განავლისა და შარდის გამოკვლევა.

დღეს შესაძლებელია ნაღვლის ბუშტის ქვების დაშლა ლითოტრიფსიული მეთოდებით, ასევე უსისხლო ოპერაცია — ქოლესიტექტომია — ნაღვლის ბუშტის ამოკვეთა.

*მაია მუხიგული*

# აზარტულები არ არიან დამნაშავენი

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ტვინის მონაკვეთი, რომელიც აზარტზეა პასუხისმგებელი. პათოლოგიურ მოთამაშეებს, რომლებიც კაზინოში უკანასკნელ გროშებს აგებენ, შეუძლიათ თავისუფლად ამოისუნთქონ — ისინი არ არიან დამნაშავეები, ეს უბრალოდ ფიზიოლოგიაა.

ფსიქიატრთა აზრით, აზარტულ თამაშებს, აგრეთვე სხვა მავნე ჩვევებს — ღორმუცელობას (ბულიმია), ვარჯიშის დაუოკებელ სურვილს და სხვა ამ ჩვევებს აერთიანებს აზარტული პათოლოგია — ადამიანი თავს ვერ იკავებს, მას ნარკომანივით სჭირდება მორიგი დოზა, მერე კი სინანულის პერიოდი ეწყება.

აზარტულ ადამიანებს შეუძლიათ ერთ საღამოს წააგონ მთელი ქონება, ჩაცვივდნენ ვალში, ოჯახის წევრების ქონებაც დააგირაონ და ბოლოს და ბოლოს, უმეტესად საპატიმროში ხვდებიან. ზოგჯერ ახლობლების, ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით აღარ თამაშობენ, მაგრამ ადრე თუ გვიან, ისევ იწყებენ. ამისკენ მათ უმეტესად სტრესული მდგომარეობა უბიძგებთ — ლოთები სმას იწყებენ, პათოლოგიურმა მოთამაშემ კი სასოწარკვეთილებისაგან შეიძლება დედის დასამარხად გადადებული ფულიც კი წააგოს.

აზარტული თამაშების სიყვარულს ზოგჯერ რისკის, მძაფრი განცდების მიმართ სიყვარულით ხსნიან. სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, აზარტული თამაშები ორი ტიპის ადამიანს იტაცებს. მათ უმეტესობას ძალიან წყნარი, მოსაწყენი პროფესია აქვთ (ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ვეტერინარი). დანარჩენებს — დიდ რისკთან დაკავშირებული (პოლიციელები, ბირჟის მაკლერები, ქირურგები). პირველები ამას ჩვეულებრივ ცხოვრებაში მძაფრი განცდების უქონლობის გამო აკეთებენ, დანარჩენებს ალბათ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი რისკი და იგი მათი ცხოვრების განუყრელი ნაწილი ხდება.

*ტრუდი №56*




**სამედიცინო ცენტრი მედი**

ალ. ყაზბეგის გამზ №1 25-02-02 93-89-75

**უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით**

**ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია**

**ფიგურის კორექცია ულტრაბგერითი ლიპოსაქციით**

**სახის კანის გაახალგაზრდავება, ნაოჭების გასწორება**

ოქროს ძაფებით, ბოტოქსის ინიექციებით

## ვივა, კოფერატი!

იტალიის პროფკავშირების ლიდერმა სერჯიო კოფერატიმ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ხალხმრავალი მანიფესტაცია მოაწყო — შრომის კოდექსის გაუქმების წინააღმდეგ პროტესტი თითქმის სამმა მილიონმა ადამიანმა განაცხადა. ტყუილად ხომ არ ამბობენ, რომ კოფერატი ერთადერთი იტალიელი პოლიტიკოსია, რომელიც შიშის ზარს სცემს პრემიერ სილვიო ბერლუსკონის. წლეულს, ივნისში მას პროფკავშირების ლიდერის რვაწლიანი მანდატი უმთავრდება და ალბათ რომ არა შექმნილი მდგომარეობა, პენ-



სიაზე გავიდოდა. ახლა კი ახალი ბრძოლებისათვის ემზადება. ბერლუსკონიმ ნეოლიბერალური რეფორმების ჩატარება განიზრახა — ამაში შედის შრომის კოდექსის მე-18 პარაგრაფის გაუქმებაც. ვიდრე ეს პარაგრაფი არსებობს, თანამშრომლის დათხოვნა (რაც უნდა ცუდად შრომობდეს) შეუძლებელია. მაგალითად, ცნობილია ლოთი მასწავლებლის ამბავი, რომელიც ვერაფრით დაითხოვეს სკოლიდან და კლასში, გაკვეთილზე მოკვდა.

ბერლუსკონიმ დაუმტკიცა იტალიელებს, რომ ძველი კოდექსის გაუქმება სახელმწიფოს დიდძალ საბიუჯეტო ფულს დაუზოგავს. მაგრამ კოფერატი არ დაეთანხმა პრემიერს. მასშტაბური გაფიცვის შედეგად მუშაობა შეწყვიტეს აეროპორტებმა, ვაგზლებმა, საზღვაო პორტებმა, ოფისებმა, ბანკებმა, სკოლებმა, ფოსტებმა. მაუწყებლობა შეწყვიტა ტელევიზიამ, არ გამოვიდა გაზეთები (ბერლუსკონის მომხრეთა გაზეთების გარდა), მილანის თეატრში პრემიერაც კი გადაიდო.

***ნოვაია გაზეტა №17***

## ქვეყნის ელიტა გარბის

ისრაელის ყოფილი იუსტიციის მინისტრი ჯოსი ბაილინი წუხს, — სამშვიდობო პროცესის ჩაშლის შემდეგ ისრაელის ახალგაზრდობა აღთქმულ მიწას ტოვებსო.

ერთ-ერთმა გაზეთმა დაადგინა, რომ მაღალჩინოსანი პოლიტიკოსების შვილები კარგა ხანია გავიდნენ სამშვიდობოს. მშობლები ქვეყანას მართავენ, შვილები კი ოკეანის გაღმა არიანო, — წერს. თავდაცვის მინისტრის ქალიშვილი ტალი ბენ-ელიაზარი მამამისის მიერ გატარებული მკაცრი პოლიტიკის შედეგებს აშშ-ში ელოდება, ინდუსტრიის მინისტრის როხი მილუს ვაჟები — არიელი და ოფირი — ბომბების აფეთქების შიშით ევროპაში გაიქცნენ, კულტურის მინისტრის მატან ვილანის მემკვიდრე იაირი ქვეყნიდან დიდი ხნის წინ გაემგზავრა. საზღვარგარეთ ცხოვრობენ ბარაქის ქალიშვილი მიქალი, ყოფილი თავდაცვის მინისტრის ვაჟი მოშე არენსი და ჯოელ ჰერცოგი, რომლის მამიკო ხაიმი ერთ დროს ქვეყნის სათავეში იდგა. ალონ ბენ გურიონმა, ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებლის შვილიშვილმა, კი თავი ნიუ-იორკს შეაფარა.

***შტერნი №17***

## ორთავიანი არწივი

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი ამერიკის სახელგანთქმული საიმიგრაციო სამსახურის გაუქმებას იმ სახით, რომლითაც იგი აქამდე არსებობდა.

ამიერიდან იმიგრაციისა და ნატურალიზაციის (INS) სამსახური ორ უწყებად გაიყოფა; ერთს დაეკისრება ვიზებისა და სხვა საბუთების გაცემა, მეორე კი აშშ-ის ტერიტორიაზე დაუწყებს ძებნას ვადაგასული ვიზებისა და პასპორტების პატრონებს.

ამ სამსახურს კარგა ხანია აკრიტიკებენ ამერიკელები, მაგრამ 1970 წლიდან დაწყებული ვერაფრით მოხერხდა მისი რეფორმირება. 11 სექტემბრის შემდეგ ერის მოთმინების ფიალა აივსო. როგორც გაირკვა, 19 ტერორისტი აშშ-ის ტერიტორიაზე ლეგალურად შევიდა, მათგან სამს ვიზაში მითითებული დროც კი გადაცილებული ჰქონდა! ახლახან კი INS-მა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა. სექტემბრის ტერაქტის 6 თვის თავზე ფლორიდის საფრენოსნო სკოლაში გაგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ორ სტუდენტს (მათ თვითმფრინავი გაიტაცეს) ქვეყანაში ყოფნის ვადა გაუგრძელდა.

არაოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში არალეგალურად უნდა იმყოფებოდეს 3 მლნ-ზე მეტი ადამიანი. ვითომ მეტი წესრიგი დამყარდება ამერიკაში სამსახურის ორად გაყოფის შემდეგ? ამის პასუხად ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკელმა სატელევიზიო წამყვანმა თქვა, — იმაზე უარესი ხომ აღარ იქნება, რაც დღეს არისო.

***კომერსანტი №79***

## პერესი ფინანსურ მახეში გაება

განა რა ჰქვია პრემიას (რომელსაც ახლავს 50-ათასდოლარიანი ჩეკი), თუ მის შესახებ დაჯილდოებულის გარდა არავინ არაფერი იცის?

ქარიშხალი ისრაელის გაზეთ „მაკორ რიშონის“ ანონსის შემდეგ ამოვარდა. მასში ნათქვამი იყო, რომ დასაბეჭდად მზადდება შიმონ პერესისა და ნორვეგიელი დიპლომატის ტერიე რიოდ-ლარსენის მეგობრობის ფინანსური საფუძვლის მამხილებელი საბუთები.

მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა: 1994 წელს შიმონ პერესი ნობელის მშვიდობის პრემიის ერთ-ერთი ლაურეატი გახდა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღოდა ტერიე რიოდ-ლარსენს და მის მეუღლეს — ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველს ახლო აღმოსავლეთის პრობლემების დარგში მონა უულს. პრემიის მიღების შემდეგ პერესმა თავისი სახელობის მშვიდობის ცენტრი გახსნა, რომელიც აწესრიგებდა ეკონომიკურ კავშირებს ისრაელსა და პალესტინას შორის. ცენტრის მაღალხელფასიანი თანამშრომლები გახდნენ რიოდ-ლარსენი და მისი მეუღლე, თუმცა მათ არც ნორვეგიის დიპლომატიურ ფრონტზე შეუწყვეტიათ მუშაობა. ქალბატონ მონას ევალებოდა ნორვეგიის სახსრებით პალესტინის ავტონომიასა და ისრაელში სხვადასხვა პროექტის დაფინანსება. ცხადია, ცენტრმაც გვარიანად ისარგებლა — მას ოსლომ დაახლოებით 1.5 მლნ დოლარი გადაურიცხა. სწორედ მაშინ გადასცეს ცენტრში ცოლ-ქმარს საერთაშორისო პრემია და თან თითოეულს 50-ათასდოლარიანი ჩეკიც აახლეს. ცენტრის დირექტორმა ვერ უარყო პრემიების გადაცემის ფაქტი, თავად ცოლ-ქმარს კომენტარი არ გაუკეთებია. რევიზორები იმანაც გააკვირვა, რომ პრემია, მათ გარდა, არავისთვის გადაუციათ და არც ცოლ-ქმარს გაუხმაურებია ეს ფაქტი. ალბათ არც ახლა გახდებოდა ვინმესთვის ცნობილი, რომ ტერიე რიოდ-ლარსენს, რომელიც გაეროს დამკვირვებელია თელ-ავივში, მოთმინება არ დაეკარგვინებინა პრემიერ-მინისტრ არიელ შარონისათვის. რიოდ-ლარსენმა ჯენინის ლტოლვილთა ბანაკში ყოფნისას ნეიტრალური დამკვირვებლის სტატუსი დაარღვია და ინტერვიუში განაცხადა, — იქ საშინელების მოწმე გავხდი, ბანაკი მიწისძვრის ეპიცენტრში მოქცეულს ჰგავსო. არიელ შარონის ბრძანებით, გაეროს დამკვირვებელს ბანაკების მონახულება აეკრძალა. შიმონ პერესი შეეცადა, მხარი დაეჭირა დიპლომატისთვის, მაგრამ გაწბილებული დარჩა. ასე რომ, ახლა იმ გუნდში მოუწევს სიმღერა, რომელსაც პრემიერი შარონი დირიჟორობს.

***კომსომოლსკაია პრავდა №48***

## ავსტრიელებს ნოსტალგია არ აწუხებთ

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, პირველ ტურში ჟან-მარი ლეპენის გამარჯვებამ ევროპა გააოგნა. ორი წლის წინ მსგავსი რამ მოხდა ავსტრიაში, სადაც საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა უკიდურესად მემარჯვენე „თავისუფლების პარტია“ იორგ ჰაიდერის მეთაურობით. დღევანდელი ევროპის რადიკალიზმზე ლაპარაკობს ავსტრიის ფედერალური კანცლერი ვოლფგანგ შიუსელი.

*— თქვენ ტრადიციული მემარჯვენე პარტიის წარმომადგენელი ხართ. დღევანდელ ევროპაში თავი წამოყვეს უფრო რადიკალურმა მემარჯვენეებმა. საშიშია თუ არა ეს?*

— არა მგონია, რომ „ახალი მემარჯვენეები“ საერთო-ევროპულ ფენომენს წარმოადგენენ. ეს უფრო ადგილობრივი პარტიებია, რომლებიც ალბათ მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლების პრობლემებზე ზრუნავენ. პარლამენტში დემოკრატიული გზით არჩეული არც ერთი პარტია არ დაარღვევს კონსტიტუციის ნორმებს.

*— ამის მიუხედავად, ევროკავშირმა 2000 წელს დიპლომატიური სანქციები შემოიღო ავსტრიის წინააღმდეგ.*

— ევროკავშირში ჩვენი 14 პარტნიორის (და არა თავად ევროკავშირის) მიერ ჩემი მთავრობის მიმართ მიღებული ზომები შეცდომა იყო. დღეს ეს ბევრმა აღიარა.

*— დღევანდელი ევროპის წინაშე მწვავედ დგას იმიგრაციის საკითხი. თქვენი მთავრობა რა ღონეს ხმარობს არალეგალური იმიგრანტების წინააღმდეგ?*

— დღეს არალეგალური იმიგრაცია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას უქმნის პრობლემებს. ავსტრია ცდილობს ლეგალურ იმიგრანტებს საინტეგრაციოდ პირობები შეუქმნას — დროებით სამუშაოს აძლევს ზოგიერთი პროფესიების წარმომადგენელს, მაგალითად, იმათ, ვინც ტურიზმის ან სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობს. ამასთან, ავსტრია ყოველ ღონეს



ხმარობს არალეგალური იმიგრაციის შესამცირებლად.

ავსტრიელებს იმპერიის ნოსტალგია არა აქვთ, თუმცა ვამაყობთ ჩვენი ისტორიული თუ კულტურული წარსულით და სავსებით კმაყოფილები ვართ იმ მდგომარეობით, რომელიც ამჟამად გვიჭირავს მსოფლიოში. სხვათა შორის, არც სხვებს ვურჩევდი წარსული იმპერიული დიდებისაკენ სწრაფვას.

***იზვესტია №75***

## ურუგვაიდან კუბის ელჩი გააძევეს



ლათინურ ამერიკაში მაინცდამაინც აღარავის სჯერა, რომ კუბის რევოლუცია ნათელი მომავლის ფლაგმანია. ამის დასტურია ჟენევაში გაეროს რეზოლუციით გამართული სხდომა, რომელზეც მკაცრად გააკრიტიკეს კუბაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა. სხდომამ მიიღო მიმართვა, რომელშიც ფიდელ კასტროს მოუწოდა, მისცეს კუბელებს მეტი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები და ქვეყანაში შეუშვას გაეროს ინსპექტორები. ამ მოწოდებას მხარი დაუჭირა ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 23-მა წევრმა. მათი დიდი ნაწილი ლათინურამერიკულ სახელმწიფოთა წარმომადგენელია.

ჰავანის რეაქციას არ დაუყოვნებია. დაუცხრომელმა ფიდელმა მექსიკის ლიდერი დაადანაშაულა — აშშ-ის ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ ხელს უწყობო. თანამოქალაქეების წინაშე გამოსულმა კასტრომ გამყიდველები უწოდა ლათინურამერიკულ სახელმწიფოთა ლიდერებს. განსაკუთრებით მოხვდა ურუგვაისა და მის პრეზიდენტს ხორხე ლუის ბატლს.

ჟენევაში გამოსულმა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფილიპე როკემ განაცხადა, — ურუგვაი ლამის ამერიკის მონად იქცესო.

ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში არ მოეწონათ ნათქვამი და კუბის ელჩს ურუგვაიში — ხოსე ალვარესს — უბრძანეს, 72 საათის განმავლობაში აიკარი გუდანაბადიო. თუმცა, მერე მოწყალება გაიღეს — ნება დართეს, იმდენ ხანს დარჩენილიყო, რამდენიც დასჭირდებოდა ჩასაბარგებლად. იმავდროულად, ურუგვაიმ თავისი ელჩიც გაიწვია ჰავანიდან, ამას მოჰყვა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება — ჩვენ არ მოვითმენთ შეურაცხყოფას ისეთი ქვეყნისგან, როგორიცაა კუბა. იქ არ არსებობს თავისუფლებაო.

***ელ მუნდო***

## მოკლედ

**ლოს-ანჯელესში**, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოში სახელგანთქმული თოჯინის — ბარბის შემქმნელი რუდ ჰანდლერი. მსოფლიოს 150 ქვეყანაში 1 მლრდ-ზე მეტი ბარბია გაყიდული.

**თურქ** ტერორისტს ალი აღაჯის, რომელიც 1981 წელს თავს დაესხა რომის პაპს იოანე-პავლე -ს, ამნისტია შეეხო და მალე გაათავისუფლებენ. მას სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და 2000 წლამდე იტალიის მკაცრი რეჟიმის ციხეში იჯდა. შეწყალების მერე სამშობლოში გადაიყვანეს.

ტურისტული სეზონის დაწყების წინ **ადრიატიკის** სანაპიროს ქალაქების ხელისუფლებამ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — დააწესა ბეგარა საღეჭ რეზინზე, რომელსაც მხოლოდ ტურისტები გადაიხდიან. შემოსული თანხა გადაეცემა ადგილობრივ კომუნალურ სამსახურებს, რომლებსაც დიდი შრომის გაწევა უხდებათ ქვაფენილებზე მიწებებული საღეჭი რეზინის ასაგლეჯად.

მსოფლიოში კლიმატის დათბობა მწვერვალების ყინულოვანი საფრის დნობას იწვევს და თუ ეს პროცესი არ შეწყდა, 25 წლის შემდეგ **შვეიცარიაში** შესაძლოა მოხდეს ბუნებრივი კატასტროფა, — ნათქვამია კლიმატის ცვლილებებზე დაკვირვების მსოფლიო სამსახურის ციურიხის შტაბბინის სპეციალისტების მოხსენებაში.

**ჩრდილოეთ ინდოეთში** ქალაქ ჯალანდჰარის საცხოვრებელი კვარტალების თავზე ავარია განიცადა რუსეთის წარმოების სამხედრო გამანადგურებელმა МиГ-21-მა — იტყობინება სააგენტო REUTERS-ი. დაიღუპა — 7, დაიჭრა რამდენიმე ათეული ადამიანი.

## გარდამავალი გვირგვინი

მალაიზიაში გაიმართა ქვეყნის უზენაესი ხელისუფალის (მეფის) კორონაციის ცერემონია. ქვეყნის რიგით მეთორმეტე მმართველი გახდა 59 წლის საიედ სირაჯუდინი, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა შარშან ნოემბერში გარდაცვ-



ლილი სალაჰუდინ აბდულ აზიზ შაჰი. მალაიზიელების აზრით, საიედ სირაჯუდინი მეტად ღირსეული და განათლებული ადამიანია. იგი სწავლობდა ჯერ სამშობლოში, მერე ინგლისში. მსახურობდა ინგლისში, ამჟამად მალაიზიის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის რექტორია, მფარველობს წითელი ჯვრის საზოგადოებას. ახალ მეფეს ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

ქვეყნის უმაღლეს მმართველად იგი მალაიზიის ცხრა შტატის სულთნების ფარული კენჭისყრით აირჩიეს, თუმცა სხვა კანდიდატურა არც ყოფილა. მალაიზიის კანონების თანახმად, ყოველი შტატის სულთანი 5 წელიწადში ერთხელ მორიგეობით ხდება უმაღლესი მმართველი და მეფე.

***ნოვიე იზვესტია №74***

## ქურთები ბრძოლის ტაქტიკას ცვლიან

20-წლიანმა სისხლისმღვრელმა ბრძოლამ 35.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო იარაღის დაყრა „ქურთთა მშრომელთა პარტიამ“ (ქმპ) ამიერიდან ის მოიხსენიება „ქურთისტანის თავისუფლებისა და დემოკრატიის კონგრესად“ (ქთდკ). კონგრესი უარს ამბობს ტერორზე და ქურთთა გასათავისუფლებლად მხოლოდ მშვიდობიანი ბრძოლის ხერხებს ირჩევს. პარტიამ მაშინ „იცვალა სახე“, როცა ევროკავშირი ანკარის ზეწოლით აპირებდა მის ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებას. თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების განცხადებით, ეს არის ტაქტიკური ნაბიჯი და ევროკავშირის მოტყუების მცდელობა. ამის დასტურია ის, რომ კონგრესის ლიდერად არჩეულია 1999 წელს დაპატიმრებული ქმპ-ის ყოფილი თავკაცი აბდულა ოჯალანი.

ქთდკ-მა ოფიციალური რეგისტრაცია გაიარა. მას იმედი აქვს, რომ შეძლებს ქურთთა ინტერესების დაცვას და უფლებების გაფართოებას არა მარტო თურქეთში, არამედ ირანში, ერაყსა და სირიაში. ანკარა დილემის წინაშე დგას — ამიერიდან ანგარიში უნდა გაუწიოს არა ტერორისტთა ორგანიზაციას, არამედ წმინდა პოლიტიკურ გაერთიანებას — სახე და სახელცვლილი ქურთთა პარტია ხომ მხოლოდ რადიომაუწყებლობის ქურთულ ენაზე წარმართვას, ბავშვებისთვის ქურთული სახელების დარქმევასა და სკოლებში ქურთული ენის შესწავლის დაშვებას მოითხოვს. და თუკი ეს მშვიდობიანი მოთხოვნები არ შესრულდა, ქურთები „ჯენტლმენურად მიანიშნებენ“ ყველას, რომ არ გაუჭირდებათ იარაღის სწრაფადვე ხელში აღება.

***ნიუზუიქი***

## ეგვიპტის პირველი ლედი პალესტინელებს ეხმარება



ეგვიპტის პირველი ლედი სიუზან მუბარაქი სათავეში ჩაუდგა პალესტინელ დევნილთა დამხმარე საერთაშორისო კამპანიას. მან თავად გააცილა ჰუმანიტარული ტვირთი ისრაელის საზღვრამდე. ამ მანქანებს ისრაელის ხელისუფალთა სპეციალური ნებართვა არ აქვთ ღაზაში შესასვლელად, ამიტომაც ძნელი სათქმელია, მიაღწევენ თუ არა დანიშნულების ადგილს.

ეტყობა, სიუზან მუბარაქს სურს ეგვიპტის საზოგადოებაში დაძაბულობის შენელება, რადგან ბევრი ეგვიპტელი ადანაშაულებს თავის პრეზიდენტს ისრაელის ანტიტერორისტული ოპერაციების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №17***



## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

***ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.***

***მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.***

***ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...***

## ბატონებო, მიირთვით ყავა!

არც ისე დიდი ხანია „კვირის პალიტრისთვის" ვწერ და მინდა გითხრათ, დიდ სიამოვნებას მანიჭებს ჩემი საყვარელი გაზეთის მკითხველთან შეხვედრა. ამ წერილებიდან ერთი თუ მაინც დაგეხმარებათ რაიმე საქმის წამოწყებაში, გამეხარდება. ისინი მხოლოდ იმისთვის არ არის განკუთვნილი, რომ ფული ვიშოვოთ, არამედ იმისთვისაც, ადამიანებზე, მათ სამყაროზე, მათ სიხარულსა და ტკივილზე დავფიქრდეთ. ასეთი ფიქრი ხვეწს და აკეთილშობილებს ჩვენს სულს. პირადად მე ამ წერილებზე მუშაობისას ბევრ რამეზე ვიფიქრე, ბევრი რამ ვისწავლე.

ამას წინათ, მოდუღებული ყავის რეალიზატორი გავიცანი და ყავის კულტურითაც დავინტერესდი. ჩემი გაკვირვება იმან გამოიწვია, რომ ამ მცენარის საშენი მიწები წითელი ფერისა ყოფილა. ასეთს ჩვენში წითელმიწა ნიადაგს ეძახიან, მაგრამ აქ ასეთ ნიადაგზე ბევრი არაფერი მოდის, ტროპიკულ ქვეყნებში კი, ქოქოსის და ყავის ხეები მშვენივრად იზრდება თურმე...

ეს კულტურა ისეთი ტემპით შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, ზოგჯერ ხუმრობენ კიდეც — ზოგიერთ ოჯახში წყლის ნაცვლად ყავა მოდისო... ასეა თუ ისე, დღეს მის გარეშე ცხოვრება ვეღარც კი წარმომიდგენია. ყველანი მივირთმევთ, განსაკუთრებით, დაღლილობის დროს — ყავა მშვენიერი სტიმულატორია. ამიტომაც, კარგად იყიდება. როგორც ჩემმა ნაცნობმა ყავის რეალიზატორმა მითხრა, მოხარშული ყავით შეიძლება მცირეოდენი შემოსავალიც კი გაიჩინო. ის მაგალითად, ერთ-ერთი ბაზრობის ტერიტორიაზე ყავის გაყიდვით უმუშევარ ქმარსა და შვილს ინახავს. იხდის მცირე თანხას და ყავას ბაზრობის ტერიტორიაზე ხარშავს. ცხელსავე ასხამს ლიტრიან თერმოსში და დახლებს შორის დაატარებს. სხვათა შორის, ერთ ასეთ თერმოსში 12-13 ჭიქა ყავა ჩადის. მთლიანად გაყიდული ყავიდან 6 ლარი რჩება, მისი მომზადებისთვის გაწეული ხარჯი კი მხოლოდ 2 ლარია. ასე რომ, თუ მთელი დღის განმავლობაში 4 თერმოს ყავას მაინც გაყიდის, მოგებული თანხა 14-16 ლარს შეადგენს. ხალხმრავალ ადგილებში რეალიზაციისთვის კი, 4 თერმოსი ყავის გაყიდვა გასაღების მინიმუმია...

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში შემოსული ეს პროდუქცია მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა, მაინც გვაქვს შესაძლებლობა მის მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სახეობებს წავაწყდეთ: ნესკაფეს, ლამბადას, ჩიბოს, არაბიკას და სხვ.

მიირთვით ბატონებო, ისიამოვნეთ! ეს სიამოვნება არც ისე ძვირი ჯდება..

**P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### გორბაჩოვი და „მშრალი კანონი"

**— გვაქვს მეგობრული კამათი. გთხოვთ განგვიმარტოთ დაზუსტებით, რომელმა ხელმძღვანელმა შემოიღო სსრკ-ში „მშრალი კანონი" — იური ანდროპოვმა თუ მიხეილ გორბაჩოვმა?**

***ზ. ტაბატაძე, დ. სხიერელი, ი. გოქაძე, თბილისი***

— ე.წ. მშრალი კანონი საბჭოთა კავშირში გორბაჩოვის დროს შემოიღეს. მიხეილ გორბაჩოვმა და მაშინდელი პოლიტბიუროს წევრმა ეგორ ლიგაჩოვმა (რომლებსაც ეტყობა, არცთუ ისე სასიამოვნო პირადი მოგონებანი აკავშირებდათ ბახუსთან) გადაწყვიტეს, ბრძოლა გამოეცხადებინათ ალკოჰოლიზმისთვის. ცკ-ისა და პოლიტბიუროს შესაბამისი განკარგულებების შემდეგ მოკლე ხანში დაიხურა შემაგრებული ღვინოების, არაყ-ლიქიორების და ლუდის ქარხნების უმეტესობა. შემოიღეს საპატიო „არამსმელის" (Трезвенник) წოდება და სამკერდე ნიშნები. სპირტიანი სასმელები მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე იყიდებოდა ასევე მკაცრად განსაზღვრულ დროს — 11 საათიდან 18 საათამდე.

რუსეთში, როგორც ამბობენ, მშრალმა კანონმა დიდი სოციალური ძვრები გამოიწვია. „ვოდკას" დანატრებულმა ხალხმა პარფიუმერიული მაღაზიებიდან გააქრო თითქმის ყველა ოდეკოლონი, აფთიაქებიდან — ვალერიანის წვეთები, თქვენ წარმოიდგინეთ, გაქრა ფეხსაცმლის კრემი. აყვავდა Самогон-ის წარმოება და არყით ფარული ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ მშრალ კანონს დღევანდელი გადასახედიდან თითქმის ყველა რუსი პოლიტიკოსი უარყოფითად აფასებს, გორბაჩოვის აზრით, მას დადებითი შედეგებიც მოჰყვა. კერძოდ, შესამჩნევად დაეცა მძიმე დანაშაულის რიცხვი და ერთი-ორად გაიზარდა შობადობა.

### ინფლაცია ქონების მართვის განყოფილების პრეროგატივა არ გახლავთ

**— 1997 წელს 4500 დოლარად შეფასებული შენობა იჯარა-გამოსყიდვის წესით ავიღე. ქონების მართვის განყოფილებასა და ჩემს შორის დადებულ ხელშეკრულებაში წერია, რომ „ქონების გასაყიდი ღირებულება 01.09.97წ. მდგომარეობით შეადგენს 4.500 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში". გამოსასყიდი თანხა უნდა დამეფარა ხუთი წლის განმავლობაში. იმ დროს დოლარის კურსი იყო 1,31 და თანხა შეადგენდა 5.895 ლარს, რომელიც დავფარე ოთხი წლის განმავლობაში. ამჟამად აღმოჩნდა, რომ შენობა არ მქონია გამოსყიდული და ინფლაციით წარმოშობილი ზარალი უნდა ავანაზღაურო. გთხოვთ განმიმარტოთ, ინფლაციის გამო მხოლოდ მე რატომ უნდა დავზარალდე?**

***მკითხველი***

— სამწუხაროდ, ვერაფრით განუგეშებთ, რადგან ქონების მართვის განყოფილებასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თქვენ მიერ იჯარა-გამოსყიდვით აღებული ქონების ღირებულება, 1997 წელს შეადგენდა 4.500 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში და აღნიშნული თანხა უნდა დაგეფარათ ხუთი წლის განმავლობაში. მომდევნო წლებში დარჩენილი გამოსყიდული ღირებულება უნდა დაგეფარათ გადახდის დღისათვის არსებული დოლარის კურსით. დოლარის კურსის ზრდა თუ შემცირება არანაირად არ არის დამოკიდებული ქონების მართვის განყოფილებაზე, ამდენად, მოგიწევთ დარჩენილი თანხის დაფარვა გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით.

### მუსიკალური მიმდინარეობა თუ სულიერი ავადმყოფობის შედეგი?

**— ვარ „ჯაზის" მოყვარული. მაინტერესებს, საფუძვლიანია თუ არა ჩემი მეგობრების ქილიკი — რომ „ჯაზი" ნორმალური ფსიქიკის ადამიანების გატაცება არ არის?**

***დავით სიხარულიძე, თბილისი***

— დაახლოებით ასი წლის წინ, ამერიკაში, ნიუ-ორლეანში შეიქმნა იმპროვიზაციული მუსიკალური სტილი, რომელმაც „ჯაზის" წარმოშობას დაუდო საფუძველი. ახალი მუსიკალური მიმდინარეობის „გამომგონებელი" იყო ლეგენდარული მესაყვირე ბადი (ჩარლზ) ბოლდენი. შესაძლოა, თქვენი მეგობრების მიდგომა ჯაზისადმი გამოწვეულია ამ პიროვნების ტრაგიკული ცხოვრებით. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბოლდენი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ხელმძღვანელობდა ჯაზ-ორკესტრს, 1906 წელს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა. მისი დიაგნოზი შეესატყვისებოდა პრაქტიკაში მხოლოდ 1911 წელს შემოღებულ ტერმინს „შიზოფრენიას". ბადი ბოლდენი ესტრადაზე აღარ დაბრუნებულა და სიცოცხლის ბოლო 25 წელი ფსიქიატრიულ კლინიკაში გაატარა. მიუხედავად ბოლდენის მძიმე ხვედრისა, ჯაზი მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულარული მუსიკალური მიმდინარეობაა და მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს. ასე რომ, თქვენი მეგობრების დამოკიდებულება ჯაზისადმი, უბრალო ახირებად შეიძლება ჩაითვალოს.

***მკითხველთა შეკითხვების მიხედვით პასუხები მოიძია რუსუდან ჟორჟოლიანმა***

## საბედისწერო აპრილი...

### საქართველოს მთავრობას სავალუტო ფონდის მოთხოვნების შესრულება მაინც მოუწევს

გასულ კვირას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი დევიდ ოუენი თბილისში ისე ჩამოვიდა და შემდეგ ისე გაუჩინარდა, რომ, შეიძლება ითქვას, ბევრს იმედებიც კი გაუცრუა. მას არც არავინ დაუტუქსავს და არც საკადრო ცვლილებები მოუთხოვია — კვარტალის ბიუჯეტი ხომ შესრულებული დახვდრეს. თუმცა კვირის ბოლოს მინისტრების სავარძლები მაინც შეაჯანჯღარეს, ზურაბ ნოღაიდელმა და ლევან ძნელაძემ კუთვნილი ადგილები ვეღარ შეინარჩუნეს. უშიშროების საბჭოს მყარი გადაწყვეტილებით ორივე მინისტრის პორტფელს მირიან გოგიაშვილი ჩაიბარებს. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი **რომან გოცირიძე** საქართველოს ეკონომიკას არცთუ სახარბიელო მომავალს უწინასწარმეტყველებს:



— დღეს ძალიან აჭრელდა მთავრობა. მუდმივი საკადრო ცვლილებების ფონზე მის შიგნით ინტერესთა შეხამება უკვე ვეღარ ხერხდება. ამიტომ ყველა ცდილობს, გვერდით რაც შეიძლება მეტი მომხრე ჰყავდეს. ამას კი ხშირად, არცთუ ცივილიზებული ხერხებით აღწევენ. ეს ძირგამომთხრელი საქმიანობა, როგორც წესი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩამოსვლისთანავე აქტიურდება. ყველა ცდილობს ფონდის დასკვნებში იმგვარად მოხვდეს, რომ სხვები ჩაძირონ, ხოლო თავად კი პოზიციები გაიმაგრონ.

მთავრობაში გენერალური ბრძოლა მაინც სავალუტო ფონდის მორიგი ჩამოსვლის დროსაა მოსალოდნელი. აპრილის გარღვეული და ძირგამომძვრალი ბიუჯეტი ბევრს ხმამაღალი განცხადებების გაკეთების საშუალებას მისცემს. მე სულაც არ ვფიქრობ, რომ სამინისტროების გამარტივება-გაერთიანება ქვეყნის ეკონომიკური მართვისთვის უმჯობესი იყოს. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს სამინისტროების რაოდენობას. მთავარია, რა ფუნქცია ექნებათ და როგორ გადანაწილდება ქვეყნის მართვაში მათი როლები. ვთვლი, რომ საგადასახადო-შემოსავლების, როგორც ცალკე სამინისტროს გამოყოფა, თავიდანვე დიდი შეცდომა იყო, მაგრამ არც ის მიმაჩნია სწორად, რომ ეს ე.წ. წმენდა დაიწყო ლევან ძნელაძით, რომელიც სხვათა შორის, მთავრობაში პატიოსანი კაცის რეპუტაციით სარგებლობს. პასუხისმგებლობა ყველაზე თანაბრად უნდა გადანაწილდეს. ასეა თუ ისე, ჩვენს ხელისუფლებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება მაინც მოუწევს...

**— ზოგს მიაჩნია და ხმამაღლაც აცხადებს, რომ დადგა დრო, ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველომაც უარი თქვას სავალუტო ფონდთან ურთიერთობაზე...**

— მოდით, საკითხი ასე დავაყენოთ: რას გამოიწვევს სავალუტო ფონდის მიერ მორიგი ტრანშის შეჩერება. ეროვნული ბანკი ავტომატურად დაკარგავს 40 მილიონ ლარს. ამას დაემატება კიდევ 140 მილიონი ლარის საინვესტიციო ხასიათის კრედიტები, რომელიც საქართველომ მსოფლიო ბანკისგან და ასევე სხვა ორგანიზაციებიდან უნდა მიიღოს. სავალუტო ფონდის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული დამატებით 70 მილიონი ლარის გრანტის მიღებაც. ამის შეჩერება კატასტროფა იქნება ქვეყნის ბიუჯეტისთვის და, რაც მთავარია, ლარის სტაბილურობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

შეთანხმებით, ხშირად საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები სასურველ შედეგს ვერ იძლევა და იქნებ მართლაც გადასინჯვას მოითხოვს მასთან ურთიერთობა. სხვათა შორის, მსოფლიოში ცნობილმა ეკონომისტებმა ფონდის საქმიანობა უკვე კარგა ხანია, რაც მიზანში ამოიღეს. ოპონენტთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, შემდეგ რუსეთის, ბრაზილიისა და უკანასკნელ ხანებში არგენტინის კრიზისის შემდეგ. ფონდის საქმიანობას უკვე საქართველოშიც ბევრი აკრიტიკებს. არადა, სავალუტო ფონდი მარტივად სვამს საკითხს: რისი გაკეთება გსურთ ჩვენი დახმარებით? მოდი, ნუ ივალდებულებ იმას, რის შესრულებასაც ვერ შეძლებ და თუ იკისრე, მაშინ კეთილი ინებე და შეასრულე კიდეც. ამ ბოლო დროს, ჩვენი მთავრობა ისეთ ეკონომიკურ ვალდებულებებს იღებს, რისი პოლიტიკური გადაწყვეტის უნარიც მას არ შესწევს.

**— იქნებ დააკონკრეტოთ?**

— სულ ახლახან საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში წარმოადგინა კანონპროექტი — „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის რეგულირების შესახებ". რამდენიმე თვის წინ იმავე პარლამენტმა საქართველოდან ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი აკრძალა, სხვათა შორის, 2003 წლის 31 დეკემბრამდე. ამ კანონის მიღებას, თავის დროზე, მთავრობა პარლამენტს დიდი სიამოვნებით დათანხმდა. უფრო მეტიც, ისინი ირწმუნებოდნენ, რომ სავალუტო ფონდთან ქვეყანას ამის გამო პრობლემები არ შეექმნებოდა. გახსოვთ, ალბათ, უნივერსიტეტის ეზოდან ილია ჭავჭავაძის ძეგლი რომ მოიპარეს და ამ ფაქტს რა მძაფრად „გამოეხმაურა" საზოგადოება. დღეს კი, როგორც იტყვიან, საქმეში ჩაერთო არა მარტო საერთაშორისო სავალუტო ფონდი, არამედ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაც, რომელიც პარტნიორი ქვეყნების მხრიდან თავისუფალი ან შეღავათიანი ვაჭრობის პირობების გაუქმებით იმუქრება, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან მოსალოდნელი დახმარებების შეწყვეტის შესახებ. ასე რომ, ვალდებულება აღებულია, მისი პოლიტიკური გადაწყვეტის, ანუ პარლამენტის დარწმუნების შანსი კი, ძალზე მცირეა. შეიძლება ითქვას, რომ იგი საერთოდ არ არსებობს.

რაც შეეხება კიდევ ერთ ვალდებულებას, რომელიც საგადასახადო შემოსავლების დამატებით 25 მილიონი ლარით გაზრდას ითვალისწინებს, ჩვენს მთავრობას არც ამჯერად უკავია სასურველი პოზიციები. ამ შემთხვევაშიც მთავრობამ პარლამენტს უნდა მიმართოს შესაბამისი კანონპროექტით და გადასახადების გაზრდა მოითხოვოს. ვფიქრობ, ჩვენი მთავრობა ასეთი კანონპროექტით ხელში მალე გამოჩნდება. არადა, ამ რამდენიმე კვირის წინ მრეწველების მიერ ორგანიზებულ თავყრილობაზე, იმავე მთავრობამ მხარი დაუჭირა რაღაც კონცეფციას, რომელიც არავის წაუკითხავს — არც პრეზიდენტს და არც მინისტრებს. მთელი საქართველოს პოლიტიკური ელიტა ტაშის გრიალით მიესალმა 24 სახის გადასახადის 4-მდე შემცირებას... მთავრობა თავს კომიკურ სიტუაციაში იგდებს. დღეს იგი, ფაქტობრივად, ჩიხშია მოქცეული. რომც შემოიტანოს კანონპროექტი, გადასახადების გაზრდას პარლამენტი მხარს არ დაუჭერს.

**— მთავრობა ხომ გადასახადების ამოღებას ადმინისტრირების გაძლიერებით გეგმავს?**

— ეს ხერხი მან უკვე მოსინჯა და სახეზე გვაქვს ბოლო ოთხი თვის 16 მილიონით გარღვეული ბიუჯეტი. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ლევან ქისტაურის ამასწინანდელი სენსაციური განცხადება, რომ მისი უწყება ვერ აკონტროლებს აეროპორტებსა და პორტებს, ხოლო რკინიგზაზე ტვირთების კონტროლის შესაძლებლობა მას მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინ მიეცა ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკურ სიტუაციას, ვფიქრობ, ეს ძალიან მარტივად და ნათლად ხსნის... დღეს საქართველოში უმსხვილეს ობიექტებს მხოლოდ კლანები აკონტროლებენ. იქ, სადაც სახელმწიფოს თავისი მყარი 100%-იანი წილი აქვს, ესეც პირობითია, მას ისევ კლანები მართავენ. ქონების მართვის მინისტრის, სულიკო პავლიაშვილის მცდელობა, რომ სახელმწიფოს დაბრუნებოდა თავისი კუთვნილი ქონება, იმით დასრულდა, რომ საწარმოების დირექტორები თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეები ისევ დარგობრივ სამინისტროებს „ექვემდებარებიან". ასე რომ, ჯერჯერობით, სახელმწიფო წილის მართვის არაკორუმპირებული სისტემა არ ჩამოყალიბებულა. დღეს სიტუაცია ამგვარია — ვინც კლანების მიერ უკვე კარგად შემოსაზღვრულ ტერიტორიას გაეკარება, როგორც წესი, მისი კომპრომეტირება იწყება. რუსეთის „КГБ" კომპრომატების შექმნის ათასგვარ მექანიზმს ფლობდა — ზოგს ფინანსურ დანაშაულში ამხელდა, ზოგსაც ლამაზ ქალს შეუგზავნიდა... ნელ-ნელა ეს სისტემა საქართველოშიც იკიდებს ფეხს. ამ შემთხვევაში ძნელია გაარჩიოთ, ვინ ამბობს ტყუილს და ვინ მართალს და ამის მოწმე ჩვენ არაერთხელ გავმხდარვართ. შედეგი სახეზეა: საქართველოს ეკონომიკა ნელ-ნელა კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება!

***ლელა წითლანაძე***


**ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები**

გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)

☎ 23 26 25; 38 34 17

„პლასტროსის" ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37 (საღამოს); 899-51-51-09; 899-902-091


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 4 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2050 |
| ევრო | 1,9929 |
| ინგლ. ფუნტი | 3,2215 |
| რუსული რუბლი | 0,0706 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,6249 |



## თარაზულად:

5

ქრისტეს რჩეული მოწაფეები

6

იგივეა, რაც ხანჯალი

9

აღდგომის დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტი

10

ქრისტიანული სარწმუნოების მთავარი დოგმატი

11

რისამე რთული და მნიშვნელოვანი ისტორია, დიდი მნიშვნელობის ამბები

15

მდგომარეობით (წარმოშობით, თანამდებობით) უპირატესობის მქონენი

17

სპა, ლაშქარი...

18

ხალხური საგმირო სიმღერები, პოემები, თქმულებები

19

საქართველოს მთავარი არტერია

20

ხელოვნების სანიმუშო ქმნილება

24


დროის დიდი მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება ღირსშესანიშნავი მოვლენებით

25

ჯამის ფორმის ღვინის სასმისი

26


რელიგიის მიმდევარი

29

ქართული შუასაუკუნეობრივი კულტურის ცენტრი

32

მდინარეები: მთიულეთის (თეთრი), გუდამაყრის (შავი), ხევსურეთის და ფშავის (საერთო სახელწოდება)

33

მეორე სახარების ავტორი

34

წარმოშობით ქართველი, ერისკაცობაში ანდრია, რუმინეთის საეკლ. და პოლიტ. მოღვაწე განმანათლებელი, მესტამბე, მწერალი, მხატვარი, ვლახეთის მიტროპოლიტი, ანთიმოზ ...

35

ციური არსება, შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის

## შვეულად:

1

წყლის ნაკადი

2

სხვადასხვაგვარად მომზადებული მოხარშული ბრინჯი

3
სახეზე წასასმელი სქელი მასა

4

ზევსის მიერ მოტაცებული ფინიკიელი მეფის ქალიშვილი

5
პოსტსკრიპტუმი თავისი არსით

7

რაიმეს გაცნობის, შესწავლის სურვილი — ცნობისმოყვარეობა

8

სპეციალური ჩხირების დაწვით მიღებული სასიამოვნო სუნი

12

პატარა ფერადი სურათი

13

ვულკანური ქანი — მუქი ფერის მინა, რომლის ანატკეცებიდანაც ისრის პირებს, საფხეკებსა და სხვა იარაღს ამზადებდნენ

14

ორად მოსაკეცი ხატი

16

საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს

21

რაიმე მოვლენის, ამბის ან პიროვნების განდიდება

22
მოძღვრება რიტმის შესახებ

23

ღმერთის შემავედრებელი

27

დედამიწის თანამგზავრი

28
სასწაულმოქმედი თასი ქრისტეს სისხლით

30

ტკბილი, ბლანტი ნივთიერება, რომელიც ფიგურირებს ცვილისგან გაკეთებული სანთლის სახელწოდებაში

31

დედამიწის დამცავი ფენა ატმოსფეროში

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №17 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. შოკოლადი; 6. კონსერვი; 9. ამფიბია; 10. ბაროკო; 11. ამპერი; 15. ბუტონიერი; 17. წნევა; 18. შუბლი; 19. ატლანტი; 20. ზღაპარი; 24. მაფია; 25. აკვრა; 26. სტანდარტი; 29. ენგური; 32. ალერსი; 33. კაფსულა; 34. აქილევსი; 35. სტარტერი.

**შვეულად:** 1. მონაკო; 2. ედემი; 3. შოშია; 4. ჭერამი; 5. შალაშინი; 7. იბერიული; 8. სიმინდი; 12. ჰუმანისტი; 13. პრეპარატი; 14. ავსტრია; 16. კუბრიკი; 21. ხამანწკა; 22. მედრესე; 23. კრეისერი; 27. არტელი; 28. ფლეიტა; 30. ვალსი; 31. კლიტე.

## მილოცვა

**ირმა ღვინჯილიას!**

*ო, რომ იცოდე, რამდენ სიზმრად დამით მოსულხარ*
*და მთელი არსით შემიგრძნია შენ გვერდით ყოფნა.*
*სულის სიღრმემდე შევისუნთქავ, ახლოს რომ იყო,*
*არ გავრძნობინებ სიმარტოვეს, არც ობლად ყოფნას.*
*თვალცრემლიანი ხშირად უფალს ვევედრებ გულით.*
*არ გაშორდეს, არ დაგტოვოს ერთი წამითაც.*
*ბედნიერებას თუ ვინატრებ, მხოლოდ შენ გვერდით,*
*რადგან ეულად არც სიცოცხლე ქვეყნად არ მინდა.*
*მუსიკის ჰანგში ჩაძირული შენთან ვნავარდობ,*
*შენს სულის კედლებს ვეტმასნები გზაარეული.*
*და თუ ოდესმე შემოგიხედე, ლანდად, აჩრდილად,*
*ეს მე ვარ, შენზე უსასრულოდ მონატრებული...*

ირმა, გილოცავ დაბადების დღეს და გეხუტები შორეული ლოს-ანჟელესიდან.

*შენი ტყუპისცალი ხატია*

**ძვირფასო ჯაოშვილებო!**

სულითა და გულით გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას და გიორგობის დღესასწაულს.

მადლობას ვწირავ ყველას, ჩემი ოჯახის მძიმე დღეებში (მამაჩემის – ანზორ ანდროს ძე ჯაოშვილის გარდაცვალების გამო) თანაგრძნობისა და თანადგომისათვის.

აქვე მოგახსენებთ, რომ ფილმინარკვევი „ჯაოშვილების გვარზე" დასასრულს უახლოვდება და მის ჩვენებას მაისის ბოლოს ვგეგმავ, ქ. თბილისში. კონკრეტულ თარიღს და ადგილს მოგვიანებით, ამავე გაზეთით შეიტყობთ.

*პატივისცემით, ტელერეჟისორი ირაკლი ჯაოშვილი*

## ბინები

3-ოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა (ს/ფ 120 კვმ), ბელეტაჟზე, გამსახურდიას გამზირზე, ავტოფარეხით; შესასვლელი – როგორც ეზოდან, ასევე გამზირიდან, ბინას ახლავს 50 კვმ ფართის საკონდიტრო-საცხობი (ყველა საჭირო დანადგარით), მაღაზიასთან ერთად. 38-89-71; 877 72-39-06

გამსახურდიას გამზირზე, 120 კვმ ფართის ბინა, ავტოფარეხით, კარგი რემონტით. გამოდგება როგორც საოფისედ, ასევე კომერციული საქმიანობისთვის. ბინის ქვეშ არის საკონდიტრო, ყველა საჭირო დანადგარით, რემონტით, ბ/აირით, მაღაზიასთან ერთად. ტელ: 38-89-71; 877 72-39-06

პრივატიზებული, 120 კვმ ფართი (ყოფ. ხილ-ბოსტნეულის მაღაზია), 9-სართულიანი კორპუსის I სართულზე, დამოუკიდებელი შესასვლელებით და 40 კვმ სარდაფით. გამოდგება კომერციული საქმიანობისათვის, საოფისედ, საცხოვრებლად. მის: გორგასლის №111ა. ტელ: 877 41-18-35. ზაზა

იყიდება ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

1-ოთახიანი ბინა, კინო „საქართველოსთან", პირველადი საჭიროების ავეჯით. ფასი $50. ტელ: 32-23-70

ოთახნახევრიანი, გარემონტებული ბინა, მაღალ ბელეტაჟზე, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, ყველანაირი ავეჯით, ტელეფონით, ცხელი წყლით, ბ/აირით, გისოსებით. ფასი $130. ტელ: 23-23-77

## გთავაზობთ სამუშაოს

საოფისე ავეჯის კომპანია აცხადებს კონკურსს, გაყიდვების მენეჯერის პოზიციებზე. რეზიუმეები (CV) მიიღება: ვაჟა-ფშაველას №45, „სოფმშენის შენობა", მე-15 სართ. ფირმა „მოდულორი". ტელ: 32-98-59; 899 90-63-20

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

## მომსახურება

„ცხრაკლიტული": საკეტების დამატება, გამოცვლა, გარემონტება; რკინის კარის სპეცგამაგრება; კარზე ტყავის გადაკვრა, დათბუნება; ხის კარის რკინებით გამაგრება, შიდა ხის კარების გასწორება-წესრიგში მოყვანა. ტელ: 53-34-69; 36-42-16; 899 56-39-69

სახლის სახურავები, მანსარდები, მოწყობა და გადახურვა თუნუქით, კრამიტით, შიფერით იაფად, გარანტიით, საჭირო მასალების ჩათვლით. ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

გეპატიჟებათ ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"!. საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; დეკორატიული მეღირება – 15-20 ლარი. აგრეთვე, არსებობს კოსმეტიკისა და პარიკმახერის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: ალმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

## მკურნალობა

ფუნქციონალური დიაგნოსტიკის ლიცენზირებულ კაბინეტში ექიმი – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ავსტრიელი რიჰარდ ფოლის მეთოდით (იგივე ჩინური) აწარმოებს გამოკვლევას. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №41 (ფოსტის შენობაში). ჩაწერა: 877 40-33-67; 43-44-45 (დღისით); 43-43-43; 33-33-87 (საღამოს)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

შარდსადინარი გზებისა და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები და უშვილობის კორექცია: გიმკურნალებთ სრული გარანტიით და წლობით ნანატრ ოცნებას რეალობად გიქცევთ! ტელ: 893 335-301 (აბაშა, ც/საავადმყოფო, ფიტოკაბინეტი). წინასწარი ჩაწერა და ჩატარებული გამოკვლევის მასალების წარმოდგენა აუცილებელია.

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

კანზე, ლორწოვანზე და სასქესო ორგანოებზე, მეჭეჭების, პაპილომების, ხალების, ლაქების, კონდილომების, ნაწიბურების, სვირინგების მოცილება; კოსმეტიკური დეფექტების შესწორება, ეროზიის, ლეიკოპლაკიის, კონდილომების მკურნალობა $CO_2$ ლაზერით, მხოლოდ ერთი სეანსით, მაღალი კოსმეტიკური ეფექტით! მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ეველინა ლოლაძე.* მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ეველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

პროსტატიტის, უროგენიტალური ინფექციების (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი და სხვა), უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. *პროფესორი რევაზ ხალაყაია.* მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა 1. მიღება შაბათს 12-16 სთ, სხვა დღეებში – წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, სასქესო ორგანოებზე, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. ტელ: 95-83-54 (სამს); 39-00-70; 39-25-57 (ბინა); 899 56-96-61

ვმკურნალობ გარანტიით: ბავშვებსა და მოზრდილებში თმის ბუდობრივ ცვენას, ბრონქიტს, ბრონქიალურ ასთმას, დიაბეტს და დიაბეტით გამოწვეულ სახსრების ტკივილს. მის: ალმაშენებლის №115. კაბ. №14. მიღება სამშაბათი, შაბათი, 11-17 სთ.

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

ექიმი, მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთში და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით მკურნალობს დაავადებებს: მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუს ხვევა, ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა. მის: აღმაშენებლის №60. ტელ: 75-06-14; 877 44-01-08

ვმკურნალობ უშვილო ქალებს, 10-დღიანი მკურნალობის კურსით (მცენარეული დასალევი საშუალება). ორსულობა მეთერთმეტე დღეს გარანტირებულია. მის: ალმაშენებლის №115. კაბ. №14. მიღება სამშაბათი, შაბათი, 11-17 სთ.

როგორც ჩვილი ბავშვებისთვის, ასევე მოზრდილებისთვის – ვისაც ესაჭიროება სამკურნალო აბაზანები, სხვადასხვა დაავადებისათვის და სურთ, იმკურნალონ ოჯახის პირობებში, გვაქვს სასწაულმოქმედი სამკურნალო საშუალება, მხოლოდ ხალხური მედიცინით. მის: ალმაშენებლის №115. კაბ. №14. მიღება სამშაბათი, შაბათი, 11-17 სთ.

ლომთათიძესთან მოწვეული მაღალკვალიფიციური ექიმები მკურნალობენ: მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს; ხერხემლის გამრუდებას, რადიკულიტს, თავბრუს ხვევას, ნერვის ანთებას, თმის ცვენას, სებორეას, ფსორიაზს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, წითელ ქარს, ფრჩხილების ჩაზრდას, ტროფიკულ წყლულს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს; მეჭეჭების მოშორება; თამბაქოს გადასაჩვევი საშუალებები. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. ხდება სწრაფი დიაგნოსტიკა. მის: ალმაშენებლის 113, კაბ. 17. ლომთათიძე. ტელ: 39-01-42; 899 51-76-08. ირა

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## განათლება

ყურადღება!!! კომპიუტერული კურსები გლდანში მცხოვრებთათვის. შეისწავლება: ვინდოუსი, ვორდი, ექსელი, ინტერნეტი, სწრაფი ბეჭდვა. გაიცემა სერტიფიკატი. საჭირო ლიტერატურას მიიღებთ უფასოდ. მეცადინეობა ტარდება ინდივიდუალურად, გლდანის მე-4 მ/რ-ში. ფასი მინიმალურია. ტელ: 590-590; 899 10-74-10

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. მობრძანდით, ისწავლეთ, აიღეთ მართვის მოწმობა. ნუ გადაიხდით ზედმეტს, ვიმედოვნებთ, უკმაყოფილო არ დარჩებით. მის: ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. №28. ტელ: 99-53-24; 22-21-83; 39-74-53

კომპიუტერული სტუდია „დაჯი კომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. 1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, სააღდგომო ფასდაკლებით: სახის კანის მკურნალობა, მასაჟი, ეპილაცია, გაწმენდა, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. ვინც ჩაეწერება აღდგომამდე, სწავლის გადასახადი შეუმცირდება 40%-ით. „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", დადიანის ქ. №26. ტ: 66-53-56; 893 33-09-66

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსო" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №ა115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

## იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## სხვადასხვა

გადაწყვიტეთ დაოჯახდეთ, მაგრამ სასურველი პარტნიორი ჯერ არ შეგხვედრიათ? მობრძანდით გაცნობისა და დაოჯახების კლუბში. ჩვენთან ორასამდე დაოჯახების მსურველია რეგისტრაციაზე აყვანილი. ანონიმურობა გარანტირებულია. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ, ოთახი №210. (შესასვლელი ჭოველიძის №2-დან). ტელ: 93-49-72

## ხსოვნა

**ბესიკ აფციაურის მონატრება**



*კვალომ და კვალომ,*
*და იმით ვხარომ,*
*რომ მე ქვეყანას*
*გალობით ვატკბობ...*

ეს სიტყვები ზედგამოჭრილი იყო შენზე, ჩვენო განუმეორებელო, ძვირფასო ბესო... მაგრამ სიმღერა არ გაპატიეს, ვაჟკაცობა არ გაპატიეს... 6 მაისს, გიორგობას, უკანასკნელმა ნაძირალამ შეწყვიტა შენი ლამაზი სიცოცხლე.

როგორ გვენატრები... მოგვენატრა შენი გულიანი სიცილი, ხალასი იუმორი, ლაღი სიმღერა! 21 წლის წახვედი ჩვენგან და იმდენი მოასწარი, კაცური სახელი და უსაზღვრო სიყვარული ჩაგვეტოვებინა ყველას გულში.

დაე, წმინდა გიორგობამ სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, შენზე მოგონებებით გავატაროთ დარჩენილი სიცოცხლე...

*შენი დეიდაშვილი გაკა ხოკერაშვილი*

**თემურ გიოშვილის მონატრება**



...უშენოდ მიდის ცხოვრება. 7 მაისს შენი დაბადების დღეა. ძალიან განვიცდით, ჩვენ გარშემო რომ არ ტრიალებ.

შენს ოჯახს ახალი წევრი შეემატა, პატარა გიგა...

როგორ გაიხარებდი ცოცხალი რომ ყოფილიყავი.

გვენატრები ყველას.

*გულიკო და ნინო ასკილაშვილები*

**ზურიკო (წიწილო) ედიკას ძე ქიქიბოშვილის გახსენება**



სააღდგომო დღესასწაულებმა პირველად უნდა ჩაიაროს უშენოდ, ჩვენო საყვარელო და მონატრებულო შვილო. თვალზე ცრემლი არ უშრება შენს დედას, რომლისთვისაც ნუგეშის და იმედის მიცემა შეუძლებელია. შენი ნუნუ ბიცოლა მწარედ დასტირის დღემდე უშენობას. ქარივით ჩაიქროლა რამდენიმე თვემ, მაგრამ უშენობას ვერ შეცვლის დრო. როგორ საოცრად გიყვარდა სიცოცხლე, რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა გულში. რა ბედნიერი იყავი, როცა შეჯიბრიდან გამარჯვებული ბრუნდებოდი, მაგრამ წელს იმ იმედით ვართ, რომ შეჯიბრზე ვიღაც მაინც დაიძახებს: „წიწილო, გაბრაზდი და მოიგებ". მხოლოდ 16 წელი გაიმეტა შენთვის განგებამ, მე-17 დაბადების დღე არ დაგაცალა ლოთმა არაკაცმა. რამდენი სიყვარულის და სიკეთის დათესვა მოასწარი.

ნათელი დასდგომოდეს შენს სამუდამო სასუფეველს, ჩვენო ზურა.

*შენი ნუნუ ბიცოლა, ნოდარი ძია, გიორგი, ირაკლი და ვურანდა*

**გუჯა ქოიავას ხსოვნას!**



ეს პირველი გაზაფხულია, გუჯა, უშენოდ. როგორ გიყვარდა მაისის თვე (მაისში გავიცანით ერთმანეთი). 9 მაისს დაიბადე, 9 მაისს მეორე ვაჟი შეგეძინა და სულ გაიძახოდი, – გამარჯვებული კაცი ვარ, მაისის თვეში შევუღლდი და მაისის თვეში ხელმეორედ დავიბადეო. მაგრამ აღარ ვიცი, რა დავარქვა მაისს. 19 მაისს გავიცანი და 14 წლის შემდეგ, 19 მაისს სამუდამოდ მარადიულ სასუფეველში წახვედი. დამიტოვე შენი სამი ვაჟკაცი, რომლებიც ცდილობენ, რომ ეს მძიმე დღეები გადაიტანონ. როგორ გეტკივა გული, როგორ ელოდებოდი და გინდოდა, ის ბოლო დაბადების დღე შენთვის რომ მოელოცათ. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები, გვიყვარხარ. რამდენი რამ მოდის ამ მაისის თვეში უშენოდ – აღდგომა, გიორგობა, შენი დაბადების დღე და გარდაცვალების დღე. შენს სამ ვაჟკაცს ძალიან ენატრები.

ამ სევდიან დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო გუჯა, რომელიც შენ ასე ძალიან გიყვარდა, ჩვენო ჭირისა და ლხინის გამზიარებელო.

ნათელში იყოს შენი სული, ილოცე ჩვენთვის – შენი ცოლ-შვილისა და ყველა ახლობლისათვის.

*მეუღლე ლია ქოიავა*



## სიმონ შარვაძის მონატრება



სიტყვები უძლურია შენს სიყვარულსა და სითბოზე სასაუბროდ. შენ ყველას უსაზღვროდ უყვარდი, სიცოცხლე გიყვარდა და შენ ირგვლივ სიყვარულს აფრქვევდი. დღემდე ვერ გაგვირკვევია, რატომ გერგო ასეთი მძიმე ხვედრი, შენ ხომ ძლიერი იყავი... შენ მიერ დატოვებული სიყვარული არასოდეს განელდება. შენი შვილები გააგრძელებენ შენს ოჯახს, მამის სახელს მუდამ სათუთად შეინახავენ.

მეორედ მოვიდა გაზაფხული, მეორედ ვეგებებით დიდ ქრისტიანულ დღესასწაულს უშენოდ. ჩვენი ლოცვა და სანთლები გაგინათებენ გზას ცათა სასუფეველში.

*შენი საყვარელი ოჯახი*

## შალვა ლომიძის ხსოვნას!



საოცრად გულისხმიერი, ყურადღებიანი იყავი ყველგან და ყველას მიმართ, მომთხოვნი და სამართლიანი. თუკი რამ არ მოგეწონებოდა — დაარიგებდი, ასწავლიდი, ურჩევდი; ამიტომ დარჩი დიდი ადამიანის, დიდი კაცის სახელით, ჩვენს მოგონებებში მოურჩენელი ტკივილით.

ძმობა, რომელიც ჩვენ შორის წმინდა სანთელივით ენთო, ასევე დარჩება ჩვენი შვილებისათვის — წმინდა ნათებით მათი ცხოვრების გზაზე, პატივსაცემად და სამაგალითოდ, რაშიც დიდი ღვაწლი შენ მიგიძღვის.

საფლავის ქვაზეც შენივე ლექსით სიყვარული და ურთიერთპატივისცემა დაგვიტოვე ანდერძად. მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის, ძმაო.

*ომარი*

## ვანო ხატიაშვილის მონატრება



*მინდა მოგეფერო, გულში ჩაგიხუტო,*
*თმები დაგიკოცნო, ჭაღარაშერეული,*
*როგორ მოგეფერო — რით მოგიახლოვდე,*
*გზები გაქვს გავლილი, მეტად შორეული.*
*შენ ასე ლამაზი, ასე ახოვანი,*
*სიზმრებში მოდიხარ, მხოლოდ მაშინ ჩნდები,*
*არ კმარა ნუგეშად, ასე გამოჩენა,*
*რა სამწუხაროა, წარსულში რომ რჩები.*
*5 თვე გავიდა, რაც ჩვენთან არა ხარ,*
*გაკლდება დღეები, შენ, ჩვენთან ყოფნისა.*
*რა მოხდა, შენც იყო შენს ტოლ-სწორებში,*
*იღბალმა გიმტყუნა, შენ, ჩემო, ბედისამ.*

*ოჯახი*

## ტარიელ (ნოგორი) ჯალაღონიას მოგონება



წელს პირველი 6 მაისია, რომელსაც უშენოდ უნდა შევხვდეთ, ჩემო საყვარელო და მოუშუშებელო ტკივილო.

6 მაისი მწარე მოგონებად გადაექცა შენს ოჯახს, შენს ახლობლებს და ყველანი ცრემლებით სავსე თვალებით, შორიდან გილოცავთ დაბადების დღეს.

შენმა ტრაგიკულმა სიკვდილმა დამატეხა თავს მძიმე სატანჯველი. სამუდამოდ დაგიდუმდა სიყვარულით სავსე გული. შენს ორ ვაჟკაცს სწორედ ახლა სჭირდებოდა შენნაირი მზრუნველი და მოამაგე მამა. შენ გაიხურე ჩვენი ოჯახის კარი და იქ დაესვა წერტილი ჩემს სიყვარულს და ბედნიერებას. ახლა ჩემს სიცოცხლეს მხოლოდ არსებობა ჰქვია. უნდა ვიარსებო იმისთვის, რომ ჩვენი ოჯახის ფუძე არ მოვშალო. ჩვენს ოჯახს მარტო შენ აკლიხარ, ჩემს გულს კი — ის სითბო და სიყვარული, რომელსაც ყოველდღე ვღებულობდი შენგან. უზომოდ მენატრები, უზომოდ მაკლიხარ. ყოველ წუთს ვლოცულობ შენზე. ღმერთს შევთხოვ, ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი მეუღლე ლია*

## თენგიზ გიორგის ძე წიკლაურის გახსენება



ულმობელი და თავზარდამცემი გამოდგა 1998 წლის 23 ოქტომბრის დღე შენი ოჯახისა და ახლობლებისათვის. შენმა ლამაზმა სულმა და კეთილმა გულმა მარადისობაში გადაინაცვლა. სხვისი ტკივილი შენი ტკივილი იყო, საკუთარი კი ვერ დაიამე და ვერც ჩვენ გიხსენით აუტანელი ტანჯვისაგან.

მრავალი ოცნება დაგრჩა აუხდენელი შენს შვილებთან დაკავშირებით, რომელთა არსებობით და ცხოვრებით ასე ძლიერ ამაყობდი. მაგრამ 48 წლის ასაკში ჩაგიტყდა ალმასკლის საფეხური. ნაადრევად დატოვე წუთისოფელი, ჩვენ კი დაგვიტოვე ერთი ლამაზი ისტორია სპეტაკი კაცისა, რომელიც ყველას უყვარდა.

უფალს შევავედრებთ შენს მართალ და უღალატო სულს, ჩვენო თენგიზ!

*შენი ოჯახი*

## სულიკო ჩქარეულის გახსენება



ვკითხულობთ მოსაგონარ განცხადებებს... შვილმკვდარი დედები შვილებს იხსენებენ, შვილები — მშობლებს, დები — ძმებს... შენ კი არავინ გეტყვის, — „ჩემო საყვარელო შვილო!“, არავინ გეტყვის, — „ჩემო ძვირფასო ძამიკო“, არც არავის ძამიკო ხარ. ერთი იყავი, შენი მშობლები შენს დარდს გადაჰყვნენ, შენი სახლი კი, გაიყიდა.

ჩვენო საყვარელო, გოლიათო დეიდაშვილო, 9 მაისი შენი დაბადების და შენი გარდაცვალების დღეა. მეტად მტკივნეულია ეს დღე ჩვენთვის. ძნელია უშენობა, ვერ გაგვინელდა შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, თუმცა, 30 წელი გავიდა.

გვაკლიხარ, გვახსოვხარ, ძალიან გვენატრები. შენი წმინდა სული იყოს ყველა შენი მომგონებლის მფარველი.

*შენი დეიდაშვილები*

## დიმიტრი უზნაძის ხსოვნას!



10 მაისს 80 წელი შეგისრულდებოდა, რომელსაც ყველანი დიდი სიხარულით ველოდით, მაგრამ შენ გულმა გიმტყუნა. ნაწამები და დაღლილი წახვედი ზეციურ მარადისობაში. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო გულისტკივილი, მწუხარება, მწარე ცრემლი...

გილოცავთ დაბადების დღეს, ცრემლიანი სიყვარულით დაგინთებთ სანთელს და ვლოცულობთ შენი წმინდა სულისათვის. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. ღმერთმა სამარადისოდ ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

## ზურა (ყურა) თაბაგარს!



ჩემო საყვარელო ზურა, უკვე მეორედ ვხვდებით აღდგომის დღესასწაულს შენს საფლავზე, სადაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. ვერაფრით ვეგუებით უშენობას, ჩემო სიცოცხლევ. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, მწუხარება უფრო მატულობს, ღრმავდება.

ზურა, შენი სიძლიერე მომაკლდა, უშენოდ ვუმკლავდები ამ არეულ წუთისოფელს, შენს ანგელოზებთან ერთად. დიდი ტკივილი დაუტოვა შენმა ბედისწერამ შენს შვილებს. უძლურია სიტყვები შენს მონატრებაზე, გაუსაძლისი, მარადიული სევდა დამიტოვე, უზომოდ მიყვარხარ და მენატრები.

ღმერთს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და ვევედრები, ლამით მაინც დამესიზმრო, რომ მოგეფერო.

*დიდი სიყვარულით, მეუღლე და შვილები*

## სოფიკო ცირეკიძის მონატრება



დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სოფო, ცრემლით და დიდი მონატრებით.

18 წლის გახდებოდი 8 მაისს. შენ მაგივრად, შენი სურათიდან გვიცქერის სიცოცხლით ანთებული თვალებითა და სიკეთის მფრქვეველი ღვთიური ღიმილით, შენი აჩრდილი. რა გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, ვის შეუძლია ანუგეშოს დედაშენი?!

გვენატრები, გვენატრები.

*მარიკა, კუკური, გოჩა, სალომე, ნინო*

## ჩვენო საყვარელო ალმასი!



5 წელი შესრულდება 3 მაისს, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ და ამ ხნის მანძილზე, უფრო მწარედ ვიგრძენით უშენობა.

ძალიან გვენატრება შენი ღიმილი, ხალასი იუმორი და კეთილი გული. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ იმ ტკივილს, იმ სიცარიელეს, რაც შენი წასვლით დაუტოვე ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, ვერაფერი შეავსებს.

გვჯერა, რომ შენი სპეტაკი სული ზეციურ სასუფეველში დამკვიდრდა.

*შენი ოჯახი, დები და დისშვილები*

## მამუკა გადახაბაძის ხსოვნას!



ჩვენო საყვარელო მამუკა! საზღვარი არა აქვს უშენოდ გამოწვეულ ტკივილს. ჩვენ ყველას გვაკლია შენი ულამაზესი ღიმილი, შენი მოსიყვარულე თბილი გული.

ნათელში იყოს შენი ისედაც ნათელი, სპეტაკი სული.

გვახსოვხარ, გვიყვარხარ!

*დეიდა ეთერი, დეიდაშვილები ნათელა, ირინა, მარინა*

## თამარ ნიკოლეიშვილის ხსოვნას



40 დღე გავიდა უშენოდ. დაცარიელდა ჩემთვის ყველაფერი, შინაარსი დაკარგა ცხოვრებამ. ჩვენო ჭკვიანო და საყვარელო თამარ, გვაცოცხლებს ის, რომ შენი კეთილი სული ჩვენთან არის მუდამ — დღე და ღამე, ძილში და ცხადში.

*მეუღლე ანდრო თევზაძე*

## ეკა ტყეშელაშვილის მონატრება



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს მეოთხედ ვხვდებით შენს საფლავთან. 24 წლისამ თან უამრავი იმედი და სიყვარული წაიყოლე. ექვსმა საბედისწერო საათმა გადაწონა შენი ბედის სასწორი. მას აქეთ დღე არ გავა, ტკივილით არ გაგიხსენოთ, არ მოგინატროთ, ფიქრით ხომ სულ შენთან ვართ. შენს სახელზე დანთებულ სანთლებს ვეფერებით, შენს ნაქარგებს ვესათუთებით... შენმა საფიცარმა ძმამ, მერაბმა თავის გოგონას შენი სახელი დაარქვა — ეკა. პატარა ეკუნა სურათებით გიცნობს და გეძახის. შენს საფლავთანაც მოგვყავს, მისი ბედნიერი კისკისი თითქოს შენს სიცოცხლეს აგრძელებს. ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო საყვარელო ეკა!..

*შენი მშობლები — ლენა და ალეკო ტყეშელაშვილები*

## ინეზა ბესარიონის ასული მურღულია-შამათავას ხსოვნას!





ტკივილიანი ცრემლით მოსაგონარო, საყვარელო დედა! პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. შენ ხომ 4 მაისს შეასრულებდი მხოლოდ 56-ს. არ დაგინდოთ ულმობელმა სენმა არც შენ, არც შენი გაზრდილი შვილიშვილი — 5 წლის ირაკლი და არც შენი ახალგაზრდა სიძე — რუბენ აფაქიძე.

გაუსაძლისია თქვენზე უზომოდ შეყვარებული მეუღლისა და ოთხი ქალიშვილისათვის ერთ წელიწადში სამი გამორჩეული ადამიანის იმქვეყნიურში გადასახლება. გვასულდგმულებს თქვენი გარდაცვალების გარემოება: უფლის ნებით, სამივენი შეხვდით სიკვდილს, რაც ალბათ მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრია.

დე, ნათელში იყოს თქვენი სულები, რისთვისაც დღენიადაგ ილოცავს თქვენი მოძღვარი და თქვენი შვილები.

*ნანა*

## იროდი გვაზავას ხსოვნას!



როგორ გიყვარდა სიცოცხლე, როგორ ითხოვდნენ შენი თვალები შველას. ჩვენ კი, გულდათუთქულები ვტრიალებდით შენ ირგვლივ, ყველაფერს ვაკეთებდით და არაფერი გამოგვდიოდა შენი სიცოცხლის გადასარჩენად. უძლურები გამოვდექით, ჩვენო კეთილო, ჩვენო საყვარელო მამა!

შენ ამქვეყნად კაცური კაცის სახელით იცხოვრე, ამიტომ, გვჯერა — აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, უფლის წინაშე ანგელოზები წარადგენენ შენს სპეტაკ სულს და შენი უხვად გაცემული სიკეთისათვის ცათა სასუფეველში დაიმკვიდრებ ბინას.

ჩვენ კი მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის.

*შენი შვილები თემური, როზა, კახა*

## რამინ კახოშვილის მონატრება



რამინ, ძმაო! ტკივილიანი გაზაფხული მოგვივიდა უშენოდ. ძალიან გაგვიჭირდა უშენობა, გვაკლიხარ და გვენატრები ყველას, განსაკუთრებით შენს გულჩათხრობილ დეიდას.

*„იჩქარე წასვლა, თან გაიყოლე*
*სული უკვდავი, სული ღვთიური.*
*იჩქარე, რათა მალე გრგებოდა*
*დედასთან თბილი სასუფეველი“.*

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და მსუბუქი იყოს შენი კუთხის — თიანეთის მიწა.

*დეიდაშვილები პავლე, დოდო, ლეილა*

## გელა ბასიაშვილის გახსენება



ორი წელი გავიდა გელა, უშენოდ... უშენობას ვერავინ ცვლის. არ არის წუთი, არ გვახსოვდე. გვიყვარხარ... გვენატრები...

შენი სეხნია პაწია დისწული ავსებს სიცოცხლეს. შენი ლოცვა შეეწევა შენს ოჯახს, ღმერთმა შეგიფაროს თავისი კალთის ქვეშ...

*დედა და დები*

## კობა მამიას ძე აბაშიძის მონატრება



8 წელია, რაც შენს დაბადების დღეს, 2 მაისს, ვეგებებით უშენოდ. ძალიან გვაკლიხარ, განსაკუთრებით, დედაშენს, რომელსაც თვალზე ცრემლი არ უშრება და შენს ორ ვაჟკაცს, შენი კაცური სახელი გზას რომ უკვალავს. რამხელა იმედი იყავი ყველასთვის, რამხელა ტკივილი ხარ ახლა...

უსაზღვროდ გვენატრები და თავს იმით ვინუგეშებთ, რომ იმქვეყნად ბედნიერი იქნები. გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო კობა. ღმერთმა გაანათლოს შენი კეთილი სული.

*ლეილა და მერაბ წამალაშვილები*

## გენო ჯორჯაძის მონატრება



ჩემო საყვარელო დედა, 40 დღე მიილია შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. 27 მარტს, გათენებისას შეწყდა შენი მაჯისცემა, რასაც მარტო შევხვდი. ვთქვი, რომ ჩემთვის დამთავრდა ამქვეყნიური ბედნიერება.

შენ ხომ კარგად იცი, რომ მთელი ჩემი არსებით ვებრძოდი ულმობელ სიკვდილს. მინდოდა, კიდევ ერთი დღით თუ წუთით გამეხანგრძლივებინა შენი სიცოცხლე, მაგრამ ულმობელი სიკვდილი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა.

განა სრული ჭეშმარიტება არ ჩააქსოვა ტრაგიკმა კლასიკოსმა გამონათქვამში — „დიდებული რამა ხარ, სიკვდილო, ყველას ერთნაირად ერევი, ხელმწიფესაც და მონასაც. ერთს ვერ ერევი ამ ქვეყანაზე, — ეს არის სახელი“.

სწორედ ძვირფასი სახელი დატოვე შენ ამ ქვეყანაზე. შენი საყვარელი ვაჟიშვილის, აბესალომის გარდაცვალების შემდეგ, მუდამ სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდი.

შენს ცივ სამარეს არ აკლია სიყვარულის ცრემლები. შენ ჩემთან იქნები ყოველთვის. მეამაყება შენი შვილობა.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო სანატრელო და უსაყვარლესო დედა.

*შენი ერთადერთი შვილი ცისანა ვაჩეიშვილი*

## ვახო გოჯიაშვილის ხსოვნას!



ჩემო საყვარელო შვილო ვახო, უდროოდ დაასრულე შენი ხალისიანი, სიყვარულით სავსე სიცოცხლე. წახვედი და დაგვიტოვე დიდი მწუხარება, ტკივილი, რომელსაც ვერასოდეს მოვიშუშებთ.

ისევ მოვიდა ლამაზი გაზაფხული, უშენოდ ვხვდებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. რაც დრო გადის, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. დაე, მშვიდად იყოს შენი სული და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სასუფეველი.

*თვალცრემლიანი დედ-მამა, კახა, შორენა, მეუღლე რუსიკო, შვილი ანდრო*

## სოსო ნაკაიძის მონატრება



დრო ყველაფრის მკურნალიაო, მამა. ტყუილია — ტკივილიან მონატრებას ვერ ვშველით, უხარმაზარ სიყვარულს გვინაწილებდი შვილებს, სანაცვლოდ კი, არაფერი მოგითხოვია.

გაუსაძლისია ის ტკივილი, რასაც უშენობა ჰქვია. ძნელია უმამობა, მით უმეტეს, ისეთი მამის დაკარგვა, როგორიც შენ იყავი. ყოველთვის წმინდა სანთლად იქნები ანთებული ჩვენს გულებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ოჯახი*

## ედისონ ჭკადუას ხსოვნას!



ო, რა უეცრად გარდაგვეცვალე... თითქოს გუშინ იყო, უდარდელად რომ დადიოდი შენს ეზო-მიდამოში.

ადრე ისურვე დაოჯახება. გვიხაროდა, დედისერთა იყავი, გვეგონა გამრავლდებოდი. ბედმა ერთ ქალიშვილზე დაგტოვა. ისიც დააობლე.

მიატოვე შენი ნათია, შენი თვალით ამორჩეული მეუღლე, ლალი. ცას სწვდება, ედისონ, დედაშენის გოდება. სიზმრად მაინც დაენახვე. ასეთი ცივი როგორ გახდი, ჩვენო თბილო და ტკბილო ბიჭო. შენ დაგვავიწყე ჩვენი ერთადერთი ძმა და საყვარელი დედა.

გვენატრები, გვიყვარხარ, გვაკლიხარ. ვლოცულობთ შენთვის. ღმერთმა გაგანათლოს ზეციურ სასუფეველში.

*შენი დეიდა ეთერი*

## მურმან ნანიტაშვილის გახსენება

შვილო მურმან, ცხრა წელმა გაიარა, რაც მოულოდნელად დატოვე შენი ოჯახი და მარადისობაში გადახვედი. ცხრა ლამაზი გაზაფხული მოვიდა უშენოდ. ჩვენ კი ჯერაც თვალზე ცრემლი არ შეგვშრობია. შენი შვილები მოდიან შენს საფლავზე ვარდებით და სანთლებით. ვლოცულობთ შენი კეთილი, ლამაზი და ვაჟკაცური სულისათვის. გვენატრები, გვიყვარხარ უსაშველოდ.

*შენი ტანჯული დედა, ცოლ-შვილი, დედმამიშვილები*

## თინათინ, თათრახან ლორიების მონატრება



ჩვენო საყვარელო დედა და მამა! გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს! ძალიან გვაკლიხართ და გვენატრებით; თქვენი წასვლით გამოწვეული ტკივილი არ გვინელდება თქვენს შვილებს, შვილიშვილებს, რძალს, ახლობლებს. დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი. ღმერთს ვევედრებით, ნათელში გვიმყოფოს თქვენი სპეტაკი სულები.

*ნანა, გიორგი ოჯახით*

## ლილი გელაშვილი-კიკნაძის მონატრება

ჩემო საყვარელო დეიდა, გვენატრები ძალიან. გვიჭირს უშენობა შენს შვილებსა და შვილიშვილებს, შენს ახლობლებს. შენი დაბადების დღეს უშენოდ შევხვდით პირველად. მოდის დიდი დღესასწაული — აღდგომა. ღმერთმა დაამკვიდროს თქვენი სული სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ და დალოცოს თქვენმა სულმა საქაოს მყოფი მახსენებელნი თქვენი.

*დალი ხარაზიშვილის ოჯახი*

## ნეკროლოგი



მეუღლე თამაზ თაქთაქიშვილი, შვილები ანი, ლევანი, სიძე ბადრი ჩაჟლეიშვილი, შვილიშვილები გიორგი, ნიკოლოზი, ბიცოლები ნედიკო ათანელიშვილი, თინა ნებულიშვილი, ბიძაშვილები მანანა, ბელა, ლალი ბიძინაშვილები, დეიდა მზია ბეჟანიშვილი, რძალი ლია ცაბაძე, მაზლიშვილები ქეთევან, გიორგი, მიხეილ თაქთაქიშვილები, მძახლები ნელი, სულიკო ჩაჟლეიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### თამილა ზაქარიას ასული ბიძინაშვილი

*პანაშვიდი:* 3, 4 მაისს, 17 საათზე.

*მისამართი:* გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზ. №33, II სადარბაზო.

*დაკრძალვა:* სოფ. რველში (ბორჯომის რ-ნი), 7 მაისს, 14 საათზე.

ჩაქრა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე, რომელიც მშვენიერ ქალბატონს — თამილა ბიძინაშვილს ეკუთვნოდა. მაისის პირველსავე დღეს გაზაფხულის ცის სილურჯეს შეერწყა მისი სული, თან გაიყოლა უსაყვარლესი ოჯახის დარდი და დიდი სიყვარული, რომელსაც უშურველად უნაწილებდა უკლებლივ ყველას — მის გარშემომყოფთ.

ბავშვობიდანვე გამორჩეულმა თავისი ნიჭიერებით, სწორედ იმ წლებში გადაწყვიტა ექიმის პროფესიას დაუფლებოდა, როდესაც იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა სამედიცინო ინსტიტუტის კარის შეღება მხოლოდ ინტელექტის ამარა. თამილა სწორედ ამგვარი გამონაკლისი გახლდათ. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გასაოცარი პროფესიონალიზმითა და ერთგულებით, პროფესიული ეთიკითა და რწმენით, უანგაროდ ემსახურებოდა თითოეულ პაციენტს და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტს.

სხვათა მეოხი და მკურნალი, თვითონვე დაავადდა უკურნებელი სენით, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, კოლეგებისადმი რწმენა და იმედი ასულდგმულებდა...

საუბედუროდ და საბედისწეროდ, უდროოდ დასრულდა მისი სიცოცხლე ამ წუთისოფელში. უკეთილშობილესმა ქალბატონმა, მშვენიერმა მეუღლემ და დედამ დაგვიტოვა შესანიშნავი ქალვაჟი, დიდი ტკივილი და ცხოვრების გამორჩეული წესი. პატარა გიორგის უსაყვარლესი ბებია თავის სითბოს ველარ უწილადებს ბუბუს (როგორც თვითონ ეძახდა გიორგის) უმცროს ძმას, ნიკოლოზს, — ამ რამდენიმე თვის წინ, სწორედ ბებოს ავადმყოფობისას რომ მოევლინა ქვეყანას.

სამწუხაროდ, ჩვენთვის — თამილას კოლეგებისა და მეგობრებისთვის, თამილა წარსულში დარჩა. გვინდა პოეტის სიტყვებით დავემშვიდობოთ:

*„მიდიხარ გადაქანცული*
*ტკივილებით და დარდებით,*
*ასეთი უფაქიზესი*
*ღმერთსაც კი შეუყვარდები!..“*

*მეგობრები*

ჩვენს წინაპრებს სწამდათ ადგილის დედის არსებობა. იგი იყო მფარველი კერისა, შთამომავლობისა. ისიც სჯეროდათ, რომ ყოველ საგანს თუ ნივთს სული უდგას და ეს სული თავისებურად ამყარებს კავშირს ცოცხალ სამყაროსთან, იღებს ინფორმაციას და თავადაც ცდილობს, „ხმა მიაწვდინოს“ სხვებს თავისი ტკივილის თუ სიხარულის შესახებ.

ძველთაგანვე ეთაყვანებოდნენ სულებს. ზოგიერთ კუთხეში დღესაც ცოცხლობს ჩვეულება მათდამი მოწიწებისა.

უხილავი სულები დროდადრო ახსენებენ თავს ადამიანებს ხან უწყინარი ხუმრობით, ხან ზიანის მოტანით — აშკარაა, რომ რაღაცის გამო გვებუტებიან და ყურადღებას მოითხოვენ.

სახლის სული შალვა ძიმისტარაშვილს სულ ცოტა ხნის წინ გამოეცხადა...



# უსულო ნივთებსაც კი სული აქვთ!

— 64 წლის კაცი ვარ, ამ მამაპაპისეულ სახლში დავიბადე და გავიზარდე და უჩვეულო არასოდეს არაფერი მიგრძვნია. შარშან შვილები შემიჩნდნენ — დავანგრიოთ ეს ძველი სახლი და ახალი ავაშენოთო. მშრომელი ბიჭები არიან. წიგნისთვის არ მოუკლავთ თავი სკოლაში, მაგრამ ხელობა ისწავლეს და არც ცხოვრება უჭირთ. დამენანა ძველი ოდა, მაგრამ არ მინდოდა შვილებისთვის მეწყენინებინა.

...დილაადრიან უნდა დაგვეწყო დაშლა. ღამით არ დამეძინა. ცრემლიც კი წამომივიდა, მთელი ბავშვობა თვალწინ დამიდგა

უცებ ფეხის ხმა შემომესმა. ჩემს ცოლს ეძინა. ალბათ სანდრო, ჩემი უფროსი ვაჟი, ადგა-მეთქი. მესიამოვნა, რომ ისიც არ დააძინა ძველ სახლთან გამოთხოვების სინანულმა. წამოვდექი. მივიხედ-მოვიხედე. არავინ იყო. სანდროს გავძახე — არავინ გამომპასუხებია. ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი. ყალიონი გავაჩაღე და აივანზე გავედი. მალევე შემოვბრუნდი. ჩემ თვალწინ აგიზგიზდა ბუხარში ცეცხლი, თავისით მოედო შეშას ალი. ასეთი რამე ზღაპარში თუ წამიკითხავს. თან ჩვეულებრივი კი არა, მომწვანო ფერის ცეცხლი იყო, ჩინჩხლები ცვიოდა.

ვერ მოვითმინე და ავედი სანდროსთან. გულიანად ეძინა, მაინც არ დავიჯერე, შევანჯღრიე. ეწყინა, რომ გავაღვიძე — დილით იმდენი საქმე გვაქვს, ძილს რად არ მაცლიო და შეიბრუნა გვერდი.

ჩამოვბრუნდი ისევ დარბაზში. დავიდგი ბუხრის წინ სკამი, ჩამოვჯექი და მივაშტერდი ცეცხლს. გაოგნებული ვფიქრობდი, ალბათ მძინავს და მესიზმრება-მეთქი! ამის გულში გავლება იყო და ჩემს ზურგს უკან ვიღაცამ ამოიხვნეშა. შიშისაგან შევხტი. სინათლე არ იყო, მარტო ბუხრის ალი ანათებდა ოთახს. დავიძახე, — რომელი ხარ და რა გინდა, არ მეხუმრება-მეთქი! პასუხად ისევ გმინვა მომესმა. პირჯვარი გადავიწერე: თუ ავი სული ხარ და მოჩვენება, შორს ჩემგან, ულმერთოდ ერთი დღე არ მიცხოვრია-მეთქი.

კატა გვყავს ერთი, შემოვიდა ოთახში და ახლა მისმა საქციელმა გამაოცა — დაწვა ბუხრის წინ და ისე დაიწყო კრუტუნი, თითქოს ვიღაცა ეფერებოდა. მას კი ნეტარებით თვალები მიელულა.

— აცხა, შე საძაღლე! — რატომღაც მასზე ვიყარე ჯავრი და ფეხიც ამოვარტყი მსუბუქად.

გარეთ კი არ გაიქცა, ბუხარში შეძვრა და ისე გაიარა ცეცხლში, ბეწვიც არ შეტრუსვია. ცეცხლის შუაგულში სამჯერ დატრიალდა, გამოვიდა, გაცისკროვნებული თვალებით შემომხედა, აპრიხა კუდი და გაძვრა კარის ღრიჭოში.

ლამის გავგიჟდი, გაშლილი ხელისგული შევყავი ცეცხლში და დავიწვი. შიშმა ისე ამიტანა, ცოლის გაღვიძება გადავწყვიტე და წამოვდექი. ამ დროს ბუხრიდან პროჟექტორივით სინათლის სვეტი გადმოვიდა, ბუხარში ნელ-ნელა ჩაინავლა ცეცხლი. სინათლის სვეტმა ჯვრის ფორმა მიიღო და ალბათ დაახლოებით ერთი წუთი იდგა დარბაზის შუაგულში. მერე დაიძრა, კედელი გაიარა და ზუსტად იმ ადგილზე გაჩერდა, სადაც ახალი სახლის აშენება გვქონდა განზრახული. რამდენიმე წამი იდგა, მერე გაწითლდა, გავარვარდა და გაქრა.

...დილით ცოლ-შვილს ვუამბე, რაც მოხდა. არ დამიჯერეს. სხვებმაც სიცილი დამაყარეს. მეწყინა და გავიბუტე, პირუჩუმრად დავიწყე მუშაობა.

გვიან საღამოს მოვრჩით საქმეს. ვახშამზე თამადამ ახალი ფუძე დაგვილოცა, — ღმერთმა არ მოგაკლოთ ახალ სახლში ბედნიერება, ძეობა და ქორწილიო. ამ დროს მოხდა ის, რამაც ყველას ერთბაშად დააჯერებინა ჩემი ნაამბობი. იმ ადგილას, სადაც წინა ღამით დადგა სინათლის ჯვარი, თითქოს მიწიდან ამოვიდაო, ისევ აღიმართა... ორ მეტრზე მეტი სიმაღლის იყო, ყველა წამოდგა ფეხზე და პირჯვარი გადაიწერა. ჯვარი ისევ გავარვარდა და გაქრა ისე, როგორც წინა ღამით.

ეს ყველამ იმის ნიშნად მივიღეთ, რომ ღმერთი ლოცავდა ჩვენს სამოსახლოს. მეორე დღეს მღვდელი მოვიყვანეთ და ეზო-გარემო ვაკურთხებინეთ.

**— ახალ სახლში არ გიგრძვნიათ ადგილის დედის არსებობა?**

— სამწუხაროდ, არა! ისე კი, იმედს არ ვკარგავ, რომ იქაც ჩასახლდება კეთილი არსება, რომელიც მე თუ არა, ჩემს შვილიშვილებს მაინც გამოეცხადება. სხვათა შორის, ბებიაჩემმა იცოდა თქმა, — ჩვილი ბავშვი რომ იღიმება აკვანში, სახლის სული ეთამაშება და აცინებსო... როგორც ჩანს, არც ეს ნათქვამია შემთხვევითი.

არავინ იცის...

***ინგა ჯაყელი***



# აჩრდილები ინანიებენ...

ამერიკელი მეცნიერები მეორე წელია ცდილობენ ამოხსნან „ფლორიდული ფენომენი“, მაგრამ ვერ ასაბუთებენ სენტ-ოგასტინის შტატში მომხდარ ამბებს.

ოგასტინში ძველთაგან ბინადრობენ მოჩვენებები. ადგილობრივი მოსახლეობა მათ არ ერიდება, რადგან არავის ერჩიან, პირიქით, აქაურებს ტურიზმის ბიზნესის გაშლაშიც ეხმარებიან. მეცნიერები სიტუაციას სკეპტიკურად უყურებენ — ახალგაზრდები აცუცურაკებენ ხალხსო.

შარშანდლიდან მოჩვენებები ისე გამრავლდნენ და გააქტიურდნენ, რომ ყოველი მეორე ექსკურსანტი ნათლად ხედავს მათ. კარგა ხნის წინ გარდაცვლილი რვა მოქალაქის აჩრდილები დადიან XVIII საუკუნის ციხესიმაგრის დარბაზებში, წმ. ფრანსის სასტუმროს აპარტამენტებში სტუმრების თვალწინ ყოველთვის ტრიალებს სამი-ოთხი აჩრდილი. ათეულობით მოჩვენება დაბორიალობს ჰუგენოტების ძველ სასაფლაოზე.

ოქტომბრიდან მარტამდე სენტ-ოგასტინში ოთხი სამეცნიერო ექსპედიცია მუშაობდა. გაოცებული მკვლევარები აღნიშნავენ: მოჩვენებები არ არის ეგზალტირებული ტურისტების ფანტაზიის ნაყოფი, ხოლო თუ ადგილობრივი თაღლითების მოხერხებულობაა, აფერუმ მაგათო.

აჩრდილი შეიძლება გამოჩნდეს დღისით, ღამით, დარსა თუ ავდარში. ადგილობრივმა ექსკურსიამძღოლებმა ზეპირად იციან სენტ-ოგასტინელი ფანტომების სიცოცხლისა და სიკვდილის ამბები:

მოჩვენებათაგან რომელიღაც დასტიროდა შვილებს; ორი — გამუდმებით ინანიებდა სიცოცხლეში ჩადენილ ცოდვებს; ერთი თეთრად მოსილი ყმაწვილი ქალის აჩრდილი ხეივნებში დასეირნობდა; ზოგი 200 წლის წინ გაცრუებულ სიყვარულს დარდობდა; სასაფლაოზე დაეხეტებოდა ამ ქალაქის გარდაცვლილი მერი — მას დასაფლავების დროს ქურდებმა პირიდან ამოაცალეს ოქროს კბილები. ქალაქელები ხუმრობენ, მერის აჩრდილი ან ქურდს დაეძებს, ან დანტისტისო. შარშან აჩრდილებს ახალი პერსონაჟები შეემატნენ, რომელთა სიცოცხლის ან გარდაცვალების შესახებ ისტორიკოსებმა არაფერი იციან.

როგორც არ უნდა იყოს, სენტ-ოგასტინში სიტუაცია ერთდროულად უაზროცაა და მოულოდნელიც და სანამ ფიზიკოსები და ისტორიკოსები მის ამოხსნას ცდილობენ, ცნობისმოყვარენი ყოველი კუთხიდან ჩადიან ქალაქში.

***მეგაპოლის-ექსპრესი №15***

# „ცისფერ ქალბატონს“ დღესასწაული მიულოცეს...

ბარნაულელმა ჟურნალისტებმა ქალაქის დაარსების დღე მიულოცეს ცისფერ ქალბატონს — აჩრდილს, რომელიც მერიის შენობაში ბინადრობს.

ამ უძველეს შენობაში მე-20 საუკუნის დასაწყისში ოლქის უფროსი ცხოვრობდა. მის მეუღლეს, ულამაზეს ქალს შეუყვარდა ამ ქალაქში გადმოსახლებული რევოლუციონერი. თურმე ქმარმა შეიტყო ცოლის ღალატის შესახებ და იგი სასახლის ერთ-ერთ კედელში ცოცხლად ჩაატანა. მას შემდეგ ამ ქალის სული შენობას არ სცილდება. ზოგჯერ შუაღამისას აივანზე გამოდის და მდუმარედ გაჰყურებს ქალაქს. მოჩვენებას მოციმციმე ცისფერი კაბა აცვია და ამიტომ მას „ცისფერი ქალბატონი“ შეარქვეს.



მერიის თანამშრომლებმა არ იციან, რომელ კედელში ჩაატანეს ცისფერი ქალბატონი. ამიტომ, როცა ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს მისთვის დღესასწაული მიელოცათ, ყვავილების თაიგული იმ აივანზე დადეს, სადაც აჩრდილს გამოსვლა უყვარს. დილით თაიგული იქ აღარ დახვედრიათ.

***ვერსია №10***

## ჩვენ გვწერენ

# უხილავი მოძალადე



19 წლისა გავთხოვდი. 4 წელიწადი შვილს ვერ ვეღირსე. ამას საზარელი და უცნაური მიზეზი ჰქონდა.

ჩემი ქმარი მილიციაში მუშაობდა. ღამის მორიგეობა როცა მოუწევდა, შინ მარტო ვრჩებოდი და ძილში ვგრძნობდი, როგორ ცდილობდა ვიღაც ლოგინში შემომძვრომოდა. ვეურჩებოდი, არ ვაძლევდი ამის საშუალებას. დილით კი მუცელი მწყდებოდა. ასე მოხდა ცხრა-ათჯერ.

ქმარს არ სჯეროდა ჩემი ნაამბობი — გესიზმრებაო.

...იმ ღამეს ჩემი მეუღლე სამორიგეოდ იყო. ძილი გამიტყდა. დაახლოებით სამი საათი იქნებოდა, ოთახში შემოვიდა წელზევით შიშველი ტანმაღალი მამაკაცი. შავი ტალღოვანი თმა მხრებზე ეყარა. ისეთი მომხიბლავი იყო, იფიქრებდი, ნეტავ თვალი მომცა და მაყურებინაო. მოვიდა, საწოლზე ჩამომიჯდა. თვალებში დაჟინებით ჩამაშტერდა. მერე დაიხარა და დიდი მონდომებით შეეცადა, საბანი გადაეხადა ჩემთვის, მაგრამ არაფრით არ დავანებე, გააფთრებული ვებრძოდი. რომ ვერაფერი გააწყო, ისეთი მლეწა სახეში, თვალებიდან ლამის ნაპერწკლები წამომცვივდა. ჩემს ყვირილზე დედაჩემი შემოვარდა. უცნობი დედას ეჩვენა და გაქრა...

დილით ჩემი მეუღლე დალურჯებულ-დალეწილი დაბრუნდა და უცნაური რამ მიამბო: თურმე, დაახლოებით დილის 4 საათზე, მილიციის სამორიგეოს კარი გაიღო და შიგ ვიღაც შევიდა. ჩემს ქმარს ვერ მოუსწრია თავის მობრუნება, მხოლოდ უცნობის ხმა გაუგონია, — ეს არის ლილის ქმარიო და ამის თქმაზე ორნი მისდგომიან საცემრად.

დილით, სამსახურში მისულ თანამშრომლებს იატაკზე უგონოდ დაგდებული დახვედრიათ.

მხოლოდ ამის შემდეგ ირწმუნა ქმარმა ჩემი ნაამბობი.

ფხიზლად ველოდით უცნობის ხელახალ შემოტევას, მაგრამ მას შემდეგ, საბედნიეროდ, აღარ მოგვკარებია.

ახლა ორი ქალიშვილი და 4 შვილიშვილი მყავს.

მივხვდი, რომ ჩემი სიმტკიცით და ღვთის მოშიშებით გადავირჩინე სული, ოჯახი და მომავალი. ოღონდ მაინც არ მასვენებს კითხვა, — რატომ უნდოდა სატანას ჩემგან შვილი?

***ლილი სალხინაშვილი***

# „საზალლო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. რებუსი**
გარეთ მზეა, ვარდფურცლობის დარია.

**II.** კბილი.



# „ასპირინი“ — „რეალის“ რეალური საფრთხე

## ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. განმეორებითი მატჩები

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. საპასუხო შეხვედრები

**ლევერკუზენი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:1 (2:2)**

**რეალი — ბარსელონა 1:1 (2:0)**



მადრიდელები ფინალში გასვლას ზეიმობენ

*15 მაისს შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში, „ჰემპდენ პარკის“ სტადიონზე მადრიდის „რეალი“ და ლევერკუზენის „ბაიერი“ ევროპის, 2002 წლის საკლუბო ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ. პირველმა მათგანმა გასულ კვირაში „ბარსელონა“ ჩამოიცილა გზიდან, მეორემ კი მრისხანე „მანჩესტერ იუნაიტედს“ მიუჯახუნა ცხვირწინ ფინალის კარი. მიუხედავად იმისა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ საპასუხო შეხვედრაში „ბარსელონამ“ მასპინძლებზე მეტი საგოლე მომენტი შექმნა, შინ 0:2-ის წაგების შემდეგ, კატალონიელთა ფინალში გასვლას ფანტასტიკის მოყვარულნი თუ იწინასწარმეტყველებდნენ და სასწაულიც არ მომხდარა. ლევერკუზენში კი „ბაიერმა“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო წამამდე იომეს — მსაჯის საფინალო სასტვენმა „ბაიერის“ ისტორიაში „ასპირინელთა“ ყველაზე დიდი წარმატება — ჩემპიონთა ლიგის ფინალისტობა დააფიქსირა; ინგლისელები და მათი აურაცხელი ფანი კი საგონებელში ჩააგდო. „ოლდ ტრეფორდის“ ვარსკვლავთკრებული წლეულს უტიტულოდ დარჩა (თუ სასწაული არ მოხდა და მანჩესტერმა პრემიერლიგის ჩემპიონატი არ მოიგო). კლაუს ტოპმიოლერსა და მის გუნდს ფინალში კიდევ უფრო „დიდი გუნდი“ უპირისპირდებათ, ფავორიტად რასაკვირველია, „რეალი“ ითვლება. ისე გერმანიაში უკვე იხსენებენ, რომ შარშანდელი ტრიუმფალური სვლა მიუნხენის „ბაიერნმა“ სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხებით დაიწყო და ინგლისურ კლუბს შემდეგ მადრიდის „რეალიც“ ზედ მიაყოლა. ვითომ გერმანიაში დარჩება ევროპული საკლუბო ფეხბურთის უძვირფასესი ჯილდო?*

## ასანიძის ჰეთ-თრიქი



საჩხერელმა ძალოსანმა ბოლო ხუთი წლის მანძილზე, სიხარულს დანატრებული საქართველო წარმატებებს მიაჩვია. გიორგი ასანიძემ გასულ კვირასაც გაგვახარა — ანტალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მესამედ გახდა ევროპის პირველი სპორტსმენი.

თითქოს უკვე ჩვეულებრივ მოვლენად გვექცა, ისე მივიღეთ თურქეთიდან ეს ინფორმაცია. არადა, გიორგისა და მისი მოწინააღმდეგეების მომზადების პირობები ერთმანეთს არც შეედრება — ამ თვალსაზრისით ასანიძე თავს ვერ „მოიწონებს“. ამიტომაც ღირს მისი მიღწევის დაფასება — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი საქართველოს ბევრი არ ჰყავს. და რადგან გვყავს, — იქნებ, სახელმწიფომ ახლა მაინც დაუფასოს შრომა.

## დაიმახსოვრეთ იაშვილი!



ასეთი სათაურით დაიბეჭდა უეფას ოფიციალურ საითზე სტატია, რომელიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ეძღვნება. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა დანიაში სტარტაღებულ ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე გერმანელ და პოლონელ თანატოლებთან ერთნაირი ანგარიშით — 1:1 დასრულებული მატჩების შემდეგ, გადამწყვეტი, მესამე შეხვედრა უნგრელებს 2:1 მოუგო და მეოთხედფინალში გავიდა.

აღსანიშნავია, რომ უნგრელებთან ქართველებმა მატჩის დასაწყისში პენალტი გააფუჭეს, თამაში კი ათი კაცით დაასრულეს: ჟორჟიკაშვილს ყველა შეცვლის უფლება უკვე გამოყენებული ჰქონდა, როდესაც მოთამაშე დაუშავდა.

ქართველებიდან ოთხივე ბურთი „ვიტ ჯორჯიას“ 17 წლის ფორვარდმა, სანდრო იაშვილმა გაიტანა, რომელსაც უკვე ერთი წელია იტალიური გრანდი, „რომა“ აკვირდება. მისი ჩინებული თამაში ევროპელმა სპეციალისტებმაც შეამჩნიეს და ამიტომაც აღნიშნეს მისი პერსპექტივა.

ქართველები კვირას, მეოთხედფინალში ნესტვედში შვეიცარიელ თანატოლებს უნდა შეხვედროდნენ.

მსოფლიო სპორტი
ფასი 20 თეთრი
ყოველ ორშაბათს სამშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და კვირას
სპორტული გაზეთი ტოტალიზატორის მოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის
უახლესი სპორტული ინფორმაცია, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებისა და ჩემპიონთა ლიგის შედეგები და მიმოხილვა, სტატისტიკა, ტოტალიზატორების კოეფიციენტები, ცხრილები, ინტერვიუები, კურიოზები, სპორტული კროსვორდები, მთელი კვირის სპორტული TV პროგრამა, ფერადი პლაკატი და სხვ.
ინფორმაცია ჩვენი, წარმატება თქვენი!

# გიორგი ქინქლაძე: ინგლისელები წაგებას ლეგიონერებს აბრალებენ

*გიორგი ქინქლაძის კარიერაში ისტორია მეორდება — პრემიერლიგაში დაბრუნებულმა, როგორც იქნა „დერბი ქაუნთის“ ძირითად შემადგენლობაში ფეხი მოიკიდა, მწვრთნელის კეთილგანწყობითაც სარგებლობდა და სწორედ ამ დროს მოხდა მოსახდენი — „დერბი“ პრემიერლიგიდან გავარდა, ისევე როგორც ხუთი წლის წინ გიორგის პირველი ინგლისური კლუბი — „მანჩესტერ სიტი“.*

*საერთოდ, წლევანდელი სეზონი მრავალი ქართველი ლეგიონერისთვის წარუმატებელი გამოდგა — აჩიკო არველაძე „კიოლნს“ მეორე ბუნდესლიგაში გადაჰყვება. „ფრაიბურგმა“, ბუნდესლიგას ერთბაშად ხუთი ჩვენებური ჩამოაშორა, ქინქლაძეზე ზემოთაც მოგახსენეთ. ასე რომ, შვიდი ქართველი, ევროპის ელიტარული ლიგების მიღმა აღმოჩნდა.*

*თუმცა, ჯერ არავინ იცის, რომელი მათგანი ისურვებს კლუბის შეცვლას. გიორგი ქინქლაძე, „გერმანელი“ კობიაშვილის მსგავსად, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იქადნებოდა გუნდის დატოვებით. „მანჩესტერ სიტისთან“ პირველ დივიზიონში გატარებულმა ფუჭმა სეზონმა ქართველ ფლეიმეიკერს ცხადად დაანახვა, რომ ასეთ „დონეზე“ გამოსვლა არც მის სახელს გამოადგებოდა და არც მის სანაკრებო კარიერას.*

*ამიტომაც გადაწყვიტა ქინქლაძემ, „დერბის“ მენეჯერ, ჯონ გრეგორის, მომავლის თაობაზე დალაპარაკებოდა.*



— უფრო სწორად, გრეგორის მისივე სურვილით შევხვდი, — *აკონკრეტებს გიორგი.* — მე აღარ მსურს „დერბიში“ თამაში და ეს, მწვრთნელსაც მშვენივრად ესმის. საერთოდ, ეს კაცი ინგლისში იმით არის ცნობილი, რომ მოთამაშეების გულისტკივილს მშვენივრად იგებს. „მანჩესტერ სიტისთან“ ერთად პირველ დივიზიონში გატარებულმა სეზონმა ჩემი კარიერა უკან დახია და ამიტომაც აღარ მინდა წარსულის შეცდომის გამეორება.

გრეგორიმ პირდაპირ მითხრა, რომ „დერბიში“ დარჩენას ვერ დაგაძალებ და შეგიძლია გუნდი მოძებნოო, — მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის თანახმად, კიდევ ერთი წლით შეუძლიათ ჩემი დატოვება. აბა, უგულოდ მოთამაშე კაცს გუნდისთვის რა სარგებლობის მოტანა შეუძლია?

— **კონკრეტულად რომელიმე კლუბი გიწვევს?**

— ჯერ არანაირი მიწვევა არ მაქვს. მცირე ხნის წინ მითხრეს, თითქოს თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას სურს ჩემი დაბრუნება, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდო მგონია.

— **რატომ?**

— ელემენტარულად, ჯერ მოლაპარაკებაც არავისთან მქონია, თორემ ძლიერ გუნდს თუ ჩამოაყალიბებენ, მიწვევაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი. ამასთანავე, „დერბიში“ გრეგორის დანიშვნამდე რამდენიმე ესპანურ კლუბს სურდა ჩემი გადაყვანა, ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრა მენეჯერმა და მათ დაინტერესებას არც ახლა გამოვრიცხავ. თუმცა, ეს ყველაფერი ჯერაც ინტერესის დონეზეა და არ მინდა ისე გამიგოთ, თითქოს ესპანეთში გადასვლას უკვე რეალურად ვაცხადებდე.

— **მართლა არის საუბარი „სელტასა“ და „სოსიედადზე“?**

— ჯერ დაკონკრეტება არ შემიძლია და არც ღირს. შესაძლოა, თავისუფალი აგენტის სტატუსი მივიღო და აღარ მინდა ვითარების გართულება. გრეგორი ყველა ფეხბურთელს ცალ-ცალკე ხვდება. წინასწარ ვიცით, რომ მას მხოლოდ ახალგაზრდების დატოვება სურს, ვეტერანებს და თუნდაც ჩემი ასაკის მოთამაშეებს კი, პრობლემას, ალბათ, არ შეუქმნის.

გრეგორის ისედაც არ ეხატებოდა რავანელი გულზე და შექმნილ ვითარებაში იტალიელთან განშორების მშვენიერი შანსი გაუჩნდა. რავანელი საკმაოდ ამაყია და მძიმე ხასიათიც აქვს, რის გამოც „დერბიში“ ბევრთან აერია ურთიერთობა. „დერბის“ კიდევ ეს უნდოდა? ისედაც დაშლილი იყო კლუბი. წაგებას ინგლისელები ყოველთვის ლეგიონერებს აბრალებენ და ჩვენ გვერდით გავლასაც სირცხვილად თვლიან. მთელი სეზონის მანძილზე „დერბი“ ასე იყო დანაწევრებული და როგორ შევრჩებოდით პრემიერლიგას, ხომ წარმოგიდგენიათ? გუნდის „კუტოკებად“ დაშლა ამათი მოგონილია. მათგან ისეთ აუტანელ დამოკიდებულებას ვგრძნობ, რომ აქ კიდევ ერთი წელი ყოფნა საკუთარი ნებით ციხეში ჩაჯდომის ტოლფასი იქნება. ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ „დერბისნაირი“ გუნდი ვერაფერს მიაღწევს. გაჭირვებაში ერთად დგომა არ იციან, პირიქით, ერთმანეთს ჭამენ.

*ქართველმა ლეგიონერებმა 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრა გულთან ახლოს მიიტანეს და სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებაც საკუთარ მოვალეობად მიიჩნიეს.*

— **გიორგი, მართალია, რომ მიწისძვრით დაზარალებულების დახმარება თქვენი ინიციატივა იყო?**

— რა მნიშვნელობა აქვს... ეტყობა, საკმაოდ კარგი წინათგრძნობა მაქვს. მამაჩემი რომ დააყაჩაღეს, რაღაც უცნაურმა გრძნობამ ამიტაცა. ისედაც ხშირად ვუკავშირდები მშობლებს, მაგრამ იმ დღეს რატომღაც რამდენჯერმე დავრეკე.

ახლაც იგივე მომივიდა, ჩემებთან შეხმიანება გადავწყვიტე და რატომღაც მობილიც და სახლის ნომერიც გათიშული აღმოჩნდა. გადავირიე, ცუდი რამ ხომ არ მოხდა-მეთქი?! მალე ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებისგან შევიტყვე, უძლიერესი მიწისძვრის შესახებ. კიდევ კარგი, დიდი მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ მრავალი ოჯახი ხომ დარჩა უსახლკაროდ. ევროპაში მოთამაშე ქართველები ერთმანეთს დავუკავშირდით და გადავწყვიტეთ, დაზარალებულთა ფონდში შეძლებისდაგვარად ჩავრიცხოთ თანხა, 100 ათასი ლარი იქნება თუ მილიონი, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ ჩვენს ხალხს უჭირს და გვერდით უნდა დავუდგეთ. ინგლისშიც ვიჭერ საქართველოს ტელევიზიის პირველ არხს და შევიტყვეთ, რომ ხალხი საქველმოქმედო აქციებს ატარებს. ამ დროს ჩვენი განზე გადგომა უზნეობა იქნებოდა.

— **საქველმოქმედო მატჩის გამართვას ხომ არ აპირებთ?**

— შესაძლოა, ეს პრობლემატური აღმოჩნდეს. თანხის გადარიცხვით გაცილებით სწრაფად დავეხმარებით.

— **დახმარების იდეა ვისი იყო?**

— ყველასი ერთად. მე ყაველაშვილს დაველაპარაკე, ნემსაძე — არველაძეს და აღმოჩნდა, რომ ყველანი ერთნაირად ვფიქრობდით. ქუჩაში გამოსული ხალხი და შემაშფოთებელი კადრები რომ ვნახე, გული გამისკდა. ახლა კონკრეტულად გადავწყვეტთ, ნაკრების სახელით რა გავაკეთოთ. მთავარია, ჩვენი თანხა დაზარალებულებთან მივიდეს და საამისოდ სანდო ადამიანს მოვძებნით.

***ლაშა დუმბაძე***

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლd7-a4!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



# ქართულ გვარ-სახელიანი „ბუგატი“ საერთაშორისო ავტოსალონს იპყრობს

(დასაწყისი იხ. გვ 11)

ალბათ, არც დაიჯერებდნენ და პაპუასებად ჩაგვთვლიდნენ, ამიტომ, აღარ გვითქვამს, რომ ავტოსალონის ვარსკვლავად ქცეული მოდელი ფეშენებელურ სტუდიაში კი არა, თბილისში, ერთი ჩემი მეგობრის საცხოვრებელი სახლის ლოჯიაში ავაწყვეთ, რომ არავითარი ექსკლუზიურად დამზადებული ხელსაწყო და მასალა არ გვქონდა — „შპაკლი“ და „საღებავი“ ელიავაზე ვიყიდეთ, მთავარი ხელსაწყო კი პურის საჭრელი დანა იყო... სხვათა შორის, ამ ავტოსალონზე საკმაოდ ცნობილი გერმანული მარკის თბილისელი დილერი და საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწეც იმყოფებოდნენ, მაგრამ ჩვენთან არც კი მოსულან... კორპორაცია „ნისანის“ წარმომადგენელმა ჩვენ შესახებ პირველად აღნიშნულ ავტოსალონზე შეიტყო. მიუხედავად ამისა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა და სულ ახალთახალი მოდელი მაჩუქა, რომელიც ავტოსალონიდან მოხსნა. მთხოვეს, მისი სავალი ნაწილები და დეტალები გამომეყენებინა და ახალი დიზაინის მოდელი ამეწყო. სხვათა შორის, მაშინ საქართველომ ავტოწარმოების გახსნის საკმაოდ რეალური შანსი გაუშვა ხელიდან — იაპონელები გვთავაზობდნენ, ჩემ მიერ დაპროექტებული მოდელის გამოშვება საქართველოში გვეწარმოებინა, დისტრიბუციაზე, ანუ გაყიდვაზე პასუხისმგებლობას კი BMW-ს კორპორაცია იღებდა საკუთარ თავზე. სამწუხაროდ, მაშინ ცოტა სხვა დრო იყო და ჩვენში ამ საქმით დაინტერესებული ბიზნესმენი ვერ მოვნახეთ... სამაგიეროდ, პირადი, საქმიანი კონტაქტები დავამყარე ისეთ ფირმებთან, როგორიც „ტოიოტა“, „სიტროენი“ და „ზინდერია“. ამ უკანასკნელმა „AUDI A“ მოდელის დიზაინი შემიკვეთა, მაგრამ სხვა-



დასხვა მიზეზის გამო, დროში ვერ ჩავეტიე. „ბუგატის“ სტუდიაში მაშინვე მქონდა მიწვევა. ავტოდიზაინის კიდევ ერთი ლეგენდა — ჯუჯარო დამიკავშირდა და მითხრა, კარგი იქნება, თუ ჩვენს სტუდიაში მობრძანდებით და მოვილაპარაკებთო. ამას რომ ამხელა კაცი გეტყვის, უხერხულია, ბილეთის და სასტუმროს ფულზე, ან თუნდაც ვიზაზე დაუწყო ლაპარაკი, ასე რომ, ვერც ეს შეხვედრა მოხერხდა... თუმცა, მოგვიანებით, მორიგ ავტოსალონზე შევხვდი. ჩემი ახალი მოდელი ძალიან მოეწონა. სასიამოვნო სიურპრიზი იყო, როდესაც მისი მოდელი „ვეირონი“ ჩემ მიერ შერჩეული ფერთა გადაწყვეტით გამოვიდა.

— **შენს მოდელს მომავალი წლიდან მსოფლიოს ყველა ავტოსალონზე გამოფენენ. რას ნიშნავს ეს შენთვის?**

— პირველ რიგში, საკუთარ ძალებში დარწმუნებას. კონკურსის ფინალურ ათეულში ჩემთან ერთად „ტოიოტას“, „სიტროენის“, „ჯენერალ მოტორსის“ და „პორშეს“ ამერიკული სტუდიის მთავარი დიზაინერები იყვნენ. ეს კი, დამეთანხმებით, უკვე ბევრს ნიშნავს...

— **როგორ ფიქრობ, კონკურენტუნარიანი ქართული ავტომობილი ძალიან შორეული პერსპექტივაა?**

— სულაც არა. საქართველოში ინტელექტის ძალიან დიდი პოტენციალია. რატომღაც, ქართველი ბიზნესმენები ავტომშენებლობის დარგს უფრთხიან და საქართველოში მის წამოწყებას არასერიოზულად მიიჩნევენ. მე უკვე საკმაოდ კარგი კონტაქტები მაქვს მსოფლიოს ცნობილ ავტომშენებლებთან და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში არც ავტოწარმოების და შემდეგ არც მისი გასაღების პრობლემა არ იქნება. ზემოთ ნახსენები „ნისანის“ გარდა, მაქვს საკმაოდ საინტერესო წინადადება — სკუტერების და მოტოროლერების მსოფლიო ლიდერმა, იტალიურმა „პიაჩომ“ მცირე ავტომობილის დიზაინი დამიკვეთა. მოდელზე მუშაობა უკვე დავასრულე. მისი სერიული წარმოება უმარტივესია. ასეთ მანქანებზე კი ევროპის დიდ ქალაქებში უზარმაზარი მოთხოვნილებაა. რაც მთავარია, იტალიელები თანამშრომლობაზეც თანახმა არიან, დისტრიბუციაზეც და თავის სავაჭრო მარკაზეც — გასაღებისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოკლედ, გამზადებული ბიზნესია, ამით რამდენი ადამიანის დასაქმება შეიძლება... არც ერთი ჩვენი დიდი მეზობელი არაფრით არ გვჯობია — ქართველებს ყველა სტრატეგიულ სფეროში ბუმბერაზი სპეციალისტები გვყავდა და გვყავს — სამხედრო იქნება ეს თუ სამრეწველო. „პატარა ქვეყნის“ კომპლექსი უნდა მოვიშოროთ და უფრო საღად, ღირსეულად შევაფასოდ ყველაფერი. ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო ქუთაისის ავტოქარხნის წამოწყება ინდურ ჯიპთან დაკავშირებით. მერე რა, რომ ეს მარკა მსოფლიო ავტობაზარზე ყველაზე პრესტიჟული არ არის. მთავარია, ავტომშენებლობის პრეცედენტი შეიქმნას — დღეს „მაჰინდრა“ იქნება, ხვალ უკვე ქართული მანქანა გამოვა. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საკმაოდ მიმზიდველი წინადადებები მაქვს, ქართული მანქანის „მუღამში“ დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ ქუთაისის ავტოქარხანასთან — თუნდაც იმავე „მაჰინდრას“ ბაზაზე შეიძლება ახალი, ქართული ჯიპი შეიქმნას და ქუთაისის ავტოქარხნის, ანუ საქართველოს სახელით საერთაშორისო ავტოსალონზე გამოიფინოს — ამას კი ინვესტორთა მოზიდვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება...

# ყველაზე სწრაფი სერიული მოდელი



1929 წელს ფერდინანდ პორშემ საკუთარი ფირმა ჩამოაყალიბა. ფირმის საქმიანობაში სიტყვასიტყვით შემდეგი რამ იყო მითითებული: „დიზაინი და კონსულტაციები სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებით“. პირველი მსხვილი დაკვეთა პორშეს ფირმამ გერმანული კომპანია Wanderer-ისგან მიიღო. კლიენტზე რომ შთაბეჭდილება მოეხდინა, ფერდინანდ პორშემ მოდელს №007 დაარქვა — აქაოდა, ეს ფირმის დებიუტი კი არ არის, ავტოწარმოებაში საკმაო გამოცდილება გვაქვსო. მას შემდეგ 70 წელზე მეტი გავიდა. „პორშე“ უკვე სახელგანთქმული ფირმაა და მსგავსი ეშმაკობა კლიენტის მოსაზიდად ნამდვილად არ სჭირდება. პირიქით, ფირმის სახელწოდება სისწრაფისა და საიმედოობის სიმბოლოდ იქცა. მისი წარმოება ყოველწლიურად იზრდება. სხვათა შორის, ელიტურ ავტოწარმოებაში ეს უნიკალური შემთხვევაა, რადგან ძვირად ღირებული, სპორტული ავტომობილების მწარმოებელ ფირმათა უმეტესობა გაკოტრდა და მსხვილი სერიული ავტომწარმოებლების ხელში გადავიდა. წარმატება „პორშესთან“ მთლად იოლადაც არ მისულა — მას ჩემპიონის 14 ტიტული აქვს მოპოვებული გამძლეობისთვის ასპარეზობაში; 16 ტიტული — ლე-მანის 24-საათიან რბოლებში; Porsche 911-ის კუთვნილი 4 გამარჯვება — მონტე-კარლოს ცნობილ რალიზე და პარიზ-დაკარის უნიკალური გამარჯვება სრულგაწევიანი „კარერათი“. „პორშეს“ უკანასკნელ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს სენსაციური მოდელი Porsche Carrera GT, რომელიც ექსპერტთა აღიარებით, ჩვეულებრივი გზების ლიდერად უნდა იქცეს. „Carera GT“-ზე მუშაობა „პორშეს“ კონსტრუქტორებმა ოთხი წლის წინ, ჯერ კიდევ დიდი პორშეს ვაჟიშვილის, ფერდინანდ-უმცროსის სიცოცხლეში დაიწყეს (ის 1998 წლის 27 მარტს გარდაიცვალა). მისი ტექნიკური სრულყოფა ახლახან დასრულდა. თუმცა, ფირმის მენეჯერების განცხადებით, მოდელს სერიულ წარმოებაში 2003 წლამდე არ ჩაუშვებენ. მისი „სერიული“ წარმოებისთვის ალბათ ცოტა გადაჭარბებული ნათქვამიც იქნება, რადგან ყველაზე სწრაფ მოდელს ძალიან შეზღუდული რაოდენობით გამოუშვებენ — წელიწადში არაუმეტეს 500-სა. „Carera GT“ დაახლოებით 700 ათასი მარკა ეღირება. ახალი მოდელი ათცილინდრიანი, 5,5ლ მოცულობის ძრავით იქნება აღჭურვილი, რომელსაც 558 ცხ.ძ. სიმძლავრე ექნება. „პორშეს“ პრეზიდენტის, ვინდელინ ვიდეკინგის განცხადებით, სერიული წარმოების მოდელებს კონცეპტუალისგან განსხვავებით, უფრო მძლავრი ძრავები ექნებათ. თუმცა, არც წარმოდგენილ მოდელს უჭირს სიჩქარის განვითარება — მისი მაქსიმალური ზღვარი 341 კმ/სთ-ია. წარმოებაში ჩაშვების შემდეგ ის მსოფლიოში ყველაზე სწრაფი სერიული მოდელი იქნება. რაც შეეხება სისწრაფის განვითარებას, 100 კმ/სთ-ს ახალი „პორშე“ 3 წამზე ოდნავ მეტს ანდომებს, ხოლო 200 კმ/სთ-ს კი 10 წამზე ნაკლებს. აეროდინამიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის კონსტრუქტორებმა ელექტრონიკა დაიხმარეს — 120კმ/სთ სისწრაფის ზემოთ უკანა სპოილერი მაღლა იწევს, რითაც ძარის მოჭიდება გზის საფართან ერთი-ორად იზრდება. ასევე აღნიშვნის ღირსია სპეციალურად მოდელისთვის შექმნილი მუხრუჭები, რომლებიც ზეგამძლე კერამიკისგან არის დამზადებული და სავენტილაციო სისტემა გააჩნია.

# ახალი „ნივა“ „შევროლეს“ დიზაინით

კორპორაცია „ჯენერალ მოტორსის“ და „ავტოვაზის“ ერთობლივი ნაწარმი უკვე მზად არის. ყოველწლიურად დაახლოებით 50-60 ათასი მოდელის გამოშვებაა ნავარაუდევი. საინტერესოა, რომ „ნივა-შევროლე“(!) სამი ვარიანტით გამოვა — კლასიკური ყველგანმავალი, პიკაპი და დახურული ფურგონი. საბაზრო მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ნახევრად სატვირთო ვარიანტიც გამოუშვან, რომელსაც სკამები ორ რიგად ექნება განთავსებული. რუსულ-ამერიკული ჯიპის პარამეტრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახალი მოდელი ძალიან სწრაფად გახდება პოპულარული და თავის წინაპარს ტოლს არ დაუდებს — პრინციპში, უნდა ითქვას, რომ „ნივა-შევროლეს“ ორივე მხრიდან სახელოვანი წინაპრები ჰყავს. „ნივის“ პირველ და მეორე თაობაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, ზედმეტია, მათ საიმედოობა დიდი ხნის წინათ დაამტკიცეს. რაც შეეხება „ჯენერალ მოტორსს“ („შევროლე“ ამ კორპორაციის წევრი ფირმაა), იგი ერთ-ერთი პრესტიჟულია ყველგანმავალების მწარმოებელთა შორის.

უკვე 2003 წლიდან კი მწარმოებლები საერთაშორისო ბაზარზე გასვლასაც გეგმავენ. საექსპორტო „ნივას“ „ოპელის“, ან „სუძუკი ვიტარას“ ძრავა ექნება, ხოლო 2004 წლისთვის კი „ჯენერალ მოტორსი“ სპეციალურად ამ მოდელისთვის ტურბოდიზელის ძრავაზე მუშაობას დაასრულებს.

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***





C M Y K

# შხაპი და გეოფიზიკა

ყოველ კაცს თავისი საწუხარი აქვსო, ნათქვამია. ვის ლუკმაპური ადარდებს, ვის — ის, თუ რატომ ეკვრის ბანაობისას სველ სხეულს აბაზანის ფარდა. ამ ფრიად საჭირბოროტო საკითხზე ფიქრი კარგა ხანია გულს

$$P+\Omega\rho v2=p$$

უღრღნის ცნობილ ფიზიკოსებს. ერთნი ამტკიცებენ, ეს პროცესი „ბერნულის პრინციპით“ არის გამოწვეულიო. ბერნულის პრინციპი კი ჰაერისა და წყლის შეერთებით წარმოქმნილი ვაკუუმი გახლავთ. გამოჩენილმა დანიელმა გეოფიზიკოსმა ნილს ქრისტიან ჰოერჯეს ლევმა ახლახან ეჭვი შეიტანა ამ თეორიის წყალგაუვალობაში და ბრძანა: სხეულზე ფარდის მიკვრის პროცესში ბერნულის პრინციპის გარდა გეი-ლუსაკის თეორიაც მონაწილეობსო. ახლავე მოგახსენებთ, როგორ ხდება ეს მნიშვნელოვანი ფაქტი: თურმე საააბაზანო ოთახში არსებული მკვრივი ცივი ჰაერი ერევა მსუბუქ და ცხელი ჰაერის მასას, უბიძგებს ფარდას და აკრავს გახურებულ სხეულს.

გეოფიზიკოსების ფიქრით, ამ უსიამოვნო პროცესის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ცივი შხაპის მიღება, ან უკეთესია, თუ ფარდას განზე გასწევთ და ისე იბანავებთ.

**ნიუ ზუიქი**

# მიუტევებელი ცოდვა

„ხელის ჩამორთმევა სიძვა და ცოდვაა“, — მიაჩნია ეგვიპტელ ღვთისმსახურს ატია საქარს. ღვთისმსახურს ისე აუზნია თავგზა თურმე შარიათის კანონებში ქექვამ, რომ კოლეგა-თეოლოგების დაცინვაც დაუმსახურებია. ფანატიკოსს რომ ვერაფერი მოუხერხეს, მწერალმა სატირიკოსმა აჰმედ რაგაბმა გაზეთ „ალ-აქბარის“ საშუალებით ირონიულად ჰკითხა: ხელის ჩამორთმევის დროს, საჭიროა თუ არა ოთხი მოწმე, რათა გარყვნილების ფაქტი დადასტურდესო?

სხვათა შორის, ატია საქარს, რომელსაც ტელევიზიით საავტორო პროგრამა მიჰყავს, აქამდე უკიდურესი ფუნდამენტალიზმი არ გამოუმჟღავნებია. ეტყობა, შაითანმა აცდუნა.

**ფიგარო მეგეზინი №15**



# ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკში გადაიღეს... პორნოფილმი

8 მაისს, როცა მთელი ევროპა ზეიმობს ფაშისტებისაგან განთავისუფლების დღეს, ცნობილი ჩეხი პორნომსახიობი და პროდიუსერი, არაერთი პორნოოსკარის მფლობელი რობერტ როზენბერგი, მეტსახელად „მეამბოხე“, წარმოადგენს თავის ახალ ნამუშევარს. მისი სახელწოდება გასაიდუმლოებულია, მაგრამ სიუჟეტი ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებრიობისათვის. პორნოფილმი მოგვითხრობს ომზე, პარტიზანებზე, რუს ჯარისკაცებზე, ებრაელ ქალიშვილებსა და ფაშისტებზე. ფილმის უმეტესი ნაწილი გადაღებულია ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკში.

ამ ფაქტთან დაკავშირებით პრაღაში დიდი სკანდალი ატყდა. ადგილობრივი პოლიტიკოსები ცდილობენ ფილმის დემონსტრირების აკრძალვას, მაგრამ კანონი არ კრძალავს პორნოფილმების გადაღებას. მხოლოდ ბანაკის ყოფილ პატიმრებს შეუძლიათ სარჩელის შეტანა სასამართლოში მორალური ზიანის შესახებ, ისიც ფილმის გამოსვლის შემდეგ.

ფილმის ძირითადი ეპიზოდები გადაღებულია ნატურაზე და პავილიონებში. მაგრამ „კოლორიტისთვის“, პროდიუსერს სჭირდებოდა ნამდვილი ბანაკის კადრები. ამიტომ როზენბერგი ტერეზინში როგორც ტურისტი ისე ჩავიდა, ათვალიერებდა ბანაკს და თან კინოფირზე იღებდა საკნებს, მავთულხლართებს, კრემატორიუმებსა და სასაფლაოს. ეს კადრები რეჟისორმა ფილმში ჩასვა და შექმნა შთაბეჭდილება, რომ მთელი ფილმი ტერეზინშია გადაღებული.

კეთილშობილურად მოიქცა პორნოვარსკვლავი სილვია საინტი, რომელმაც უარი განაცხადა ამ ფილმში როლის შესრულებაზე, რათა შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ფაშისტების მსხვერპლთა ხსოვნისათვის.

**ექსპრეს-გაზეტა №15**

# სტრიპტიზ-შეტევა

„სტრიპტიზ-შეტევა“ — ასე დაახასიათა გერმანული ქალაქის, მაინის ფრანკფურტის პოლიციამ ავიაკომპანია „ეირ ნამიბიას“ სტიუარდესების საქციელი. ნამიბიელ სტიუარდესებს სასტუმრო „არაბელა შერატონის“ თანამშრომლები, გამვლელები და ყოვლისმნახველი პოლიციელებიც გაუკვირვებიათ მართლაცდა წრეგადასული სტრიპტიზით.

ავიაკომპანიის ხუთი სტიუარდესა, რომლებიც ეკიპაჟთან ერთად „არაბელა შერატონში“ ყოფილან დაბინავებულნი, ერთ საღამოს ისე გალეშილან, რომ მათ მნახველებს მეტყველების უნარი ეკარგებოდათ. რა მომხდარა? — გალეშილ სტიუარდესებს სასტუმროს ნომრის ფანჯრები გაუღიათ და გამვლელ-გამომვლელის თვალწინ „ველური“ სტრიპტიზი გაუმართავთ. როცა სასტუმროს თანამშრომელი დასაშოშმინებლად და ლოგინების გასაშლელად ეახლათ, უფიქრიათ — ამას სხვა



რამე უნდაო და სულ გადარეულან. საწყალმა მოსამსახურემ სტრიპტიზ-შეტევა სექსუალურ ძალადობად ჩათვალა და სასამართლოს მიმართა საჩივრით.

**ვოკრუგ სვეტა №15**



# ღვინო „ნინო ანანიაშვილი“

სახელგანთქმული ბალერინა ნინო ანანიაშვილი ამერიკულმა ჟურნალმა, Danee Magazine-მ, წლის საუკეთესო ბალერინად დაასახელა. ნიუ-იორკში ჩატარდება ყველა ნომინანტის დაჯილდოების ცერემონია.

— ცოტა არ იყოს, ვღელავ, რადგან იქ იქნებიან მსოფლიო ბალეტის ცნობილი წარმომადგენლები, — თქვა ნინომ გამგზავრების წინ, — ჩემთვის ეს უდიდესი პატივია. ახლა ძალიან ბევრი სამუშაო მაქვს. ვხვეწ ჟიზელის როლს. ძალიან მიხარია, რომ გაზაფხული დადგა, გარემო აყვავდა და გალამაზდა. ასეთ მშვენიერ პერიოდში მინდა რაღაც ახალი შევქმნა. ამჟამად მე და ჩემი მეუღლე გია ვაშაძე ვაპირებთ ბიზნესის წამოწყებას. გადავწყვიტეთ, გარკვეული თანხა ჩავდოთ წინანდლის ღვინის წარმოებაში. პირველი პარტია, ალბათ სამი წლის შემდეგ გამოვა ბაზარზე, სამაგიეროდ, საკმაო დრო გვრჩება საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად.

**სობესედნიკი №15**

# ლენინის ბაბუა ცნობილი კუტიურე იყო

1920 წელს შევსებულ ანკეტაში კითხვაზე — ვინ არის თქვენი ბაბუა მამის მხრიდანო, ლენინმა დაწერა — „არ ვიცი“. ულიანოვების ოჯახში რატომღაც არ ახსენებდნენ მამამისის მამას, ცნობილ ასტრახანელ თერძს. როგორც ჩანს, მამამთილის საეჭვო კლიენტურა და დედამთილის აზიური წარმოშობა აღიზიანებდა არისტოკრატიულად აღზრდილ ვალოდიას დედას, მარია ალექსანდროვნას და ამიტომ ბავშვებმაც არაფერი იცოდნენ ბებია-ბაბუის შესახებ.



ნიკოლაი ულიანოვს თერძობა არსად უსწავლია. იყო ყმაგლეხი და თავის ბატონს ნიჟეგოროდის გუბერნიიდან ასტრახანში გამოექცა, რადგან ამ ქალაქში გაქცეულ ყმებს ბატონებს არ უბრუნებდნენ და მუშახელად იყენებდნენ.

ნიკოლაი საკმაოდ მოხერხებული ყმაწვილი გამოდგა, სარფიანად იქორწინა ასტრახანის მეშჩანების ათმეთაურის ქალიშვილზე და მაშინვე დააარსა სამკერვალო სახელოსნო. მისი ორსართულიანი სახლი დიდი ბაღით ახლაც დგას ასტრახანის ცენტრში. თავისი ხელობით ისე გაითქვა სახელი, რომ თურმე პარიზელ კუტიურეებსაც უწევდა კონკურენციას. მისი შეკერილი კაბები ეცვათ არისტოკრატ ქალებს, მდიდარ ვაჭართა შვილებსა და ცოლებს, კურტიზან ქალებს.

ლენინმა არაფერი იცოდა ბაბუის დიდების შესახებ ისევე, როგორც არ იცოდა თავისი ყალმ-უხური ფესვების თაობაზე. მწერალმა მარიეტა შაგინიანმა, რომელიც ლენინის ბიოგრაფიას სწავლობდა, 1938 წელს ასტრახანის არქივში მიაკვლია დოკუმენტს, რომელიც კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. დოკუმენტში ეწერა, რომ ნიკოლაის ცოლი ანა, მონათლული ყალმუხი იყო. ამის გამო შაგინიანს მაგრად მოხვდა, მისი რომანის „ულიანოვების ოჯახის“ პირველ ნაწილს მაშინვე მიაკერეს იარლიყი — „იდეოლოგიურად მავნე ნაწარმოები“. მავანთ და მავანთ არ სურდათ სცოდნოდათ, რომ ლენინს ვიწრო თვალები და მაღალი ყვრიმალები ბებიისაგან ერგო მემკვიდრეობით.

ომის შემდეგ შაგინიანი კვლავ დაინტერესდა ამ დოკუმენტით, მაგრამ არქივში ველარ აღმოაჩინა — საბუთი სადღაც გააქრეს. ასტრახანელი გიდები ცნობისმოყვარე ტურისტებს თერძ ნიკოლაი ულიანოვზე შემდეგს უყვებიან: „მისი შვილიშვილი რევოლუციის პირველი კუტიურე იყო, მან რუსეთს შესთავაზა ტანსაცმლის ახალი, ნოვატორული სტილი: გრძელი, ელეგანტური პალტო, კოსტიუმი ჟილეტით, „ბურჟუაზიული“ მუქი ჰალსტუხი თეთრი წინწკლებით და სრულიად მოულოდნელი... დემოკრატიული კეპი. როგორც ჩანს, სახელგანთქმული კუტიურე ბაბუის გენმა ისიც არ მოასვენა“.

**ექსპრეს-გაზეტა №15**

# ჩიტის მოტანილი ამბები

**ვოკალი „ბალახის“ ნაცვლად.** ტაილანდში ახალი საგუნდო კოლექტივი დაარსდა — მომღერლები პატიმარი ნარკომანები ბრძანდებიან. ციხის ადმინისტრაცია აღმზრდელობით ექსპერიმენტს ატარებს — მასში 200 პატიმარი მონაწილეობს. პატიმრებმა მხარი დაუჭირეს აქციას — ზოგს მოსწყინდა უქმად ჯდომა, არიან ისეთებიც, რომლებსაც სიმღერამ „სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა“. ყველა ხალისით ეუფლება ვოკალის და სოლფეჯიოს საფუძვლებს და დიდი მღელვარებით ემზადებიან პირველი კონცერტისთვის — პრემიერას ტაილანდის გამასწორებელი სამუშაოების კომისია დაესწრება.

**ფასი — 58 მილიონი.** ნიუ-იორკის პრესტიჟულ რაიონებში ბინების ღირებულებამ სარეკორდო ზღვარს მიაღწია. ერთ-ერთი რეკორდი ამ საქმეში მილიარდერმა დონალდ ტრამპმა დაამყარა. თავის ახალ საცხოვრებელ ცათამბჯენში თითოეულ ბინას 58 მლნ დოლარად ყიდის. ბინა, რა თქმა უნდა, საუცხოოა — ფართი 1600 კვმ-ს შეადგენს, დიდი სამზარეულო, ნათელი სასტუმრო ოთახი და ვეებერთელა ფანჯრები აქვს. მაგრამ ამ ფასად ხომ ბინას კი არა, თუ მოინდომა კაცმა, ციხესიმაგრესაც იყიდის?

**სიყვარული ინტერნეტის ეპოქაში.** ინტერნეტს სიკეთის გარდა, დიდი ბოროტების თესვაც რომ შეუძლია, ამის ნათელი მაგალითი პარიზში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში იაპონიის ელჩის სეიტირო ნობორუს თავგადასავალიც კმარა.

დიპლომატმა ინტერნეტით სასიყვარულო ბარათი გაუგზავნა კენიაში იაპონიის საელჩოს თანამშრომელ ქალს. მაგრამ ეტყობა, სიყვარულისგან ისე იყო თავგზააბნეული, რომ მისამართი შეეშალა და წერილი სამინისტროს კომპიუტერულ ქსელში მოხვდა — დაწესებულებაში კაცი არ დარჩენილა, რომ არ წაეკითხა.

შეყვარებულ ელჩს დისციპლინირებული სასჯელი დაადეს იმის გამო, რომ სამსახურებრივი ელექტროფოსტა სასიყვარულო მიწერ-მოწერისთვის გამოიყენა.

**„დაასხით!“ — ითხოვს ჭიქა.** ამერიკელმა გამომგონებლებმა გამოიგონეს ჭიქა, რომელიც თვითონვე იძლევა სიგნალებს მაშინ, როცა დაცარიელდება. ეს გონიერი სისტემა ჭიქის ფსკერზე ჩამონტაჟებული ელექტრომაგნიტური რადიოსიხშირის ფირფიტის წყალობით მუშაობს. როგორც კი ჭიქაში სითხე დაიკლებს, მიკროჩიპი სიგნალს იძლევა.

სარესტორანო ბიზნესის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი ჭიქები დიდ მოგებას მოიტანს — კაფე-ბარების კლიენტებს ხომ არ მოსწონთ, როცა ჭიქები უცარიელდებათ.

**გიტარა და სოუსი.** ჯგუფ „აეროსმიტის“ გიტარისტი ჯოუ პერი თავის ძირითად საქმიანობას ახალს, კულინარიულსაც დაუმატებს. გიტარისტი ცხარე საწებლების სერიის გამოშვებას აპირებს. „ყველა სოუსის რეცეპტი ჩემი მოგონილია, მხოლოდ რამდენიმე დეტალი მაქვს დასაზუსტებელი, — განაცხადა ჯოუ პერიმ, — სიმართლე გითხრათ, არ მეგონა სოუსების გაკეთებას თუ ამდენი დავიდარაბა სჭირდებოდა“.

„აეროსმიტის“ გიტარისტი თვითონ გააკონტროლებს პროდუქტის წარმოებას.

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ილია ჭავჭავაძის ფრაზას ამოიკითხავთ.




**დ.** მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; **ა.** ტალღების მოქმედებით ზღვის ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა; **ი.** იტალიელი ფეხბურთელი, მეკარე; **ს.** შეჯიბრება მთიდან თხილამურებით სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზებით; **ვ.** ქალაქი იტალიაში; **ე.** ქალის სახელი, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი; **ნ.** მოთელილი მატყლისგან დამზადებული წამოსასხამი; **ე.** გემის მომსახურე პერსონალი; **თ.** შეკრება, სხდომა, რომელზეც რაიმე საკითხს განიხილავენ; **პ.** პროტესტანტების მღვდელი; **ა.** ხის აღვირი; **ლ.** თევზის სასუნთქი ორგანო; **ი.** კუნძული, რომელზეც განლაგებულია ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ტ.** ის, რასაც მართავს ვატმანი; **რ.** განვითარებული მრეწველობით განთქმული მხარე გერმანიაში; **ა.** სიკვდილის ძველეგვიპტური ღმერთი; **ს.** საზეიმო მისალმება ქვემეხების ზალპით; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წელს ერთმანეთს შეხვდნენ ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი; **ა.** ტროპიკული ხილი; **ნ.** ცხოველი, რომელსაც მეორენაირად ზღვის მარტორქას ეძახიან; **ე.** ციმბირის დამპყრობელ კაზაკთა მეთაური; **რ.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **თ.** ერთ-ერთი ღვინის ქურდის სახელი (მხატვრული ფილმი); **ა.** გამოუწვავი აგური; **დ.** საჯარო კამათი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ.** გუცაევი; **ა.** აბრაგი; **მ.** მაუგლი; **ო.** ოროველა; **ი.** ირბისი; **წ.** წყება; **ე.** ერნესტი; **რ.** რემონტი; **ე.** ემხვარი; **თ.** თეორემა; **კ.** კოლტი; **ვ.** ვიოლინო; **ი.** იადონი; **რ.** რვალი; **ი.** იარუსი; **ს.** სვანეთი; **პ.** პომადა; **ა.** აბზაცი; **ლ.** ლიახვი; **ი.** ინდოეთი; **ტ.** ტყემალი; **რ.** რაბინი; **ა.** ადიდასი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ცრუობენ მხოლოდ არამზადები.**

CMYK

## №17 (291) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 721 მკითხველი გამოეხმაურა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 246-მა ქალმა და 463-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა წარმოადგენს პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკის ყველაზე საიმედო საყრდენს“?**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, პრეზიდენტის ყველაზე საიმედო საყრდენი შინაგან საქმეთა სამინისტროა. რესპონდენტთა 48-მა შეაფასა შსს მაქსიმალური — 9 ქულით, მინიმალური კი მხოლოდ ექვსმა მკითხველმა (0,86) დაუწერა. **7,78** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა.

მკითხველთა 16 კი თვლის, რომ შევარდნაძისათვის ყველაზე საიმედო უშიშროების საბჭოა, 6,83 საშუალო ქულით უშიშროების საბჭო მეორე ადგილზეა. საინტერესოა, რომ ამ ორი უწყების მაჩვენებლებს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია, რაც იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტთა აზრით, პრეზიდენტის პოლიტიკის საიმედო საყრდენთა შორის შსს უალტერნატივოა.

სახელმწიფო კანცელარია მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,78. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა (0,57) სწორედ მას ხვდა წილად.

ჩვენი მკითხველების აზრით, ერთ დროს „პრეზიდენტის პარტია“, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები და ინტელიგენცია, აქ ჩამოთვლილთა შორის, შედარებით ნაკლებსაიმედონი არიან პრეზიდენტის პოლიტიკისათვის.

ყველაზე ცოტა რაოდენობის მაქსიმალური ქულები (1,28) სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებებსა და ინტელიგენციას ერგოთ. ყველაზე მეტი მინიმალური ქულის მფლობელიც ინტელიგენციაა — მკითხველთა 53-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა.

და ერთი საინტერესო შედარება: 2000 წლის ანალოგიურ გამოკითხვაში შევარდნაძის პოლიტიკის საიმედო საყრდენად მკითხველის მიერ დასახელებული პირველი სამეული ასეთია: 1. შსს; 2. სმკ; 3. უშიშროების საბჭო. მეოთხე ადგილზე პარლამენტია. მაშინდელ გამოკითხვაში საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება სახელმწიფო კანცელარია (მეექვსე ადგილი), ბოლო ორ ადგილს კი ამჟამინდელი რეიტინგის მსგავსად, სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები და ინტელიგენცია იყოფენ. რეიტინგში სმკ-ის დაღმა და სახელმწიფო კანცელარიის აღმასვლა სავსებით ლოგიკურია და ამ უწყებებში განხორციელებული ცვლილებების გამომხატველია. რაც შეეხება შსს-ს მარადიულ ლიდერობას, ამის განსჯა მკითხველთათვის მოგვინდვია.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 45 წლის **რუსუდან გოგილიძე** და 69 წლის **შალვა ბიძინაშვილი.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 8 მაისს, 17 საათზე.

## №18 (292) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№18 (292) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 8 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 9 მაისის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №18 (292)
პოპულარული ქალები
**რომელი პოპულარული ქალის მიმართ ხართ ყველაზე მეტად კეთილგანწყობილი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№18(292) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ქალი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინო ბურჯანაძე | |
| 2 | ეკა კახიანი | |
| 3 | სესილი გოგიბერიძე | |
| 4 | მაკა ასათიანი | |
| 5 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | |
| 6 | ლელა წურწუმია | |
| 7 | გოგოლა კალანდაძე | |
| 8 | ნანა დევდარიანი | |

*მკითხველის რეიტინგი*

**თქვენი აზრით, რომელი პიროვნება ახდენს ყველაზე მეტ გავლენას პრეზიდენტზე საქართველოში?**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი ______ ტელეფონი ______

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

### აპრილის თვის მოვლენები

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | მიწისძვრა | 1267 |
| 2. | კოდორის ინციდენტი | 373 |
| 3. | ამერიკელი სამხედროების ჩამოსვლა | 37 |
| 4. | ბადრი ხატიძის განთავისუფლება | 14 |
| 5. | 9 აპრილი | 8 |

**რამდენიმე მკითხველისათვის თვის მოვლენის ტიტულს იმსახურებენ: გიორგი ასანიძის გამარჯვება, ბზობა, ანტიკორუფციული საბჭოს წარმატება...**

***ქულების მინიჭება შემდეგნაირად ხდება: პირველ ადგილზე დასახელებული მოვლენა ორი ქულის, ხოლო მეორეზე — ერთი ქულის მფლობელია. ქულები იკრიბება და მათი ჯამის მიხედვით დგება რეიტინგი.***

*მკითხველის რეიტინგში 706 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



მიხეილ სააკაშვილი, დავით მირცხულავა

**ზ.ნ.** — **სიმღერით:** „ტრიალებს, ტრიალებს, ბედის ბორბალი ტრიალებს“.
**ბარედან:** — ბედის ბორბალი კი არა, თავს უშველე, მიწისძვრაა!

***მერაბ სირია, აბაშა***

**ზ.ნ.** — ღმერთო! ეს მწირი ბიუჯეტი როგორ გავუნაწილო პრეზიდენტის ნათესავებს?!
**ხმა იდუმალი:** — ამოდი კანცელარიაში, მე გასწავლი!!!

***გიორგი ქილდეა, თბილისი***

**ზ.ნ.** — ვაა! ეს ხომ ნამდვილი მიწისძვრაა, შემოვა დახმარებები და გრანტები კიდევ უფრო მოვითბობთ ხელებს, ცოტა წელშიც გავსწორდები.
(კაცი ბჭობდა და ბაბუ იცინოდაო).

***კონტრა, რუსთავი***

**ზ.ნ.** — ღმერთო, რა დაგიშავე, ჩემს სახლს ამხელა ნაპრალი რომ გაუჩინე მიწისძვრის დროს?
**ხმა ზეციდან:** შენ რა დაგიშავა ბიუჯეტმა, მაგხელაზე რომ გაარღვიე?

***ნანა ტვილდიანი, ცაგერი***

**ზ.ნ.** — „მიფრინავენ, მიფრინავენ წერ... მინისტრები შორს, აღარ დაბრუნდებიანო... ავრცელებენ ჭორს...“

***კოლა ნახალოვკელი, თბილისი***



ზურაბ ნოღაიდელი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 152 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ზ.ნ.** — „შემაკვეხეს ფინანსებში,
ფიზიკოსი, მეცნიერი,
არაფერი მომიპარავს,
(ექს) მინისტრი ვარ წესიერი,
ერთან ალალმართალი ვარ,
ხედავს მამაზეციერი!“

***მიშიკო კვანტალიანი, თბილისი***

გამწარებული პენსიონერების მინაწერი სურათზე:
— აბა, ზურა, ტაში, ტაში, შენ შეგერგოს ყველა ტრანში.

***ედიშერ მშვიდობაძე, ოზურგეთი***

**ზ.ნ.** — ბატონო ედუარდ, ნახეთ რამდენი დოლარები მოფრინავს!
**ე.შ.** — ხელი არ ახლოთ, სუყველა მე უნდა წავიღო, თორემ ეს რომ ბრუნვაში გავუშვათ, დიდ ინფლაციას გამოიწვევს. ისევ მე უნდა გადავარჩინო ლარი — ქართული.

***გ. ინწკირველი, თბილისი***

**ზ.ნ.**-ს არია ოპერიდან „ბიუჯეტის გასაჭირი“:
ამას შეგთხოვ, ყოვლისშემძლე უფალო,
„ბელლის ვირთხებს“ რომ დღენი დაუთვალო,
ვაი დედას, ბიუჯეტი ჩვენშია
საქართველოს მღრღნელ ვირთხების ხელშია.
მიტომა ვართ ასეთ შავბნელ დღეშია.

***ავთანდილ ქიზიყურაშვილი, თბილისი***

**ზ.ნ.** — ღმერთო, თუ მეშველება რამე, ნიშანი მომეცი?
(უცებ ზემოდან ცარცი ჩამოვარდა).
**ზ.ნ.** — ღმერთო, შენა ხარ! დიდი მადლობა ნიშანი რომ მომეცი!
**ხმა ზემოდან:** — ღმერთი კი არა ხელოსანი ვარ, ექვსი თვეა ხელფასი არ ამიღია, თუ ჩამოვედი ცხვირპირს დაგიმტვრევ!

***ზაზა გობეჯიშვილი, სოხუმი (თბილისი)***

## ფოტო განწყობისთვის



— აბა, რომელ ხელში მაქვს წითელი კვერცხი...

12/V ახალი მთვარე

მაგნიტური დღეა 11/V — 19-დან 21 სთ-მდე

## წინა სკანვორდის პასუხები







# ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება* **თბილისში** *ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; სამგორის ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მესამე მასივის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღმის ავტოსადგურთან; ლილო დიდომში:ოქროს პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ-თ „საქართველოსთან“; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიღუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერმაღის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვეფხვლას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

*ქალაქებში და რაიონებში:* **მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე** *— არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.* **ახმეტასა და დედოფლისწყაროში** *ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ-დან.* **ბოლნისში** *თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.* **ჭიათურასა და დუშეთში** *— თვის III კვირის ოთხშაბათს.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

(18) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№18 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 9 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე

* * *



— ნეტა რა ხატია ამ კანადის დროშაზე იმისთანა, რომ ფოთოლი მიუფარებიათ?!

* * *



მასწავლებელი:

— ბრეგვაძე, ერთი ცხოველი მაინც დაასახელე, რომელიც შეტანილია წითელ წიგნში.

— პუმა, მასწავლებელო.

— ბარემ „ადიდასი“ გეთქვა.

* * *

ღამის სამი საათია. გაცოფებული მამაკაცი მეზობლის კედელზე აბრახუნებს.

— ამ წუთში შეწყვიტე ტრომბონზე დაკვრა, თორემ გავგიჟდები.

მეზობელი:



— დაიგვიანე, გენაცვალე, ერთი საათია აღარ ვუკრავ.

**ფირმა „ზერმუხა“**



**ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.**

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე და სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა“©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „პოლიგრაფში“.